# ანგარიშგება არჩევნების შესახებ



ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო
სამოქალაქო საზოგადოების
ორგანიზაციებისათვის

Partnership for Good Governance
პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ევროპის საბჭო

# ანგარიშგება არჩევნების შესახებ

ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის

Partnership for Good Governance
პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
ევროპის საბჭო

*წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი მოსაზრებები გამოთქმულია ავტორთა პასუხისმგებლობით და არ არის აუცილებელი, ასახავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას.*

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე ნაწილის გამოქვეყნება, თარგმნა, ხელახალი პუბლიკაცია ან გადაცემა ნებისმიერი ფორმით ან საშუალებით: ელექტრონულად (CD-Rom, ინტერნეტი, ა.შ.) ან მექანიკურად, მათ შორის, ასლის გადაღებით, ჩაწერით, ან ინფორმაციის შენახვისა თუ ამოღების ნებისმიერი სისტემის მეშვეობით, კომუნიკაციის დირექტორატის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე (F-67075 სტრასბურგი Cedex ან publishing@coe.int).

ყდის დიზაინი: დოკუმენტებისა და პუბლიკაციების წარმოების დეპარტამენტი (SPDP), ევროპის საბჭოს პუბლიკაციების სქემა: ჟუვი, პარიზი

©ევროპის საბჭო 2016 ინგლისური რედაქცია:
Reporting on elections
ISBN 978-92-870-8224-1

©ევროპის საბჭო 2017 ქართული თარგმანი

თარგმანი გამოცემულია ევროპის საბჭოს მიერ, თუმცა მასზე პასუხისმგებელი არის მხოლოდ მთარგმნელი (თარგმანი არაოფიციალურია).

# სარჩევი


წინასიტყვაობა 5

მადლიერების ნიშნად 7

შესავალი 9

თავი 1. საარჩევნო ციკლი და ანგარიშგება 17

1.1. არჩევნებზე დაკვირვება, როგორც საარჩევნო ციკლის ნაწილი 17

1.2. ანგარიშგების პრინციპები 20

1.3. ანგარიშგების ტიპები 24

თავი 2. დაკვირვების დაგეგმვა ანგარიშგების თვალსაზრისით 29

2.1. არჩევნებზე ადგილობრივი დაკვირვების მასშტაბი 30

2.2. არჩევნებზე ადგილობრივი დაკვირვების მიზნები 31

2.3. ორგანიზაციის შესაძლებლობებზე დაფუძნებული რეალისტური და თანმიმდევრული სამუშაო გეგმა 34

2.4. ანგარიშგებაზე ტრენინგის გეგმა 37

2.5. კომუნიკაციის გეგმა 40

თავი 3. შიდა ანგარიშგება 47

3.1. შიდა ანგარიშგების გეგმა 47

3.2. როლების განსაზღვრა 53

3.3. ანგარიშგების ფორმები 58

3.4. რჩევები ტრენინგებთან მიმართებით 69

3.5. შესაძლო გამოწვევები და შეზღუდვები 72

თავი 4. გარე ანგარიშგება 81

4.1. ძირითადი გუნდის ტრენინგი 81

4.2. გარე ანგარიშების სტრუქტურა 84

4.3. ანგარიშგებასთან დაკავშირებული რჩევები 107

4.4. ანგარიშების თემები და საკითხთა ჩამონათვალი 114

4.5. ანგარიშის გარე საზოგადოებისთვის გაცნობა 150

4.6. შესაძლო გამოწვევები და შეზღუდვები 156

4.7. ადვოკატირება/რეკომენდაციების განხორციელებაზე მონიტორინგი 160

დანართები 167

დანართი 1 – აბრევიატურები და აკრონიმები 167

დანართი 2 – განსაზღვრებები 169

დანართი 3 – ანგარიშგების ფორმები (ნიმუშები) 170

დანართი 4 – ბიბლიოგრაფია 185

# წინასიტყვაობა

თავისუფალი არჩევნების უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. პოლიტიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ არსებულ დემოკრატიულ გარანტიათა შორის ის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტურია. ადამიანების შესაძლებლობას - მშვიდობიანი ფორმით გამოხატონ საკუთარი იდენტობა და არჩევანი საარჩევნო ყუთთან - უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი საზოგადოების სტაბილურობისათვის, ასევე, ევროპის დემოკრატიული უსაფრთხოების მხრივ.

შესაბამისად, საარჩევნო დამკვირვებლების ამოცანები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. არჩევნები გულმოდგინედ და კეთილსინდისიერად უნდა მომზადდეს, ხოლო დამკვირვებლებმა თავიანთი მოვალეობები მიუკერძოებლად და გამჭვირვალედ შეასრულონ. მათი დასწრება და პროფესიონალიზმი ემსახურება ნდობის მოპოვებას, როგორც ამომრჩევლების, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან. შესაბამისად, ევროპის საბჭო, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, ცდილობს, დაეხმაროს სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მათი საქმიანობის უმაღლესი სტანდარტების დაცვაში.

ეს სახელმძღვანელო ეფუძნება არჩევნების პროცესებში მხარდაჭერის მეთოდებს, რომლებიც ჩვენი ორგანიზაციის მიერ მრავალი წლის განმავლობაში მუშავდებოდა. იგი მიზნად ისახავს დამკვირვებელთა დახმარებას ეფექტიან საქმიანობასა და ანგარიშგებაში. ჩვენი მიდგომის ამოსავალი წერტილია, ისინი არ შემოიფარგლონ პასიური დამკვირვებლის როლით და აქტიურად ჩაერთონ ეროვნული საარჩევნო პროცედურების შემუშავებაში, რჩევებისა და რეკომენდაციების მიწოდების გზით. შესაბამისად, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დამკვირვებელთა მისიების მიერ ეროვნული ხელისუფლებისთვის შემუშავებული ანგარიშები და რეკომენდაციები იოლად გასაგები იყოს და კონკრეტულ ქმედებებად გარდაიქმნას. ამასთან, არსებობს მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრინციპები, რომელთაც დამკვირვებლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ არჩევნების განმავლობაში;

მათ შორისაა ქალების, ახალგაზრდების, ეროვნული უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მონაწილეობა საარჩევნო პროცესებში.

ეს გადასინჯული გამოცემა ასახავს ათწლეულების განმავლობაში დაგროვილ შესაბამის გამოცდილებას და სადამკვირვებლო საქმიანობაში ჩართულ ორგანიზაციებს სთავაზობს პრაქტიკულ, გამოსაყენებელ სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც მათ დაეხმარება ამ მნიშვნელოვან საქმიანობაში.

*ტორბიორნ იაგლანდი*
*ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი*

# მადლიერების ნიშნად

*მადლიერების, აღიარებისა და დაფასების სიტყვები ეძღვნებათ:*

სამუშაო ჯგუფის ექსპერტებს, რომელთა შორის არიან: ივან გოდარსკი, მარი-კარინ ფონ გუმპენბერგი, არდიტა დრიზა მაურერი, დაიენ ბანიანი, ჯორდი ბარეტი, პეტრა ბორნჰოფტი, დანიელა დიაკონუ, ნიკოლაი პანფილი, კუენტინ რიდი, თამარ ბართაია, რომან უდოტი, ვლადიმირ პრანი, დმიტრი ნურუმოვი - იმ წვლილისა და იდეებისათვის, რომლებიც შეიტანეს ევროპის საბჭოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის მომზადებული სახელმძღვანელოს გადასინჯვაში;

ევროპის საბჭოს სამოქალაქო საზოგადოების სადამკვირვებლო ორგანიზაციათა ქსელს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, რომელშიც ერთიანდებიან: უკრაინის ამომრჩეველთა კომიტეტი, სამოქალაქო ქსელი OPORA (უკრაინა), ბელარუსის ჰელსინკის კომიტეტი, ადამიანის უფლებათა ცენტრი Viasna (ბელარუსი), საარჩევნო მონიტორინგისა და დემოკრატიულ კვლევათა ცენტრი (აზერბაიჯანი), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (საქართველო), ასოციაცია Promo-LEX (მოლდოვა), საერთაშორისო გამჭვირვალობის ანტიკორუფციული ცენტრი (სომხეთი) და ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეა ვანაძორი (სომხეთი) - მათი პროფესიონალიზმის, ერთგულების, შემოქმედებითი მიდგომისა და პრაქტიკული მაგალითებისათვის;

არასამთავრობო ორგანიზაციას MEMO 98 (სლოვაკეთი) - ნაყოფიერი თანამშრომლობის, იდეებისა და მედიის მიერ არჩევნების გაშუქებასთან დაკავშირებული თავების შემუშავებაში შეტანილი წვლილისათვის;

ევროპის საბჭოს დემოკრატიის გენერალური დირექტორატის საარჩევნო დახმარებისა და მოსახლეობის აღწერის განყოფილების გუნდს;

ევროპის კომისიას - 2015-2017 წლების პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩოს ფარგლებში გაწეული ფინანსური დახმარებისათვის;

ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის მედიისა და ინტერნეტმმართველობის განყოფილებას, ნორმატიული საქმიანობის დეპარტამენტს, ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესს, არჩევნებისა და პოლიტიკური პარტიების განყოფილებას, ვენეციის კომისიის სამდივნოს, სადამკვირვებლო და საპარლამენტო თანამშრომლობის განყოფილებას, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნოს, დემოკრატიის გენერალური დირექტორატის სამოქალაქო საზოგადოების განყოფილებას - ამ სახელმძღვანელოში შეტანილი წვლილისათვის.

# შესავალი

## ევროპის საბჭო და ადგილობრივი სადამკვირვებლო საქმიანობა

არჩევნები დემოკრატიული მმართველობის წინაპირობაა. სწორედ არჩევნების საშუალებით და კანონის საფუძველზე, მოქალაქეები თავისუფლად ირჩევენ პირებს, რომლებმაც ლეგიტიმურად უნდა მართონ ქვეყანა მათი სახელითა და ინტერესების დაცვით. დემოკრატიული არჩევნების ჩატარება ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების გათვალისწინებითა და კანონის უზენაესობის დაცვით, საბოლოოდ, ემსახურება იმ პროცედურებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, რომლებიც ქმნიან კარგ მმართველობას. სწორედ ამ მიზეზების გამო, არჩევნები და საარჩევნო პროცესები ექცევა როგორც ევროპის საბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, ისე მისი წევრი სახელმწიფოების სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ყურადღების ცენტრში.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს განსხვავება საერთაშორისო და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს შორის, ორივე მათგანი უნდა სარგებლობდეს თანასწორი უფლებებითა და თავისუფლებებით და დაიცვას საერთო პრინციპები. ევროპის საბჭოში საპარლამენტო ასამბლეა და ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესი (ხშირად, ეუთოს დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და ადამიანის უფლებათა ოფისთან (ODIHR) ერთად) აკვირდებიან - შესაბამისად - საყოველთაო და ადგილობრივ არჩევნებს. ადგილობრივი სადამკვირვებლო საქმიანობის შემთხვევაში, ეს შეიძლება გულისხმობდეს როგორც პარტიულ, ისე უპარტიო დამკვირვებლებს. თუმცა, წინამდებარე სახელმძღვანელოს

მიზანია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა დახმარება, რომ პროფესიონალურად აწარმოონ სადამკვირვებლო საქმიანობა და თავიანთი მიგნებები ანგარიშებში ასახონ.

მართალია, ევროპის საბჭომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა (CSOs) საკითხის კვლევა 1986 წელს დაიწყო (როცა შეიმუშავა და მიიღო კონვენცია საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიულ პირებად აღიარების შესახებ), მაგრამ მუშაობა ამ ორგანიზაციების გაძლიერების მიმართულებით რეალურად სათავეს იღებს ახალი წევრი სახელმწიფოების მიღებით სამხრეთ-აღმოსავლეთ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან. სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივ სტატუსზე მუშაობასთან ერთად, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიამ შეიმუშავა სახელმძღვანელო პრინციპები საარჩევნო დამკვირვებელთა საერთაშორისოდ აღიარებულ სტატუსზეც (მიღებულია 2009 წლის 10 დეკემბერს)[1].

სახელმძღვანელო პრინციპების მიზანია „საარჩევნო დამკვირვებლების", მათ შორის, „ადგილობრივი საარჩევნო დამკვირვებლების" საერთაშორისოდ აღიარებული სტატუსის დამკვიდრება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი დამკვირვებლები უნდა სარგებლობდნენ ერთნაირი თავისუფლებებით; მათ უნდა ჰქონდეთ საერთო პრინციპები, უფლებები და მოვალეობები. ამასთან, საერთაშორისო საარჩევნო დამკვირვებლის მოვალეობაა არასათანადო ჩარევისა და შეზღუდვების შეფასება ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების საქმიანობაში და ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით. სახელმძღვანელო პრინციპებში აღნიშნულია, რომ საარჩევნო პროცესის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი უნდა იყოს როგორც ადგილობრივი კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკის გათვალისწინება. პრინციპები ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ არჩევნები გულისხმობს მთლიან პროცესს და არა ერთდღიან ღონისძიებას. შესაბამისად, საარჩევნო დაკვირვების შეფასების სფეროები სამ ფაზას მოიცავს: დაკვირვება ხმის მიცემამდე, ხმის მიცემისას და ხმის მიცემის შემდგომ. პირველი ფაზა იწყება კანონმდებლობის შეფასებით და, საჭიროებისამებრ, მისი გადახედვის პროცესით; აქ შედის ამომრჩევლებისა და პარტიების რეგისტრაციაც. ხმის მიცემის შემდგომ ფაზაში ერთიანდება საჩივრებისა და სარჩელების გადაწყვეტა და არჩევითი თანამდებობების დაკავება შესაბამისი პირების მიერ. სახელმძღვანელო პრინციპები ასახავს დამატებით ასპექტებსა და დეტალებსაც, რითაც კიდევ უფრო განავრცობს არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო პრინციპების დეკლარაციაში ასახულ საკითხებს (მიღებულია გაეროს მიერ 2005 წლის 27 ოქტომბერს).

1 ხელმისაწვდომია: www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdile=CDL-AD(2009)059-e.

## ადგილობრივ დამკვირვებელთა პროფესიონალიზაცია

დროთა განმავლობაში ადგილობრივ დამკვირვებელთა როლმა სულ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა. იგი მხოლოდ არჩევნების დღით არ შემოიფარგლებოდა და მოიცავდა წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომ ფაზებს. შესაბამისად, ადგილობრივი სადამკვირვებლო საქმიანობა დაიხვეწა და მეტი მნიშვნელობა შეიძინა საარჩევნო პროცესის ლეგიტიმურობის მხრივ, რადგან პირდაპირ ემსახურება ადამიანის უფლებათა ხელშეწყობასა და დაცვას.

საარჩევნო უბნებზე დამკვირვებელთა დასწრება სადამკვირვებლო საქმიანობის ძირითადი ნაწილია. ამავდროულად, განვითარდა შესაბამისი ტექნიკა და მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა დაკვირვების, მონაცემთა შეგროვების, ანგარიშგებისა და სხვა პროცესებში. ეს ცვლილებები გამოიხატა იმით, რომ უფრო მეტად დაფასდა პოლიტიკური კულტურა და საზოგადოებამ გაიაზრა საარჩევნო პროცესის ხარისხის სისტემური შეფასების საჭიროება. სადამკვირვებლო საქმიანობაში საერთაშორისო სტანდარტებისა და კარგი საარჩევნო პრაქტიკის მუდმივმა ასახვამ და ინტერპრეტირებამ გაამარტივა საარჩევნო პროცესების მთლიანობაში შეფასებაც და მისი ცალკეული ნაწილების გაგებაც.

შედეგად, ადგილობრივ დამკვირვებელთა განკარგულებაში მოექცა ბევრად უფრო ფართო სპექტრის ინსტრუმენტები, რამაც მათ მეტი უფლებამოსილება მიანიჭა. არჩევნებზე სისტემურ დაკვირვებასთან ერთად, დამკვირვებლებმა მეტი კომპეტენტურობით შეძლეს სტრატეგიების განვითარება და განხორციელება რთულ საარჩევნო მანიპულაციათა თუ სხვადასხვა დაინტერესებული მხარის თაღლითურ ქმედებათა გამოსავლენად და შესაკავებლად. ადგილობრივი დამკვირვებლები საარჩევნო პროცესის უპირობო დამცველები გახდნენ.

## ადგილობრივ დამკვირვებელთა მზარდი როლი ცვლილებების ხელშეწყობაში

ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფების პროფესიონალიზმის ზრდასთან ერთად, საერთაშორისო თანამეგობრობა სულ უფრო მეტად ეყრდნობა მათ გამოცდილებას. კერძოდ, ასეთი დამკვირვებლები უკეთესად იცნობენ ადგილზე არსებულ ვითარებას და, საარჩევნო პროცესის დაწყებისთანავე, დეტალური ინფორმაციის მიწოდებით ეხმარებიან საერთაშორისო დამკვირვებლებს (მათ მივლინებამდეც კი). ამასთან, ადგილობრივ დამკვირვებლებს არა მხოლოდ დაკვირვების, არამედ საარჩევნო პროცესში აქტიური მონაწილეობის მანდატიც აქვთ: ძირითადად, ისინი თვალს ადევნებენ საარჩევნო დარღვევებსა თუ ხარვეზებს და არჩევნების პროცესის გაუმჯობესებაზე მიმართული ნაბიჯების გადადგმაში ეხმარებიან ხელისუფლებას.

ადგილობრივ დამკვირვებელთა პროფესიონალიზმის ზრდასთან ერთად, მოქალაქეებიც სულ უფრო გათვითცნობიერდნენ საარჩევნო პროცესებში, რადგან მასში მონაწილეობენ არა მხოლოდ ამომრჩევლებისა და კანდიდატების, არამედ დამკვირვებლების სახითაც. ამგვარად, მათ წვლილი შეაქვთ არჩევნების გამჭვირვალობასა და სანდოობაში და ხელს უწყობენ საზოგადოების ნდობის ამაღლებას ამ პროცესის კეთილსინდისიერების მიმართ.

## ადგილობრივ დამკვირვებელთა წინაშე არსებული გამოწვევები

ზოგიერთ ქვეყანაში ყოველთვის არ სცემდნენ პატივს ადგილობრივ დამკვირვებელთა უფლებებს, მათი სადამკვირვებლო საქმიანობა კი ხშირად იზღუდებოდა. მაგალითად, 2003 წელს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) საბოლოო ანგარიშში აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ აღნიშნულია, რომ კანონით იკრძალებოდა „იმ ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების საქმიანობა, რომელთა ბიუჯეტის 30%-ზე მეტი უცხო ქვეყნის მიერ ფინანსდებოდა“. კანონმდებლობა ხელს უშლიდა არჩევნების გამჭვირვალობას, ზღუდავდა ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობას და არყევდა ამომრჩეველთა ნდობას. გარდა ამისა, კანონით იზღუდებოდა არასამთავრობო ორგანიზაციათა ადვოკატირებისა და ლობირების შესაძლებლობა[2] საარჩევნო საკითხებთან მიმართებით.

კიდევ ერთი მაგალითია უკრაინის 2010 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც ხელისუფლებამ აკრძალა არაპარტიული ეროვნული დამკვირვებლების საქმიანობა. ქვეყნის სამართლებრივი ჩარჩო 2014 წელს გადაისინჯა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს სადამკვირვებლო საქმიანობის საშუალება მიეცათ.

ზოგ ქვეყანაში ადგილობრივი დამკვირვებლები კვლავ აწყდებიან შეზღუდვებს, რაც აფერხებს დამკვირვებლებისათვის მინიჭებული უფლებებით სრულად სარგებლობას მთლიანი საარჩევნო პროცესის განმავლობაში. იმის გათვალისწინებით, რომ გარდაქმნებს ხანგრძლივი დრო ესაჭიროება, წინამდებარე სახელმძღვანელო მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ყველა ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფის სწრაფვას დემოკრატიული მიზნებისაკენ, რათა მთლიანი საარჩევნო ციკლის განმავლობაში სრულფასოვნად ისარგებლონ საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის საერთაშორისოდ აღიარებული უფლებით, თითოეული ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ბუნებრივია, ზოგ ქვეყანაში ადგილობრივი დამკვირვებლები ცდილობენ ძირითადი უფლებების განმტკიცებას კანონმდებლობაში, ხოლო სხვა, უფრო გამოცდილი და პროფესიონალური ჯგუფები მიისწრაფიან

2 OSCE/ODIHR, საბოლოო ანგარიში, აზერბაიჯანის რესპუბლიკა, 2003 წლის 15 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები: www.osce.org/odihr/elections/azerbaijan/13467?download=true.

დამატებითი ინსტრუმენტების მოპოვებისაკენ, რათა შეძლებისდაგვარად გაასაჯაროონ ინფორმაცია მათ სადამკვირვებლო ძალისხმევასა და მიგნებებზე. ამასთან, არსებითად მნიშვნელოვანია, ადგილობრივ დამკვირვებლებს ჰქონდეთ ცოდნა საერთაშორისო სტანდარტების, შესაბამისი ადგილობრივი კანონმდებლობისა და პასუხისმგებლობების შესახებ. ამავდროულად, ევროპის საბჭოს როლი გულისხმობს მათ დახმარებას ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გამოვლენაში.

ევროპის საბჭომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში წინასაარჩევნო დახმარების პროგრამით დაადგინა, რომ შესაძლებელია ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფების პროფესიონალიზმისა და დამოუკიდებლობის კიდევ უფრო გაძლიერება შემდეგ სფეროთა დამატებითი მხარდაჭერით:

- არჩევნებზე დაკვირვების სრულყოფილი და სისტემური მიდგომის შემუშავება - რაც უზრუნველყოფს უფრო სტრუქტურირებულ და შინაარსზე ორიენტირებულ ანგარიშგებას - და ამ მიზნით, რეკომენდაციებსა და შემდგომ ნაბიჯებთან დაკავშირებული რჩევების მიწოდება;
- სადამკვირვებლო მეთოდოლოგიაში საერთაშორისო საარჩევნო სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკის უფრო მაღალი ხარისხით ინტეგრირება;
- დაკვირვებისას მიუკერძოებლობისა და ჩაურევლობის მკაცრი ვალდებულების აღება, მათ შორის, ფაქტებსა და სანდო მონაცემებზე დაფუძნებული ანგარიშგებითა და ქცევის კოდექსის დაცვით.

ევროპის საბჭოს შეფასებაში ამ საჭიროებებზე საუბრისას, ადგილობრივმა დამკვირვებლებმა განაცხადეს, რომ მათი ნეიტრალიტეტი და ობიექტურობა ხშირად საფრთხის ქვეშ დგება, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია უაღრესად კონკურენტული არჩევნებისთვის. ხშირად ცდილობენ ადგილზე მომუშავე დამკვირვებელთა დაშინებას, შევიწროებას ან/და მოსყიდვას, ზოგი მათგანი კი სამართლებრივი დევნის ობიექტიც ხდება. მათ ხელს უშლიან თავიანთი საქმის შესრულებაში, არ უშვებენ საარჩევნო უბნებზე, ემუქრებიან ფიზიკურად, ან/და მეგობრები და ოჯახის წევრები იღებენ მკაცრ გაფრთხილებებს მათთვის არასასურველ სამომავლო შედეგებზე.

## სახელმძღვანელო

ევროპის საბჭოს საარჩევნო სფეროში ტექნიკურ დახმარებაზე მიმართული ძალისხმევის უმნიშვნელოვანესი ასპექტია ადგილობრივ დამკვირვებელთა წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინება. ეს სახელმძღვანელო პასუხია შეფასებაზე, რომელიც ევროპის საბჭომ წარმოადგინა ადგილობრივ დამკვირვებელთა საჭიროებებთან მიმართებით, და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს უფლებაზე დაკვირვების შედეგების ამსახველი ანგარიშებისა და რეკომენდაციების

შემუშავების შესახებ. ეს ხელს შეუწყობს ადგილობრივ დამკვირვებელთა შესაძლებლობებისა და პროფესიონალიზმის გაძლიერებას.

სახელმძღვანელო გათვალისწინებულია სწორედ მათთვის, თუმცა კონკრეტულად შეეხება ანგარიშგებას ძირითადი გუნდის წევრების მიერ. ამავდროულად, იგი მოიცავს გრძელვადიან და მოკლევადიან დამკვირვებელთა ანგარიშგებასაც. მასში ძირითადად მიმოხილულია საბოლოო ანგარიშები და წინასწარ მიგნებებზე ანგარიშები/განცხადებები, თუმცა ეხება შუალედურ ანგარიშებსაც; ის გვაწვდის იდეებს სპეციალურ ანგარიშებსა და პრესრელიზებზე, ასევე, რჩევებს რეკომენდაციათა შესრულების მონიტორინგზე.

სახელმძღვანელო მიმოიხილავს სადამკვირვებლო საქმიანობის დაგეგმვას ანგარიშგების თვალსაზრისით: არჩევნებზე დაკვირვების მასშტაბი; ორგანიზაციის ანგარიშგების შესაძლებლობათა შეფასება; დაკვირვების ძირითადი პრინციპები; რა შეიძლება გახდეს დაკვირვების საგანი; და როგორ ჩავატაროთ ტრენინგი ანგარიშგების შესახებ.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია თავი შიდა ანგარიშგებაზეც: მისი გეგმა, თანამშრომლების პასუხისმგებლობები ანგარიშგების მხრივ, მათი ტრენინგი და შიდა ანგარიშგების ფორმები.

გარდა ამისა, ის მიმოიხილავს გარე ანგარიშგებასაც, მათ შორის, ისეთ თემებს, როგორიცაა ძირითადი გუნდის წევრების ტრენინგი, ანგარიშგებასთან დაკავშირებული რჩევები, დასრულებული საბოლოო ანგარიშების სტრუქტურა და შინაარსი.

სახელმძღვანელოს მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ანგარიშგების საკითხებს ყოველი საანგარიშგებო თემის მიხედვით: პოლიტიკური კონტექსტი, სამართლებრივი ჩარჩო, საარჩევნო ადმინისტრაცია, ამომრჩეველთა სიები და რეგისტრაცია, კანდიდატების რეგისტრაცია, ამომრჩეველთა განათლება, საარჩევნო კამპანია, არჩევნების გაშუქება მედიის მიერ, არჩევნების დღე, შედეგების დათვლა და გამოქვეყნება, საჩივრები და სარჩელები, არჩევნებისშემდგომ მოვლენათა განვითარება.

სახელმძღვანელოში მოცემულია რჩევები ანგარიშის საზოგადოებისთვის გაცნობასა და რეკომენდაციების ადვოკატირებაზე.

ევროპის საბჭო იმედოვნებს, რომ ეს სახელმძღვანელო წვლილს შეიტანს ადგილობრივ საარჩევნო დამკვირვებელთა პროფესიონალიზმის ამაღლებაში, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საარჩევნო პროცესის კეთილსინდისიერებისა და ხელშეწყობისათვის, ევროპის საარჩევნო მემკვიდრეობის პრინციპების შესაბამისად. არჩევნები არ გულისხმობს მხოლოდ არჩევნების დღეს, ეს მთელი პროცესია, ამიტომ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფებმა დაკვირვების მყარი ვალდებულება იკისრონ წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომ მოვლენებზეც, როგორც საარჩევნო ციკლის განუყოფელ ნაწილზე. ევროპის საბჭო განაგრძობს დახმარებას ამ სფეროს განვითარებაში.



# თავი 1
# საარჩევნო ციკლი და ანგარიშგება

## 1.1. არჩევნებზე დაკვირვება, როგორც საარჩევნო ციკლის ნაწილი

არჩევნები განმეორებადი საარჩევნო ციკლის ნაწილია. ჩვეულებრივ, საარჩევნო ციკლი აითვლება არჩევნების ჩატარებიდან მომდევნო არჩევნებამდე. ძირითადი იდეა ის არის, რომ არჩევნები იზოლირებული მოვლენები კი არა, პროცესებია, რომლებიც ვრცელდება არჩევნების დღემდე და მის შემდგომ პერიოდზე. ჩვეულებრივ, ერთდროულად რამდენიმე საარჩევნო ციკლი მიმდინარეობს. საპარლამენტო არჩევნებს, რომელიც 4-წლიანი ინტერვალებით ტარდება, საპრეზიდენტო არჩევნებისგან განსხვავებული საარჩევნო ციკლი აქვს და ყოველ 5 წელიწადში ერთხელ იმართება.

შეიძლება სხვა ტერმინების გამოყენება, რომლებსაც ხშირად უფრო ვიწრო მნიშვნელობა აქვს - მაგალითად, „საარჩევნო პერიოდი“. ზოგადად, ის გულისხმობს დროის პერიოდს, რომელიც აითვლება არჩევნების ოფიციალურად გამოცხადებიდან და სრულდება მისი საბოლოო შედეგების დადასტურებით უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან. დამკვირვებლები მსგავს განსხვავებულ ტერმინოლოგიას სიფრთხილით უნდა მოეკიდონ და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ნათლად განსაზღვრონ შესაბამისი საარჩევნო ციკლის მოვლენები, რომელთა ასპექტებზე დაკვირვებასაც გეგმავენ.

საარჩევნო ციკლის რელევანტურობა დამკვირვებლებისათვის დამოკიდებულია დაკვირვების ტიპზე, რომელსაც ისინი აწარმოებენ. მაგალითად, ხმის მიცემის მომზადებასა და ჩატარებაზე დაკვირვება კონცენტრირებულია არჩევნების დღეზე, ამომრჩეველთა რეგისტრაციის, ასევე, საარჩევნო კომისიების დაფუძნების პერიოდებზე და კონკრეტულ პოლიტიკურ ცვლილებებზეც კი, როგორიცაა ადმინისტრაციული საზღვრების ცვლილებები, ან საარჩევნო კოდექსის გადახედვა. კიდევ ერთი მაგალითია კამპანიის დაფინანსებაზე მონიტორინგი, როდესაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთმიმართებაზე შემოსავალებსა და ხარჯებს შორის, რომლებიც იქნება ოფიციალური საარჩევნო კამპანიის პერიოდში და მის შემდგომ.

**დიაგრამა 1: საარჩევნო ციკლი**




*წყარო: www.idea.int/elections/eea*

## საარჩევნო ციკლის მიდგომა

საარჩევნო ციკლი არის ვიზუალური დაგეგმვის და სასწავლო ინსტრუმენტი, შემუშავებული დემოკრატიისა და საარჩევნო დახმარების საერთაშორისო ინსტიტუტის (IDEA) მიერ[3]. იგი ასახავს საარჩევნო პროცესის სხვადასხვა ფაზას და პერიოდს ორ არჩევნებს შორის; ასევე, მოიცავს ქმედებებს, რომლებიც უნდა განახორციელონ ადამიანებმა - ორგანიზაციათა ფართო სპექტრთან ერთად - ამ ფაზების განმავლობაში. საარჩევნო ციკლის ინსტრუმენტი შემუშავდა იმ ცვლილების ხელშესაწყობად, რომელიც გულისხმობს არჩევნების აღქმას არა მოვლენად, არამედ პროცესთა რთულ წყებად. ის უნდა გამოიყენონ სახელმძღვანელოს სახით, და არა როგორც არჩევნების ციკლური

3 ხელმისაწვდომია: http://ecycle.idea.int/.

ბუნების მკაცრი მოდელი. რეალობაში ქვეყნების საარჩევნო პროცესები ზუსტად არ შეესაბამება საარჩევნო ციკლის მოდელს, რადგან ბევრი მათგანი გაცილებით რთულია მოდელზე.

## დაკვირვება: არჩევნების დღიდან საარჩევნო ციკლამდე

საარჩევნო პროცესებზე მუშაობის ხელშეწყობისათვის საარჩევნო ციკლის ინსტრუმენტის შემუშავება გარკვეულწილად ასახავს სადამკვირვებლო სტრატეგიების განვითარებას. თავდაპირველად სამოქალაქო საზოგადოების მრავალი ორგანიზაცია ხმის მიცემისა და დათვლის პროცესებზე ამახვილებდა ყურადღებას, თუმცა შემდეგ გააფართოვა დაკვირვების მასშტაბები და მოიცვა კანონმდებლობა, სხვა ძირითად საარჩევნო პროცესებთან ერთად. ამასთან, არჩევნებისადმი კომპლექსური მიდგომა საარჩევნო რეფორმების ეფექტიანი ადვოკატირების წინაპირობაა, რაც არჩევნებზე დაკვირვების ბუნებრივ გაგრძელებას ნიშნავს.

## გამოცდილების დაგროვება

არჩევნებთან დაკავშირებული სარჩევნო ციკლის მოდელის გამოყენებისათვის, ორგანიზაციებს დასჭირდებათ სათანადო გამოცდილების შეძენა, რომელიც დაეხმარებათ საარჩევნო პროცესების უფრო კომპლექსური ასპექტების მიმოხილვაში. ეს გულისხმობს ექსპერტთა გუნდის შექმნას, რომლის თითოეული წევრი იმუშავებს კონკრეტულ საკვანძო პროცესზე. მსგავსი გუნდის შექმნა წვლილს შეიტანს ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესებაში, რადგან შეიმუშავებს სიღრმისეულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს და გაინაწილებს ანგარიშგების სამუშაო დატვირთვას.

## დაკვირვების მეთოდოლოგია და ანგარიშგების სტრატეგია

როგორც წარმოდგენილია მე-3 თავში, საარჩევნო ციკლის მიდგომას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ანგარიშგების სტრატეგიასა და ბუნებაზე. ანგარიშგება არჩევნების დღის შესახებ შეიცავს ძლიერ, ფაქტებზე დაფუძნებულ ანგარიშგების კომპონენტს, ხოლო ძირითად პროცესებზე ანგარიშგება კი - ძლიერ ანალიტიკურ კომპონენტს. ეს გულისხმობს, რომ წინასაარჩევნო დაკვირვებაზე ყურადღების მეტად გამახვილება ანგარიშგებისას მოითხოვს ძლიერ ანალიტიკურ და წერით უნარებს. თუმცა ამ მიდგომის უპირატესობა განსაკუთრებით არჩევნების შემდგომ პერიოდში გამოჩნდება, ორგანიზაციების მიერ რეფორმების ადვოკატირებისას. ძლიერი ანალიზი და რეკომენდაციების ნათელი ფორმულირება საარჩევნო რეფორმების მიზნებისათვის მყარ საფუძველს ქმნის.

ძირითად საარჩევნო პროცესებზე ანგარიშგებისათვის, ორგანიზაციებმა უნდა განავითარონ გრძელვადიანი სადამკვირვებლო მეთოდოლოგია, რომელსაც მხარს დაუჭერენ შესაბამისი სტრუქტურის თანამშრომლები, საჭირო რაოდენობით.

სასარგებლოა სადამკვირვებლო საქმიანობის დაგეგმვისას საარჩევნო ციკლის საკუთარი მოდელის შექმნა, სავარჯიშოს სახით. ამგვარად ადაპტირებული საარჩევნო ციკლის მოდელი ხელს შეუწყობს გრძელვადიანი სადამკვირვებლო მეთოდოლოგიის შემუშავებას ისეთი საკითხებზე, როგორიცაა სადამკვირვებლო გუნდის ზომა და სტრუქტურა, ასევე, ანგარიშგების სტრატეგია. სადამკვირვებლო მიზნებიდან გამომდინარე, ორგანიზაციამ უნდა გადაწყვიტოს, ერთ ანგარიშს შეიმუშავებს მთელი საარჩევნო ციკლის შესახებ თუ რამდენიმეს - ისეთ მნიშვნელოვან ეტაპებამდე (ან მათ შემდეგ), როგორიცაა არჩევნების დანიშვნა, საზღვრების დემარკაცია, ამომრჩეველთა რეგისტრაცია, კანდიდატთა საბოლოო სია, საარჩევნო კამპანია, არჩევნების დღე, შედეგების გამოქვეყნება და არჩევნებთან დაკავშირებული სარჩელები.

## 1.2. ანგარიშგების პრინციპები

ანგარიშგების ძირითად პრინციპებზე - რომლებსაც უნდა მისდიონ სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა - დიდი ხანია მიაღწიეს არაფორმალურ კონსენსუსს. ისინი უნდა იყოს ზუსტი, ობიექტური და მიუკერძოებელი, ყოველგვარი პარტიული მიკერძოების გარეშე, ასევე, დროული, გამჭვირვალე და ანალიტიკური. ამ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მთელი რიგი ფაქტორები - როგორიცაა სათანადო ენის გამოყენება, ინფორმაციის ორგანიზება ან წერის სტილი - გავლენას ახდენს ანგარიშის ხარისხზე. ჩამოთვლილი ფაქტორები იცვლება ცალკეული ანგარიშების ავტორთა მიხედვით. თუმცა, როგორც აღნიშნულია არჩევნების ადგილობრივი მონიტორინგის გლობალური ქსელის (GNDEM) დეკლარაციაში არაპარტიული საარჩევნო დაკვირვებისა და სამოქალაქო მონიტორინგის გლობალური პრინციპების შესახებ, დამკვირვებლებმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ, რომ: „არაპარტიული სამოქალაქო საარჩევნო დამკვირვებლებისა და მონიტორინგის სპეციალისტები შეიძლება განხილონ ადამიანის უფლებათა სპეციალიზებულ დამცველებად, რომლებიც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე მუშაობენ, და ამას უტყუარი არჩევნების ჩატარებისათვის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს“.

არჩევნებზე ანგარიშგების ძირითად პრინციპთა სტანდარტიზებისათვის, დეკლარაციაში არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების შესახებ, რომელსაც ახლავს საერთაშორისო საარჩევნო დამკვირვებელთა ქცევის კოდექსი (შემდგომში „დეკლარაცია“), ერთ-ერთ ძირითად საკითხად მოიაზრება ანგარიშგება. დეკლარაცია 2005 წლის 27 ოქტომბერს მიიღო გაერომ და აღიარებულია მრავალი ორგანიზაციის, მათ შორის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და ვენეციის კომისიის მიერ. სამოქალაქო ორგანიზაციების საერთაშორისო თანამეგობრობამ და ადგილობრივ არჩევნებზე მონიტორინგის გლობალურმა ქსელმა დამატებით შეიმუშავა გლობალური პრინციპების დეკლარაცია (მითითებულია ზემოთ), რომელიც ასევე მოიცავს ანგარიშგების ძირითად პრინციპებს. ეს უკანასკნელი 2012 წლის 3 აპრილს მიიღო გაერომ და პირდაპირ ეფუძნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (UDHR) საერთაშორისოდ აღიარებულ 21-ე მუხლს და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების

საერთაშორისო პაქტის (ICCPR) 25-ე მუხლს. ის ცნო ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიამ (2012 წლის 15-16 ივნისი)[4] და მხარდაჭერილია 2012 წლის 3 ოქტომბრის საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციით 1987(2012) არჩევნებში მეტი დემოკრატიულობის უზრუნველყოფის შესახებ[5]. ამ თავში წარმოდგენილი ანგარიშგების პრინციპები პირდაპირ დეკლარაციიდან გამომდინარეობს.

## ანგარიშგება, როგორც უფლება

საარჩევნო პროცესებზე ანგარიშგება საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის უფლების განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა, როგორც განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა საყოველთადო დეკლარაციითა და საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. დეკლარაციაში ამ უფლების განმარტების თანახმად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ლეგიტიმურად შეუძლიათ მოითხოვონ წვდომა არჩევნების სამართლებრივი ჩარჩოს, ინსტიტუტების, პროცესებისა და პოლიტიკური გარემოს შეფასებაზე, ასევე, ანგარიშების მომზადებაზე მათ შესახებ. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ სამოქალაქო ორგანიზაციებს შეუძლიათ რეკომენდაციების წარდგენა, სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესების ადვოკატირება, მუშაობა კანონების სრულ აღსრულებასა და არჩევნებში მოქალაქეთა სრულფასოვანი მონაწილეობის შემაფერხებელ ფაქტორთა აღმოფხვრაზე.

## მეთოდოლოგია

ანგარიშში უნდა აისახოს დაკვირვების მეთოდოლოგია. მიღებული კარგი პრაქტიკაა, შეძლებისდაგვარად, საარჩევნო ციკლის ყველა ფაზაზე დაკვირვება და შესაბამისი ანგარიშგება. დეკლარაციაში მოცემულია საარჩევნო პროცესის შესაფასებელი ელემენტების ვრცელი სია. თუმცა დასაშვებია, დაკვირვება შემოიფარგლებოდეს საარჩევნო პროცესის გარკვეული ასპექტებით, თუკი არსებობს კონკრეტული საკითხის გადაჭრის საჭიროება. ასეთ შემთხვევებში ანგარიშში პირდაპირ უნდა მიეთითოს ამის შესახებ.

## განრიგი

დეკლარაცია ეხება ორ ძირითად საკითხს ანგარიშგების განრიგთან დაკავშირებით:

(1) ადგილობრივი დაკვირვების პროცესში ჩართვით სამოქალაქო ორგანიზაციები იღებენ პასუხისმგებლობას ანგარიშების, განცხადებებისა და რელიზების რეგულარულად გამოქვეყნებაზე. არ არის მისასალმებელი საარჩევნო ანგარიშების გამოქვეყნებისგან თავშეკავება;

4 www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdile=C-DL-AD%282012% 29018-e.

5 www.assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?ileid=19121 &lang=en.

(2) ინფორმაციის ფლობის უფლება. დეკლარაცია აღიარებს, რომ სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ინფორმაცია, ანალიზი და დასკვნები ეკუთვნის ამავე ორგანიზაციებს და მათი პასუხისმგებლობაა, განსაზღვრონ (სამართლებრივი მოთხოვნების ჭრილშიც) დრო და ფორმა თავიანთი დასკვნებისა და რეკომენდაციების წარმოსადგენად.

## ანგარიშგება არჩევნების შედეგებზე

ხმათა პარალელური დათვლით მიღებული შედეგების პროგნოზირება და მათი გადამოწმების სხვა ტექნიკები თუ სტატისტიკური ანალიზი სიფრთხილით უნდა ითვალისწინებდეს ანგარიშგების დროს. განსაკუთრებული ყურადღება ეპყრობა იმას, რომ შიდა ანგარიშები სანდო იყოს, მიღებული ინფორმაცია - საკმარისი და სტატისტიკური მონაცემები - ზუსტი. სტატისტიკაზე დაფუძნებულ ანგარიშებში უნდა აისხოს მეთოდოლოგიური ინფორმაცია, როგორიცაა ნიმუშები და სტატისტიკური გამოთვლები.

## სახელმწიფო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა

სამოქალაქო ორგანიზაციების ქცევის მოდელი ყოველთვის უნდა ეფუძნებოდეს კეთილი ნების თანამშრომლობას საარჩევნო ორგანოებსა და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებთან. მეტიც, ისინი უნდა მიისწრაფოდნენ ასეთი თანამშრომლობისაკენ: აწყობდნენ შეხვედრებს საარჩევნო ორგანოებთან, გამოითხოვონ ინფორმაცია ან განმარტება კანონმდებლობისა თუ პრაქტიკების გამოყენებაზე და, ამასთანავე, დაკვირვების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია გაუზიარონ შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუტებს.

## რეკომენდაციები და ადვოკატირება

არჩევნებზე დაკვირვების ანგარიშებში არ უნდა იყოს მხოლოდ ფაქტები და ანალიზი. ორგანიზაციებმა, რომლებმაც აღიარეს დეკლარაცია, ფაქტობრივად იკისრეს ვალდებულება, რომ საარჩევნო პროცესის გაძლიერებისათვის წარმოადგინონ რეკომენდაციები და დაიცვან საზოგადოების ინტერესები სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესების, ასევე, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ არჩევნების ეფექტიანად ჩატარების მხრივ.

## დაფინანსება

დაფინანსების წყაროებზე ანგარიშგება არჩევნების სადამკვირვებლო ორგანიზაციების ვალდებულებაა. ადგილობრივ არჩევნებზე დამკვირვებელმა სამოქალაქო ორგანიზაციებმა უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია ისეთ ურთიერთობებსა და პირობებზეც, რომლებმაც შეიძლება ინტერესთა კონფლიქტი გამოიწვიოს, ან ხელი შეუშალოს დამოუკიდებლობას არჩევნებზე დაკვირვების მხრივ.

## მიუკერძოებლობა

მიუკერძოებლობა და არაპარტიულობა ადგილობრივ არჩევნებზე დაკვირვების ძირითადი მახასიათებლებია. ფრთხილად შერჩეული ენა და კარგად ფორმულირებული ანალიზი აუცილებელია მიკერძოებული აღქმის თავიდან ასაცილებლად. ანგარიშები მიუკერძოებლობისა და სიზუსტის უმაღლეს ეთიკურ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს. ასეთი ანგარიშგების პრინციპი რელევანტურია არა მხოლოდ კონკრეტული პოლიტიკური პარტიებისა და მმართველი სტრუქტურების პოზიციათა ჭრილში, იგი ვრცელდება რეფერენდუმის არჩევაზეც.

## გამჭვირვალობა

არჩევნებზე დაკვირვება მონიტორინგის ერთ-ერთი ფორმაა და მთელი რიგი მიზეზების გამო განსაკუთრებით სენსიტიურია. არჩევნებზე მონიტორინგის სამოქალაქო ორგანიზაციები იმ პროცესის შუაგულში იმყოფებიან, რომელიც პოლიტიკური ძალაუფლების გადანაწილებას განსაზღვრავს. კანონის დარღვევების ან არასათანადო საარჩევნო ქცევის გამოვლენისას, მათ მიგნებებს შესაძლოა გავლენა ჰქონდეს არჩევნების შედეგებზე. არჩევნებში მოპაექრე პოლიტიკური ძალები შეიძლება შეეცადონ დაკვირვების შედეგების დისკრედიტირებას და ეს გააკეთონ მონიტორინგის მეთოდოლოგიისა და დაკვირვების სიზუსტის გაკრიტიკებით, ან ორგანიზაციისათვის სახელის გატეხის მცდელობით.

მსგავსი შეტევების რისკისა და მათ მიმართ მოწყვლადობის შესამცირებლად, აუცილებელია ორგანიზაციის მაქსიმალური გამჭვირვალობა, კერძოდ, შემდეგ ასპექტებში:

- დაკვირვების მეთოდოლოგიის გამჟღავნება: რას და როგორ აკვირდებიან; ასევე, ინფორმაციის წყაროები, შერჩევის მეთოდები და ა.შ. მიგნებების გაანალიზებისა და წარდგენის ფორმები და მათი ანგარიშგების განრიგი;
- მეთოდოლოგიის გაცნობა პოლიტიკური პარტიების (ან სხვა საარჩევნო სუბიექტებისათვის), ასევე, მონიტორინგის სფეროს ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტებისათვის (მაგ.: როგორიცაა საარჩევნო კომისია, ანტიკორუფციული სააგენტო, აუდიტის სახელმწიფო სამსახური). თუ მსგავსი უწყებები მეთოდოლოგიასთან მიმართებით პრეტენზიებს გამოთქვამენ, არჩევნებზე დამკვირვებელმა ადგილობრივმა ორგანიზაციამ საჯაროდ უნდა დაიცვას ეს მეთოდოლოგია ან, სათანადოდ დასაბუთებული პრეტენზიების შემთხვევაში, შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები;
- პოლიტიკის მიღება ორგანიზაციის მუშაობის, მათ შორის, მისი ფორმის, მიზნის, მმართველობისა და დაფინანსების შესახებ ინფორმაციის სრულ გამჟღავნებაზე.

გამჭვირვალობის ეს წესები უნდა დაიცვან მიგნებების წარმოდგენასთან დაკავშირებულ სხვა წესებთან ერთად. უმნიშვნელოვანესია დასკვნების გამოტანა არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, და ისინი სიფრთხილით უნდა წარმოადგინონ ამ მტკიცებულებათა გამოყენების პროცესში. მაგალითად, საარჩევნო კამპანიის ხარჯებზე მონიტორინგისას

გაითვალისწინონ კამპანიის ფარგლებში გამოყენებული სერვისების საბაზრო ფასების სპექტრი და დასკვნები წარმოადგინონ სავარაუდო ფასების ქვედა ზღვრის გამოყენებით.

### სამართლებრივი ჩარჩო

არჩევნებზე დაკვირვებისა და ანალიზის ერთ-ერთი ძირითადი ასპექტია ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მიერ კანონებისა და რეგულაციების დაკმაყოფილება. ამასთან, ორგანიზაციები, რომლებმაც აღიარეს დეკლარაცია, იღებენ ვალდებულებას, რომ საარჩევნო პროცესი მიმოიხილონ ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებისა და არსებული კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით.

### ტრენინგი

არჩევნებზე მონიტორინგის ორგანიზაციები ვალდებულნი არიან, რომ მათ თანამშრომლებსა და დამკვირვებლებს კარგად ჰქონდეთ გაცნობიერებული არჩევნებზე არაპარტიული დაკვირვების სტანდარტები; ასევე, მათ უნდა ჩაატარონ ტრენინგები არჩევნების ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩოების, დაკვირვების მეთოდოლოგიისა და ანგარიშგების შესახებ.

## 1.3. ანგარიშგების ტიპები

წინამდებარე სახელმძღვანელო შეეხება ორი ტიპის ანგარიშგებას: შიდას და გარეს. მათი საერთო მიზნის მიუხედავად, რაც გულისხმობს არჩევნებზე დაკვირვების მიგნებათა და რეკომენდაციათა წარდგენას დაინტერესებული მხარეებისათვის, ამ ორი ტიპის ანგარიშებს განასხვავებს სტრატეგიები, განრიგი, მეთოდოლოგიები და აუდიტორია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათ შორის განსხვავების განსაზღვრა.

### შიდა ანგარიშგება

ეს არის ინფორმაციის გადაცემის საშუალება „ადგილიდან“ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ცენტრალური სტრუქტურისათვის, სადაც გროვდება ინფორმაცია, გაანალიზდება და, საბოლოოდ, გარე (საჯარო) ანგარიშში აისახება.

ორგანიზაციებმა შეიძლება გამოიყენონ შიდა ანგარიშგების სხვადასხვა სტრატეგიაც, თუმცა, ანგარიშგების გეგმების განხილვისას მათ შეიძლება გაითვალისწინონ შიდა ანგარიშგების შემდეგი ტიპები:

#### საბაზისო შეფასების ანგარიშები

ამ ტიპის ანგარიში იწარმოება არჩევნებზე დაკვირვების დასაწყისში. მისი მიზანია საარჩევნო ჩარჩოს სტატუსისა და გარემოს გაგება და მისი

მნიშვნელობის გაანალიზება მომავალი საარჩევნო პროცესისათვის. საბაზისო ანგარიში მიმოიხილავს სამართლებრივ ჩარჩოს (მათ შორის, ადმინისტრაციულ რეგულაციებს) და საარჩევნო ადმინისტრაციის სტრუქტურას. ამ შიდა ანგარიშის გამოყენება თავისუფლად შეიძლება საბოლოო გარე ანგარიშში.

## შიდა ანალიტიკური ანგარიში

თუ ორგანიზაციული შესაძლებლობები ამის საშუალებას იძლევა, გუნდის წევრებს, რომლებიც საარჩევნო პროცესის კონკრეტულ ასპექტებს აკვირდებიან, შეიძლება მოეთხოვოთ ანგარიშების წარდგენა, რომლებიც სცდება ფაქტებზე ანგარიშგების ფარგლებს და პროცესის ანალიზსაც მოიცავს. საბაზისო შეფასების ანგარიშგების მსგავსად, ამ ანგარიშებს წვლილი შეაქვს საბოლოო გარე ანგარიშის შექმნაში. ამ ტიპის ანგარიშების მაგალითებია:

- სამართლებრივი ჩარჩოს და ადმინისტრაციული რეგულაციების მიმოხილვა და დახვეწა;
- წინასაარჩევნო დავებზე (როგორიცაა იმ კანდიდატთა საჩივრები, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე) გადაწყვეტილებათა გამოტანის პროცესი;
- არჩევნების ორგანიზება, ლოგისტიკური მომზადება, ბიულეტენების მომზადება, საარჩევნო მასალების შესყიდვა;
- ქალების, ასევე, იძულებით გადაადგილებული და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მონაწილეობა არჩევნების ყველა ასპექტში;
- სხვა სახელმწიფო სტრუქტურათა ქმედებები, როგორიცაა სამხედრო და უსაფრთხოების აპარატი.

## პერიოდული საველე (lto) ანგარიშები

რეგულარული, უმეტესწილად, ყოველკვირეული ანგარიშები საარჩევნო პროცესის ყველა ასპექტთან დაკავშირებულ მიგნებათა დოკუმენტირებისათვის. ასეთ ანგარიშებს ამზადებენ და წარადგენენ გრძელვადიანი დამკვირვებლები (LTOs), საარჩევნო პროცესის თავისებურებათა გათვალისწინებით შედგენილი სტანდარტული ფორმით. ეს გახლავთ ფაქტებზე დაფუძნებული ანგარიშები, რომლებიც წარედგინება შემდგომი ანალიზისათვის.

## ანგარიშები ინციდენტების შესახებ

დაუგეგმავი, მოკლე და სპეციალური ანგარიშები, რომლებსაც აწარმოებენ გრძელვადიანი დამკვირვებლები. ანგარიშები

ფოკუსირებულია კონკრეტულ მოვლენაზე, რომელიც საფრთხეს უქმნის საარჩევნო პროცესს. ასეთი მოვლენებში, ჩვეულებრივ, იგულისხმება საარჩევნო პროცესის მნიშვნელოვანი დარღვევა ან ძალადობა.

## ანგარიშები არჩევნების დღის შესახებ (sto)

ზოგადად, ანგარიშები, რომლებსაც მოკლევადიანი დამკვირვებლები წარადგენენ ხმის მიცემისა და დათვლის პროცესში და მის დასასრულს. ეს ანგარიშები, ჩვეულებრივ, ისეთი სტანდარტული ფორმებით მზადდება, როგორიცაა არჩევნების დღემდე შემუშავებული კითხვარები და ნიმუშები.

## გარე ანგარიშგება

გარე ანგარიშგება არჩევნებზე დაკვირვების ძირითადი ასპექტია. იგი ემსახურება კონკრეტულ არჩევნებზე დაკვირვების შედეგების, ანალიზისა და რეკომენდაციების აღრიცხვას, მათ გასაჯაროებას და მომავალში სარეფერენციო მასალად გამოყენებას. ზოგადი პრინციპის სახით, ყველა გარე ანგარიში საჯაროა. თუმცა, ორგანიზაციამ შესაძლოა გადადოს ზოგიერთი გარე ანგარიშის (კერძოდ, ინციდენტების შესახებ) გამოქვეყნება, რომლებიც თავდაპირველად ეცნობებათ საარჩევნო ორგანოებს, გამოვლენილი პრობლემის სწრაფად გადაჭრის მიზნით. არსებობს გარე ანგარიშების სხვადასხვა ტიპი, რომლებიც განსხვავდება მათი მოქმედების არეალის, ანალიტიკური ფოკუსის, რეკომენდაციათა დეტალურობის და კომუნიკაციის არხების მიხედვით.

## გარე ანგარიშგება ინციდენტების შესახებ

ამ ტიპის ანგარიშები (ინციდენტებზე შიდა ანგარიშების მსგავსად) ემსახურება საგანგებო და მნიშვნელოვანი პრობლემური მოვლენების ასახვას. თუ ვითარება ამის საშუალებას იძლევა, რეკომენდებულია, ისინი თავდაპირველად საარჩევნო ორგანოებს გააცნონ, რათა მათ პრობლემის აღმოფხვრის საშუალება მიეცეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ორგანიზაციებმა შეიძლება განიხილონ ამ ანგარიშების პრეზენტაცია კომუნიკაციის სხვადასხვა არხის საშუალებით.

## შუალედური ანგარიშები

ეს პერიოდული ანგარიშები, როგორც წესი, მოჰყვება საარჩევნო პროცესის ძირითად ეტაპებს - როგორიცაა ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესის დასრულება, კანდიდატთა წარდგენის პროცედურის დასრულება, საარჩევნო კამპანიის დასაწყისი/დასასრული და ა.შ. - ან რეგულარული ინტერვალებით გამოიცემა არჩევნებამდე. ეს ანალიტიკური ანგარიშები შეიძლება შეიცავდეს მხარეებისათვის რეკომენდაციებს საარჩევნო პროცესის მომავალი ფაზის შესახებ.

## განცხადებები

მოკლე, საჯარო განცხადებები კონკრეტული საკითხზე, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოების ყურადღების შეძლებისდაგვარად მიპყრობას მიმდინარე მოვლენებისაკენ. ეს განცხადებები შეიძლება აფრთხილებდეს საზოგადოებას რაიმე კრიტიკული მნიშვნელობის მოვლენაზე, მოუწოდებდეს კონკრეტული ქმედებისაკენ ან გამოხატავდეს მხარდაჭერას საარჩევნო ორგანოების ან სხვა მხარის ქმედების მიმართ. მსგავსი განცხადებების მაგალითები მოიცავს: პოლიტიკური პარტიებისადმი მოწოდებას, პატივი სცენ საარჩევნო დუმილის მოთხოვნას; ან საარჩევნო უწყებისადმი მიმართვას უბნის შედეგების გამოქვეყნების შესახებ.

## განცხადებები წინასწარი დასკვნებისა და საბოლოო ანგარიშების შესახებ

კომპლექსური ანგარიშები, რომლებიც გამოიცემა დაუყოვნებლივ არჩევნების დღის შემდეგ, ან მთლიანი საარჩევნო პროცესის დასრულებისას. ამ ანგარიშებში აღწერილია დაკვირვების მეთოდოლოგია და ძირითად მიგნებები, თავისი ანალიზითა და შესაბამისი დასკვნებით; ასევე, რეკომენდაციები მომავალში საარჩევნო პროცესის გაუმჯობესების შესახებ.

**დიაგრამა 2: შიდა/გარე ანგარიშგების ცხრილი**

| | |
|---|---|
| შიდა ანგარიშგება | **აუდიტორია**<br>პერსონალი |
| | **გამჭვირვალობა**<br>კონფიდენციალური |
| | **მეთოდოლოგია**<br>ფაქტების ანგარიშგება |
| | **განრიგი**<br>თითქმის უწყვეტი |
| გარე ანგარიშგება | **აუდიტორია**<br>დაინტერესებული მხარეები |
| | **გამჭვირვალობა**<br>საჯარო |
| | **მეთოდოლოგია**<br>ანალიზი |
| | **განრიგი**<br>პერიოდული ან ერთჯერადი |

*წყარო: www.isfed.ge*



თავი 2

# დაკვირვების დაგეგმვა ანგარიშგების თვალსაზრისით

არჩევნებზე დაკვირვება ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტია, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები იყენებენ საარჩევნო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ბოლო წლებში ამ დაკვირვებამ ბევრად უფრო პროფესიონალური სახე მიიღო. ხშირად ეს ორგანიზაციები მთლიან საარჩევნო ციკლს აკვირდებიან. თუ ადგილობრივი დაკვირვება არჩევნებზე ეფუძნება კარგად ჩამოყალიბებულ მეთოდოლოგიას, ხორციელდება პროფესიონალურად, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვით, და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ორგანიზაციის მიერ, რომელიც სრულ პასუხისმგებლობას იღებს თავის საქმიანობაზე, მან შეიძლება ხელშესახები შედეგები გამოიღოს საარჩევნო პროცესის გაუმჯობესების მხრივ და წვლილი შეიტანოს ზოგადად დემოკრატიის განვითარებაში.

მნიშვნელოვანია, სამოქალაქო საზოგადოების თითოეულმა ორგანიზაციამ, რომელიც ჩართულია სადამკვირვებლო საქმიანობაში, არჩევნების დღემდე გაცილებით ადრე შეაფასოს საჭიროებები, რათა განსაზღვროს მიზნები, მასშტაბი და სადამკვირვებლო საქმიანობის დრო. ანგარიშგების მხრივ, მომზადების სხვა ელემენტები უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის შესაძლებლობების, მათ შორის, ადამიანური და ფინანსური რესურსების შეფასებას, რაც უნდა აისახოს სამუშაო გეგმაში. ეს გეგმა არის მიმდევრობითი აქტივობების ლოგიკური და

საოპერაციო მატრიცა, რომელიც, განხორციელების შემთხვევაში - განსაზღვრული მასშტაბითა და არჩევნებზე ადგილობრივი დაკვირვების მიზნების გათვალისწინებით - დროული შიდა და გარე ანგარიშებისა და შეუფერხებელი მუშაობის საშუალებას იძლევა. სამუშაო გეგმა შეიძლება შეიცავდეს (ან დამატებით შეივსოს) ტრენინგისა და კომუნიკაციის გეგმებით, რომლებიც მნიშვნელოვანია არჩევნებზე ადგილობრივი დაკვირვების წარმატებით მომზადებისათვის.

## 2.1. არჩევნებზე ადგილობრივი დაკვირვების მასშტაბი

ადგილობრივ სადამკვირვებლო საქმიანობას უნდა ჰქონდეს ნათლად განსაზღვრული მასშტაბი.

საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები ერთგვაროვანი მეთოდოლოგიის გამოყენებით ისეთ საკითხებზე ამახვილებენ ყურადღებას, როგორიცაა სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი, არჩევნებისათვის მზადების პროცესზე დაკვირვება, ხმის მიცემა და საარჩევნო დავების გადაწყვეტა. თუმცა, ამგვარი მეთოდოლოგიის გამოყენების გამო, სადამკვირვებლო საეთაშორისო მისიები შეიძლება საუკეთესო პოზიციაში არ იმყოფებოდნენ მოცემული ქვეყნის კონკრეტულ საკითხებზე მუშაობის მხრივ - მაგალითად, არ ჰქონდეთ საკმარისი დრო ან სპეციალური ცოდნა, ანდა სხვა შეზღუდვები მოქმედებდეს მათზე.

ადგილობრივი საარჩევნო დაკვირვებები სხვადასხვა სფეროს მოიცავს. სამოქალაქო საზოგადოების მსხვილმა და გამოცდილმა ორგანიზაციებმა ან კოალიციებმა, რომლებსაც შეუძლიათ ადგილზე საკმარისი რაოდენობით დამკვირვებლების მივლინება, შეიძლება არჩიონ დაკვირვება მთელი ქვეყნის მასშტაბით და მთლიან საარჩევნო ციკლზე. თუმცა, უფრო სავარაუდოა, სამოქალაქო საზოგადოების ბევრმა ორგანიზაციამ შეიმუშაოს პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს არჩევნების კონკრეტულ ასპექტებზე დაკვირვებას. შესაბამისად, ისინი შეზღუდავენ სადამკვირვებლო აქტივობათა მოქმედების სფეროს და შეიმუშავებენ თავიანთი მიზნების შესაფერის მეთოდოლოგიას.

დაკვირვების სათანადოდ წარმართვისათვის, ორგანიზაციამ დაკვირვების სფერო შეიძლება საჭიროებათა შეფასების საფუძველზე შეარჩიოს, როგორც მოცემულია ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში:

- თუ წინა დაკვირვების ანგარიშები, მედიაანგარიშები ან ექსპერტთა მოსაზრებები მიგვანიშნებენ, რომ არჩევნების დღეს ხმის მიცემის პროცესი სათანადოდ მიმდინარეობს, მაგრამ შეინიშნება ამომრჩეველთა სიით მანიპულირება, უფრო გონივრულია, ადგილობრივ არჩევნებზე დაკვირვების შეზღუდული რესურსები მიმართონ ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და სიის შედგენის პროცესების შესწავლაზე;
- თუ წინა გამოცდილება, საარჩევნო პრაქტიკა ან არჩევნების კონკრეტული ტიპი (ადგილობრივი ან რეგიონული არჩევნები) გამოავლენს, რომ საზღვარგარეთ დე ფაქტო მცხოვრებ, კენჭისყრის უფლების მქონე ამომრჩეველთა საკითხი უკავშირდება

საარჩევნო თაღლითობის პრობლემას, შეიძლება მეტი ყურადღება მოითხოვოს უშუალოდ არჩევნების დღის ჩატარებამ, მათ შორის, მის კონკრეტულ პროცედურებზე დაკვირვებამ;

- თუ ადგილობრივ არჩევნებზე დაკვირვება მიზანად ისახავს იმის დადგენას, მართებულია თუ არა პარტიების მიერ მომზადებული ანგარიშები საარჩევნო კამპანიის ხარჯებთან მიმართებით, საჭირო იქნება გარკვეული კატეგორიის ხარჯებზე მონიტორინგი დამკვირვებელთა მხრიდან. კატეგორიების შესარჩევად ორგანიზაციამ ქვეყანაში საარჩევნო კამპანიის ძირითადი ფორმები უნდა განსაზღვროს, რაც შესაძლოა მეტად განსხვავდებოდეს სხვადასხვა პოლიტიკური სისტემისათვის;
- თუ შემაშფოთებელია მოქმედი პოლიტიკური ძალების მიერ საჯარო (ადმინისტრაციული) რესურსების არასათანადო გამოყენება საარჩევნო მიზნით, მნიშვნელოვანია, გადაწყდეს, რა სახის საჯარო რესურსებზე უნდა განხორციელდეს მიზანმიმართული მონიტორინგი (მაგ.: მედიარესურსები, საჯარო მოსამსახურეები, ავტომობილები, საოფისე ინფრასტრუქტურა და სხვა).

საჭიროებები უნდა შეფასდეს: არსებულ სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოზე ინფორმაციის შეგროვებით; ოფიციალური ანგარიშების (მაგ.: ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშები), პუბლიკაციებისა და კვლევების (მაგ.: აკადემიური ნაშრომები, სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ანალიზი, წინა სადამკვირვებლო მისიები), ასევე, მედიაში გამოქვეყნებული ინფორმაციის თავმოყრით; და მიზანმიმართული ინტერვიუებით შესაბამის მხარეებთან (მაგ.: საარჩევნო მოხელეები, პოლიტიკოსები, აკადემიური ექსპერტები, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები, ჟურნალისტები და სხვა).

საჭიროებების შეფასებისას ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს არჩევნების ტიპი, რადგან ამას განსაკუთრებული გავლენა აქვს საარჩევნო დაკვირვების მეთოდოლოგიაზე. შეიძლება აუცილებელი გახდეს განსხვავებული მიდგომების გამოყენება, იმის მიხედვით, რას ეხება საქმე - საპრეზიდენტო, საპარლამენტო ან ადგილობრივ არჩევნებს, თუ ეროვნულ რეფერენდუმს.

საჭიროებათა შეფასების დასრულების შემდეგ, გამოვლინდება პრობლემური სფეროები, რომლებსაც მიემართება ადგილობრივი სადამკვირვებლო საქმიანობა. შეფასება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი საარჩევნო სადამკვირვებლო პროექტის კონკრეტული მიზნების ფორმირებაში.

## 2.2. არჩევნებზე ადგილობრივი დაკვირვების მიზნები

უპირველეს ყოვლისა, სადამკვირვებლო პროექტს უნდა ჰქონდეს ცხადად გაწერილი მიზნები. ამან შეიძლება დადებითი გავლენა იქონიოს პროექტის ყველა კომპონენტის განხორციელებაზე, მათ შორის, ანგარიშგების ორგანიზებაზე, ამოცანების გადანაწილებაზე, პროექტის ვადების დაწესებასა და დაცვაზე. თუ სადამკვირვებლო პროექტის

დაგეგმვისას გამოიყენებენ მსგავს შიდა სტრატეგიულ მიდგომას, მისი პროფესიონალურად განხორციელების შანსი მეტია. არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენს სადამკვირვებლო პროექტის მიზნების არჩევაზე.  ეს ეხება როგორც ორგანიზაციის შიდა მხარეს, ისე გარე გარემოს. მიზნების განსაზღვრისას ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ, რამდენად უკავშირდება ან/და შეესაბამება ისინი ორგანიზაციის სტრატეგიულ ამოცანას. მიზნების არჩევა დამოკიდებულია ხელმისაწვდომ ადამიანურ და ფინანსურ რესურსებზეც. სადამკვირვებლო პროექტის ჩამოყალიბების ამ მნიშვნელოვან ეტაპზე გასათვალისწინებელია არჩევნებზე დაკვირვების წარსული გამოცდილებაც.

რაც შეეხება გარე ფაქტორებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ ზოგადი პოლიტიკური ან/და სამართლებრივი გარემოც. ხშირად ასეთი შეფასება მათ საშუალებას აძლევს, განსაზღვრონ ყველაზე რელევანტური და მნიშვნელოვანი მიზნები კონკრეტული სადამკვირვებლო პროექტისათვის. ამასთან, შეიძლება განიხილონ სხვა ორგანიზაციებთან  კოალიციის შექმნის შესაძლებლობები. თუმცა, ასეთი თანამშრომლობის განხილვისას, ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ერთობლივ პროექტს ხშირად მივყავართ არჩევნებზე ადგილობრივი დაკვირვების ზოგადი მიზნების გაფართოებისაკენ.

დაბოლოს, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების მუშაობამ შეიძლება გავლენა იქონიოს სადამკვირვებლო საქმიანობაში ჩართული ორგანიზაციის მიზნებზე.

ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა შეიძლება განსაზღვრონ არჩევნებზე ადგილობრივი დაკვირვების ამოცანები, დაწყებული საარჩევნო პროცესის მთლიანობის უზრუნველყოფით  და დასრულებული საარჩევნო რეფორმის ან კონკრეტული საკითხის ხელშეწყობით.  მათ შეიძლება მიზნების ფართო სპექტრიც დაისახონ და ერთი ან ორი მიზნითაც შემოიფარგლონ. სავარაუდო ამოცანები შეიძლება იყოს:

- *ინფორმირებული, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი აზრის მიწოდება საარჩევნო პროცესზე:*
  არჩევნებზე დამკვირვებელი სამოქალაქო ორგანიზაცია ადგენს მიუკერძოებელ, ფაქტებზე დაფუძნებულ საჯარო ანგარიშებსა და განცხადებებს, რომლებიც ფართოდ ვრცელდება არჩევნებით დაინტერესებულ ძირითად მხარეებში, საარჩევნო პროცესის დადებით მიგნებებსა და ნაკლოვანებებზე ინფორმაციის მისაწოდებლად.
- *საარჩევნოპროცესისგამჭვირვალობისადაკეთილსინდისიერების უზრუნველყოფა:*
  მისი მიზანია ამომრჩეველთა ნდობის გაზრდა საარჩევნო პროცესისადმი, არჩევნებზე ანგარიშვალდებულების

გაუმჯობესება და შედეგების მიღება კანდიდატთა მიერ. თუმცა, ამ მიზნის შერჩევა სიფრთხილეს საჭიროებს გარკვეულ კონტექსტში, როდესაც არ არის დაკმაყოფილებული ჭეშმარიტი არჩევნების ძირითადი პირობები. ნებისმიერ ასეთ სიტუაციაში, საარჩევნო უბნებზე დამკვირვებელთა დასწრება არ უნდა განიხილებოდეს, როგორც საარჩევნო პროცესისათვის ლეგიტიმურობის მინიჭების, ან მისი სანდოობის გაზრდის საშუალება.

– *საარჩევნო თაღლითობის დაგმობა და მანიპულირების დონის ან არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობის შემცირება:* ადგილობრივი დაკვირვების სამოქალაქო ორგანიზაციებს საარჩევნო უბნებზე (ან არჩევნებთან დაკავშირებულ სხვა კონტექსტში) უბრალო დასწრებით შეუძლიათ საარჩევნო კანონისა და პროცედურების პოტენციურ დარღვევათა პრევენცია. ამ თვალსაზრისით, მსგავსი სადამკვირვებლო საქმიანობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც არჩევნების შესაძლო მანიპულირების შემაკავებელი პრევენციული ღონისძიება.

– *საარჩევნო პროცესის ხარვეზების ანალიზი და რეკომენდაციათა წარმოდგენა გარდაქმნების ხელშეწყობის მიზნით:* მიუკერძოებელმა დაკვირვებამ საარჩევნო პროცესზე და კონკრეტულ რეკომენდაციათა შემუშავებამ შეიძლება გააუმჯობესოს ეროვნული საარჩევნო კანონმდებლობა და პრაქტიკა, ასევე, საფუძველი ჩაუყაროს საარჩევნო სისტემის უფრო კომპლექსურ რეფორმას.

– *ადამიანის საყოველთაო უფლებების, კერძოდ, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ხელშეწყობა და დაცვა:* მიზანმიმართულ საარჩევნო დაკვირვებას შეუძლია ადამიანის უფლებათა და საერთაშორისოდ აღიარებულ საარჩევნო ვალდებულებათა დარღვევების პრევენცია (აქ იგულისხმება საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის უფლება და შესაძლებლობა; ასევე, ხმის მიცემის, არჩევის, დისკრიმინაციისაგან თავისუფლებისა და ყველა მოქალაქის თანასწორობის, გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების, ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის უფლებები და ა.შ.).

– *ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან არჩევნების შესაბამისობის შეფასება:* როგორც წესი, სადამკვირვებლო ორგანიზაციები აფასებენ არჩევნების შესაბამისობას ეროვნულ კანონმდებლობასა და, განსაკუთრებით, საერთაშორისო სტანდარტებთან, რათა განისაზღვროს დემოკრატიის დონე, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მხრივ არსებული ვითარება.

## 2.3. ორგანიზაციის შესაძლებლობებზე დაფუძნებული რეალისტური და თანმიმდევრული სამუშაო გეგმა

არჩევნებზე დაკვირვება კომპლექსური ამოცანაა, რომელიც მოითხოვს თავდადებას, პროფესიულ ცოდნასა და კარგად ორგანიზებულ ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს. ეს ნაწილი მიმოიხილავს იმ აქტივობებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია ადგილობრივი მონიტორინგის ორგანიზებისა და განხორციელებისათვის მზადებისას. ძალიან შეზღუდული ორგანიზაციული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება ხშირად გადამწყვეტია ადგილობრივი დაკვირვების წარმატებისათვის. რეალისტური სამუშაო გეგმა, რომელიც შეესაბამება ადგილობრივი დაკვირვების მოქმედების სფეროსა და მიზნებს, განმტკიცებული ფრთხილად შერჩეული ადამიანური რესურსით და საკმარისი და დროული ფინანსებით, უზრუნველყოფს შეუფერხებელ, კოორდინირებულ და ეფექტიან ადგილობრივ დაკვირვებას არჩევნებზე, შიდა და გარე ანგარიშგების მკაცრი ვადების დაცვით.

### სამუშაო გეგმა

არჩევნებზე დამკვირვებელმა ადგილობრივმა სამოქალაქო ორგანიზაციამ, პირველ რიგში, უნდა მოამზადოს სამუშაო გეგმა. ამ პროცესში უნდა შემუშავდეს აქტივობების სია, მათი განხორციელების განრიგი და შემოთავაზებული გაზომვადი შედეგები. სასარგებლოა სამუშაო გეგმის დაკვირვების მიზნებისა და სფეროების გადახედვა, ეს დაგვეხმარება იმ საქმიანობების გამორიცხვაში, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება მიზნების მიღწევას, ან არ ექცევა დაკვირვების ფარგლებში. კარგი სამუშაო გეგმა აჩვენებს, რომ აქტივობები და საბოლოო შედეგები მკაცრად შეესაბამება დაკვირვების მიზნებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გეგმა, ფაქტობრივად, სტრატეგიაა დაკვირვების მიზნების მისაღწევად და აღწერს მისი შესრულების საშუალებებს. გეგმა უნდა იყოს სტაბილური, თუმცა საკმარისად მოქნილიც, რათა შესაძლებელი გახდეს მისი შეცვლა ნებისმიერი მოულოდნელი სიტუაციის დროს. ზოგადად, რეკომენდებულია გეგმის ძირითადი კომპონენტების წერილობით აღწერა, რათა დაკვირვებაში ჩართული ყველა პირი იცნობდეს მას. მეტიც, სასარგებლოა მისი გასაჯაროება, რადგან ეს ემსახურება გამჭვირვალობის პრინციპს. ასევე კარგი პრაქტიკაა, თუ შეჯამებული სახით მაინც გამოქვეყნდება დაკვირვების სხვა დოკუმენტაცია, მათ შორის, ინფორმაცია მიზნების, მოქმედების სფეროს, სახელმძღვანელო პრინციპების (ქცევის კოდექსი) და პროექტის შესახებ.

არჩევნების მონიტორინგი მოითხოვს ზუსტ დაგეგმვასა და ორგანიზაციას, რათა დაცული იყოს მთელი რიგი ვადები. მიზანშეწონილია დეტალური კალენდრის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს არჩევნებთან დაკავშირებულ ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებათა ვადებსა და პერიოდულობას. კალენდარი თვალსაჩინოებისთვისაა, მაგრამ ძირითადად გვეხმარება საჭირო აქტივობების, ხელმისაწვდომი ადამიანური და ფინანსური რესურსებისა და შესაბამისი ლოგისტიკური მომზადების განსაზღვრაში.

## ადამიანური რესურსები

მიზანშეწონილია საკადრო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც დეტალურად დაარეგულირებს ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებულ ყველა საკითხსა და პროცედურას. პოლიტიკაში ნათლად უნდა განისაზღვროს დაკვირვებასთან დაკავშირებული საკადრო საჭიროებები და შემუშავდეს ყველა პოზიციის ამსახველი ცხრილი. არჩევნებზე ადგილობრივი დაკვირვების სფეროდან და ამოცანებიდან გამომდინარე, შეიძლება საჭირო გახდეს შემდეგი პოზიციებისა და პირობების გათვალისწინება:

- ძირითადი გუნდის წევრების რაოდენობა და როლები;
- გრძელვადიან დამკვირვებელთა რაოდენობა;
- მოკლევადიან დამკვირვებელთა რაოდენობა;
- ძირთადი გუნდის, გრძელვადიან და მოკლევადიან დამკვირვებელთა ასისტენტების რაოდენობა;
- სხვა პერსონალი (ბუღალტრები, თარჯიმნები, პროგრამული და ტექნიკური მხარდაჭერა, მძღოლები და სხვა);
- ანაზღაურების პირობები (ხელფასების სპექტრი, მათ შორის, მუშაობის ეფექტიანობაზე დაფუძნებული პრემიები).

სამუშაო გეგმაში უნდა გაიწეროს და კალენდარში აისახოს თანამშრომლების აყვანის ვადები. ადგილობრივი სადამკვირვებლო პროექტის მოქმედების სფეროსა და მიზანზე სათანადოდ აქცენტირებული გეგმის წინასწარ შემუშავება საშუალებას გაძლევთ, დაკვირვების საჭიროებებიდან გამომდინარე აიყვანოთ და შეინარჩუნოთ თანამშრომლები, ან შეწყვიტოთ კონტრაქტები, რაც, შედეგად, ხელს შეუწყობს ადამიანური რესურსების უკეთესად გამოყენებას.

კადრების აყვანისა და არჩევნებზე ადგილობრივი დაკვირვებისას მნიშვნელოვანია, რომ დაკვირვებაში ჩართულ პერსონალსა და მოხალისეებს არ ჰქონდეთ ინტერესთა კონფლიქტი (მაგ.: შეიძლება იყოს საარჩევნო კომისიის წევრი, ეკავოს აღმასრულებელი ან ხელმძღვანელი პოზიცია პოლიტიკურ პარტიაში, ანდა რეგისტრირდებოდეს კანდიდატად). თანამშრომლებისა და დამკვირვებლების აყვანისას, სამოქალაქო სექტორმა შეძლებისდაგვარად უნდა დაიცვას გენდერული, ასაკობრივი, ეთნიკური და ენობრივი ბალანსი. მოხალისე დამკვირვებელთა შერჩევამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს საკადრო ხარჯები, მაგრამ ამ შემთხვევაში მათ უნდა ჩაუტარდეთ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სწავლება. ყველა თანამშრომელმა უნდა აიღოს ადამიანის უფლებათა ხელშეწყობის ვალდებულება და ესმოდეს იმ ჯგუფების საჭიროებები, რომლებმაც შეიძლება დისკრიმინაცია განიცადონ (მაგ.: ქალები, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები, შეზღუდული შესაძლებლობის პირები).

## ფინანსური რესურსები

არჩევნებზე დაკვირვების დაგეგმვისას არანაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტია ოპერაციის ფინანსური მხარე. ბიუჯეტი ზუსტად უნდა ასახავდეს

დაკვირვების მასშტაბს და ითვალისწინებდეს შემდეგ კატეგორიებს:

- ოფისის ქირა და კომუნალური გადასახადები;
- საოფისე მოწყობილობები და მათი ტექნიკური მხარდაჭერა;
- საკანცელარიო საქონელი;
- დამკვირვებლების ანაზღაურება (გადასახადებისა და დანამატების ჩათვლით);
- ძირითადი გუნდის ანაზღაურება (გადასახადებისა და დანამატების ჩათვლით);
- კომუნიკაცია და საფოსტო ხარჯები;
- მგზავრობის ხარჯები (დამკვირვებელი თანამშრომლებისა და მოხალისეების ანაზღაურება);
- სახელშეკრულებო მომსახურება (ბუღალტრები, მთარგმნელები, ტრენერები, სხვა კონსულტანტები);
- სხვა პირდაპირი ხარჯები (ბეჭდვა/ასლების გადაღება, ღონისძიებებთან დაკავშირებული თანხები).

ბიუჯეტი უნდა ფარავდეს ყველა მოთხოვნას და საკმარისი თანხა იყოს გამოყოფილი გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის. დონორები მოელიან, რომ ის მკაცრად იქნება გამართლებული სადამკვირვებლო განაცხადით. გარდა ამისა, ისინი, როგორც წესი, ითხოვენ რეგულარულ ფინანსურ ანგარიშებს (ყოველთვიური/კვარტალური ან სხვა პერიოდულობით). ჩვეულებრივ, არსებობს დაფინანსების სხვადასხვა წყარო, რომლებიც ხელმისაწვდომია ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფებისთვის. მაგალითად:

- შემოწირულობა შეძლებული ფიზიკური პირებისა და ბიზნესებისგან;
- შემოწირულობა მასალებისა და მომსახურების სახით ბიზნესისა თუ კერძო პირებისგან (ნატურალური ფორმით);
- საწევრო შენატანები;
- შემოსავალი ორგანიზაციის საკუთარი პროდუქციის, ასევე, პუბლიკაციებისა და სუვენირების გაყიდვებიდან (მაისურები, მაგნიტები, ღილაკები, პლაკატები და ა.შ.);
- დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერით დაინტერესებული საერთაშორისო და ადგილობრივი დონორების გრანტები.

პოტენციური დონორები შეიძლება იყვნენ მთავრობათაშორისი ინსტიტუტები, მაგალითად: ევროპის კომისია, სამოქალაქო ორგანიზაციის ქვეყანაში არსებული საელჩოები, განვითარებისა და ტექნიკური თანამშრომლობის სააგენტოები, საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ფონდები, აგრეთვე, შესაბამისი ადგილობრივი პარტნიორები ან ინსტიტუტები (როგორიცაა ცენტრალური საარჩევნო კომისია). თანხების მოპოვება სადამკვირვებლო საქმიანობისათვის ხშირად შეზღუდულ ვადებში უწევთ, რამაც შეიძლება შექმნას მთელი რიგი პრობლემები, მათ შორის, ისეთი ვითარებაც, როცა სადამკვირვებლო ბიუჯეტი უკმარია, ან დაფინანსება არ არის სათანადო.

თუ დაფინანსება მიიღება მთავრობისგან, პოლიტიკური პარტიებისა ან არჩევნებში უშუალოდ ჩართული სხვა სუბიექტისგან, სადამკვირვებლო საქმიანობის სანდოობა შეიძლება რისკქვეშ დადგეს. ამის გამო, სამოქალაქო საზოგადოების ბევრი ორგანიზაცია თავს არიდებს ასეთ პოტენციურ დონორებს. მსგავსი დაფინანსების შემთხვევაში, მას სათანადო სახელი უნდა დაერქვას, რათა თავიდან აიცილონ მიკერძოების ან არაობიექტურობის ბრალდებები. მიკერძოებულობის აღქმა, ჩვეულებრივ, შეიზღუდება ან დაიძლევა, თუ სათანადოდ განხორციელდება სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება მიუკერძოებლობის, ობიექტურობის, პროფესიონალიზმისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

## 2.4. ანგარიშგებაზე ტრენინგის გეგმა

სახელმძღვანელო მოიცავს სამ ქვეთავს ტრენინგებთან დაკავშირებულ ასპექტებზე და ძირითადად ყურადღებას ამახვილებს მთავარი გუნდის გაწვრთნის საჭიროებებზე. კერძოდ, ესენია: სახელმძღვანელოს წინამდებარე ნაწილი, რომლის მიზანია ზოგადი მიმოხილვა; ასევე, მონაკვეთები შიდა ანგარიშგების (იხ. ქვეთავი 3.4) და გარე ანგარიშგების (იხ. ქვეთავი 4.1) შესახებ.

ამ ნაწილში წარმოდგენილია რამდენიმე ზოგადი მახასიათებელი, რომლებიც სამოქალაქო ორგანიზაციამ კარგი სასწავლო პროგრამის შემუშავებისთვის უნდა გაითვალისწინოს. იგი შეეხება საბაზისო ტრენინგთა გეგმის განსაზღვრას ანგარიშგების საკითხებზე სტრატეგიული მიდგომის გამოყენებით, რომელიც მიმართულია საშუალო და გრძელვადიანი მიზნების მიღწევისკენ. გარდა ამისა, ეს ერთგვარი ჩარჩოც არის, რომლის გათვალისწინებითაც უნდა მიიღონ შემდგომი გადაწყვეტილებები მოკლევადიან პერსპექტივაში ტრენინგების ჩატარებაზე. მაგალითად, სათანადო მეთოდის შერჩევა არსებითია კონკრეტული სასწავლო აქტივობის წარმატებისათვის, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება უნდა იყოს ფართო სტრატეგიის შესაბამისი. დანარჩენი ორი ნაწილი ეხება კონკრეტული ტრენინგების საჭიროებებს, მიდგომებსა და მეთოდებს.

### თავდაპირველი შეფასება

თუ არჩევნებზე დამკვირვებელ ადგილობრივ ორგანიზაციას წარსულში ჩატარებული აქვს ტრენინგი დაკვირვების შესახებ, აუცილებელია, ხელახლა შეფასდეს, რა წვლილი შეიტანა ამ გამოცდილებამ წინა არჩევნებზე ადგილობრივი დაკვირვების წარმატებასა თუ წარუმატებლობაში. ასეთი რეტროსპექტული ანალიზი რაც შეიძლება ფართო უნდა იყოს, მოიცავდეს სხვადასხვა პერიოდს (მაგ.: საარჩევნო და არასაარჩევნო ეტაპებს) და მიემართებოდეს შეძენილი ძლიერი მხარეების ან განმეორებითი ხარვეზების გამოვლენას.

ახალი ფაქტორების მიუხედავად (მაგ.: ახალი ამოცანები, მოქმედების სფერო ან პერსონალი), რომლებმაც შესაძლოა ახალი ტრენინგის ორგანიზება მოითხოვოს, ნებისმიერმა ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს წარსული აქტივობები. შეცდომები

ხშირად მეორდება, თუმცა შესაძლებელია მიღებული გამოცდილების რეალობაში დანერგვაც.

## სტრატეგიული ხედვის სამოქმედო გეგმა

სამოქმედო გეგმას, რომელიც შემუშავებულია პირველადი შეფასების მიგნებებზე დაყრდნობით, არსებითი მნიშვნელობა აქვს ახალი პროექტებისათვის. ქვეყნებს შორის განსხვავებების მიუხედავად, გავრცელებული შეცდომაა გადაწყვეტილებათა მიღება მხოლოდ ამჟამინდელი გამოწვევების გათვალისწინებით. საარჩევნო კალენდარს შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდეს სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის და მოითხოვდეს სასწავლო სესიების ორგანიზებას მოკლე ვადებში, მაგრამ სტრატეგიული გეგმა (საშუალოვადიანი ან/და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა) სწავლების ზოგადი ხარისხის გაუმჯობესების ერთადერთი გზაა. სხვა შემთხვევაში სწავლებას ვერასდროს ექნება სტრატეგიული მიმართულება და დარჩება მხოლოდ რეაგირების ან მოკლევადიან საჭიროებათა გადაჭრის დონეზე.

სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს სხვადასხვა ელემენტს. მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე საკითხი.

### საარჩევნო პროცესებში ჩართულ მხარეთა კონფიგურაცია

აღნიშნული მხარეების კონფიგურაცია ნებისმიერი სტრატეგიული დაგეგმვის არსებითი კომპონენტია. ტრენინგი არჩევნების შესახებ სხვადასხვა როლის მქონე მთელ რიგ პირებს მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მათგანს პასუხისმგებლობების საკუთარი სფერო აქვს, მათი ამოცანები ერთმანეთს უკავშირდება, რისი შეფასებაც აუცილებელია ტრენინგის სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას. მონაწილე მხარეთა რუკის შექმნა ცხადყოფს, ვინ რას აკეთებს მთლიანი საარჩევნო ციკლის განმავლობაში და, ამის გათვალისწინებით, გამოავლენს როგორც თითოეული შემთხვევისათვის საჭირო სატრენინგო მეთოდოლოგიას, ისე საუკეთესო კანდიდატებს მათ ჩასატარებლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტრენერთა ტრენინგის (ToT) სათანადოდ დაგეგმვა-განხორციელება, რადგან ეს ძირითადი საშუალებაა თანმიმდევრული ტრენინგების ხარისხის უზრუნველსაყოფად (ჩვეულებრივ, ხორციელდება შეზღუდულ ვადებში და მიზნად ისახავს ადგილობრივ არჩევნებზე ყველა სადამკვირვებლო პერსონალისა და დამკვირვებლის სწავლებას).

### ინდიკატორები/ხარისხისა და ზეგავლენის შეფასება/ანგარიშვალდებულება

ტრენინგის აქტივობათა ამოცანაა გარკვეული ინფორმაციის ან უნარების გადაცემა სადამკვირვებლო პერსონალისა და დამკვირვებლებისათვის,

იმ მიზნით, რომ ეს თავისთავად წარმოქმნის დადებით შედეგს. ასეთი მიდგომა შეიძლება გამართლებული იყოს კრიტიკული ვითარებისას, მაგრამ უმჯობესია, ჩვეულებრივ, მას თავი ავარიდოთ. ორგანიზაციის სუსტი მხარეების გათვალისწინება კარგი ამოსავალი წერტილია ტრენინგის აქტივობათა შემუშავებისა და განხორციელებისათვის.

კარგი პრაქტიკა გულისხმობს მიზნების დასახვას და ხარისხის მუდმივი ინდიკატორების გაწერას ორგანიზაციის სტრატეგიული ტრენინგის გეგმაში. ინდიკატორების გამოყენებისას დროთა განმავლობაში შესაძლებელი იქნება ისეთი მონაცემების წარმოება, რომლებიც სატრენინგო პროგრამების რეალურ ეფექტიანობას გვიჩვენებს და, შესაბამისად, გაამარტივებს შესაძლებლობათა გამოვლენას მათ გასაუმჯობესებლად. მეტიც, ანგარიშვალდებულება პირდაპირ უკავშირდება ამ ინდიკატორებს. წარმატებული ინიციატივების, ასევე, უარყოფითი გამოცდილებების გამოვლენასთან ერთად, მენეჯმენტის საკადრო გადაწყვეტილებები უფრო ინფორმირებული გახდება.

## ორგანიზაციული ჩარჩოს გაცნობა

დაბალანსებული და პროაქტიული ინსტიტუციური ჩარჩო კარგი სატრენინგო პროგრამის წინაპირობაა. არ არსებობს სრულყოფილი მოდელი, რადგან თითოეულ ქვეყანას და სამოქალაქო ორგანიზაციას საკუთარი პროფილი აქვს. ზოგადად, სასწავლო აქტივობებისას წარმოდგენილი ნებისმიერი ორგანიზაციული მიმოხილვა შეიძლება არსებით საკითხებზე ტრენინგის კარგი დამატება გახდეს. ეს კომპონენტი შეიძლება შემდეგ საკითხებს მოიცავდეს: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი; შიდა სტრუქტურა; გარე დონორების როლი; რამ შეიძლება მოახდინოს გავლენა ორგანიზაციის დამოუკიდებლობაზე; (არა)ფორმალური კავშირები სხვა ეროვნულ და საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და ა.შ.

## როგორ გამოვიყენოთ ადამიანური და მატერიალური რესურსები/ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები/ტრენინგის მასალები

კარგ განზრახვებს შეიძლება საფუძვლად არარეალისტური ვარაუდები ედოს და, შედეგად, სასწავლო აქტივობების სათანადო განხორციელება რთული პრაქტიკული წინაღობების წინაშე აღმოჩნდეს. ჩვეულებრივ ფინანსურ შეზღუდვებთან ერთად, ადამიანური ფაქტორები შეიძლება უფრო რთული გადასაჭრელი აღმოჩნდეს.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ძირითად პერსონალს შორის შეიძლება არ აღმოჩნდნენ საკმარისად კვალიფიციური ტრენერები ან გამოცდილი კადრები ახალი თანამშრომლებისა და დამკვირვებლების

სწავლებისათვის. ისინი შეიძლება სხვა საოპერაციო ამოცანებით იყვნენ დაკავებულნი, რაც შეზღუდავს მათ წვლილს სასწავლო აქტივობების მომზადებასა და განხორციელებაში. ამ შემთხვევაში გამოსავალი შეიძლება იყოს სატრენინგო მომსახურების შესყიდვა სხვა ორგანიზაციისაგან, ან დროებითი პერსონალის დაქირავება. მეორე გზა გახლავთ ტრენერთა ტრენინგის სქემაზე დაყრდნობა, რომელიც მთელი სადამკვირვებლო ჯაჭვისთვის სასწავლო აქტივობათა სწრაფად და თანმიმდევრულად ჩატარების საშუალებას იძლევა.

როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სასწავლო მასალები ტრენინგის წარმატებისთვის აუცილებელი ინსტრუმენტებია. მათი მოკლე ვადებში შექმნა შეუძლებელია. ზოგად სტრატეგიაში უნდა გამოვლინდეს ის მასალები და საშუალებები, რომელთა გამოყენებაც საჭიროა სხვადასხვა ეტაპზე. აუცილებელია მათი წინასწარ მომზადება და ცვალებად საჭიროებებსა და მოთხოვნებზე მორგება.

### კარგი პრაქტიკა/ქსელის შექმნა

მაშინაც კი, როცა არსებობს განსხვავებული მიდგომები ადგილობრივ დაკვირვებასთან მიმართებით, გარკვეული საერთო გამოწვევები, ვითარებები და მეთოდები შეიძლება გახდეს ერთობლივი სატრენინგო პლატფორმის საფუძველი. საერთაშორისო საარჩევნო საზოგადოება სხვადასხვა მოთამაშეს აერთიანებს, რაც შეიძლება სასარგებლო იყოს არჩევნებზე დამკვირვებელი ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციისათვის. საერთაშორისო საზოგადოებასთან მუდმივი კომუნიკაცია საშუალებას იძლევა, სწრაფად დაინერგოს კარგი პრაქტიკა, შემუშავდეს ზოგადი სატრენინგო სტრატეგია და მის განსახორციელებლად ძალები გაერთიანდეს სხვა ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან.

## 2.5. კომუნიკაციის გეგმა

როგორც ზემოთ განვიხილეთ, არჩევნებზე ადგილობრივი დაკვირვება უნდა იყოს გეგმაზომიერი და განსაზღვრავდეს მკაფიო მიზნებს; გარე აუდიტორიისათვის გაზიარებული ინფორმაცია კი ასახავდეს ადგილობრივ არჩევნებზე დაკვირვების ამოცანებს.

მკაფიო მიზნების დადგენა გულისხმობს გარე კომუნიკაციის ამოცანების განსაზღვრას, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს ორგანიზაციის მიერ ანგარიშების წარმოდგენის ფორმაზე. ადგილობრივი სადამკვირვებლო საქმიანობის ფართო საკომუნიკაციო გეგმაში სამოქალაქო ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ საშუალებები ანგარიშებში ინფორმაციის გადასანაწილებლად; ამასთან, გადაწყვიტონ, როგორ გამოიყენებენ ანგარიშების შინაარსს, რომ ორგანიზაციის დასკვნებასა და რეკომენდაციებს გავლენა ჰქონდეს არჩევნების შემდგომ პერიოდზე.

## კომუნიკაციის ამოცანები და სამიზნეები

თითოეულ ადგილობრივ საარჩევნო დამკვირვებელს უნდა ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი (პრესსპიკერი), ან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი გუნდი, რომელსაც ხშირად პრესსამსახურს უწოდებენ. სპეციალური წარმომადგენელი ან გუნდი პასუხისმგებელი იქნება კომუნიკაციის საჭიროებებისა და პრიორიტეტების გამოვლენაზე და შეიმუშავებს მათი გადაჭრის სტრატეგიას.

ორგანიზაციამ შეიძლება გადაწყვიტოს მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებაზე კონცენტრირება, ან უფრო აქტიური როლი ითამაშოს საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული დებატების წარმართვაში, მაგალითად, არჩევნებში მეტი მოქალაქის მონაწილეობის ხელშეწყობით, ან არჩევნებისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებით. კონკრეტული (ვიწრო) მიზნები შეიძლება იქცეს ფართო მიზნების მიღწევისაკენ გადადგმულ ნაბიჯებად. ამ კონკრეტულ მიზნებს გავლენა ექნება ანგარიშგების მხრივ წარმართულ საქმიანობასა და მის განრიგზე, რომელიც განისაზღვრება შიდა ანგარიშგების გეგმით.

ჩვეულებრივ, არჩევნებზე ადგილობრივი დაკვირვებისას სამიზნე აუდიტორიას შეიძლება შეადგენდნენ: საარჩევნო სუბიექტები (პოლიტიკური პარტიები და კანდიდატები), საარჩევნო ადმინისტრაციული ორგანოები, სამოქალაქო საზოგადოების სხვა ჯგუფები, ადგილობრივი და საერთაშორისო მედია, დიპლომატიური კორპუსი და არჩევნებში ჩართული სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, ამომრჩევლები და საჯარო მოხელეები.

სხვადასხვა სახის გზავნილები ხელს შეუწყობს გამოვლენილ ფაქტებზე ანგარიშგებას. ეს გავლენა უფრო გაიზრდება, თუკი გზავნილები სწორად მოერგება კონკრეტული ტიპის აუდიტორიის საჭიროებებს. კომუნიკაციის გუნდმა უნდა შეისწავლოს თითოეული ჯგუფის პრიორიტეტული ინფორმაცია არჩევნებთან დაკავშირებით; დრო, რომლის დათმობასაც მიზანშეწონილად მიიჩნევენ საარჩევნო საკითხების განსახილველად; და ინფორმაცია, რომელიც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ამომრჩეველთა კონკრეტული ჯგუფისათვის.

საკომუნიკაციოდ შერჩეული მეთოდები იცვლება სამიზნე აუდიტორიისა და თვითონ გზავნილის შესაბამისად. კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, ორგანიზაციას შეიძლება დასჭირდეს გადაწყვეტილების მიღება ინფორმაციის მიწოდების არხებთან მიმართებით - ბეჭდური საშუალებები გამოიყენოს, აუდიოვიზუალური, ონლაინსივრცე თუ ტრადიციული ან ახალი მედია. ეს გადაწყვეტილებები დამოკიდებული იქნება სხვადასხვა ფაქტორზე, რომლებიც უკავშირდება ვადებსა და არსებულ საბიუჯეტო რესურსებს, ასევე, ხელმისაწვდომ პერსონალსა და გამოცდილებას.

## აუდიტორიის ტიპები

საკომუნიკაციო მიდგომა, რომელიც შერჩეულია არჩევნებზე დაკვირვების მიგნებებისა და რეკომენდაციების განსახილველად საარჩევნო

ადმინისტრაციულ ორგანოებთან, შეიძლება განსხვავდებოდეს სამოქალაქო საზოგადოებასთან რეფორმებზე მსჯელობისათვის განკუთვნილი მიდგომისაგან. ორგანიზაციამ ადგილობრივი დაკვირვების მიმდინარეობაზე სხვადასხვა აუდიტორიას უნდა მიაწოდოს ინფორმაცია და მოემზადოს რეგულარული ბრიფინგების ორგანიზებისათვის, ასევე, ბეჭდური მასალის გავრცელებისა და სიახლეების სოციალური მედიის საშუალებით გამოქვეყნებისათვის.

სადამკვირვებლო პროექტის ყველა ეტაპზე და კომპონენტში ძალზე მნიშვნელოვანია საარჩევნო ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობა. აუცილებელია მუდმივი თანამშრომლობითი დიალოგი ინფორმაციის შესაგროვებლად და სამომავლო რეფორმების დღის წესრიგში დასაყენებლად. ბევრი წარმატებული ორგანიზაცია ინარჩუნებს საარჩევნო ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსტრუქციული ურთიერთობის არხებს, აწვდის სიახლეებს საქმიანობაზე, ან აფუძნებს თანამშრომლობის მექანიზმებს, მაგალითად, ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროექტების ფარგლებში.

ანგარიშგებისათვის ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ პოლიტიკური პარტიები, ან მათი წარმომადგენლები პარლამენტში. პარლამენტარებთან ეფექტიანი კომუნიკაცია ხელს უწყობს შესაძლო სამომავალო თანამშრომლობასაც რეფორმების გატარების პროცესში. სასარგებლოა საარჩევნო პროცესის საკითხების განხილვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან; საპრეზენტაციო მასალების ან ღონისძიებების სპეციალურად მათთვის მომზადება სადამკვირვებლო პერიოდში; ასევე, ანგარიშში წამოჭრილ საკითხებზე მათი მოსაზრებების ან მხარდაჭერის გაზიარება, მიუკერძოებლობასა და მეთვალყურის როლზე ყურადღების მოუდუნებლად.

დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და საერთაშორისო ორგანიზაციებიდაინტერესებულნიარიანადგილობრივდამკვირვებელთა ანგარიშებით და ინფორმაციის რეგულარული გაცვლით ზოგადად საარჩევნო გარემოს შესახებ. ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა შეიძლება ისარგებლონ საერთაშორისო ჯგუფების ღონისძიებებზე წარმოდგენილი შესაძლებლობებით, ხელი შეუწყონ მათთვის პრიორიტეტულ რეფორმებს და მოიძიონ სახსრები მომავალი პროექტების დასაფინანსებლად. მათ ასევე შეუძლიათ პრეზენტაციების გამართვა დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის.

სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობა შეიძლება კარგი საშუალება იყოს გამოვლენილ საკითხებზე დიალოგის ხელშესაწყობად და რეფორმებზე მომუშავე კოალიციების შესაქმნელად.

საბოლოოდ, ამომრჩევლები ან, უფრო კონკრეტულად, მათი გარკვეული ჯგუფები შესაძლოა კომუნიკაციის სამიზნე გახდნენ. მაგალითად, ანგარიშებიდან შერჩეული ინფორმაციის გამოყენება შეიძლება სოციალურ მედიაში დისკუსიების ხელშეწყობის მხრივ, ასევე, ახალგაზრდა ამომრჩეველთა ჩართვისათვის - მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების მხარდასაჭერად.

## პრესმდივანი/სპიკერი და პრესსამსახური

მიზანშეწონილია, რომ ყველა სადამკვირვებლო ორგანიზაციას გარე კომუნიკაციისათვის ჰყავდეს პრესსპიკერი. დიდ ორგანიზაციებში არსებობს საკომუნიკაციო გუნდი პრესმდივნის ან პრესსპიკერის ხელმძღვანელობით. გუნდი ამყარებს და ინარჩუნებს კონტაქტებს მედიასა და სხვა დაინტერესებულ სუბიექტებთან, პასუხობს მოთხოვნებს და ორგანიზებას უწევს სამოქალაქო ორგანიზაციის მედიასთან ურთიერთობის ღონისძიებებს. დიდ ქვეყნებში არჩევნებზე ადგილობრივმა დაკვირვებამ შეიძლება მოითხოვოს რეგიონებში სპიკერების დანიშვნა, რაც, სავარაუდოდ, გაამარტივებს და დააჩქარებს მედიასთან კონტაქტებს რეგიონალურ საკითხებზე.

ორგანიზაციებმა, რომელთა თანამშრომლები და მოხალისეებიც ქვეყნის მასშტაბით მოქმედებენ, შესაძლოა პრესსამსახურის ან მედიაცენტრის დაფუძნება დედაქალაქის ცენტრალურ ადგილზე გადაწყვიტონ. აქ შეიძლება ჩატარდეს პრესკონფერენციებიც, ასევე, არაოფიციალური საუბრები, ჟურნალისტებთან ინტერვიუები, დამკვირვებელთა ტრენინგი და პოლიტიკოსებსა თუ ამომრჩევლებთან შეხვედრები. ახალი ადგილობრივი დაწესებულების მდებარეობა უნდა გამოცხადდეს მედიით, ფლაერების გავრცელების გზით, ან სოციალური ქსელების მეშვეობით - ყველგან, სადაც გვხვდება სამიზნე აუდიტორია (ორგანიზაციის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებასთან ერთად).

კომუნიკაციის გუნდმა ან წარმომადგენლ(ებ)მა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ არჩევნების დღის „ცხელ პერიოდს", ანუ დაახლოებით ერთ კვირას არჩევნების დღემდე და მის შემდეგ. სულ მცირე, ამ ხნის განმავლობაში მიზანშეწონილია პრესცენტრის გახსნა. ფინანსური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, ორგანიზაციამ შეიძლება იჯარით აიღოს ერთი ან ორი ოთახი ცენტრალურ ადგილზე, რომელსაც მედიაცენტრის ფუნქცია ექნება. უფასო სამუშაო სივრცე ჟურნალისტებისათვის, Wi-Fi წვდომა და სხვა საოფისე მომსახურებები ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის თანამშრომლებსა და ჟურნალისტებს შორის უკეთესი კომუნიკაციის საშუალებას მოგვცემს ყველაზე გადამწყვეტ მომენტებში. თანამშრომლებსა და მოხალისეებს შეუძლიათ დახმარება პრესასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ორგანიზებასა და გარე ანგარიშების წარმოებაში. აუცილებელია ორგანიზაციის პრესკონფერენციებისა და ანგარიშების თარგმნა ინგლისურ ენაზე - საერთაშორისო მედიის მიერ გაშუქებისათვის. წერილობითი ანგარიშები სხვა ენებზე შეიძლება თარგმნონ საზღვარგარეთ მცხოვრებმა მოხალისეებმაც. კვირის განმავლობაში მედიაცენტრის მიერ შემოთავაზებული მომსახურებებისა და პრესისთვის გამართული ღონისძიებების განრიგი საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს. ამის გაკეთება შეიძლება ფლაერების გავრცელებით, ან სოციალური ქსელების გამოყენებით (ორგანიზაციის ვებგვერდზე გამოქვეყნებასთან ერთად).

ოფისში, სულ მცირე, ერთი ადამიანი უნდა იყოს პასუხისმგებელი

ტექნიკურ მხარდაჭერაზე. გუნდის ამ წევრმა უნდა მართოს სამოქალაქო ორგანიზაციის ვებგვერდი, შექმნას და განაახლოს სოციალური მედიის გვერდები, ასევე, მიმღებთა ელექტრონული მონაცემების ბაზა ანგარიშების გავრცელებისათვის.

შეიძლება გამოსადეგი იყოს რეგიონულ პრესსპიკერთა მობილური ნომრების, ასევე, საინტერესო საარჩევნო უბანთა სიების მომზადება და მიწოდება ჟურნალისტებისათვის.

## მედიალანდშაფტის რუკა

კომუნიკაციის დაგეგმვისთვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში ყველაზე ხშირად გამოყენებული მედიასაშუალებების გამოვლენა. ევროპის საბჭოს მრავალ წევრ სახელმწიფოში ტელევიზია უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვიდრე გაზეთები, რადიო და ინტერნეტი. ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ უნდა გამოავლინოს ყველაზე პოპულარული არხები და პროგრამები, თუმცა არ უნდა დაივიწყოს სხვა საშუალებებიც - კერძოდ, ონლაინსივრცის მზარდი მნიშვნელობა. ინტერნეტის, კერძოდ, სოციალური მედიის მეშვეობით ურთიერთობა სათანადოდ უნდა შეფასდეს.

ხელმისაწვდომი რესურსებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, სამოქალაქო ორგანიზაციებმა შეიძლება სცადონ წვდომა საერთაშორისო მედიაზე. შესაბამისად, სამოქალაქო ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს ყველაზე რელევანტური ანგარიშების ინგლისურად თარგმნის შესაძლებლობა. მიღებული პრაქტიკაა ანგარიშების რედაქტირება ისეთი პირის მიერ, რომლისთვისაც ინგლისური მშობლიური ენაა. გამართული ინგლისური სამოქალაქო ორგანიზაციის პროფესიონალიზმის მაჩვენებელია. უხარისხო ინგლისური თარგმანის (ან ნებისმიერ სხვა ენაზე ოფიციალურად წარმოდგენილი ვერსიის) გამო შესაძლოა შემცირდეს სამოქალაქო ორგანიზაციის სანდოობა და ის ნაკლებად დაფასდეს, როგორც საარჩევნო ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო.

აუცილებელია, შეიქმნას ქვეყანასა და მსოფლიოში მოქმედი, ცნობილი ეროვნული და საერთაშორისო მედიასაშუალებების რეგულარულად განახლებადი სია. მას უნდა ჰქონდეს ფუნქცია, რომელიც ანგარიშის ან განცხადების სწრაფი გავრცელების საშუალებას იძლევა. ამ მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობა და გამოყენების სიმარტივე გადამწყვეტია, განსაკუთრებით, არჩევნების დღეს, შეტყობინებათა წარმატებული გავრცელებისათვის. მონაცემთა ბაზასთან მუშაობა უნდა გამოსცადოს პრესსამსახურის თანამშრომელმაც, ასევე, ოფისში მომუშავე სხვა პირებმა.

პირადი კონტაქტების გარეშე მედიასთან ურთიერთობა ვერ იქნება ეფექტიანი. მედიაზე პასუხისმგებელი პირები უნდა შეეცადონ მასთან პირადი კონტაქტების დამყარებას. ელექტრონული ფოსტა და მოკლე ტექსტური შეტყობინებები ღირებული ინსტრუმენტია მხოლოდ მაშინ, თუ ადრესატი ცნობილია.

## განრიგი

არჩევნები ხანგრძლივი და დინამიკური პროცესია, რომელზეც მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. ამის გამო, შეუძლებელია მედიასთან ყველა ურთიერთობის ან ღონისძიების დაგეგმვა. მიუხედავად ამისა, ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს ზოგიერთი ძირითადი ანგარიში, რომლებიც საარჩევნო ციკლის სხვადასხვა პერიოდში მედიას კონკრეტულ დროს უნდა წარუდგინოს. შესაბამისად, თითოეულ მათგანს თან უნდა ახლდეს მომზადებისა და გამოქვეყნების ვადა. ხშირად არჩევნების სადამკვირვებლო ანგარიშები და პრესკონფერენციები შემდეგ განრიგს მიჰყვებიან:

### წინასაარჩევნო პერიოდი

- პრესრელიზი დაკვირვების დაწყების შესახებ;
- სპეციალური ანგარიშები ისეთ ცალკეულ ასპექტებზე, როგორიცაა კამპანია, კანონმდებლობა და უსაფრთხოება. კერძოდ, არჩევნების დღემდე ერთი კვირის განმავლობაში პრესკონფერენციები ბოლო მიგნებების შესახებ მედიის ყურადღებას მიიპყრობს;
- რეგულარული შუალედური ანგარიშები არჩევნების მომზადებაზე, არაუგვიანეს 7-10 დღით ადრე არჩევნების დღემდე.

### არჩევნების დღე

- პრესრელიზი ხმის მიცემის დაწყების შესახებ;
- პრესრელიზი ამომრჩეველთა აქტივობისა და ხმის მიცემის შესახებ დღის განმავლობაში (12.00 სთ-ს შემდეგ) და დახურვამდე;
- პრესრელიზი მნიშვნელოვანი დაკვირვების შემთხვევაში.

### არჩევნების შემდგომი პერიოდი

- განცხადება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ, რომელიც აფასებს მონიტორინგის მთლიან პერიოდს (დაუყოვნებლივ, არჩევნების დღიდან ერთ ან ორ დღეში).
- საბოლოო ანგარიში კომპლექსური და დეტალური შეფასებებითა და რეკომენდაციებით საარჩევნო პროცესში მონიტორინგს დაქვემდებარებულ ყველა ასპექტზე (დაახლოებით, არჩევნებიდან ორი თვის შემდეგ).


The Congress
Le Congrès

თავი 3

# შიდა ანგარიშგება

ეს თავი მოიცავს შიდა ანგარიშგების ძირითად ელემენტებს, რომლებიც გულისხმობს ანგარიშგებას შემდეგ ეტაპებზე: შიდა ანგარიშგების გეგმის შემუშავება; ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიის (DEOM) წევრებზე ამოცანების გადანაწილება; შიდა ანგარიშგების ფორმების შემუშავება/რედაქტირება; დამკვირვებელთა ტრენინგი ადგილზე ინფორმაციის შეგროვებაში; შეგროვებული ინფორმაციის დამუშავება ქსელის გუნდის მიერ; და ინფორმაციის ანალიზი ძირითადი გუნდის მხრიდან.

## 3.1. შიდა ანგარიშგების გეგმა

### შიდა ანგარიშგების გეგმის საჭიროება

შიდა ანგარიშგების გეგმა ორგანიზაციის სტრატეგიული სამუშაო გეგმის ძირითადი ნაწილია და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არჩევნების წარმატებული მონიტორინგისათვის. ის ყველა მნიშვნელოვან ელემენტს ერთ სისტემაში აერთიანებს და ხელს უწყობს მათ საიმედოობას, ეფექტიანობასა და ქმედითობას. ეს გეგმა ერთგვარი „რუკაა“, რომელიც  შიდა ანგარიშგების სახელმძღვანელოს ფუნქციას ასრულებს ადგილობრივი სადამკვირვებლო პერსონალისთვის, მათ შორის, ძირითადი გუნდის წევრების, გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებლებისთვის.

შიდა ანგარიშგების გეგმა:

- ზრდის ორგანიზაციული ამოცანებისა და მიზნების მიღწევის ალბათობას;
- ხელს უწყობს შიდა ანგარიშგების ყველა ელემენტის ეფექტიან და ურთიერთმხარდამჭერ მუშაობას;
- აყალიბებს მეტად ნაყოფიერ და რეაგირებად შიდა ქსელს;
- ძირითადი გუნდის წევრებს, მოკლევადიან და გრძელვადიან დამკვირვებლებს აწვდის მკაფიო მითითებებსა და ინსტრუქციებს ყოველდღიური საქმიანობის შესახებ;
- უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლასა და გაზიარებას მისიის წევრებს შორის;
- აუმჯობესებს ინდივიდუალური ამოცანების გაგებას და ერთმანეთის საჭიროებებზე რეაგირებას;
- იყენებს შიდა კომუნიკაციისა და ანგარიშგების სათანადო საშუალებებს;
- ზომავს აქტივობათა შესაბამისობას განსაზღვრულ ვადებსა და წესებთან;
- ამცირებს კონფლიქტის ალბათობას შეტყობინებათა ბუნდოვანების შემცირებით;
- ქმნის აქტივობის მიმოხილვის შესაძლებლობას და მომავალი წარმატების გაზომვის საშუალებებს;
- უზრუნველყოფს მუშაობის მეტ ეფექტიანობას ცალკეულ და ერთობლივ ძალისხმევათა ერთიან სისტემაში მოქცევით.

## შიდა ანგარიშგების გეგმის ძირითადი ელემენტები

საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას უნდა ჰქონდეს კარგად განვითარებული შიდა ანგარიშგების სტრუქტურა, ნათლად გაწერილი როლებითა და პასუხისმგებლობებით. მისი ეფექტიანობა შეიძლება გაუმჯობესდეს შემდეგი ელემენტების საშუალებით:

- შრომის სათანადო და გონივრული განაწილება მისიის წევრებს შორის;
- ნათელი და დეტალური ინსტრუქციები თითოეული ჯგუფის/პირის ამოცანებსა და პასუხისმგებლობებზე;
- კომუნიკაციის/ანგარიშგების ნაყოფიერი და სანდო არხები მისიის წევრებს შორის.

## შიდა ანგარიშგების ვადები

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია მნიშვნელოვანი საარჩევნო ეტაპებისა და სადამკვირვებლო საქმიანობის საორიენტაციო ვადები. განრიგი ეფუძნება ერთტურიან არჩევნებს; ორ ტურზე დაკვირვებისას ვადები შესაბამისად უნდა შეიცვალოს. რიგგარეშე არჩევნების შემთხვევაში ვადები შეიძლება შემცირდეს.

ა) მოსამზადებელი ეტაპი (არჩევნების დღემდე 2-3 თვით ადრე):

- ექსპერტების შერჩევა (განსაკუთრებით, თუ ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფი გეგმავს სხვა პარტნიორებთან კოალიციის შექმნას);
- გრძელვადიან დამკვირვებელთა დაქირავება.

ბ) მივლინება და წინასაარჩევნო დაკვირვების ეტაპი (არჩევნების დღემდე 6-8 კვირით ადრე):

- არჩევნებზე დაკვირვების დაწყების საჯაროდ გამოცხადება;
- გრძელვადიან დამკვირვებელთა ბრიფინგი;
- გრძელვადიან დამკვირვებელთა მივლინება (4-5 კვირამდე);
- საარჩევნო პროცესის ყველა ასპექტზე დაკვირვება;
- შუალედური ანგარიშ(ებ)ის გამოცემა წინასაარჩევნო მიგნებებზე;
- მოკლევადიან ექსპერტთა აყვანა;
- მონაცემთა ოპერატორების დაქირავება;
- მოკლევადიან ექსპერტთა ბრიფინგი;
- მოკლევადიან ექსპერტთა აკრედიტაცია;
- მონაცემთა ოპერატორების აყვანა და ტრენინგი.

გ) არჩევნების დღეზე დაკვირვება

- დამკვირვებლებისგან მონაცემთა შეგროვება ფორმებისა და განსაზღვრული ვადების შესაბამისად;
- განცხადებები/პრესრელიზები/პრესკონფერენციები საარჩევნო უბნების გახსნასა და მოწყობაზე, ასევე, ხმის მიცემისა და დათვლის პროცესზე, ამომრჩეველთა აქტივობასა და მომხდარ ინციდენტებზე;
- პრესკონფერენცია არჩევნების საბოლოო შედეგების შესახებ.

დ) ანგარიშგება და შემდგომი დაკვირვება არჩევნებზე (არჩევნების დღის დასრულებიდან 3 კვირის განმავლობაში):

- წინასწარი განცხადების გამოქვეყნება (არჩევნების შემდეგი დღე);
- მოკლევადიან დამკვირვებელთა დეტალური ანგარიში;
- არჩევნების შემდგომ პროცესზე დაკვირვება (დათვლა, შედეგების გამოქვეყნება, საჩივრები);
- გრძელვადიან ექსპერტთა დეტალური ანგარიშები;
- საბოლოო ანგარიშის გამოცემა (2-3 კვირაში არჩევნების დღიდან).

## კარგი პრაქტიკის მაგალითი: არჩევნების დღის განრიგი

- არჩევნების ყველა ეტაპზე სადამკვირვებლო ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს საქმიანობის განრიგი, მათ შორის: საქმიანობის ტიპი, თარიღი/ბოლო ვადა, ადგილი და პასუხისმგებელი პირები. განრიგის საფუძველი შეიძლება გახდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) საარჩევნო კალენდარი. ცესკოს კალენდარი საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ აქტივობათა შესაბამისობა არჩევნებთან დაკავშირებულ მოვლენებთან. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გარკვეულ აქტივობებს - როგორიცაა ტრენინგი, საზოგადოებასთან ურთიერთობა, გრძელვადიან დამკვირვებელთა ანგარიშგება, არჩევნების დღეზე ანგარიშგება - შეიძლება ჰქონდეს ცალკე ვადები, უფრო დეტალურად განსაზღვრული. ქვემოთ მოცემულია არჩევნების დღის აქტივობათა განრიგი.
- განრიგი შეიძლება შედგენილი იყოს შემდეგი ფორმატით: Excel ცხრილებში, Microsoft Word-ისა და სხვა სპეციალურ პროგრამებში. Google კალენდარი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მოსახერხებელი ინსტრუმენტია, რომელსაც ბევრი ორგანიზაცია იყენებს გრაფიკის შესადგენად. ეს უფასო და ყველასთვის ხელმისაწვდომი საშუალება აიოლებს ყველა საჭირო კომპონენტის ერთ სივრცეში თავმოყრას. შესაძლებელია ინფორმაციის დახარისხება, განახლება, ქსელში გაზიარება და თითოეულ აქტივობაზე შეხსენების ავტომატურად გაგზავნა.

## ცხრილი 1: „სამართლიანი არჩევნები“ - არჩევნების დღის შიდა განრიგი 2015 წლის ადგილობრივი არჩევნებისათვის

| 15 ივნისი (არჩევნების დღე) | | |
|---|---|---|
| დრო | ამოცანა | პასუხისმგებელი პირი |
| 06:30 | მმართველი პერსონალი ჩამოდის მონაცემთა ცენტრის გახსნისთვის და აიწყობა კომპიუტერები | არჩევნების დღის კოორდინატორი, ICT ექსპერტი |
| 06:45 | მონაცემთა ოპერატორების ბრიფინგი | ICT ექსპერტი |
| **15 ივნისი (არჩევნების დღე)** | | |
| 06:45 | მოკლევადიანი დამკვირვებლები მიდიან საარჩევნო უბნებზე | არჩევნების დღის კოორდინატორი, გრძელვადიანი დამკვირვებლები |
| 07:00 | საარჩევნო უბნების გახსნა | CEC |
| **07:15** | **1-ლი SMS – ჩამოსვლის შეტყობინება** | მოკლევადიანი დამკვირვებლები |

| | | |
|---|---|---|
| 07:30-08:00 | მონაცემთა მონიტორინგი – მონაცემთა ექსპორტი; მონაცემთა ოპერატორები ურეკავენ მოკლევადიან დამკვირვებლებს | ICT ექსპერტი; ექსპერტ-ანალიტიკოსი |
| 08:00-08:30 | დამკვირვებლების გამოცვლა საჭიროებისამებრ | არჩევნების დღის კოორდინატორი; ICT ექსპერტი; გრძელვადიანი დამკვირვებლები |
| 08:00-10:00 | მონაცემთა ცენტრის ვიდეოს გადაღება | PR ასისტენტი |
| **08:30** | **მე-2 SMS** | მოკლევადიანი დამკვირვებლები |
| 08:30-09:00 | მონაცემთა მონიტორინგი - მონაცემთა ექსპორტი მონაცემთა ოპერატორები ურეკავენ მოკლევადიან დამკვირვებლებს | ოპერატორები; არჩევნების დღის კოორდინატორი; ICT ექსპერტი |
| 08:30-09:30 | ინციდენტთა ანალიზი (09:30 საათისთვის საერთო ინციდენტების გადაგზავნა) | იურისტი |
| 09:00 | აღმასრულებელი დირექტორი ჩამოდის მონაცემთა ცენტრში | აღმასრულებელი დირექტორი |
| 09:00-09:30 | ხმათა პარალელური დათვლა (PVT) ანალიზი | ICT ექსპერტი; ექსპერტ-ანალიტიკოსი |
| 09:00-12:00 | ოპერატორები ისვენებენ | ICT ექსპერტი; ICT ექსპერტის ასისტენტი |
| 09:20-10:00 | განცხადება | PR მენეჯერი; აღმასრულებელი დირექტორი |
| 10:00-10:30 | განცხადების თარგმნა | თარჯიმანი |
| 10:00-10:30 | დიზაინი/გრაფიკა | დიზაინერი; PR მენეჯერი |
| **15 ივნისი (არჩევნების დღე)** | | |
| 10:30-11:00 | განცხადების დასაბეჭდად გადაგზავნა მედიაცენტრში | PR მენეჯერი; PR თანაშემწე |
| **11:00** | **პრესკონფერენციის გახსნა** | **აღმასრულებელი დირექტორი** |
| 11:00-11:30 | განცხადებების დაგზავნა ელ.ფოსტით (ინგლისურად და ქართულად) | PR მენეჯერი |

| | | |
|---|---|---|
| 11:30-12:00 | ინფოგრაფიკების გამოქვეყნება (Facebook, ვებგვერდი) | IT მენეჯერი;<br>PR მენეჯერი |
| **12:10** | **მე-3 SMS** | **მოკლევადიანი დამკვირვებლები** |
| 12:10-12:30 | მონაცემთა მონიტორინგი – მონაცემთა ექსპორტი; მონაცემთა ოპერატორები ურეკავენ მოკლევადიან დამკვირვებლებს | ოპერატორები;<br>არჩევნების დღის კოორდინატორი;<br>ICT ექსპერტი |
| 12:00-13:30 | ინციდენტთა ანალიზი (13:30 საათისთვის საერთო ინციდენტების გადაგზავნა) | იურისტი |
| 13:30-14:00 | განცხადება | აღმასრულებელი დირექტორი;<br>PR მენეჯერი |
| 13:00-17:00 | ოპერატორები ისვენებენ ცვლებში | ICT ექსპერტის ასისტენტი |
| 14:00-14:30 | განცხადების თარგმნა | თარჯიმანი |
| 14:30-15:00 | დიზაინი /გრაფიკა | დიზაინერი; PR მენეჯერი |
| 14:30 | განცხადების დასაბეჭდად გადაგზავნა მედიაცენტრში | PR მენეჯერი |
| 15:00 | პრესკონფერენცია შუადღისას ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ | აღმასრულებელი დირექტორი |

*წყარო: www.isfed.ge*

ქვემოთ მოცემულია სქემის ნიმუში, რომელშიც გამოსახულია სადამკვირვებლო მისიის კომუნიკაციის სტრუქტურა არჩევნების დღეს. ზოგადად, შიდა კომუნიკაციის სტრუქტურა დამოკიდებულია დაკვირვების სფეროზე, მონიტორინგის მეთოდოლოგიასა და არსებულ ადამიანურ/ფინანსურ რესურსებზე.

- დაკვირვების მიზანი და მოქმედების სფერო განსაზღვრავს მისიის სტრუქტურას. დაკვირვების საგნის მიხედვით - საერთო საარჩევნო პროცესი იქნება თუ ცალკეული თემები (მაგ.: საარჩევნო დავების ან მედიის ქცევის მონიტორინგი, და ა.შ.) - იცვლება მისიისა და მისი კომუნიკაციის სტრუქტურა.
- ამასთან, შიდა კომუნიკაციის სტრუქტურა განსხვავებულია არჩევნების ყველა ეტაპზე: წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღეს და მის შემდგომ.

**დიაგრამა 3: არჩევნების დღე, შიდა კომუნიკაციის სტრუქტურა (საქართველო)**




*წყარო: www.isfed.ge*

## 3.2. როლების განსაზღვრა

საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დაგეგმვა მოიცავს სადამკვირვებლო გუნდის სტრუქტურის შემუშავებას. სტრუქტურა და კონკრეტული ამოცანების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის მინიჭება (როგორც წესი, განისაზღვრება თითოეული ანალიტიკოსის/ექსპერტის მანდატით) დამოკიდებულია დაკვირვების სფეროსა და ამოცანებზე, ხელმისაწვდომ რესურსებსა და წინა გამოცდილებაზე. გუნდის ზომისა და რესურსების მიუხედავად, კარგი ანგარიშების წარმოება მოითხოვს ამოცანების ამგვარ გადანაწილებას:

- ძირითადი გუნდი მისიის ხელმძღვანელსა და მოადგილესთან ერთად; ანალიტიკოსები გარე ანგარიშების წარმოებისათვის; ქსელის კოორდინატორი შიდა ანგარიშების მისაღებად და გადასამოწმებლად;
- დამკვირვებლები ინფორმაციის ადგილზე შეგროვებისათვის.

ანგარიშების მოსამზადებლად, თითოეულმა განყოფილებამ კონკრეტული ოპერაციები უნდა შეასრულოს, ორივემ ერთად კი კოორდინირება გაუწიოს საქმიანობებს არჩევნების სადამკვირვებლო სტრუქტურის მაგალითი მოცემულია ქვემოთ, სქემაში.

### დიაგრამა 4: არჩევნების სადამკვირვებლო სტრუქტურა (მოლდოვა)




*წყარო: https://promolex.md*

## ძირითადი გუნდი

ძირითადი გუნდი კოორდინირებას უწევს მთლიან სადამკვირვებლო მისიას; იგი განსაზღვრავს საერთო მეთოდოლოგიას, უზრუნველყოფს აქტივობათა ეფექტიან კოორდინაციასა და კომუნიკაციას, ადგენს განცხადებების, ასევე, შუალედური და საბოლოო ანგარიშების შინაარსსა და დროს.

სხვადასხვა ორგანიზაციის ძირითად გუნდებს შეიძლება განსხვავებული სტრუქტურა ჰქონდეს. ჩვეულებრივ, მასში ერთიანდებიან: მისიის ხელმძღვანელი, მოადგილე და ცალკეული ანალიტიკოსები/ექსპერტები (საარჩევნო, სამართლებრივი, პოლიტიკური ან მედიის ანალიტიკოსები, პრესმდივანი/წარმომადგენელი, უსაფრთხოების ექსპერტი, ქსელის/გრძელვადიანი დამკვირვებლების კოორდინატორი, სტატისტიკური ექსპერტი). ამას გარდა, წარმოდგენილნი არიან ძირითადი გუნდის საოპერაციო წევრებიც (ფინანსური ექსპერტი/ბუღალტერი, ასევე, საოპერაციო/ლოგისტიკის და შესყიდვების ექსპერტები).

ძირითადი გუნდი უზრუნველყოფს რეგულარულ ურთიერთობას წევრებს შორის - ჩვეულებრივ, მუდმივი ერთობლივი შეხვედრების მეშვეობით (მაგ.: დილაობით), რომლებიც ასევე ემსახურება ამოცანების განაწილებას. მისი წევრები პასუხისმგებელნი არიან ვერტიკალურ კომუნიკაციასა და დავალებათა სამუშაო ჯგუფების წევრებისთვის გადაცემაზე. საუკეთესო შემთხვევაში, ძირითად გუნდში ასევე არიან კოორდინატორები/მენეჯერები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიმოცვლას, რათა გუნდი მუდმივად ინფორმირებული იყოს მათ საქმიანობასა და საჭიროებებზე.

ძირითადი გუნდის საკვანძო თანამდებობებია:

## მისიის ხელმძღვანელი

- კოორდინირებას უწევს ანგარიშგების წარმოების საერთო პროცესს;
- ურთიერთობს გამგეობასთან ანგარიშებისა და განცხადებების შინაარსის შესათანხმებლად;
- ერთვება საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმიანობაში ანგარიშებისა და განცხადებების პოპულარიზაციისათვის;
- ამტკიცებს ანგარიშებს.

## მისიის ხელმძღვანელის მოადგილე

- იგი მისიის ხელმძღვანელის მთავარი პოლიტიკური და ტექნიკური მრჩეველია;
- უზრუნველყოფს ანგარიშგების პროცედურების შესრულებას და მისი ფორმების შესაბამისობას ვითარებასთან;
- ამზადებს წინასწარ განცხადებებს, შუალედურ და საბოლოო ანგარიშებს;
- ატარებს დამკვირვებელთა ბრიფინგს, კოორდინირებას უწევს მასალებისა და ფორმების მომზადებას;
- ახორციელებს გრძელვადიან დამკვირვებელთა მივლინებისა და არჩევნების დღის ოპერაციულ დაგეგმვას.

მისიის ხელმძღვანელის მოადგილე, უმთავრესად, ამზადებს წინასწარ განცხადებასა და სხვა გარე ანგარიშებს ძირითადი გუნდის წევრებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. მოკლე ვადების გათვალისწინებით - წინასწარი განცხადება, ჩვეულებრივ, არჩევნების მომდევნო დღეს ვრცელდება - ამ ანგარიშების მომზადება რთული ამოცანაა, რომელიც მოითხოვს შედგენის, გადახედვისა და საბოლოო სახის მიცემის სტრუქტურირებულ პროცესს. ნაჩქარევად რომ არ გაკეთდეს, ყველა ეს ანგარიში უნდა მომზადდეს გამოცემამდე დიდი ხნით ადრე. მისიის ხელმძღვანელს ანგარიშების გადასახედად საკმარისი დრო უნდა მიეცეს. ამდენად, ვადები შესაბამისად უნდა განისაზღვროს.

## ანალიტიკოსები

ანალიტიკოსები პასუხისმგებელნი არიან საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სამართლებრივი, საარჩევნო, პოლიტიკური, მედიის და ა.შ. შეფასებების გაკეთებაზე, რომლებიც ეფუძნება მათ მიერ ჩატარებულ ანალიზს ქვეყნის შესახებ, ასევე, საველე დამკვირვებელთაგან მიღებულ ინფორმაციას. გრძელვადიან და მოკლევადიან საველე დამკვირვებელთა შიდა ანგარიშები უნდა გახდეს საკვანძო ელემენტი გარე ანგარიშებში ანალიტიკოსების მიერ ძირითადი მიგნებების, სქემების, დასკვნებისა და რეკომენდაციების ფორმულირებისათვის.

ძირითადი გუნდის ხელმძღვანელები (ხელმძღვანელი, მოადგილე) პასუხისმგებელნი არიან ნებისმიერი ისეთი კითხვისა და საკითხის გადანაწილებასა და გადაცემაზე, რომლებიც წინასწარი განსაზღვრულ კომპეტენციათა ჩარჩოს სცდება.

## ქსელის კოორდინატორი

ქსელის კოორდინატორი პასუხისმგებელია კავშირის გამართვაზე ძირითად გუნდსა და მისიის საველე დამკვირვებელთა სხვა გუნდებს შორის (გრძელვადიანი დამკვირვებლები, მობილური მოკლევადიანი დამკვირვებლები, მოკლევადიანი დამკვირვებლები). კოორდინატორს შეიძლება დახმარებას უწევდეს რამდენიმე რეგიონული კოორდინატორი. ქსელის კოორდინატორი, რეგიონულ კოორდინატორებთან ერთად (თუ ასეთი რამ დადგენილია), აგროვებს და ამოწმებს მოკლევადიანი, გრძელვადიანი ან სხვა საველე დამკვირვებლების ანგარიშებს. ინფორმაცია შემდგომ გადაეცემა ძირითად გუნდს. ქსელის კოორდინატორი

- შეიმუშავებს სისტემას გრძელვადიან დამკვირვებელთა პერიოდული ანგარიშებისა და ინციდენტებზე ანგარიშების შენახვისათვის;
- წვლილი შეაქვს სასწავლო მეთოდებისა და მასალების შემუშავებაში გრძელვადიან დამკვირვებელთა ანგარიშგებისათვის;
- კოორდინაციას უწევს გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ ინფორმაციის მიღებას მოკლევადიანი დამკვირვებლებისაგან და მის დამუშავებას;
- წვლილი შეაქვს ანგარიშთა გარკვეული ნაწილების შემუშავებაში, გრძელვადიანი დამკვირვებლების ანგარიშებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

## სტატისტიკური ექსპერტი

სტატისტიკური ექსპერტი, მონაცემების ოპერატორებთან ერთად, მოკლევადიან დამკვირვებელთაგან აგროვებს ინფორმაციას არჩევნების დღის შესახებ (განვითარებულ მოვლენებზე, ოქმების მონაცემებზე). ყველა ინფორმაცია შეაქვთ სპეციალურ პროგრამაში შემდგომი დამუშავებისათვის. შეცდომების შემთხვევაში, ოპერატორი ურეკავს მოკლევადიან დამკვირვებელს ინფორმაციის გადასამოწმებლად და შესასწორებლად. პროგრამული უზრუნველყოფა ხელს უწყობს ძირითად გუნდს საკმარისი ინფორმაციის მიღებაში, ხმათა სწრაფი ან პარალელური დათვლის მიზნით.

## ინციდენტთა ცენტრის იურისტები

ინციდენტთა ცენტრი ადგილობრივ სადამკვირვებლო მისიაში არჩევითი განყოფილების ფუნქციას ასრულებს. ის სპეციალურად არჩევნების

დღისთვის ეწყობა, რათა დაფიქსირებულ დარღვევებზე/შეუსაბამობებზე ინფორმაცია მიიღოს გრძელვადიანი, მოკლევადიანი და საოლქო საარჩევნო კომისიის დამკვირვებლებისაგან, მონაცემთა ბაზაში შესატანად და რეაგირებაზე კონსულტაციების გასაწევად.

## დამკვირვებლები

### გრძელვადიანი დამკვირვებლები

გრძელვადიანი დამკვირვებლები რეგიონებში საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მეთვალყურეთა როლს ასრულებენ. მათი ძირითადი ამოცანაა სხვადასხვა მონაცემის შეკრება საარჩევნო პროცესებსა და კამპანიაზე, პასუხისმგებლობის სფეროს შესაბამისად. ისინი აგროვებენ მონაცემებს წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომი მიგნებების შესახებ, კონკრეტული სადამკვირვებლო მეთოდოლოგიის საფუძველზე და სხვადასხვა სადამკვირვებლო ფორმის გამოყენებით (სტანდარტული LTO ფორმა, ინციდენტზე ანგარიშგების ფორმა, თემატური ფორმები ა.შ.). გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა უნდა გაითვალისწინონ მათ მიერ თავმოყრილი ინფორმაციის მნიშვნელობა, დიდი ყურადღება მიაქციონ დეტალებს და შეაგროვონ ანგარიშებში მოცემული ფაქტების მტკიცებულებები.

### მოკლევადიანი დამკვირვებლები

მოკლევადიანი დამკვირვებლები აგროვებენ ხარისხობრივ და რაოდენობრივ მონაცემებს არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებში მიმდინარე პროცესებზე. სადამკვირვებლო მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, მოკლევადიანი ექსპერტები შეიძლება მიავლინონ როგორც ყველგან, ისე შემთხვევით შერჩეულ საარჩევნო უბნებზე. მოკლევადიანი დამკვირვებლები საარჩევნო უბანზე იმყოფებიან მთლიანი საარჩევნო დღის განმავლობაში, აკვირდებიან საარჩევნო უბნის გახსნას, ხმის მიცემის, დათვლისა და დაჯამების პროცესს. მათი ინფორმაცია გადაიცემა შემდეგი საშუალებებით:

- სტაციონარული გუნდების მიერ (სწრაფი დათვლა/PVT, SMS ანგარიშგება, სატელეფონო ანგარიშგება) პირდაპირ ცენტრში ანგარიშგება სატელეფონო ზარის ან მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით, ანდა ინციდენტზე განაცხადის შევსებით;
- მობილური გუნდების ანგარიშგება შესაბამის გრძელვადიან დამკვირვებელთან, რომლებიც ამოწმებენ, ასწორებენ და აერთიანებენ ინფორმაციას და გადაგზავნიან ცენტრში (ძირითად გუნდთან);
- საოლქო საარჩევნო კომისიების (DECs) დონეზე მომუშავე დამკვირვებლები არჩევნების დღეს შესაბამის უბნებზე დაფიქსირებულ მიგნებებსა და დარღვევებზე ინფორმაციას აწვდიან გრძელვადიან დამკვირვებლებს, ასევე, ინციდენტთა ცენტრს.

სულ უფრო მეტი ორგანიზაცია იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს და ინფორმაციას პირდაპირ მონაცემთა ბაზაში გზავნის, სადაც ტარდება უფრო რთული ანალიზი. მონაცემთა ანალიზის მცირე გუნდი (ჩვეულებრივ, ორი ან სამი ადამიანი, რომელთაც ხელმძღვანელობს სტატისტიკის ექსპერტი) ინფორმაციის პირველად ანალიზს ატარებს და უგზავნის ძირითად გუნდს (მისიის ხელმძღვანელის მოადგილეს, საარჩევნო ანალიტიკოსს) არჩევნების დღეზე ანგარიშების სხვადასხვა ნაწილთა შესადგენად.

## 3.3. ანგარიშგების ფორმები

არსებობს შიდა ანგარიშგების ორი სადამკვირვებლო ფორმა: გრძელვადიანი და მოკლევადიანი (იხ. დანართი 3). ორივე მათგანი საგანგებოდ არის მორგებული ქვეყნის სპეციფიკაზე და ინფორმაციის ერთ-ერთი მთავარი წყაროა ძირითადი გუნდისთვის, ანალიტიკოსების მიერ ცენტრში შეგროვებულ ინფორმაციასთან ერთად. ამ ფორმების შედგენისა თუ გადახედვისას რეკომენდებულია შემდეგი კარგი პრაქტიკის გამოყენება:

### ფორმების წინასწარ მომზადება

ბევრ ადგილობრივ დამკვირვებელს შემუშავებული აქვს შიდა ანგარიშგების ფორმები, რომლებიც კონკრეტულ სადამკვირვებლო მიზანს ემსახურება. არჩევნების მოახლოებასთან ერთად, მათ უნდა გადახედონ არსებულ ფორმებს წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და გაითვალისწინონ, რაზე სურთ ყურადღების გამახვილება ანგარიშგებისას. ასევე, ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ მონაცემთა სწორ და ეფექტიან დამუშავებაზე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის საჯარო ანგარიშებისათვის.

პირველ რიგში, ძირითადმა გუნდმა უნდა განიხილოს ანგარიშგებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები და შესაძლო გამოწვევები. ე.წ. „გონებრივი იერიშის“ შეხვედრაზე ძირითადმა გუნდმა უნდა განსაზღვროს ვითარებები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას დაკვირვების განმავლობაში, და მათი შეტყობინების გზები; ასევე, სცენარები მათი დადგომის ალბათობასთან ერთად. მოგვიანებით, ძირითადმა გუნდმა უნდა შეიმუშაოს ახალი ანგარიშგების ფორმები ან გადახედოს არსებულს, რაც არ გამორიცხავს მათ შემდგომ ეტაპზე კორექტირებას. უნდა დაიგეგმოს რეგულარული განხილვის სხდომები, რაც ანგარიშგების ფორმებში ცვლილებების შეტანის საშუალებას მოგვცემს. ამგვარად, ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია მომზადებული იქნება ინფორმაციის ეფექტიანად შეგროვებისათვის.

**დიაგრამა 5: ინფორმაციის ხარისხი**




*წყარო: https://promolex.md*

## თითოეული ანგარიშის ძირითადი ელემენტები

საჯარო ანგარიშების ან განცხადებების ხარისხი მთლიანად დამოკიდებულია საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მიერ შიდა ანგარიშებში შეტანილი კითხვების ხარისხზე. ყურადღება უნდა მიექცეს შეკითხვების ფორმულირების, ასევე, პასუხების შეგროვების, შემოწმებისა და გაანალიზის მეთოდებს.

ძირითადმა გუნდმა მნიშვნელოვანი დრო უნდა დაუთმოს ანგარიშგების ფორმებისა და იმ კითხვების ჩამოყალიბებას, რომლებიც გრძელვადიანმა და მოკლევადიანმა დამკვირვებლებმა უნდა დაუსვან სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს. ამ პროცესში ძირითადი გუნდი უნდა დარწმუნდეს, რომ ყოველთვის დაისმება შემდეგი 5 ძირითადი კითხვა:

- ვინ განახორციელა?
- რა?
- როდის?
- სად?
- და რატომ?

ამ კითხვების შიდა ანგარიშგების ფორმებში გათვალისწინება უზრუნველყოფს, რომ დაკვირვებამ მოიცვას მოვლენის უმნიშვნელოვანესი ასპექტები.

## გრძელვადიანი დაკვირვების ფორმები

ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სადამკვირვებლო მისიის მოქმედების სფეროს, სტრუქტურის, ადამიანური და ფინანსური რესურსების შესაბამისად, არჩევნებზე გრძელვადიანი დაკვირვება შეიძლება ეფუძნებოდეს მონაცემთა შეგროვების ორ მეთოდს, რომლებიც ერთმანეთს ავსებს: გრძელვადიან სადამკვირვებლო ფორმებს (LTO ფორმები) და ძირითადი გუნდის წევრების მიერ მონაცემთა შეგროვებას ცენტრში.

გრძელვადიანი დაკვირვების ფორმები ინფორმაციის მთავარი წყაროა რეგიონული საარჩევნო პროცესების ყველა ასპექტის შესახებ. ადგილობრივი დამკვირვებლები შეიმუშავებენ შემდეგ LTO ფორმებს:

- LTO სტანდარტული ანგარიშგების ფორმები: მათი საშუალებით გროვდება რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია საარჩევნო კამპანიის ჩატარების ყველა ასპექტზე. ასევე, შეიძლება LTO ფორმების სხვადასხვა თემისთვის შემუშავებაც (კამპანიის დაფინანსება, მედიამონიტორინგი და ა.შ.), რაც უზრუნველყოფს შესაბამის საკითხზე კონცენტრირებასა და თვისობრივი ინფორმაციის შეგროვებას. ხშირად, ანგარიშგების ეს ფორმები იმეორებს წინასაარჩევნო შუალედური ანგარიშების, ასევე, არჩევნების შემდგომი განცხადებების ან/და საბოლოო ანგარიშების სტრუქტურას;
- LTO ინციდენტთა ფორმები: აწვდის მყისიერ და დეტალურ ინფორმაციას გრძელვადიანი დამკვირვებლის ტერიტორიაზე მომხდარ ინციდენტებზე. ამ ფორმებს შეიძლება დაემატოს დამკვირვებლის მიერ საარჩევნო მსვლელობების/აქციების მიმდინარეობაზე შევსებული ფორმები, რომლებიც გამოიყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენების შემთხვევაში (მაგ.: საარჩევნო მსვლელობაზე დაკვირვება);
- LTO ფორმების შინაარსი დამოკიდებულია ქვეყნის სპეციფიკაზე, ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის სტრუქტურასა და მონიტორინგის მეთოდოლოგიაზე. მიუხედავად ამისა, LTO ფორმების შედგენისას გასათვალისწინებელია შემდეგი ასპექტები:

### საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მოქმედების არეალი

LTO ანგარიშგების ფორმები უნდა შეადგინონ არჩევნების სადამკვირვებლო მისიის საერთო მიზნისა და მოქმედების სფეროს შესაბამისად: გარე ანგარიშების სტრუქტურა ძირითადად იმეორებს LTO ფორმების აგებულებას. მაშინაც კი, თუ სადამკვირვებლო ორგანიზაციაში ადამიანური და ფინანსური რესურსების ნაკლებობაა, ფორმა უნდა მოიცავდეს საარჩევნო პროცესების მინიმალურ მახასიათებლებს, რათა ძირითად გუნდს ხარისხიანი და ერთგვაროვანი მონაცემები მიაწოდოს.

ზოგადად, რეგულარული ანგარიშგების LTO ფორმები მოიცავს საარჩევნო კამპანიის შემდეგ ასპექტებს:

- ცენტრალური და ადგილობრივი საჯარო ადმინისტრაციის როლი;
- საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა;
- ამომრჩეველთა სიების შედგენა (ამომრჩეველთა ელექტრონული სიების გამოყენება), მათი რეგისტრაცია;
- კამპანიის ჩატარება, მათ შორის, საარჩევნო სუბიექტების საქმიანობა;
- კამპანიის დაფინანსება;
- საარჩევნო კამპანიის გაშუქება მედიის მიერ (კერძოდ, რეგიონულ მედიაში);
- საჩივრები და სარჩელები.

## ფორმების გადასინჯვა და განახლება

არჩევნებზე დაკვირვების დაწყებამდე, ძირითადმა გუნდმა უნდა გადახედოს სადამკვირვებლო მეთოდოლოგიას. ორგანიზაციების უმეტესობა არჩევნების მონიტორინგს ახორციელებს კამპანიის მთავარ მოვლენებზე დაკვირვებით, საარჩევნო ადმინისტრაციის, კანდიდატებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ დადგენილი კალენდრის შესაბამისად. ზოგიერთი გამოცდილი ორგანიზაცია უფრო კომპლექსურ მიდგომას იყენებს და გრძელვადიან დამკვირვებლებს თითოეულ რაიონში მიავლენს მათი დაკვირვების სფეროს შესაბამისად, რითაც პროცესი მოიცავს ყველა საარჩევნო სუბიექტს და ეროვნული მასშტაბის წარმომადგენლობით მიგნებებს მოიცავს.

**კარგი პრაქტიკა: ანგარიშგების ფორმების დამუშავების მოწინავე მაგალითები**

შესაძლებელია ანგარიშგების ახალი ინსტრუმენტების გამოყენება. 2014 წელს Promo-LEX-მა (მოლდოვა) თავისი LTO ანგარიშგები ციფრულ ფორმატში გადაიყვანა და თითოეული გრძელვადიანი დამკვირვებელი პლანშეტური კომპიუტერით, 3G ინტერნეტითა და ელ. ფოსტის ანგარიშით აღჭურვა. გრძელვადიან დამკვირვებლებს ჩაუტარდათ დამატებითი ტრენინგი ანგარიშგების პროგრამისა და პლანშეტური კომპიუტერების გამოყენებაზე.

2012 წელს „სამართლიანმა არჩევნებმა“ (საქართველო) შეიმუშავა გრძელვადიანი დამკვირვებლებისგან მონაცემთა შეგროვების სპეციალური პროგრამა. იგი საშუალებას იძლეოდა, ინფორმაცია პირდაპირ შეეტანათ მონაცემთა ბაზაში, რომელზეც რეგიონული და ცენტრალური ოფისის პერსონალს ასევე ჰქონდა წვდომა. პროგრამა მომხმარებლებს შეცდომებისა თუ შეუსაბამობების ავტომატურად გამოვლენისა და რაოდენობრივი ინფორმაციის ანალიზის საშუალებას აძლევდა.

## დეტალური ინფორმაცია

სრული, ზუსტი და ობიექტური ინფორმაციის მისაღებად, შესაძლებელია LTO ფორმების ორგვარად შემუშავება:

1. კითხვები ზოგადია და გრძელვადიან დამკვირვებლებს თავისუფლება ეძლევათ პასუხების გაცემისას. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია მათთვის სათანადო ტრენინგის ჩატარება ანგარიშგების 5W ტექნიკაში (პასუხი 5 კითხვაზე: ვინ? რას? როდის? სად? რატომ?);

2. შემუშავებულია დეტალური ანგარიშგების ფორმები. ამ შემთხვევაში ძირთადი გუნდი უზრუნველყოფს, რომ გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა რაოდენობრივი და თვისობრივი პასუხები მიაწოდონ ზემოხსენებულ 5 კითხვაზე.

რაც უფრო დეტალურია LTO ფორმები (იმის გათვალისწინებით, რომ ფორმები სწორად არის მორგებული კონკრეტულ საარჩევნო კონტექსტზე), მით უფრო სიღრმისეულ ინფორმაციას იღებს ძირითადი გუნდი შეუსაბამობებსა ან/და დარღვევებზე და საერთო საარჩევნო პროცესისთვის მათ მნიშვნელობაზე. ამგვარად, გრძელვადიანი დამკვირვებლები აწვდიან თვისობრივ ინფორმაციას და ბევრად უფრო მარტივად შეუძლიათ დამატებითი ინფორმაციის შეგროვება, რადგან იციან, რა იკითხონ, ძირითადი გუნდი კი იოლად გადაამოწმებს, შეაგროვეს თუ არა მათ ყველა საჭირო ინფორმაცია.

რეგულარული ანგარიშგებისა და ინციდენტის/ადგილზე ანგარიშგების ფორმები გრძელვადიან დამკვირვებლებს მოკლე ანალიზის საშუალებას უნდა აძლევდეს, რომელიც არ შემოიფარგლება ფაქტებისა და ციფრების ჩამოთვლით. ღია კითხვები მათ დაკვირვების უკეთ გააზრების, ფონური ინფორმაციის მიწოდებისა და საკუთარი დასკვნების გამოტანის საშუალებას მისცემს; ასევე, იმ მოვლენების შეტყობინებისაც, რომლებსაც არ ითვალისწინებდა ფორმები. ამგვარ შემთხვევაში, ანგარიშების ფორმები შეიძლება შეიცავდეს შეხსენებას, რომ დამკვირვებლის მიერ მოწოდებული ყველა კონტექსტური ინფორმაცია ან დასკვნა მკაფიოდ მიეთითოს ასეთად, რათა ისინი არ განიხილონ როგორც დაფიქსირებული ფაქტები.

## ცენტრალური საარჩევნო კომისია და მისიის კალენდარი

საარჩევნო ადმინისტრაცია, როგორც წესი, კალენდარს მთლიანი საარჩევნო პროცესის დასაწყისში ამტკიცებს. ადგილობრივმა დამკვირვებლებმაც უნდა შემოიღონ მსგავსი კალენდარი, რათა თვალყური ადევნონ პროცესის ძირითად მომენტებსა და ეტაპებს და შესაბამისად დაგეგმონ სადამკვირვებლო მისია, განსაკუთრებით, შიდა და გარე ანგარიშგების ჭრილში. გრძელვადიან დამკვირვებელთა

ანგარიშგების ვადები მკაფიოდ უნდა უკავშირდებოდეს საარჩევნო კალენდრის ვადებსა  და მისიის გარე ანგარიშგების კალენდარს.

საარჩევნო კალენდრის ვადები უნდა აისახოს სადამკვირვებლო ფორმაშიც. ეს ხელს შეუწყობს გრძელვადიან დამკვირვებლებს კამპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების დამახსოვრებასა და შესაბამისი ვადებით ანგარიშგებაში.

## მოკლე და მარტივი ფორმები

გრძელვადიან დამკვირვებელთა ანგარიშგების დაჩქარებისათვის, ფორმები შეძლებისდაგვარად უნდა გამარტივდეს. დახურული კითხვები ძირითად გუნდს უფრო ზუსტი მონაცემების მიღების საშუალებას მისცემს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია სტატისტიკური მიზნებისთვისაც. პირველ რიგში, გრძელვადიან დამკვირვებლებს შეიძლება დავუსვათ კითხვები, რომელთა პასუხია „დიახ“ ან „არა“(მაგ.: აღსრულდა თუ არა კონკრეტული სამართლებრივი ნორმა); შემდეგ უნდა მოითხოვონ დამატებითი დეტალები, იმის მიხედვით, დასმულ კითხვაზე პასუხი დადებითი იყო თუ უარყოფითი  (მსგავსი  კითხვების მაგალითები იხ. ცხრილში). ეს ანალიტიკოსებს ზუსტი პასუხების მიღების საშუალებას აძლევს.

ცხრილი 2: ამონარიდი გრძელვადიანი დამკვირვებლის ანგარიშგების ფორმიდან (საქართველო)

<table>
<tr><th colspan="4">ა. საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა</th></tr>
<tr><td>1</td><td>რამდენი სხდომა ჩატარდა საოლქო საარჩევნო კომისიაში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში?</td><td colspan="2">მიუთითეთ რაოდენობა:</td></tr>
<tr><td>2</td><td>ყველა დაინტერესებულ პირს ჰქონდა სხდომაზე დასწრების საშუალება?</td><td>დიახ</td><td>არა (დეტალები ჩაწერეთ B ბლოკში)</td></tr>
<tr><td>3</td><td colspan="3">რომელმა პოლიტიკურმა პარტიებმა არ დაასახელეს საოლქო საარჩევნო კომისიის კანდიდატები კანონის შესაბამისად?<br>ენმ | ქრისტიან-დემოკრა-ტები | სახალხო პარტია | კონსერვა-ტიული პარტია | ლეიბო-რისტული პარტია | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს | ევროპული დემოკრა-ტები | სხვა</td></tr>
<tr><td>4</td><td colspan="3">ცესკომ გამოაქვეყნა საუბნო საარჩევნო კომისიების დეტალური სია კანონით დადგენილ დროს?<br>❑ ტელევიზია | ❑ პრესა | ❑ რადიო | ❑ ვებგვერდი | ❑ საჯარო სტენდი | ❑ არ გამოუქვეყნებია</td></tr>
</table>

## მითითება სამართლებრივ აქტებზე

გრძელვადიან დამკვირვებელთა ფორმებში მოცემულ კითხვები (საჭიროებისამებრ) უნდა შეიცავდეს მითითებას საარჩევნო კანონმდებლობის ზუსტ მუხლებზე, რომლებიც არეგულირებს კონკრეტულ ვითარებას. ამასთან, გრძელვადიან დამკვირვებელთა ფორმები უნდა დაიწეროს სამართლებრივ ენაზე, რაც დამკვირვებლებს წაახალისებს სამართლებრივი ტერმინების სწავლასა და შესაბამისად გამოყენებაში.

## სახელმძღვანელო ინსტრუქციები დამკვირვებლებისათვის

LTO ფორმის პირველ გვერდზე უნდა განთავსდეს ინსტრუქცია/სახელმძღვანელო, რომელიც გრძელვადიან დამკვირვებლებს შეახსენებს ქცევის კოდექსს, ანგარიშგების ვადებსა და ფორმის შევსების წესს. ასევე შესაძლებელია ცალკე მითითებების დამატება კითხვებზე პასუხის გაცემის შესახებ. გრძელვადიანი დამკვირვებლებისთვის უნდა ჩატარდეს პრაქტიკაზე ორიენტირებული ტრენინგები; ანგარიშების მხარდასაჭერად, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მტკიცებულებათა შეგროვების გზებს, მეთოდებსა და ხერხებს (მაგ.: დოკუმენტების ასლები, კამპანიის მასალების ფოტო/ვიდეო ნიმუშები, მოწმეთა ჩვენებები). თუ არჩევნებზე დაკვირვებისას შეიქმნება ფორმის შევსების პრობლემები, ქსელის/გრძელვადიანი დამკვირვებლების კოორდინატორს შეიძლება დაევალოს ელექტრონული ფოსტითა და ტელეფონით მხარდაჭერა, ან დამკვირვებელთა ადგილზე მონახულება.

### მოკლევადიანი დაკვირვების ფორმები

საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებისგან განსხვავებით, ადგილობრივი მოკლევადიანი დამკვირვებლები ძირითადად ერთ უბანზე არიან განლაგებულნი, გახსნიდან შედეგების შეჯამებამდე (რითაც ყალიბდება დამკვირვებელთა სტაციონარული გუნდი); თუმცა, ასევე შეიძლება არსებობდეს მობილური ჯგუფები/დამკვირვებლები, რომლებიც ბევრ საარჩევნო უბანს მოინახულებენ არჩევნების დღის განმავლობაში. თითოეული მოკლევადიანი სტაციონარული გუნდი/დამკვირვებელი ავსებს ფორმებს ერთი საარჩევნო უბნის (საუბნო საარჩევნო კომისიის) შესახებ. მოკლევადიანი დამკვირვებლის პაკეტში ძირითადად ერთიანდება:

- STO სტანდარტული ფორმა, რომელიც აგროვებს რაოდენობრივ და თვისობრივ მონაცემებს საარჩევნო უბანზე (იხ. დანართი 3);
- ინციდენტის ფორმა, რომელიც აწვდის მყისიერ და დეტალურ ინფორმაციას საარჩევნო უბანზე მომხდარი თითოეული ინციდენტის შესახებ (იხ. დანართი 3);

- განცხადება საჩივრის ფორმა რომელიც ითხოვს რეაგირებას დაფიქსირებულ დარღვევაზე (იხ. დანართი 3);

ამასთან, მოკლევადიან დამკვირვებელს თავისი განრიგი ეხმარება, რომ დაიცვას პროცედურები, შეაგროვოს სათანადო ინფორმაცია, შესაბამის ფორმებში ასახოს მიგნებები და განსაზღვრულ დროში მოახერხოს ანგარიშგება.

მოკლევადიან დამკვირვებელთა ფორმების შედგენისას ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ასპექტებს:

## ფორმების ადაპტირება

მოკლევადიანი დამკვირვებლის ფორმები უნდა შემუშავდეს სადამკვირვებლო მეთოდოლოგიისა და ანგარიშგების მიზნის შესაბამისად. თუ ხმებს პარალელურად ითვლიან (PVT) სატელეფონო ზარის ან SMS ანგარიშგების სისტემის საშუალებით, მაშინ STO სტანდარტული ფორმა უნდა იყოს მოკლე და მარტივი, რადგან მონიტორინგი ორიენტირებულია კონკრეტული მონაცემების შეგროვებაზე ზუსტად დადგენილ ვადებში. სტაციონარული და მობილური ჯგუფების/დამკვირვებლებისთვის ფორმები შეიძლება უფრო გრძელი იყოს და მეტ კითხვას შეიცავდეს, STO სტანდარტულ ფორმას კი დაემატოს ინციდენტის ფორმები, რომლებიც გვაწვდის ინფორმაციას საარჩევნო უბნებზე დარღვევების/შეუსაბამობების შესახებ.

## ფორმების გამოცდა

საარჩევნო დღის პროცედურათა კითხვარი ფორმებში მოცემული კითხვების სახელმძღვანელოს როლს ასრულებს. STO ფორმების შემუშავებისას დამატებით გასათვალისწინებელია შემდეგი კითხვები:

- რა შეიძლება იყოს პოტენციური ტენდენციები/დარღვევები?
- რომელმა ძირითადმა საკითხებმა შეიძლება იქონიოს გავლენა შედეგებზე?
- როგორ შეიძლება ინფორმაციის პრიორიტეტიზება?
- რა პასუხი გაეცემა თითოეულ კითხვას?
- როგორ გაანალიზდება შეგროვებული მონაცემები?
- რომელია წინა არჩევნების მიგნებები?
- რა იყო პასუხი თითოეულ კითხვაზე?
- ხომ არ არის კითხვა, რომელიც საჭიროებს მოდიფიცირებას ან ჩანაცვლებას, რადგან მას არ გაეცა სათანადო პასუხი?

**კარგი პრაქტიკის მაგალითი: STO ფორმების გამოცდა**

- თუ ბოლო რამდენიმე არჩევნების ანალიზმა აჩვენა გახსნის პროცედურისას დარღვევების ძალიან დაბალი რაოდენობა/ პროცენტული მაჩვენებელი და არ მოელით მათ არსებობას მომავალ არჩევნებზე, შესაძლებელია კითხვათა რაოდენობის შემცირება ან განზოგადება, მაგალითად: საარჩევნო უბნების გახსნისა და მოწყობის პროცესი კანონის შესაბამისად ჩატარდა? ამ გზით მოკლევადიანი დამკვირვებელი მაინც შეძლებს მიჰყვეს არჩევნების დღის პროცედურათა დეტალურ კითხვარს. თუ დამკვირვებელი აღმოაჩენს დარღვევას საარჩევნო უბნის გახსნისას, მას შეუძლია, ინციდენტის ფორმა შეავსოს.

## ფორმების თანმიმდევრულობა

ფორმებში უნდა აისახოს არჩევნების დღის მთლიანი პროცესის ყველა ეტაპი: გახსნა, ხმის მიცემა, დათვლა და დაჯამება. კითხვები უნდა შეესაბამებოდეს თითოეული ეტაპის პროცედურებს.

**კარგი პრაქტიკის მაგალითი: კითხვები ხმის მიცემის პროცესის შესახებ**

- აჩვენებდნენ ამომრჩევლები პირადობის მოწმობებს?
- მოწმდებოდა მარკირება?
- ეძლეოდა უკვე მარკირებულ ამომრჩეველს ხმის მიცემის საშუალება?
- ადასტურებდნენ რეგისტრატორები ბიულეტენებს ხელმოწერითა და ბეჭდით?
- ყველა ამომრჩეველს უტარდებოდა მარკირება?

## მარტივად გასაგები ფორმები

კითხვები უნდა იყოს ძალიან მკაფიო და ცალსახა, რათა თავიდან ავიცილოთ განსხვავებული ინტერპრეტაციები. არასწორმა პასუხმა შესაძლოა გავლენა იქონიოს დასკვნების სიზუსტეზე. ღია კითხვების რაოდენობა უნდა შეიზღუდოს; უმეტესად უნდა გამოიყენონ დახურული კითხვები, ალტერნატიული პასუხების მითითებით, რათა შემცირდეს შეცდომები. ღია კითხვები ისმება მხოლოდ მაშინ, თუ არ არსებობს ინფორმაციის შეგროვების სხვა გზა.

**კარგი პრაქტიკის მაგალითი: ღია და დახურული კითხვები**

- Q.X – საარჩევნო უბანი დროულად გაიხსნა?
- მოცემული კითხვის ინტერპრეტირება ორნაირად შეიძლება: (1) საარჩევნო უბანი კომისიის წევრებმა ხმის მიცემის დაწყებამდე გახსნეს; ან (2) საარჩევნო უბანი მოწყობილი იყო და მზად გახლდათ ამომრჩევლების მისაღებად.
- შესაძლებელია ზემოხსენებული კითხვის უფრო კონკრეტულად ფორმულირება:
- Q.X – როდის გახსნეს საარჩევნო უბანი საუბნო საარჩევნო კომისიის (PEC) წევრებმა მოსაწყობად?
- Q.Y – როდის იყო საარჩევნო უბანი მზად პირველი ამომრჩევლის მისაღებად?
- ეს უკანასკნელი კითხვები ძირითად გუნდს უფრო კონკრეტულ პასუხებს აწვდის.

## ფორმების ლოგიკური შემოწმებები

ლოგიკური შემოწმებები ძირითად გუნდს არჩევნების შედეგების ოქმში ბალანსთა სისწორის გადამოწმების საშუალებას აძლევს. სტატისტიკის ექსპერტმა შეიძლება შეიმუშაოს მნიშვნელოვანი ლოგიკური შემოწმებების სია, რომლებიც ჩართული უნდა იყოს სადამკვირვებლო მისიის პროგრამულ უზრუნველყოფაში. ეს სია უნდა გამოიყენონ მოკლევადიანი დამკვირვებლების ტრენინგისთვისაც. ამ გზით მოკლევადიანი დამკვირვებლები ისწავლიან მათი პასუხების სისწორის შემოწმებას და შეძლებენ უფრო ზუსტი მონაცემების ანგარიშგებას. საუკეთესო გზა ამისათვის გახლავთ სავარაუდო სცენარების მომზადება, რომლებშიც შესაძლებელია პროცესი შეფასდეს როგორც „კარგი“ ან „ცუდი“.

**კარგი პრაქტიკის მაგალითი: შეფასების პროცესის სისწორის ლოგიკური შემოწმება**

- კითხვა Q.A: მოწმდებოდა მარკირება?
- Q.A კითხვის პოტენციური ალტერნატიული პასუხები – 1) ყოველთვის მოწმდებოდა; 2) არ შემოწმდა ხუთიდან ერთ შემთხვევაში; 3) არ შემოწმდა ხუთზე მეტ შემთხვევაში.
- კითხვა Q.B: დაცული იყო თუ არა ბიულეტენის კონფიდენციალობა?
- Q.B კითხვის პოტენციური ალტერნატიული პასუხები – 1) ყოველთვის; 2) არ იყოს დაცული ხუთიდან ერთ შემთხვევაში; 3) არ იყო დაცული  ხუთზე მეტ შემთხვევაში.

▬ კითხვა Q.C: შეინიშნებოდა ამომრჩეველზე ზეწოლა?

▬ Q.C კითხვის პოტენციური ალტერნატიული პასუხები – 1) დიახ; 2) არა.

▬ კითხვა Q.D: ხმის მიცემის პროცესი კანონით დადგენილი პროცედურების შესაბამისად ჩატარდა?

▬ Q.D კითხვის პოტენციური ალტერნატიული პასუხები – 1) დიახ, პროცესმა კარგად ჩაიარა; 2) დიახ, პროცესმა კარგად ჩაიარა, მაგრამ შეინიშნებოდა მცირე ხარვეზები; 3) არა, პროცესი მრავალი დარღვევით ჩატარდა; 4) არა, პროცესი მნიშვნელოვანი დარღვევებით ჩატარდა.

▬ ლოგიკური შემოწმებები: თუ კითხვაზე Q.A პოტენციური ალტერნატიული პასუხია ნომერი 2 (Q.A=2), B კითხვაზე - ნომერი 1 (Q.B=1) და Q.C კითხვაზე ნომერი 1 (Q.C=1), შეფასების Q.D კითხვაში დამკვირვებელმა უნდა შეარჩიოს ალტერნატიული პასუხი ნომერი 3, რომელიც აღნიშნავს, რომ პროცესი დარღვევებით წარიმართა (Q.D=3).

## კავშირი მოკლევადიან დამკვირვებელთა სტანდარტულ და ინციდენტის ფორმებს შორის

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კავშირი ამ ფორმებს შორის იძლევა, ერთი მხრივ, მეთოდოლოგიაზე/ანგარიშგების კონკრეტულ ტიპზე მორგების საშუალებას მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაკარგვის გარეშე და, მეორე მხრივ, ზრდის შეგროვილ მონაცემთა საიმედოობასა და სიზუსტეს. ფორმების ინტეგრაცია ერთ პროგრამაში გვეხმარება განსხვავებებისა და შეცდომების გამოვლენაში, რომლებიც შეიძლება გადამოწმდეს და გასწორდეს.

**კარგი პრაქტიკის მაგალითი: კორელაცია სხვადასხვა ტიპის ფორმებს შორის**

▬ 2014 წელს „სამართლიანმა არჩევნებმა“ საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს გაუწია მონიტორინგი PVT მეთოდოლოგიის გამოყენებით (SMS ანგარიშგების საშუალებით). მოკლევადიან დამკვირვებელთა სტანდარტული და ინციდენტის ფორმები ერთ პროგრამაში გაერთიანდა. სტანდარტული ფორმებიდან მიღებული ინფორმაცია SMS ცენტრს ეცნობებოდა, ხოლო ინციდენტის ფორმებში ასახული დარღვევები - ინციდენტთა ცენტრს. სისტემამ „სამართლიან არჩევნებს“ საშუალება მისცა, 150 განსხვავება გამოევლინა ორ ფორმას შორის: დარღვევები ფიქსირდებოდა სტანდარტულ ფორმაში და ეცნობებოდა SMS ცენტრს, თუმცა არ შეუვსიათ ინციდენტის ფორმები და არ წარუდგენიათ

ინციდენტთა ცენტრისთვის. სისტემამ „სამართლიან არჩევნებს“ საშუალება მისცა, გაეწმინდა მონაცემები და ანგარიშგებაში მეტი სიზუსტისთვის მიეღწია.

## 3.4. რჩევები ტრენინგებთან მიმართებით

ტრენინგის სტრატეგიის ზოგადი სამოქმედო გეგმის განხილვის შემდეგ (იხ.: თავი 2.4), ამ ქვეთავში წარმოდგენილია კონკრეტული რჩევები, რომლებიც შეიძლება სასარგებლო იყოს სასწავლო აქტივობათა სათანადოდ მომზადებისათვის. ასევე, განიხილება მთელი რიგი მეთოდები, რომლებითაც შესაძლებელია ცოდნის გადაცემა და უნარების უკეთესი და სწრაფი ათვისება. ტრენერებმა უნდა შეაფასონ, რეალურად, რომელი მეთოდები პასუხობს ჩასატარებელი სესიების საჭიროებებს. სამიზნე ჯგუფისა (მაგ.: გრძელვადიანი დამკვირვებლები, მოკლევადიანი დამკვირვებლები, კოორდინატორები, ანგარიშის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები) და სხვა ფაქტორების (მაგ.: დრო, მატერიალური რესურსები, ტრენერის უნარები, მსმენელთა პროფილები) გათვალისწინებით, შესაძლებელია სიაში შესაბამისი სწავლების მეთოდების მოძიება.

ყველა ქვემოთ მოცემული მეთოდის გამოყენება შეიძლება როგორც შიდა, ისე გარე ანგარიშგებაზე ორიენტირებული ტრენინგისათვის (იხ.: თავი 4.1). ქვემოთ მოცემულია მეთოდების სრული სია; ტრენერებმა თითოეული ტექნიკა უნდა ჩამოაყალიბონ ტრენინგის დადგენილი მიზნის შესაბამისად.

შიდა ანგარიშგებაზე სასწავლო სესიების ჩატარებისას, საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაცია უნდა შეეცადოს ყურადღების გამახვილებას შიდა ანგარიშგების სხვადასხვა ტიპზე (მაგ.: მოკლევადიანი დამკვირვებლის ანგარიშგება გრძელვადიანთან; გრძელვადიანი დამკვირვებლისა - ძირითად გუნდთან; ძირთადი გუნდისა - ძირითად გუნდთან; ძირითადი გუნდისა - მოკლევადიან დამკვირვებელთან (ბრიფინგი/დეტალური ანგარიში)). თითოეული პოზიციის როლი დამოკიდებულია შიდა ანგარიშგების ტიპზე; გამოსაყენებელი მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს თითოეული სიტუაციის საჭიროებებს. მაგალითად, ტრენინგი მოკლევადიანი დამკვირვებლის ანგარიშგებაზე გრძელვადიან დამკვირვებელთან შეიძლება ყურადღებას ამახვილებდეს ადგილზე მოპოვებულ მონაცემთა სიზუსტეზე; განსაკუთრებით შესაფერი იქნება შემდეგი მეთოდები: - არჩევნების სიმულაცია, შემთხვევების შესწავლა ან წერილობითი სავარჯიშოები.

ალტერნატიულად, როცა საქმე ეხება ტრენინგს გრძელვადიან დამკვირვებელთა ანგარიშგებაზე ძირითად ჯგუფთან, საჭიროა პოლიტიკური, მედია და სამართლებრივი კონტექსტის მიმოხილვა. ამრიგად, შესაფერისი სასწავლო მეთოდები იგივე ვერ იქნება. შეიძლება აქ უფრო გამოგვადგეს კონტექსტის განხილვის სავარჯიშოები (მაგ.: იმავე შემთხვევაში წარსული ანგარიშების წაკითხვა), ან სასწავლო სესიები დაბალანსებისა და სინთეზის შესახებ.

## სხვადასხვა სასწავლო მეთოდი

შეტყობინების მისაწოდებლად ტრენერებმა შეიძლება მთელი რიგი მეთოდები გამოიყენონ, რომლებიც დახარისხდება ოთხ სხვადასხვა მიდგომად:

1. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) საშუალებები სასარგებლო ინსტრუმენტია, თუ სადამკვირვებლო ორგანიზაცია დასაბუთებული შეფასებით მივიდა დასკვნამდე, რომ შესაბამის სასწავლო სესიას სწორედ ეს სჭირდება. PowerPoint-ის პრეზენტაციებმა, ისევე, როგორც ვიდეოკლიპებმა, უნდა გააძლიეროს სასწავლო სესიის ძირითადი მიზანი: მაგალითად, მსმენელთა ანგარიშგების უნარების გაუმჯობესება. თუმცა, თავისთავად ეს ვერასდროს იქნება ინსტრუმენტი. შემდეგი ICT საშუალებების გამოყენება შეიძლება სასწავლო სესიების განმავლობაში:
    - PowerPoint-ის საშუალებით ინფორმაციის წარმოდგენა (მაგ.: ძირითადი საერთაშორისო სტანდარტები, საარჩევნო ანგარიშის სტრუქტურა);
    - ვიდეოკლიპის ჩვენება (მაგ.: დამკვირვებლების საუბარი პრესასთან);
    - ჩაწერილი ინტერვიუების ჩატარება (მაგ.: კითხვების დასმა დამკვირვებელთა პირადი აზრის, ორგანიზაციის დაფინანსების, ასევე, დამკვირვებლის ასაკისა და სადამკვირვებლო კვალიფიკაციის შესახებ).
2. წაკითხვა. არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ შეიძლება გადაწყვიტოს წერილობითი დოკუმენტაციის გამოყენება სასწავლო სესიებზე. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლებისას, როგორც მიწოდებული ინფორმაციის თავმოყრის საშუალება. ანგარიშები, სახელმძღვანელოები და სხვა მსგავსი მასალები სისტემურ და სტრუქტურირებულ მონაცემებს აწვდის მსმენელებს, მაგრამ მათი გამოყენება სწორად უნდა დაბალანსდეს. ზედმეტად ბევრი კითხვის გამო სესიები შეიძლება გახდეს პასიური და ნაკლებ ინტერაქტიული. სასწავლო სესიების განმავლობაში შეიძლება გამოიყენონ შემდეგი მიდგომები:
    - ანგარიშის კითხვის სესიები (მაგ.: ბოლო არჩევნებზე ანგარიშის რეზიუმესა და საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებების წაკითხვა).
    - საჯარო სახელმძღვანელოებთან/დოკუმენტებთან მუშაობა (მაგ.: საერთაშორისო სტანდარტებისა და მარტივის ენის შესახებ პარაგრაფების ხმამაღლა წაკითხვა; ევროპის საბჭოს კარგი პრაქტიკის კოდექსსა ან ეუთო-ს კოპენჰაგენის დოკუმენტზე მითითება).
3. სიმულაციები და პრაქტიკული მაგალითები. რეკომენდებულია სიმულაციების მოწყობა საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ, რაც ძალზე ეფექტიანია, ყოველ

შემთხვევაში, გარკვეულ სამიზნე ჯგუფებში (მაგ.: მოკლევადიანი დამკვირვებლები). როლური თამაშები მონაწილეებს საშუალებას აძლევს, თვალსაჩინოდ წარმოიდგინონ ანგარიშგების სიტუაციები, რასაც ვერ შეძლებენ მათი წაკითხვითა თუ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. სასწავლო მაგალითების მოფიქრება შეუძლიათ საარჩევნო დამკვირვებლებსაც. ეს ძალიან სასარგებლოა, განსაკუთრებით, თუ ნიმუშებს რეალური ანგარიშგების სიტუაციებიდან შეარჩევენ. ტრენინგის განმავლობაში შეიძლება გამოიყენონ შემდეგი მიდგომები:

- მონაწილეთა ჩართვით არჩევნების სიმულაციის მოწყობა (დამკვირვებელთა ქცევის ერთობლივად შეფასების, ასევე, დარღვევების დოკუმენტირებისა და ანალიზის მიზნით).
- წერითი სავარჯიშოები: ცოდნის გადაცემა შემთხვევაზე ინფორმაციის შედგენით; საარჩევნო უბნის მოხელეთა სახელზე საჩივრის დაწერა და ორგანიზაციასა და მის სადამკვირვებლო მეთოდოლოგიაზე მოკლე ინფორმაციის მიწოდება; პრესრელიზების დაწერა (მაგ.: როგორი უნდა იყოს რეაგირება ორგანიზაციის წინააღმდეგ გამოთქმულ მოსაზრებებზე).
- სწრაფი ინტერვიუების ჩატარება იმ ფრაზების დასაზეპირებლად, რომელთა გამოყენებაც მონაწილეებს შეუძლიათ ყოველდღიურ სადამკვირვებლო სიტუაციებში (მაგ.: რას საქმიანობს თქვენი ორგანიზაცია? რომელ მეთოდოლოგიას იყენებთ არჩევნებზე დაკვირვებისათვის?).
- წინა საარჩევნო ანგარიშებიდან პრაქტიკული მაგალითების განხილვა ანგარიშგების გასაუმჯობესებლად (მაგ.: ქცევის კოდექსი, ჭორების დოკუმენტირება, შესაფერისად ფორმირება).

4. გუნდის ერთობა და მდგრადობა. სადამკვირვებლო მისია უნდა შეეცადოს, გაძლიერდეს გუნდური სულისკვეთება! თუ ისინი ყველა საარჩევნო დამკვირვებელს ერთიან სურათს დაანახვებენ, აიცილებენ ინდივიდუალურ მიდგომებს, რომლებიც, საბოლოოდ, შეიძლება მთლიანი მისიისთვის არარელევანტური აღმოჩნდეს. სადამკვირვებლო მისიამ უნდა განიხილოს ტრენინგის ჩატარება მიმდინარე რეჟიმში, რითაც უზრუნველყოფს პირადი ურთიერთობის უწყვეტობას. ასეთი სისტემატიზებული, ინტეგრირებული და შერეული სწავლება შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ინსტრუმენტებს:

    - თემატური საარჩევნო ექსპერტების (მაგ.: კამპანიის ფინანსების შესახებ) ინტერდისციპლინური უნარების ხელშეწყობა ტრენინგის საშუალებით, მათი ანგარიშგების სტილის (ანუ ფორმულირება, სტრუქტურა, სიღრმე) მოსარგებად ორგანიზაციის საერთო ანგარიშგების საჭიროებებზე;
    - ინდივიდუალური უკუკავშირის მიწოდება თემების შესახებ (ძირითადი გუნდის მიერ - მოკლევადიან/გრძელვადიან დამკვირვებელთათვის);

- ონლაინ ფორუმების/აპლიკაციის შექმნა ანგარიშგების ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებზე.
- არსებული ინსტრუქციებისა და ევროპის საბჭოს სახელმძღვანელოების გამოყენების წახალისება.
- ტრენინგის მონაწილეთა (მოკლევადიანი/გრძელვადიანი დამკვირვებლები, ძირითადი გუნდის წევრები) წახალისება, რომ ჩაერთონ ევროპის საბჭოს ელექტრონულ სასწავლო კურსში ანგარიშის წერის შესახებ.

## 3.5. შესაძლო გამოწვევები და შეზღუდვები

შიდა ანგარიშგებისას მოსალოდნელია დავდგეთ რამდენიმე გამოწვევისა და შეზღუდვის წინაშე, რომლებმაც შეიძლება სერიოზული გავლენა იქონიოს დამკვირვებელთა მიერ ძირითადი გუნდისთვის (ანალიტიკოსები) მიწოდებული და ადგილზე დამუშავებული ინფორმაციის ხარისხზე. გამოწვევები და შეზღუდვები შეიძლება ბევრნაირი იყოს: სადამკვირვებლო მისიას გაუჭირდეს გამოცდილი დამკვირვებლების მოძიება და რეგისტრაცია; დამკვირვებლებმა არ ან ვერ შეძლონ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება; დადგნენ ინტერესთა კონფლიქტის წინაშე; გაუჭირდეთ ფაქტებისა და ციფრების ანგარიშგება გარემოში, რომელიც სავსეა ჭორებითა და ვარაუდებით; შეზღუდული წვდომა ჰქონდეთ ინფორმაციაზე და მოუწიოთ სენსიტიური ინფორმაციის დამუშავება.

ეს თავი მიმოიხილავს ჩამოთვლილი გამოწვევებისა და შეზღუდვების დაძლევის შესაძლო გზებს.

### გამოცდილი დამკვირვებლების დაქირავება

#### ქსელის საშუალებით დაქირავება

დამკვირვებელთა დაქირავება შეიძლება რთული პროცესი აღმოჩნდეს, რაც გამოწვეულია იმით, რომ ამდენი პროფესიონალი და მიუკერძოებელი ადამიანია მოსაძებნი მთელი ქვეყნის მასშტაბით. გრძელვადიან და მოკლევადიან დამკვირვებელთა შერჩევა შეიძლება შემდეგი წყაროების საშუალებით:

- უკვე არსებულ მონაცემთა ბაზებში;
- გრძელვადიან და მოკლევადიან დამკვირვებელთა შერჩევის მუდმივი რეგიონული და რაიონული ქსელებით;
- განცხადებების შესაგროვებლად თქვენი ვებგვერდის გამოყენებით. გაითვალისწინეთ, რომ დაქირავების ეს საშუალება, სხვებთან შედარებით, მეტ რისკს შეიცავს.

## დამკვირვებელთა ტრენინგი და შეფასება

ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეიძლება სხვადასხვა მიდგომის გამოყენება, მათ შორისაა: შერჩევაზე დაფუძნებული წარმომადგენლობითი დაკვირვება; პრაქტიკაზე ორიენტირებული ტრენინგები და მრავალეტაპიანი შეფასების სისტემები, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს უფრო პროფესიონალი დამკვირვებლების მივლინებას ადგილზე.

- შერჩევაზე დაფუძნებული წარმომადგენლობითი დაკვირვება საშუალებას გაძლევთ, შეარჩიოთ ყველა საარჩევნო უბნის დაახლოებით 20% და მიიღოთ წარმომადგენლობითი შედეგები მთლიანი ქვეყნის მასშტაბით. ამ გზით შემცირდება მოკლევადიან დამკვირვებელთა რაოდენობა და გაიზრდება პროფესიონალ კანდიდატთა პოვნის ალბათობა;
- პრაქტიკაზე დაფუძნებული ტრენინგი გვეხმარება მონაწილეთა ცოდნის ხარისხის გაზრდასა და დაკვირვების უნარის გაზომვაში; სასწავლო სესიებში შეგიძლიათ ჩართოთ ტრენინგამდელი და ტრენინგის შემდგომი ტესტები, ასევე, ტრენერების შეფასება. გახსოვდეთ, რომ მნიშვნელოვანია საჭიროზე მეტი დამკვირვებლის ტრენირება; ყოველთვის სასურველია, არსებობდეს მცოდნეთა რეზერვი;
- დაქირავების მრავალეტაპიანი სისტემა საშუალებას გაძლევთ, დამკვირვებლები სხვადასხვა ეტაპზე შეაფასოთ. მიღების პროცესი შეიძლება ასეთი იყოს: შეისწავლით კანდიდატთა რეზიუმეს/CV-ს, ამოწმებთ რეკომენდაციებს სანდო ორგანიზაციებიდან ან პირებისგან, რის შემდეგაც ატარებთ პირისპირ ინტერვიუს და კანდიდატებს აწერინებთ ანგარიშგების უნარების შესამოწმებელ ტესტებს.

**კარგი პრაქტიკის მაგალითი: დაქირავების მრავალეტაპიანი პროცედურა**

2014 წლის ადგილობრივი არჩევნებისთვის საქართველოში „სამართლიანმა არჩევნებმა“ შეიმუშავა ერთიანი, მრავალეტაპიანი შეფასების მონაცემთა ბაზა, რომელიც თითოეული საფეხურისათვის ინდივიდუალურ კრიტერიუმებს შეიცავდა.

შეფასების პროცესის საფეხურები ასეთი იყო:

- მოკლევადიანი დამკვირვებლობის კანდიდატები ტრენინგამდე ავსებდნენ ტესტებს; მოწმდებოდა მათი საბაზისო ცოდნა;
- ისინი ავსებდნენ ტრენინგის შემდგომ ტესტებს, სადაც მოწმდებოდა ტრენინგიდან მიღებული ცოდნა და დაკვირვების უნარი;

- არჩევნებამდე 10 დღით ადრე მოკლევადიანი დამკვირვებლები გადიოდნენ არჩევნების დღის სიმულაციებს; „სამართლიანი არჩევნები“ ამოწმებდა მათი ანგარიშების ხარისხსა და პრაქტიკაში დაკვირვების უნარს;
- არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ტარდებოდა ვერბალური ტესტები და მოწმდებოდა მოკლევადიან დამკვირვებელთა ცოდნა არჩევნებზე დაკვირვების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ; შეცდომის შემთხვევაში, მათ კვლავ შეახსენებდნენ სწორ პასუხებს;
- „სამართლიანი არჩევნები“ პროცესის დამთავრების შემდეგ ატარებდა არჩევნების დღის აუდიტს და ამოწმებდა ფორმების შესაბამისობას მონაცემთა ბაზებში ასახულ ინფორმაციასთან.

ამ პროცესის განმავლობაში „სამართლიანმა არჩევნებმა“ შეძლო მოკლევადიან დამკვირვებელთა ჩანაცვლება ან ხელახალი ინსტრუქტირება (1000-ზე მეტი დამკვირვებლიდან 23 ჩანაცვლდა და 18-ს ხელახალი ინსტრუქტირება ჩაუტარდა). ამ კომპლექსური ტრენინგისა და შეფასების შემდეგ, „სამართლიან არჩევნებს“ აქვს მოკლევადიან დამკვირვებელთა ძირითადი კვალიფიკაციების მონაცემთა ბაზა, რაც მათი მიზანმიმართული მივლინების საშუალებას იძლევა.

## უარი დამოუკიდებელ დამკვირვებლად რეგისტრაციაზე

ზოგ ქვეყანაში არასამთავრობო ორგანიზაციებს არ აქვთ არჩევნების დღეს საარჩევნო უბანზე შესვლისა და ნებისმიერი კომისიის (საუბნო საარჩევნო კომისია, საოლქო საარჩევნო კომისია და უმაღლესი დონის საარჩევნო კომისიები) მუშაობაზე დაკვირვების უფლება. ასეთ შემთხვევაში, სადამკვირვებლო მისიამ შეიძლება განიხილოს შემდეგი ვარიანტები:

- დამკვირვებელთა რეგისტრაცია ჟურნალისტებად;
- დამკვირვებელთა რეგისტრაცია მინდობილ პირებად (კანდიდატთა დამკვირვებლები);
- თუკი ასეთი შესაძლებლობა არსებობს, დაკვირვება თითოეული საარჩევნო უბნის პირდაპირ ტრანსლაციაზე.

დამკვირვებლებმა წესების დაცვით უნდა იმოქმედონ და აცნობონ დაფიქსირებულ ინციდენტებზე, პრობლემებსა და დარღვევებზე. ზემოხსენებული ვარიანტები, როგორც ასეთი, რეკომენდებული არ არის, თუმცა, სურვილისამებრ, შეიძლება გამოყენება გამონაკლის შემთხვევებში.

## დამკვირვებლის ინტერესთა კონფლიქტი

დამკვირვებლებმა, რომელთაც წარმოეშობათ ინტერესთა კონფლიქტი, შეიძლება გავლენა იქონიონ ორგანიზაციის დასკვნთა საიმედოობასა და

სანდოობაზე, განსაკუთრებით, პატარა რეგიონებსა და სოფლებში, სადაც კომისიის წევრები, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და საარჩევნო სუბიექტები დამკვირვებელთა ნათესავები ან/და მეგობრები არიან.

სადამკვირვებლო ორგანიზაციას მკაფიო კრიტერიუმები უნდა ჰქონდეს დამკვირვებელთა მიუკერძოებლობის, წარსული გამოცდილებისა და პოლიტიკურ, სამთავრობო თუ საჯარო სექტორთან ურთიერთობის გამოსავლენად. ზოგიერთ შემთხვევაში, ინტერესთა კონფლიქტი გარდაუვალია. შესაძლო გადაჭრის გზებია:

- საკმარისი რესურსების არსებობის შემთხვევაში, დამკვირვებელთა სხვა რეგიონებიდან ან ქალაქებიდან მივლინება;
- საკმარისი რესურსების არარსებობისას შესაძლებელია დამკვირვებელთა განლაგება იმავე სოფლებსა და ქალაქებში, თუმცა, მათი საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე შორეულ საარჩევნო უბნებში, სადაც არ ჰყავთ ნათესავები ან/და მეგობრები კომისიების წევრებს ან საარჩევნო კანდიდატებს შორის.

## ჭორები და სპეკულაციები

### ვარაუდებსა და ჭორებთან დაკავშირებული ვითარებების ფრთხილად მართვა

დაკვირვებისას მისიის წევრები ბევრ ინფორმაციას მიიღებენ საარჩევნო ინციდენტებზე; ზოგი სანდო იქნება, ზოგი - ნაკლებად (ან არც). დამკვირვებლებმა მკაფიოდ უნდა აღნიშნონ, ანგარიშში მოწოდებული ინფორმაცია პირადი დაკვირვების შედეგი იყო თუ სხვა სანდო ფაქტებს ან ვარაუდებს ეფუძნებოდა.

**კარგი პრაქტიკის მაგალითი: ვარაუდებზე ინფორმაციის ასახვა ანგარიშებში**

დამკვირვებლებმა მიიღეს სანდო ინფორმაცია, რომ ამომრჩევლებზე, პარტიის მხარდამჭერებსა და საჯარო დაწესებულებათა თანამშრომლებზე ხორციელდებოდა ზეწოლა სამთავრობო კანდიდატების მხარდასაჭერად. 7 ოლქში დამკვირვებლებმა შეძლეს მტკიცებების სანდოობის გადამოწმება, ან მათი დადასტურება მრავალი წყაროდან;

ან:

დამკვირვებლებმა მრავალი შეტყობინება მიიღეს მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქალაქეებზე ზეწოლისა და მათი დაშინების შესახებ (არჩევნების კონტექსტში). ძირითადმა გუნდმა გადაამოწმა ანგარიშებში ასახული ეს ინფორმაცია და აღმოჩნდა, რომ უმეტეს შემთხვევაში სარწმუნო იყო. მაშინაც კი, როდესაც გარკვეული ვარაუდების დასაბუთება ვერ ხერხდებოდა, ხშირად ცხადი გახლდათ,

რომ ხალხს მათი სჯეროდა, რაც ზიანს აყენებდა ამომრჩეველთა უფლებას - „თავისუფლად მიეცათ ხმა, მომავალში ანგარიშსწორების შიშის გარეშე“. ამ პრობლემამ სერიოზულად დააზიანა საარჩევნო პროცესის ხარისხიც.

ჭორები გადაუმოწმებელი ინფორმაციაა, რომელიც პირიდან პირზე ვრცელდება; მათ ხშირად არ ახლავს მტკიცებულებები. საარჩევნო დამკვირვებლები ცდილობენ, ისეთი მოვლენები ასახონ ანგარიშებში, რომლებსაც თვითონ შეესწრნენ და აღრიცხეს დოკუმენტებში, ან რომლებზეც მიიღეს სანდო ინფორმაცია.

## ფაქტების კონსტატირება

უნდა მოვერიდოთ ისეთ ფრაზებს, როგორიცაა „გარკვეული შემთხვევები“ ან „სხვადასხვა მოკვლევა“. ორი სიტყვა „გარკვეული“ და „სხვადასხვა“ მკითხველს უტოვებს შთაბეჭდილებას, რომ, მაგალითად, სადამკვირვებლო მისიამ არ იცის მათ მიერ დაფიქსირებულ ან შეტყობინებულ შემთხვევათა ზუსტი რაოდენობა.

**კარგი პრაქტიკის მაგალითი: ფაქტებზე ანგარიშგება**

- საარჩევნო კოდექსის 43-ე და 45-ე მუხლები პოლიტიკურ პირებს თანამდებობაზე ყოფნისას საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის საშუალებას აძლევს;
- დამკვირვებლებმა შეისწავლეს განხორციელდა თუ არა მმართველი პარტიის სასარგებლოდ უკანონო შემოწირულობები ოთხ შემთხვევაში;
- სამ შემთხვევაზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ცნობებს აგროვებდნენ.

მკაფიოდ მიუთითეთ, პირადი დაკვირვების ანგარიშგებას ახდენთ თუ არა...

**კარგი პრაქტიკის მაგალითი: დაკვირვების შედეგებზე ანგარიშგება**

- გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა გვაცნობეს მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც საჯარო მოხელეებსა და მასწავლებლებს მოუწოდებდნენ პარტიის აქციებში მონაწილეობისაკენ.

... ან თქვენთვის შეტყობინებული ინფორმაცია. ყოველთვის მიუთითეთ წყაროც.

**კარგი პრაქტიკის მაგალითი: ანგარიშგების წყაროები**

- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შედეგად განაცხადა, რომ ქვეყნის მასშტაბით ბიულეტენების 2.83% ბათილად გამოცხადდა.

როდესაც საქმე გვაქვს ჭორებთან, ინფორმაცია შეიძლება გადამოწმდეს შემდეგნაირად:

- მოწმეების მოძიება;
- განცხადებების ერთგვაროვნების გადამოწმება;
- მხარდამჭერი დოკუმენტების მოძიება;
- მსგავს შემთხვევებთან შედარება;
- ჩართულ პიროვნებათა წარსული ისტორიის გადამოწმება;
- ჭორების გამავრცელებელ პირთა მოტივაციის გათვალისწინება.

## სენსიტიურ ინფორმაციასთან მუშაობა

### სენსიტიური ინფორმაციის სათანადოდ შენახვა

სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები პირად მონაცემებზე ყველანაირი არასანქცირებული წვდომის ასაცილებლად. საჭიროა პირთა ვინაობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის უსაფრთხოდ დამუშავება და შენახვა:

- საოფისე მაგიდები და კარადები დაკეტილი უნდა იყოს;
- კომპიუტერები დაიცვან პაროლით;
- პაროლები საიდუმლოდ შეინახონ და რეგულარულად იცვლებოდეს;
- მონაცემთა შენახვის მოწყობილობები, რომლებიც პერსონალურ ინფორმაციას შეიცავს, მოათავსონ სეიფში;
- ქაღალდები და დოკუმენტები არ დატოვონ მერხებსა და მაგიდებზე;
- ინფორმაცია კომპიუტერის ეკრანზე არ იყოს ხელმისაწვდომი/ხილული არაავტორიზებულ მომხმარებელთათვის;
- „სენსიტიურ“ მონაცემებზე წვდომა ძალიან შეიზღუდოს.

### სიფრთხილე ინფორმაციის გამჟღავნებისას

სადამკვირვებლო ორგანიზაციამ არ უნდა გადასცეს რაიმე ინფორმაცია ნებისმიერ მესამე მხარეს ძირითადი გუნდის ნებართვის გარეშე. ეს გულისხმობს მშობლებს ან სხვა ურთიერთობებში მყოფ პირებს, პარტნიორებს, მეგობრებსა და კოლეგებსაც.

პოლიციას შეიძლება ჰქონდეს ორგანიზაციის მფლობელობაში არსებულ პირად ინფორმაციაზე წვდომის გარკვეული უფლებამოსილება, რომელსაც ანიჭებს კანონი, თუმცა არა ავტომატურად - ის უნდა უკავშირდებოდეს გამოძიებას/დანაშაულის გამოვლენას, ან/და დამნაშავის დაკავებას. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ინფორმაციის გამომთხოვი პირის ვინაობის დადგენისას. არანაირი ინფორმაცია არ უნდა გაიცეს ოფიციალურ წერილობითი მიმართვის გარეშე, სადაც მოცემულია გამომძიებლის სახელი, წოდება და სამკერდე ნომერი. გაურკვევლობის შემთხვევაში, დამკვირვებელმა საკითხით იურიდიულ მრჩეველს უნდა მიმართოს.

## სიფრთხილე დოკუმენტებისა და ინფორმაციის განადგურებასთან დაკავშირებით

საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაციამ ჩანაწერები უნდა გაანადგუროს დაქუცმაცების ან დაწვის მეშვეობით, რათა ეს ინფორმაცია შემთხვევით არ გამჟღავნდეს ნებისმიერი მესამე მხარისათვის. განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილეა საჭირო კომპიუტერების ხელახალი გამოყენებისა და ჩამოწერის დროს.

## შეზღუდული წვდომა ინფორმაციაზე

ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, სამთავრობო ინსტიტუტებს არ სურდეთ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება და ამის მიზეზი იყოს სამართლებრივი აკრძალვები, შინაგანაწესის ან არსებული კანონმდებლობის არასწორი ინტერპრეტაცია. ასეთ დროს შეიძლება გამოიყენოთ შემდეგი მიდგომები:

- დაეყრდენით ხელმისაწვდომ გამოქვეყნებულ ინფორმაციას (კანონმდებლობა, ინფორმაცია ვებგვერდებზე, ბლოგები, სოციალური მედია, გაზეთები);
- გააანალიზეთ არჩევნების შედეგები (თუ მოწოდებულია საუბნო საარჩევნო კომისიის დონეზე ჩაშლილი ინფორმაცია);
- შეეცადეთ, მეტი ინფორმაცია მიიღოთ, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საჭირო კანონმდებლობაზე მითითებით;
- არჩევნებს შორის შესაბამისი ინსტიტუტების მოხელეებს ტრენინგები ჩაუტარეთ ინფორმაციაზე წვდომის საკითხებში;
- იშუამდგომლეთ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიურ კორპუსთან, რათა ინფორმაციაზე წვდომის საკითხი წამოიჭრას ძირითად სამთავრობო მხარეებთან.

მონაცემები შეიძლება შეგროვდეს რიგითი მოქალაქეებისგან, სადამკვირვებლო ორგანიზაციამ კი გამოსცეს მოთხოვნა ინფორმაციის მოწოდებაზე სახალხო პლატფორმის საშუალებით. ამ გზით მოქალაქეები დაეხმარებიან გრძელვადიან დამკვირვებლებსა და ძირითად გუნდს მონაცემთა შეგროვებაში. შესაძლებელია მოქალაქეთა წახალისება, რომ ინციდენტებზე ანგარიშები გადაგზავნონ შესაბამის მონაცემთა ბაზაში (დარღვევათა რუკები), ფოტოები და კამპანიის მასალების ფოტოასლები კი ატვირთონ სპეციალურ საჯარო ფოტოგალერეაში.

## საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი: არჩევნების შედეგების სტატისტიკური ანალიზი




საუბნო საარჩევნო კომისიის სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზმა შეიძლება მოგვაწოდოს თაღლითობისა და ფალსიფიკაციის სანდო ინდიკატორები. შესაძლებელია შემდეგი მეთოდების გამოყენება.

- ერთი შეხედვით, მარტივი ანალიზი: მაგალითად, ბათილი ბიულეტენების/მოქმედი ბიულეტენების/აქტივობის იდენტური ნომრების შედარება;
- მონაცემთა ხაზოვანი შედარება: მაგალითად, ერთი პარამეტრის შედარება (როგორიცაა ერთი პარტიის მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა) მოცემულ ოლქში არსებულ უბნებს შორის;
- ორგანზომილებიანი შედარება: საუბნო საარჩევნო კომისიებში აქტივობის შედარება იმავე უბანზე კონკრეტული კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობასთან (იხ. ქვემოთ).

სქემაში ორი პარამეტრის შედარება:

- კანდიდატის მიერ მიღებული ხმები;
- აქტივობა.

სქემა აჩვენებს, რომ 30 საუბნო საარჩევნო კომისიაში აქტივობა იდენტურია +/– 1 ხმის სიზუსტით; აშკარად მიაღწევს 58%-იან აქტივობას. ეს მაგალითი აღებულია რუსეთის საგუბერნატორო არჩევნებიდან 2014 წელს (სანკტ პეტერბურგი, საოლქო საარჩევნო კომისია N5).



თავი 4

# გარე ანგარიშგება

ეს თავი მოიცავს არჩევნებზე დაკვირვების საბოლოო ფაზას, რომლის დროსაც გასაჯაროვდება მისიის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები. როგორც წესი, მისია ამზადებს რამდენიმე ტიპის საჯარო დოკუმენტს საარჩევნო პროცესის შესახებ თავისი მიგნებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების წარმოსადგენად; ესენია: შუალედური ანგარიშები, წინასწარი განცხადებები და საბოლოო ანგარიშები. ამ თავში განიხილულია ყველა საჭირო ასპექტი, რომელსაც ნებისმიერი გარე ანგარიშის საბოლოო ვერსიამდე მივყავართ: ძირითადი გუნდის მომზადება, ანგარიშების სტრუქტურა, ანგარიშგების სტილი და თემები, მათ შორის, ანგარიშში გასათვალისწინებელი რეკომენდებული სფეროები და საკითხები, საჯარო პრეზენტაცია, შესაძლო შეზღუდვები და გამოწვევები, ისევე, როგორც შემდგომი ნაბიჯები და ადვოკატირების ეტაპები.

## 4.1. ძირითადი გუნდის ტრენინგი

ყოველი საარჩევნო სადამკვირვებლო მისია უნიკალურია, გამომდინარე თავისი მოქმედების სფეროდან, სტრუქტურიდან და ხელმისაწვდომი ადამიანური და ფინანსური რესურსებიდან, ასევე, იმ სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტიდან, რომელშიც მუშაობს. საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაციები პროფესიონალურად დაიხვეწნენ და, ჩვეულებრივ, ძირითადი გუნდები შედგება თავის სფეროში ფართო ცოდნის მქონე ექსპერტებისგან, რასაც, საბოლოოდ, წვლილი შეაქვს მისიის წარმატებით განხორციელებაში.

ძირითადი გუნდის წევრები პასუხისმგებელნი არიან ადგილზე მომუშავე მოკლევადიან და გრძელვადიან დამკვირვებელთაგან მიღებული ინფორმაციის თავმოყრასა და შუალედური და საბოლოო ანგარიშების შემუშავებაზე. გუნდის თითოეული წევრი ჩართულია ანგარიშის წერაში, თავისი ამოცანისა და სამუშაო სფეროს შესაბამისად. მიუხედავად ამისა, გარკვეულ შემთხვევებში, ძირითადი გუნდის წევრებს შეიძლება დასჭირდეთ დამატებითი ტრენინგი ან/და შესაძლებლობათა გაძლიერების აქტივობები ცოდნისა და უნარების გასაუმჯობესებლად, ასევე, საჯარო ანგარიშების შემუშავებისა და წარმოდგენის ერთიანი მიდგომის უზრუნველსაყოფად.

ზოგადად, გარე ანგარიშგებაზე მომუშავე პირთა სასწავლო აქტივობები ორ ძირითად მიზანს ემსახურება: გაუმჯობესდეს უნარები როგორც საარჩევნო პროცესის სხვადასხვა სფეროს სრულფასოვანი შეფასების მხრივ, ისე ამ მიგნებათა აზრიანი და გასაგები ფორმით გასაცნობად საზოგადოებისათვის, მათ შორის, სხვადასხვა აუდიტორიაზე მორგებულ ფორმატთა გათვალისწინებით.

პირველ რიგში, ნებისმიერი ანალიტიკოსის ძირითადი უნარია კომპლექსური მიმოხილვა. ჩვეულებრივ, ანგარიშგების პროცედურის დასკვნით ეტაპზე მცირე გუნდი მუშაობს (მისიის ხელმძღვანელის მოადგილე, პრესმდივანი). მისიის ხელმძღვანელის მოადგილე იღებს ანგარიშის ცალკეულ შიდა ელემენტებს (ინფორმაცია შესაბამის სფეროებზე ძირითადი გუნდის ანალიტიკოსებისაგან), გარე ანგარიშგების (შუალედური ანგარიში, წინასწარი განცხადება და საბოლოო ანგარიში) მკაფიო, მოკლე და თანმიმდევრულ ნაწილებად ჩამოყალიბებისათვის. ამავდროულად, პრესმდივანმა უნდა შეძლოს პრესრელიზების შემუშავება, რომლებიც მოკლედ, მედიისთვის მისაღებ ენაზე ასახავს დაკვირვების ძირითად მიგნებებსა და დასკვნებს.

სხვადასხვა სფეროს გამოცდილებების გაერთიანება (მაგ.: სამართალი, პოლიტიკა ან სტატისტიკა), დეტალებისა და ზოგადი მიდგომების დაბალანსება და, საბოლოოდ, ანგარიშის შინაარსის მოკლე, საშუალო და გრძელვადიან მიზნებთან ჰარმონიზება ის მნიშვნელოვანი უნარებია (სხვებთან ერთად), რომელთა გაძლიერებაზეც უნდა იყოს მიმართული სასწავლო საქმიანობა. გარდა ამისა, ძირითადი გუნდის სხვა წევრებმა, რომლებიც მოცემულ სფეროებზე არიან პასუხისმგებელნი, უნდა შეძლონ სრული სურათის გათვალისწინებით მუშაობა საკუთარ სფეროში. ეს ის მიზანია, რომელიც ხაზგასმით უნდა გამოიკვეთოს შესაბამისი სასწავლო სესიებისას.

მეორე მხრივ, გარე ანგარიშგება შეიძლება სხვადასხვა ფორმატით განხორციელდეს, ამიტომ მათზე პასუხისმგებელ პირებს განვითარებული უნდა ჰქონდეთ შესაბამისი უნარები. პრესრელიზის წერა საჭიროებს ზოგადი ანგარიშის შედგენისაგან განსხვავებულ უნარებს. აქედან გამომდინარე, სასწავლო საქმიანობისას გასათვალისწინებელია გარე ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი სხვადასხვა მოთამაშე და მათი კონკრეტული საჭიროებები. წერილობითი ანგარიშები საერთო გარე ანგარიშგების სტრატეგიის ძირითადი კომპონენტია, მაგრამ არსებობს სხვა ფორმატებიც და დამკვირვებლები მათ უნდა იცნობდნენ.

ასეთი ჩარჩოს გათვალისწინებით, აქ მოყვანილია სასწავლო მეთოდის რამდენიმე მაგალითი, რომლებიც მიზნად ისახავს გარე ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესებას. ზოგიერთი მოდული საერთოა ძირითადი გუნდის ყველა წევრისთვის, ხოლო სხვები მორგებულია კონკრეტულ საჭიროებებზე.

## სიმულაციები

ძალიან სასარგებლოა რეალური სიტუაციების აღდგენა. მაგალითად, როლური თამაშები ცვლის ადამიანის პოზიციას და საშუალებას აძლევს, გაიგოს სხვისი გამოწვევები. თუ პრესმდივანი ჟურნალისტის როლში იქნება, უკეთ შეძლებს ამოცანების შესრულებას, და თუ ანგარიშის წამყვანი ავტორები ითამაშებენ საარჩევნო ადმინისტრაციის (EA) როლს, ტექსტს ისე ჩამოაყალიბებენ, რომ უკეთეს ეფექტს მიაღწიონ.

## ტრანსდისციპლინარულობა

სწავლება შეიძლება მოიცავდეს კონკრეტულ სესიებს, რომელთა მიზანია ცოდნის გაზიარება. მაგალითად, იურისტებმა შეიძლება თავიანთი ცოდნა საარჩევნო ექსპერტებს გააცნონ, ხოლო პრესმდივანმა - ანალიტიკოსებს. ეს შესაძლებელია როლური თამაშების ან სხვა სასწავლო სტრატეგიის საშუალებით, როგორიცაა ორმხრივი შეხვედრები საველე დამკვირვებლებსა და ძირითადი გუნდის ექსპერტებს შორის, ასევე, „გონებრივი იერიში" ზოგად გამოწვევებსა და შეზღუდვებზე.

## ზეპირი და წერილობითი სავარჯიშოები

ეს არის ტრენინგის საერთო სტრატეგიის ძირითადი კომპონენტი. კარგი გარე ანგარიშგება საჭიროებს მიგნებათა გაცნობის სპეციფიკურ უნარებს. გარკვეული ზოგადი წესების (როგორიცაა ფორმულირება, სინთეზი, მითითება) დადგენის შემდეგ, ტრენინგი შეიძლება მოიცავდეს ინდივიდუალურ სავარჯიშოებსა (მაგ.: ინფორმაციის ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება, პრესრელიზის წერა) და ჯგუფურ შეფასებებს.

## პრაქტიკული მაგალითები

შედარებები შეიძლება დაგვეხმაროს ყველაზე გავრცელებული პრობლემების აღმოფხვრაში (მაგ.: ენა, გადამოწმების საშუალებები, გათვალსაჩინოება). მეტიც, ტრენინგის დროს შესაძლებელია იმავე შემთხვევაზე წინა ანგარიშების შერჩევა, ნასწავლ გაკვეთილებზე დასაყრდნობად და სათანადო მეთოდის შესამუშავებლად (რა იყო კარგი/ცუდი; რა შეიძლება გაუმჯობესდეს; როგორია საერთაშორისო სტანდარტები და როგორ შეიძლება მათი ინტეგრირება ანგარიშებში).

## ცნობადობის სტრატეგია

ტრენინგების გამოყენება შეიძლება იმ მიზნითაც, რომ განიხილონ გზები (კერძოდ, კომუნიკაციის ინსტრუმენტები და საშუალებები) გარე ანგარიშების ოპტიმალურად გასაცნობად საზოგადოებისათვის. ეს შეეხება ტრენინგის შინაარსს, ტექნიკების/მიდგომების სიიდან მისი სხვაგან გადატანისა თუ ამოღების შესაძლებლობას.

## ქსელის ჩამოყალიბება და გამოცდილების გაზიარება

დამკვირვებელთა ქსელებმა შეიძლება მოგვაწოდონ ინფორმაცია იმ მსგავსი დაბრკოლებების გადალახვაზე, რომლებიც შექმნიათ ან რეგულარულად ექმნებათ მუშაობის განმავლობაში. ასევე რეკომენდებულია სპეციალიზებული ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა საარჩევნო სადამკვირვებლო საქმიანობაში. ფაქტობრივად, გამოცდილების გაზიარება და ქსელის ჩამოყალიბება აუმჯობესებს საკვლევ შემთხვევათა პასიურ ანალიზს.

# 4.2. გარე ანგარიშების სტრუქტურა

ადგილობრივი საარჩევნო ორგანიზაციის გრძელვადიანი საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საზოგადოებას სთავაზობს დაკვირვებიდან მიღებულ ინფორმაციას. იგი საარჩევნო პროცესის სხვადასხვა ეტაპს ასახავს. არსებობს ანგარიშგების ორი ძირითადი მეთოდი.

1. სტრუქტურირებული ანგარიშები, რომლებიც დაკვირვების ყველა სფეროს მოიცავს (შუალედური ანგარიში, წინასწარი განაცხადი და საბოლოო ანგარიში) და რეგულარულად ქვეყნდება კამპანიის დროს და მის შემდეგ.
2. პრესრელიზები, რომლებიც სადამკვირვებლო პროცესის კონკრეტულ მომენტებს ასახავს (დაკვირვების გახსნა, საარჩევნო ძალადობა, ხმის მიცემის პროცესი არჩევნების დღეს, ძირითადი წინასწარი მიგნებები და დასკვნები).

სრულმასშტაბიანი მისიის პირველ შუალედურ ანგარიშში გაერთიანებულია საარჩევნო პროცესის ყველა არსებითი ასპექტის პირველადი ძირითადი აღწერა (როგორიცაა: საარჩევნო სისტემა და ადმინისტრაცია, საკანონმდებლო ბაზა, ამომრჩეველთა სიები, მათი და კანდიდატთა რეგისტრაცია, საარჩევნო კამპანია, მისი დაფინანსება, მედია, საჩივრები და სარჩელები). ჩვეულებრივ, სადამკვირვებლო მისიის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, რეგულარულად ქვეყნდება რამდენიმე შუალედური ანგარიში (ყოველკვირეული, ორკვირეული, ყოველთვიური და ა.შ.).

მთლიანი საარჩევნო პროცესის ძირითადი შეფასებების წარმოსადგენად, სადამკვირვებლო მისიამ ანგარიში წინასწარ მიგნებებსა და დასკვნებზე

არჩევნების დღის შემდეგ უნდა გამოაქვეყნოს (თუმცა, ეს შეიძლება ოფიციალური კამპანიის დასასრულსაც). ანგარიშს (განცხადებას) აქვს შუალედური ანგარიშების მსგავსი სტრუქტურა (არჩევნების დღისთვის მიძღვნილი სპეციალური სექციით); მიუხედავად ამისა, მისი მოკლე შეჯამება და შინაარსი უნდა გულისხმობდეს დაკვირვების პროცესისა და შეგროვებული ფაქტების ანალიზს.

საბოლოო ანგარიში, როგორც წესი, გამოიცემა მთელი საარჩევნო პროცესის დასრულების შემდეგ (მათ შორის იგულისხმება არჩევნების შემდგომი მოვლენები, საჩივრები და სარჩელები, ასევე, საბოლოო შედეგების გამოქვეყნება), არჩევნების დღიდან დაახლოებით 3-6 კვირაში. ანგარიში სადამკვირვებლო მისიის ყველაზე კომპლექსური გარე დოკუმენტია. მასში წარმოდგენილია უფრო დეტალური ანალიზი და ხელისუფლებისათვის შეთავაზებული კონკრეტული რეკომენდაციები, მიმართული საარჩევნო პროცესის იმ ასპექტთა გაუმჯობესებაზე, რომლებიც ადგილობრივმა სადამკვირვებლო მისიამ პრობლემურად მიიჩნია.

## ანგარიშები უნდა იყოს მკაფიო, მარტივი და ჰქონდეს შემდეგი სტრუქტურა:

### 1. თავფურცელი

როგორც ნაჩვენებია ქვემოთ, დიაგრამაში, ერთი შეხედვით, საარჩევნო ანგარიშის თავფურცელი უნდა შეიცავდეს ყველა საჭირო ინფორმაციას, კერძოდ:

როგორც პირველ გვერდზე, ასევე ანგარიშში უნდა აღინიშნოს დაკვირვების პერიოდი. ზოგადად, შუალედური ანგარიშები მოიცავს 1-დან 3 კვირამდე პერიოდს, მაგრამ თუ სადამკვირვებლო მისია ხანგრძლივია, შესაძლებელია, ეს დრო უფრო გაიზარდოს; არჩევნების საბოლოო ანგარიშები კი მოიცავს მთელ სადამკვირვებლო პერიოდს.

- თქვენი ორგანიზაციის დასახელება და ლოგო;
- ანგარიშის გამოცემის ადგილი და თარიღი;
- გამოცემული ანგარიშის ტიპი (შუალედური, სპეციალური, საბოლოო, წინასწარი განცხადება).

### 2. სარჩევი

სარჩევი მკითხველს საშუალებას აძლევს, წარმოდგენა შეექმნას თქვენს ანგარიშში გაერთიანებულ საკითხებზე; ზოგიერთს შეიძლება მხოლოდ მოკლე შეჯამება აინტერესებდეს, ზოგს - მხოლოდ მიგნებები/დასკვნები, სხვებს კი - კონკრეტულად რეკომენდაციები.

**დიაგრამა 6: მონიტორინგი 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე**




*წყარო: www.isfed.ge*

ყველა ანგარიში სტრუქტურის მხრივ ნაწილებად უნდა იყოფოდეს. ეს ნაწილები აისახება სარჩევში, რომელიც, თავის მხრივ, მათი მიმოხილვაა და მკითხველი მარტივად შეძლებს მისთვის საინტერესო ნაწილების მიგნებას ანგარიშში.

სარჩევში უნდა იყოს, სულ მცირე:

- შესავალი;
- მეთოდოლოგია;
- მიგნებები (შუალედური ანგარიში)/დასკვნები (განცხადება, საბოლოო ანგარიში);
- რეკომენდაციები (საბოლოო ანგარიში);
- ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ.

შესაძლებელია განსხვავებული ფორმის სარჩევის შექმნა. ქვემოთ მოცემულია ორი სხვადასხვა ვარიანტი.

## დიაგრამა 7: სარჩევის მაგალითები

# სარჩევი


I. სადამკვირვებლო მისიის შესახებ 4

II. ძირითადი მიზეზები 6

III. პოლიტიკური კონტექსტი 12

IV საკანონმდებლო რეფორმა 14

V. ამომრჩეველთა სიები 18

VI. საარჩევნო ადმინისტრაცია 20
- ცენტრალური საარჩევნო კომისია 20
- საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები 25

VII. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისია 26

VIII. სახელმწიფო აუდიტის სამსახური 27

IX. წინასაარჩევნო პერიოდი 28
- მეთოდოლოგია 28
- ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება 29
- ამომრჩევლის მოსყიდვა 30
- ზეწოლა-მუქარა 32
- ფიზიკური ანგარიშსწორება 33
- საარჩევნო კამპანიისათვის ხელის შეშლა 34
- სამსახურიდან პოლიტიკური მოტივით გათავისუფლება 35
- დაკავებები 35
- არაუფლებამოსილი პირების მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში 36
- წინასაარჩევნო კამპანიისას გაკეთებული დისკრიმინაციული განცხადებები 39
- მედიაგარემო 40

X. .მონიტორინგი წინასაარჩევნო პერიოდში პარტიების/ საარჩევნო სუბიექტების საჯარო შეხვედრებზე 42

XI. არჩევნების დღე 44
- არჩევნების პირველი ტური 44
- არჩევნების მეორე ტური 55
- განმეორებითი არჩევნები 59

XII. არჩევნების დღის და შემდგომი პერიოდის საჩივრები 60
- არჩევნების პირველი ტური 60
- განმეორებითი არჩევნები 65
- არჩევნების მეორე ტური 66

XII. გენდერული ბალანსი არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს შორის 70

XIV. რეკომენდაციები 72

სარჩევი

I. სადამკვირვებლო მისიის შესახებ ........................................................................4
II. ძირითადი მიგნებები........................................................................................5
III. პოლიტიკური კონტექსტი.....................................................................................8
IV. საარჩევნო კანონმდებლობა...................................................................................9
V. უწყებათაშორისი კომისია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის.........13
VI. სახელმწიფო აუდიტის სამსახური ........................................................................14
VII. ამომრჩეველთა სიები ............................................................................................15
VIII. საარჩევნო ადმინისტრაცია ...................................................................................16
- ცენტრალური საარჩევნო კომისია ...............................................................16
- საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები ................................................19
IX. წინასაარჩევნო მონიტორინგი ..............................................................................21
- მეთოდოლოგია.............................................................................................21
- ძირითადი დარღვევები წინასაარჩევნო პერიოდში .......................................22
- მედიაგარემო წინასაარჩევნო პერიოდში ....................................................29
- მონიტორინგი წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების საჯარო შეხვედრებზე ...................................................................................30
X. არჩევნების დღე ....................................................................................................32
- სადამკვირვებლო მისია.................................................................................32
- სადამკვირვებლო მეთოდოლოგია..................................................................32
- PVT დაკვირვების შედეგები ...........................................................................33
- არჩევნების დღის დარღვევები და საჩივრები...............................................37
XI. არჩევნების შემდგომი პერიოდი ...........................................................................39
- საჩივრები და სარჩელები, წარდგენილი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოში.......................................................................39
- არჩევნების შემდგომი სხვა მნიშვნელოვანი განვითარებები ..........................42
XII. დასკვნები და რეკომენდაციები ...........................................................................43

*წყარო: www.isfed.ge*

## 3. მეთოდოლოგია

ანგარიშის დასაწყისი მოკლედ უნდა აღწერდეს, რას და როგორ აკვირდებოდნენ, მეთოდოლოგიის ნაწილი კი მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- წარმოადგინეთ მოკლე მონახაზი, რომელ არჩევნებს აკვირდებით - მიუთითეთ სადამკვირვებლო პერიოდი (მხოლოდ არჩევნების დღე, წინასაარჩევნო პერიოდი, თუ არჩევნების შემდგომი).
- აღწერეთ დაკვირვების სფერო - არჩევნებთან დაკავშირებული ყველა საკითხი ან მისი გარკვეული ასპექტი (მაგ.: არჩევნების გაშუქება მედიის მიერ, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, საჩივრების წარდგენა და დამუშავება).

- აღწერეთ არჩევნებზე დაკვირვების მეთოდოლოგია – მიდგომა თქვენი სადამკვირვებლო საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების, ასევე, ტრენინგებისა და დამკვირვებელთა მივლინების მიმართ.
- მიუთითეთ, რომელი ტიპის დამკვირვებლები სად გაგზავნეთ (მოკლევადიანი დამკვირვებლები/გრძელვადიანი დამკვირვებლები; სტაციონარული და მობილური დამკვირვებლები) – აღწერეთ მივლინების კრიტერიუმები (მაგ.: ყველა საარჩევნო უბანი თუ შემთხვევით შერჩეული ან კონკრეტულ, ვთქვათ, უმცირესობით დასახლებულ ტერიტორიებზე განთავსებული უბნები).
- მკაფიოდ განმარტეთ არჩევნების შეფასების კრიტერიუმები (მაგ.: საყოველთაო სამართლებრივი ინსტრუმენტები – ICCPR; რეგიონული სამართლებრივი ინსტრუმენტები – ECHR; პოლიტიკური ვალდებულება – კოპენჰაგენის დოკუმენტი), რბილი სამართალი (ევროპის საბჭოს საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები).

**კარგი პრაქტიკა: სადამკვირვებლო მეთოდოლოგიის მონახაზი**

ეს ანგარიში ასახავს „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგის შედეგებს. „სამართლიანი არჩევნები“ როგორც ერთ-ერთი ყველაზე ფართო ქსელის მქონე სადამკვირვებლო ორგანიზაცია, აქტიურად იყო ჩართული როგორც წინასაარჩევნო, ასევე არჩევნების შემდგომი პერიოდისა და უშუალოდ არჩევნების დღის მონიტორინგის პროცესში. იგი მოიცავდა სამ ძირითად ეტაპს:

- წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი არჩევნებამდე ოთხი თვის განმავლობაში 2 ორგანიზაციის 73 გრძელვადიანი დამკვირვებლის მეშვეობით მიმდინარეობდა საქართველოს ყველა საარჩევნო ოლქში. მისი დაკვირვების ძირითადი სფერო იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა: ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება; საარჩევნო ადმინისტრაციებისა და პოლიტიკური პარტიების საქმიანობა; ამომრჩეველთა სიების ფორმირება; პოლიტიკური ნიშნით ზეწოლის, მუქარისა და მოსყიდვის ფაქტები;
- არჩევნების დღის მონიტორინგი მთელი საქართველოს მასშტაბით 910 საარჩევნო უბანზე განხორციელდა. მათ შორის შემთხვევით შერჩეულ 800 უბანზე ორგანიზაციამ ხმების პარალელური დათვლის (PVT) მეთოდოლოგია გამოიყენა. ამასთან, „სამართლიანმა არჩევნებმა“ მოკლევადიანი დამკვირვებლები 110 საარჩევნო უბანზე მიავლინა. მათთან ერთად არჩევნების დღის სადამკვირვებლო მისია 78 მობილური ჯგუფის, 73 საოლქო დამკვირვებლის, 20 იურისტისა და ამდენივე ოპერატორისაგან შედგებოდა.

არჩევნების დღეზე დაკვირვება მოიცავდა სამ ძირითად კომპონენტს: უბნის გახსნა და მოწყობა, კენჭისყრა, ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცესი;

- არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგი „სამართლიანმა არჩევნებმა“ განახორციელა 73 საოლქო დამკვირვებლისა და ორგანიზაციის იურისტების მეშვეობით. ისინი დააკვირდნენ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობას, საოლქო საარჩევნო კომისიებში საჩივრების განხილვასა და შედეგების შეჯამებას; პროცესში დარღვევების აღმოჩენისას ორგანიზაციამ საარჩევნო ადმინისტრაციაში ათობით საჩივარი წარადგინა.

## 4. მოკლე შეჯამება

მოკლე შეჯამება წარმოდგენილია ანგარიშის დასაწყისში და უმეტესწილად ეფუძნება იმ მიგნებებსა და დასკვნებს, რომლებიც შემდგომ ნაწილებში გვხვდება. ის მკითხველს საშუალებას უნდა აძლევდეს, სწრაფად გაეცნოს თქვენს ძირითად დასკვნებს, მთელი ანგარიშის წაკითხვის გარეშე.

### ძირითადი გზავნილი

ძირითადი გზავნილი უნდა ასახავდეს: ჰქონდათ თუ არა საარჩევნო პროცესის მიმართ ნდობა კანდიდატებსა და ამომრჩევლებს; ასევე, ხელისუფლების მიერ დემონსტრირებული პოლიტიკური ნების ხარისხს ნამდვილი, დემოკრატიული საარჩევნო პროცესის ჩატარების თვალსაზრისით. საერთო ჯამში, ის უნდა გამოხატავდეს ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვას, ასევე, შესაბამისობას ადგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურებსა და წესებთან და საერთაშორისო ხელშეკრულებებითა თუ პოლიტიკური ვალდებულებებით განსაზღვრულ პრინციპებსა და სტანდარტებთან, რომელთა მიმართაც შეფასდა არჩევნები. თუმცა, მისი მიზანი არ უნდა იყოს არჩევნების სამართლიანობის შეფასება.

**კარგი პრაქტიკა: ძირითადი გზავნილები მოკლე შეჯამებისას**

არჩევნებში, „საარჩევნო კანონმდებლობაში გარკვეული გაუმჯობესების მიუხედავად, არ სრულდებოდა ეუთოს წინაშე ნაკისრი ბევრი ვალდებულება, მათ შორის, მოქალაქეთა გაერთიანებისა და კანდიდატად წარდგენის უფლებების, ასევე, გამოხატვის თავისუფლების პატივისცემა. მართალია, გაიზარდა პარტიების მიერ წარდგენილ კანდიდატთა რაოდენობა, მაგრამ ცნობილი პოლიტიკური ფიგურები, რომლებსაც შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ეთამაშათ ამ არჩევნებში, პატიმრობაში რჩებოდნენ, ან არ იყვნენ რეგისტრაციაზე უფლებამოსილნი ნასამართლეობის გამო.

კანდიდატები შეზღუდულნი იყვნენ თვითნებური ადმინისტრაციული ქმედებებითაც, რამაც ამომრჩეველი არჩევანში შეზღუდა. არჩევნების ადმინისტრირება არ იყო მიუკერძოებელი, საჩივრებისა და სარჩელების განხილვის პროცესი კი ვერ უზრუნველყოფდა ეფექტიან სამართლებრივ დაცვას".
(ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სადამკვირვებლო მისია, საბოლოო ანგარიში, ბელარუსი, საპარლამენტო არჩევნები, 2012 წლის 23 სექტემბერი).

არჩევნების „ადმინისტრირება ზოგადად კარგად განხორციელდა და ხასიათდებოდა ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვით. კანდიდატებს შეეძლოთ კამპანიის თავისუფლად წარმოება. მედია ასრულებდა სამართლებრივ ვალდებულებას დაბალანსებული გაშუქების შესახებ და ყველა კანდიდატმა ისარგებლა უფასო საეთერო დროით. ამავდროულად, საჯარო ადმინისტრაციის მიკერძოებულობა, ადმინისტრაციული რესურსების არასათანადო გამოყენება და ამომრჩევლებზე ზეწოლის შემთხვევები შემაშფოთებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების დღემ მშვიდად და მოწესრიგებულად ჩაიარა, აღინიშნა არასათანადო ჩარევა პროცესში, კერძოდ, მოქმედი პრეზიდენტის წარმომადგენელთა მხრიდან; დაფიქსირდა ზოგიერთი მნიშვნელოვანი დარღვევა".
(ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისია, საბოლოო ანგარიში - სომხეთი, საპრეზიდენტო არჩევნები, 2013 წლის 18 თებერვალი).

არჩევნებს „საფრთხე შეექმნა გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების შეზღუდვით, რაც ვერ უზრუნველყოფს კანდიდატებისათვის თანასწორ პირობებს. მუდმივმა ბრალდებებმა კანდიდატთა და ამომრჩეველთა დაშინებაზე და შეზღუდულმა მედიაგარემომ დააბრკოლა კამპანია. მნიშვნელოვანი პრობლემები გამოიკვეთა არჩევნების დღის ყველა ეტაპზე და დაფიქსირდა სერიოზული ხარვეზები, რომლებიც გადაჭრას საჭიროებს, რათა აზერბაიჯანმა ბოლომდე შეასრულოს ეუთოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებები ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შესახებ".
(ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისია, საბოლოო ანგარიში - აზერბაიჯანი, საპრეზიდენტო არჩევნები, 2013 წლის 9 ოქტომბერი).

საპრეზიდენტო არჩევნები „ეფექტიანდ ადმინისტრირებული და გამჭვირვალე იყო; ჩატარდა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. საარჩევნო კამპანიისას დაცული გახლდათ სიტყვის, გადაადგილებისა და შეკრების ფუნდამენტური თავისუფლებები და კანდიდატებს საშუალება ჰქონდათ, საკუთარი კამპანია თავისუფლად და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ჩაეტარებინათ. 2012 წლის არჩევნებთან შედარებით, ამ არჩევნებზე მედია ნაკლებად პოლარიზებული იყო და მოსაზრებათა ფართო სპექტრი შუქდებოდა.

არჩევნების დღეს ამომრჩევლებს საკუთარი არჩევანის თავისუფლად გაკეთება შეეძლოთ.“
(ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისია, საბოლოო ანგარიში - საქართველო, საპრეზიდენტო არჩევნები, 2013 წლის 27 ოქტომბერი).

არჩევნები „მნიშვნელოვან ეტაპი გახლდათ უკრაინისთვის და ქვეყანამ მიზნად დაისახა მისი დემოკრატიულად ჩატარება, საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად. არჩევნების პროცესში გამოვლინდა ბევრი ისეთი დადებითი ასპექტი, როგორიცაა: მიუკერძოებელი და ეფექტიანი ცენტრალური საარჩევნო კომისია, მაღალკონკურენტული არჩევნები - რომელიც ელექტორატს რეალურ არჩევანს სთავაზობდა - და ფუნდამენტურ თავისუფლებათა ზოგადი დაცვა. ახალარჩეულმა პარლამენტმა უნდა აიღოს პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რომ ძირეულ რეფორმებს გაატარებს ამ ანგარიშში დაფიქსირებული გარკვეული ცუდი პრაქტიკის აღსაკვეთად. ამასთან, დავები უნდა გადაწყდეს კანონის უზენაესობის დაცვითა და დემოკრატიული ინსტიტუტების მეშვეობით“.
(ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისია, საბოლოო ანგარიში - უკრაინა, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, 2014 წლის 26 ოქტომბერი).

არჩევნები „ამომრჩეველს პოლიტიკური ალტერნატივების ფართო სპექტრს სთავაზობდა. კამპანიაზე გავლენა იქონია ქვეყნის გეოპოლიტიკურმა მისწრაფებებმა. ერთი საარჩევნო სუბიექტის გვიან მოხსნამ რეგისტრაციიდან წარმოშვა კითხვები დროისა და გარემოებების შესახებ. კანდიდატები სარგებლობდნენ შეუფერხებელი წვდომით მედიაზე, თუმცა, მაუწყებლების უმეტესობა პოლიტიკურ ჩარევებს ექვემდებარებოდა, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს საზოგადოებრივი მაუწყებელი.
საარჩევნო ადმინისტრაცია დაინტერესებულ მხარეებში ნდობით სარგებლობდა და პროცესი ზოგადად კარგად იყო ადმინისტრირებული, თუ არ ჩავთვლით ამომრჩეველთა დამუშავების ახალი ელექტრონული სისტემის ფუნქციონირებას არჩევნების დღეს.“
(ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისია, საბოლოო ანგარიში - მოლდოვა, საპარლამენტო არჩევნები, 2014 წლის 30 ნოემბერი).

## ძირითადი მიგნებების შეჯამება

ანგარიშის დასაწყისში, ძირითადი გზავნილის შემდეგ, უნდა შეჯამდეს საარჩევნო პროცესის უმნიშვნელოვანესი მიგნებები. ჩვეულებრივ, ეს ნაწილი ასახავს ადგილობრივი დამკვირვებლების მიერ გამოვლენილ ყველა მთავარ თემას/სფეროს. აუდიტორიის უმრავლესობა წაიკითხავს

მას. ქვემოთ მოცემულია მოკლე შეჯამებისას გამოყენებული ძირითადი ფრაზები:

**კარგი პრაქტიკა: ძირითადი მიგნებები**

- მთლიანობაში ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებისთვის ტექნიკურ მომზადებას ეფექტიანად გაუძღვა;
- საარჩევნო ადმინისტრაციამ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობით, არჩევნების ადმინისტრირება მთლიანობაში პროფესიონალურად და სამართლებრივი ვადების დაცვით განახორციელა;
- პოლიტიკური ძალები საარჩევნო კომისიაში არათანაბრად იყვნენ წარმოდგენილნი, რის გამოც გადაწყვეტილების მიღებისას ხელისუფლების მომხრე ძალები, ფაქტობრივად, უმრავლესობას ქმნიდნენ. ამ ვითარების გამო, ოპოზიციის წარმომადგენლებმა ეჭვქვეშ დააყენეს საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობა;
- კანდიდატთა რეგისტრაცია მთლიანობაში ინკლუზიურად და გამჭვირვალედ მიმდინარეობდა;
- საარჩევნო კამპანია საგრძნობლად პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში წარიმართა;
- სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის განსხვავება ხშირად ბუნდოვანი იყო;
- ზოგადად, მედიამ ამომრჩევლებს პოლიტიკურ შეხედულებათა მრავალფეროვანი სპექტრი შესთავაზა, რამაც უფრო ინფორმირებული არჩევანი უზრუნველყო;
- გარკვეულწილად გამარტივდა და დაზუსტდა საჩივრებისა და სარჩელების პროცედურები;
- არჩევნების დღეშ ზოგადად მშვიდ გარემოში ჩაიარა;
- საოლქო საარჩევნო კომისიებში ხმების დათვლის პროცესი დამკვირვებლებმა დადებითად შეაფასეს;
- არჩევნების დღესთან დაკავშირებით შეტანილია 800-მდე საჩივარი და სარჩელი - სავარაუდო შეუსაბამობებზე ხმის მიცემის, დათვლისა და შედეგების დაანგარიშების პროცესებში.

## საერთაშორისო სტანდარტებზე მითითება

მოკლე შეჯამებაში უნდა გამოვლინდეს საარჩევნო პროცესის ძირითადი მიმდინარეობები და ტენდენციები. საბოლოოდ უნდა შეფასდეს საარჩევნო პროცესის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, პოლიტიკურ ვალდებულებებსა და დემოკრატიული არჩევნების პრინციპებთან, ასევე, ადგილობრივ კანონმდებლობასთან. ამის გაკეთება შეიძლება შემდეგნაირად:

**კარგი პრაქტიკა: საერთაშორისო სტანდარტებზე მითითება**

- განხორციელდა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის, ასევე ვენეციის კომისიის (ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად) მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, მათ შორის, პატიმართა გარკვეული კატეგორიისათვის კენჭისყრის უფლების მინიჭებაზე, დამოუკიდებელი კანდიდატების დაშვებასა და რეზიდენტობის მოთხოვნათა შემცირებაზე;
- ხმების დათვლის სათანადოდ გაწერილ პროცედურათა ნაკლებობა გულისხმობდა, რომ ვერ შესრულდა ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.4 პუნქტი - პატიოსანი დათვლის მოთხოვნა;
- კამპანიის განმავლობაში მიღებულია სანდო ცნობები კანდიდატთა და ამომრჩეველთა დაშინების შესახებ, რამაც წარმოშვა შეშფოთება ისეთ შესაძლებლობებთან მიმართებით, როგორიცაა კანდიდატთა მიერ კამპანიის სამართლიან გარემოში წარმოება, ასევე, ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა „ანგარიშსწორების შიშის გარეშე“, ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.7 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

## 5. მიგნებები (შუალედური ანგარიშები)

მიგნებები იმ ფაქტების შეჯამებაა, რომლებსაც აკვირდებიან მისიის წევრები (მათ შორის, ძირითადი გუნდი, გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებლები). რაკი ვერ შეძლებთ ყველა ფაქტის წარმოდგენას - დროისა და მოცულობის შეზღუდვების გამო - ისინი მიგნებების სახით უნდა შეაჯამოთ. დაკვირვებების ანუ მიგნებების შეჯამება თქვენი დასკვნებისა და რეკომენდაციების საფუძველია.

**კარგი პრაქტიკა: ანგარიშის მიგნებები**

**საუბნო საარჩევნო კომისიებში შეტანილი საჩივრები**

- ხმის დათვლის პროცედურებთან დაკავშირებით, საუბნო საარჩევნო კომისიებში სულ შეტანილია შვიდი საჩივარი; დაკმაყოფილდა სამი და უარი ეთქვა ოთხს. საუბნო საარჩევნო კომისიებში საჩივრები შეტანილია შემდეგი ტიპის დარღვევებზე:
  - გადასატანი საარჩევნო ყუთის მთლიანობის დარღვევა – თერჯოლის #49 საარჩევნო ოლქის #11 და #30 საარჩევნო უბნები; ხულოს #81 საარჩევნო ოლქის #12 და #27 საარჩევნო უბნები;
  - არასათანადო დოკუმენტაცია – ლანჩხუთის #61 საარჩევნო ოლქის #18 საარჩევნო უბანი;

- წილისყრის პროცედურების არასათანადოდ წარმოება – თერჯოლის #49 საარჩევნო ოლქის #30 საარჩევნო უბანი;
- სხვა – ხულოს #81 საარჩევნო ოლქის #2 საარჩევნო უბანი.

შეგიძლიათ შემთხვევების ილუსტრირებაც. ეს შეიძლება შემდეგნაირად:

**დიაგრამა 8: „სამართლიანი არჩევნების" მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებში შეტანილი საჩივრების სტატისტიკა**




*წყარო: www.isfed.ge*

## შემთხვევების კონტექსტუალიზაცია და არა ჩამოთვლა

ცალკეული შემთხვევების უბრალოდ წარმოდგენისა და დარღვევათა ჩამოთვლის ნაცვლად, უნდა განისაზღვროს მათი კონტექსტი. მკაფიოდ უნდა დადგინდეს, კანონთან შეუსაბამობები და დარღვევები ცალკეული ინციდენტებია თუ სისტემური სახე აქვს, რამაც შესაძლოა საარჩევნო პროცესის მთლიანობას შეუქმნას საფრთხე.

**კარგი პრაქტიკა: ინფორმაციის კონტექსტი**

- 208 დარღვევასთან დაკავშირებით, საარჩევნო კომისიებს 177 საჩივარი წარედგინათ (აქედან 16 - საუბნოს, ხოლო 161 - საოლქოს). ორი სარჩელი შევიდა სასამართლოში. „სამართლიანი არჩევნების" საჩივრებში ყველაზე ხშირი მოთხოვნა იყო აღმოჩენილი დარღვევების აღმოფხვრა, ასევე, თავმჯდომარის, მდივნისა და სხვა წევრებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება;

- გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა სულ 11 შემთხვევა დააფიქსირეს, რომლებიც შეეხებოდა ადმინისტრაციული რესურსის, ძირითადად, მმართველი პარტიის სასარგებლოდ გამოყენებას. ეს მეტწილად გამოიხატებოდა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილებით და არაუფლებამოსილი პირების მონაწილეობით წინასაარჩევნო კამპანიაში. თუმცა, ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენების ფაქტებს ხშირი და მასშტაბური სახე არ ჰქონია;

- სხვისი სახელით ხმის მიცემის შემთხვევები დაკვირვებათა 4%-ში დაფიქსირდა, მათ შორის, მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნებიდან: სოფლად - 5%, და ურბანულ ტერიტორიებზე - 2%.

## შემთხვევების ანალიზი

საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები ანგარიშებში წარმოდგენილ შეფასებებს არჩევნების დღის შემდეგ გამოსცემენ (წინასწარი განცხადება, საბოლოო ანგარიში). ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ზოგჯერ შეიძლება ისარგებლონ თავიანთი განსხვავებული მდგომარეობით და ანალიზი, ანგარიშების სახით, არჩევნების დღის განმავლობაში ან მანამდე წარმოადგინონ.

## საერთაშორისო სტანდარტებზე მითითება

ანგარიშებში შემთხვევათა წარმოდგენისას შესაძლებელია საერთაშორისო სტანდარტების მითითება: პირველ რიგში, ხდება ფაქტების კონსტატირება, შემდეგ კი მიეთითება შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტის დარღვევა.

**კარგი პრაქტიკა: საერთაშორისო სტანდარტებზე მითითება**

- დედაქალაქში 22 აგვისტოს დააკავეს ოპოზიციური პარტიის აქტივისტი. დაკავების მიზეზისა და ბრალის შესახებ პოლიციამ ინფორმაცია არ გასცა;
- წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიათა მხარდამჭერებისა და მათი ნათესავების დაკავება-დაპატიმრების რამდენიმე შემთხვევა;
- ნებისმიერი სამართალდარღვევისთვის დაკავებული პირი სარგებლობს სათანადო სამართალწარმოების უფლებით. აუცილებელია, დაკავებისას მათი ძირითადი უფლებების დაცვა. თუმცა, ზემოხსენებულ შემთხვევებში თავისუფლებააღკვეთილი პირები ვერ სარგებლობდნენ სათანადო სამართალწარმოებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებით, იმისგან დამოუკიდებლად, მათ მიმართ ადმინისტრაციული ბრალი იყო წაყენებული თუ სისხლისსამართლებრივი;
- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ვერ მიიღო გადაწყვეტილება ბენდერში N3 საოლქო საარჩევნო კომისიის შექმნაზე და საამისოდ დაწესებულ ვადებში არ ისარგებლა მის ხელთ არსებული უფლებით, რათა ამ რეგიონებში სპეციალური საარჩევნო უბნები გაეხსნა. ამავდროულად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო კალენდრის ვადების მნიშვნელოვანი დარღვევით (10 დღე) - ანუ მხოლოდ 2014 წლის 4 ნოემბერს - მიიღო გადაწყვეტილება, რომ დნესტრისპირელ ამომრჩევლებს კენჭისყრის უფლების გამოყენება ამომრჩეველთა დამატებითი სიებით შეძლებოდათ 26 საარჩევნო უბანზე, რომლებიც უკვე შექმნილი იყო კაჰულის (1), კიშინიოვის (5), ახალი ანენის (3), დუბესარის (9), კეუშენის (3), კრიულენის (1), სტეფან ვოდას (1), რეინას (1), ბელცის (1) და ფლორეშტის (1) საარჩევნო ოლქებში.

2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებათა აღდგენის შედეგად, დეპუტატები დაკარგავენ საპარლამენტო მანდატს, თუკი არ შეუერთდებიან ან დატოვებენ იმ პოლიტიკური პარტიის საპარლამენტო ფრაქციას, საიდანაც აირჩიეს. ეს ეწინააღმდეგება 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.9 პუნქტს. აღნიშნული დებულება ვენეციის კომისიამ არაერთხელ გააკრიტიკა უკრაინის 2004 წლის კონსტიტუციის კონტექსტში.
(ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისია, საბოლოო ანგარიში - უკრაინა, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, 2014 წლის 26 ოქტომბერი).

25 სექტემბერს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მედიის საკითხებზე მომუშავე ჯგუფმა გამოსცა განცხადება, რომელშიც 3 მედიასაშუალებას - რადიო „თავისუფლების“ აზერბაიჯანის ფილიალი (Azadliq), ბრიტანული სამაუწყებლო კორპორაცია (BBC) და ამერიკის ხმა - მოუწოდა, შეეწყვიტათ საარჩევნო კოდექსის 74.4.1 მუხლის დარღვევა, რომელიც კრძალავს უცხოური იურიდიული პირების მიერ კამპანიის წარმოებას და შესაბამისი მასალების გავრცელებას.
(ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისია, საბოლოო ანგარიში - საპრეზიდენტო არჩევნები, 2014 წლის 9 ოქტომბერი).

## ტექსტებს, დიაგრამებსა და სურათებს შორის ბალანსის დაცვა

უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია წერილობით უნდა იყოს წარმოდგენილი. ზედმეტი საშუალებები თვალსაჩინოებისათვის და ინფოგრაფიკები - მათ შორის, დიაგრამები - არ უნდა გამოიყენონ. მიუხედავად იმისა, რომ წრიული ან სვეტისებრი დიაგრამით შესაძლებელია დაუმუშავებელ მონაცემთა თვალსაჩინოდ წარმოდგენა, მას თან უნდა ახლდეს განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მკითხველს ამ მონაცემების მნიშვნელობას განუმარტავს. ის შეიძლება გვიჩვენებდეს ინციდენტთა რაოდენობასა და დროის პერიოდს, ასევე, პოლიტიკური კონკურენტების გაშუქებას მედიის მიერ პრაიმტაიმის განმავლობაში და PVT მონაცემთა შედარებას არჩევნების ოფიციალურ შედეგებთან.

ფოტოები არ უნდა გამოიყენონ გადაჭარბებულად. ანგარიშებში ფაქტების კონსტატირება წერილობით უნდა მოხდეს. სურათები, რომლებიც ანგარიშის ნაწილი გახდება, სიფრთხილით უნდა შეირჩეს. უნდა დაიცვან სხვა ადამიანების მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების უფლებები (იხ. ევროპის საბჭო (1980): კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ). ქვემოთ მოცემული დიაგრამა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ტექსტის, დიაგრამებისა და სურათების დაბალანსებული გამოყენების კარგი მაგალითი.

**დიაგრამა 9: ხმის მიცემის პროცესი**

„სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით, ხმის მიცემის პროცესი მშვიდ გარემოში ჩატარდა და მნიშვნელოვანი დარღვევები არ დაფიქსირებულა.




ზოგიერთ საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა მარკირებისა და ფარული კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებული დარღვევები. თუმცა, ხშირ შემთხვევებში, ისინი ზეპირი შენიშვნებით აღმოიფხვრა.

*წყარო: www.isfed.ge*

## 6. დასკვნები (განცხადებები წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ, საბოლოო ანგარიშები)

### დასკვნები მიგნებები არ არის, ისინი ეფუძნება მიგნებებს.

ჩვეულებრივ, დასკვნები წარმოდგენილია არჩევნების დღის შემდეგ გამოცემულ ანგარიშთა ძირითად ნაწილებში (წინასწარი განცხადება, საბოლოო ანგარიში) და უბრალო გამეორება არ არის შუალედურ ანგარიშებში წარმოდგენილი მიგნებებისა. ეს ორგანიზაციის მიგნებათა სინთეზია, ფართო კონტექსტის გათვალისწინებით, რომელიც მიუთითებს მომავალ სავარაუდო შედეგებზე. დასკვნები მიგნებათა თავმოყრას არ გულისხმობს, ისინი ლოგიკურად უნდა მომდინარეობდეს მიგნებებიდან და გამოავლინოს ტენდენციები ან მოდელები.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი, როგორ ჩამოვაყალიბოთ დასკვნები მიგნებათა საფუძველზე.

**კარგი პრაქტიკა I: მიგნებების ანალიზზე დაფუძნებული დასკვნები**

**მიგნებები**

დამკვირვებლები ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყველა სხდომას დაესწრნენ. სხდომები პროფესიონალურად მიმდინარეობდა და მათი ოქმები კომისიის ვებგვერდზე 48 საათის განმავლობაში ქვეყნდებოდა, კანონის მოთხოვნისამებრ. თუმცა, ისინი დაძაბულად წარიმართა X და Y პარტიების მოთხოვნებზე გადაწყვეტილების მიღებისას. კომისიის წევრები თითქმის ყოველთვის პარტიული ნიშნით აძლევდნენ ხმას.

**დასკვნა**

ცენტრალური საარჩევნო კომისია რეგულარულ სხდომებს ატარებდა, თუმცა, პოლიტიკურად სადავო საკითხებზე იგი კვლავ გაყოფილი იყო პარტიული კუთვნილების მიხედვით.

**კარგი პრაქტიკა II: მიგნებების ანალიზზე დაფუძნებული დასკვნები**

**მიგნებები**

საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანია ოფიციალურად 24 მარტს გაიხსნა. სამმა კანდიდატმა მოქალაქეებთან შეხვედრები ამ თარიღამდე წამოიწყო, ქვეყნის მასშტაბით რეგულარული ვიზიტებისას. მარტის შუა რიცხვებისთვის პრეზიდენტმა 70 ქალაქი და სოფელი მოინახულა, 23 მარტს კი საარჩევნო პროგრამა წარმოადგინა. მეტიც, პრეზიდენტი საჯაროდ აწარმოებდა პროპაგანდას თავისი პარტიის ხელისუფლებაში ყოფნისას არსებულ მიღწევებზე. 16 მარტს X საპრეზიდენტო კანდიდატმა 50-კაციანი შეკრება გამართა დედაქალაქში; 21 მარტს კი Y პარტიამ 350-კაციანი მსვლელობა ჩაატარა მიმდებარე ქალაქში, რათა წარმოეჩინა თავისი მიღწევები ბოლო არჩევნების შემდეგ და ეთნიკურ უმცირესობებს მოუწოდა, ხმა მიეცათ Z საპრეზიდენტო კანდიდატისათვის. ოთხივე საპრეზიდენტო კანდიდატმა და მათთან დაკავშირებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა 24 მარტს გამართეს მსვლელობები კამპანიის ოფიციალური გახსნისათვის.

**დასკვნა**

კამპანია აქტიურად მიმდინარეობდა ამომრჩეველთან მრავალრიცხოვანი მსვლელობებითა და აქციებით. თუმცა, B კანდიდატის გარდა, დანარჩენმა სამმა თავისი საქმიანობა დაიწყო კამპანიის სამართლებრივად დაშვებულ ოფიციალურ თარიღამდე.

**კარგი პრაქტიკა III: მიგნებების ანალიზზე დაფუძნებული დასკვნები**

**მიგნებები**

ანგარიშგების პერიოდში, ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 78 საჩივარი მიიღო, რომელთაგან 10 შეტანილია არჩევნების დღეს. ცენტრალურმა

საარჩევნო კომისიამ 38 გადაწყვეტილება გამოიტანა ამ საჩივრებზე (6 სრულად დაკმაყოფილდა, 7 - ნაწილობრივ, 24-ს კი უარი ეთქვა დაუსაბუთებულობის ან წარდგენის ვადის დარღვევის გამო; ერთ შემთხვევაში დადგინდა, რომ დავის საგანი ამოწურული იყო), 12 არ განიხილა, რადგან სავარაუდო ფაქტები არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას; 21 რეაგირებისთვის გადაეგზავნა შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს სამართალდარღვევის შემადგენელ ელემენტთა დასადგენად, 6 საჩივარი გამოხმობილია ავტორების მიერ, 1 არ შეისწავლეს სასამართლო სარჩელთან ერთად წარდგენის გამო.

**დასკვნა**

ცენტრალური საარჩევნო კომისია საჩივრებს შეჯიბრებითობის პრინციპის შესაბამისად განიხილავს. ამგვარად, როგორც საჩივრის წარმდგენ, ისე მოპასუხე პარტიას შეუძლია საჩივართან დაკავშირებული მითითებებისა და მტკიცებულებების წარმოდგენა. Promo-LEX-მა აღნიშნა, რომ საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები ძირითადად გამოცდილი იურისტები არიან, რაც დებატების ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. მეორე მხრივ, საჩივრების წარდგენისა და განხილვის კანონით დადგენილი შეზღუდული ვადები ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს არ აძლევს ზოგიერთი შემთხვევის სათანადოდ შესწავლისა და დოკუმენტირების საშუალებას.

## კარგი პრაქტიკა IV: მიგნებების ანალიზზე დაფუძნებული დასკვნები

**მიგნებები**

„სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლებმა საარჩევნო უბნებზე არაუფლებამოსილი პირების დასწრების სამი შემთხვევა დააფიქსირეს. არჩევნების დღეს გამოიკვეთა ერთი საყურადღებო ტენდენცია, როდესაც 19 საარჩევნო ოლქის 73 უბანზე მისული 140 ამომრჩეველი არ იყო საარჩევნო სიებში რეგისტრირებული. მათგან 53-მა განაცხადა, რომ 15 ივნისს არჩევნების პირველი ტურის კენჭისყრაში მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ პირველ ტურთან შედარებით, მეორე ტურის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში ხარვეზები მნიშვნელოვნად შემცირდა.

**დასკვნა**

„სამართლიანი არჩევნების“ PVT მეთოდოლოგიით მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცესმა ორგანიზებულ და მშვიდ გარემოში ჩაიარა. სამართლიანი არჩევნების დამკვირვებლებმა გამოავლინეს ისეთი პროცედურული ხარვეზები, რომლებიც გავლენას ვერ მოახდენდა არჩევნების საბოლოო შედეგებზე.

## მოერიდეთ  ცალკეულ შემთხვევათა დასახელებას

მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებებისას უნდა მიეთითოს ანგარიშში ცალკეული შემთხვევები.

**კარგი პრაქტიკა:  გამონაკლისი ცალკეული შემთხვევა**

[redacted] არჩევნების დღის შემდეგ, ბ-ნმა X-მა არჩევნების წინასწარი შედეგები გააპროტესტა. მისი ორგანიზებით საპროტესტო მსვლელობები გაიმართა დედაქალაქში და რამდენიმე სხვა ქალაქიც მოინახულა. X-მა მოითხოვა არჩევნებთან დაკავშირებულ დარღვევებზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის ჩატარება, ან, ალტერნატიულად, მთავრობის გადადგომა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა. მთავარი სამაუწყებლო მედიის, მათ შორის, საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან არჩევნების შემდგომი მოვლენების გაშუქებისას შეიმჩნეოდა შერჩევითი მიდგომა. აღსანიშნავია, რომ შემცირდა კრიტიკული  მოსაზრებები არჩევნების ჩატარების მიმართ. ისინი ხშირად მხოლოდ ზოგადად და, რიგ შემთხვევებში, მარგინალურად აშუქებდნენ საპროტესტო აქციებს.

## საერთაშორისო სტანდარტებზე მითითება

არჩევნების იმ ასპექტის  მოხსენიებისას, რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს ან კარგ პრაქტიკას, აუცილებელია მისი კონკრეტულად აღწერა.

**კარგი პრაქტიკა: საერთაშორისო სტანდარტების მითითება**

**საარჩევნო კამპანიის გარემო**

[redacted] რიგ შემთხვევებში, სახელმწიფოს ინსტიტუტებისა და მმართველი პარტიის ინტერესებს შორის გამყოფი ზღვარი ბუნდოვანი იყო, რაც ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4 პუნქტსა და ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსის I.2.3 პუნქტს ეწინააღმდეგება. ამომრჩეველთა მოსყიდვისა და საჯარო მოხელეებზე ზეწოლის ბრალდებებმა - მათ შორის, სანდო ცნობებმა საარჩევნო კამპანიის ღონისძიებებზე იძულებით დასწრებისა და სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევების შესახებ - წინასაარჩევნო გარემოზე უარყოფითი გავლენა იქონია.

# 7. რეკომენდაციები (საბოლოო ანგარიში)

უფრო ხშირად რეკომენდაციები წარმოდგენილია საბოლოო და არა შუალედურ ანგარიშებში. ეს თქვენი ანგარიშის ბოლო ნაწილია, რომელიც მოჰყვება ძირითად ნაწილს, დანართებამდე, და შეიძლება  მოიცავდეს არჩევნების შედეგებს ან მედიამონიტორინგის სქემებს. რეკომენდაციების

საშუალებით, დამკვირვებლები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს და მიუთითებენ მოქმედების ხაზზე; გვთავაზობენ იდეებს საერთო პროცესის ან მისი ელემენტების გაუმჯობესებაზე. რეკომენდაციები მხოლოდ შეთავაზებებია და ადრესატებს სამართლებრივ ვალდებულებას არ აკისრებს. მათ გაუთვალისწინებლობას არ მოსდევს რამე სამართლებრივი შედეგი.

რეკომენდაციების მიზანია, გაუმჯობესდეს არჩევნების ჩატარება და ეს პროცესი სრულად შეესაბამებოდეს ვენეციის კომისიის კარგი პრაქტიკის კოდექსს, ეუთოსადმი ნაკისრ ვალდებულებებსა და დემოკრატიული არჩევნების სხვა საერთაშორისო სტანდარტებს.

## რეკომენდაციების ბუნება

რეკომენდაციები ეფუძნება ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოსა და შესაბამის საერთაშორისო თუ რეგიონულ ვალდებულებებს, პრინციპებსა და კარგ პრაქტიკას. ისინი ფორმულირებულია იმ მიზნით, რომ ადვოკატირება გაეწიოს საარჩევნო კანონმდებლობისა და პროცესის ცალკეული ასპექტების შეცვლასა და გაუმჯობესებას. რეკომენდაციები უნდა იყო ზუსტი, ნათელი და ცალსახა.

## რეკომენდაციების დანომვრა

ერთზე მეტი რეკომენდაციის შემთხვევაში სასურველია მათი დანომვრა, რათა გამარტივდეს მითითება მკითხველისათვის.

**კარგი პრაქტიკა: რეკომენდაციების მიმდევრობა**

1. ხელისუფლებამ შესაძლოა განიხილოს ამომრჩეველთა რეესტრის აუდიტი, რაც გულისხმობს აღნიშნული მონაცემების დეტალურ შედარებას ინფორმაციის წყაროსთან, ანუ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეესტრთან.

2. საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებები უნდა შევიდეს კონკრეტული დებულებების სახით, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავს მედიის როლს საპრეზიდენტო კამპანიის განმავლობაში.

3. ...

## ქვესათაურები

რეკომენდაციებს უნდა ჰქონდეს ქვესათაურები, რომლებიც საარჩევნო პროცესის კონკრეტულ მონაკვეთზე მიუთითებს (ბუნებრივია, ძირითადი გუნდის ანალიტიკოსები რეკომენდაციებს ადგენენ თავიანთი სამუშაო სფეროდან გამომდინარე), რათა მკითხველს გაუადვილდეს დადგენა, რას ეხება ისინი. ამასთან, შესაძლებელია, დასაწყისში წარმოადგინონ

ყველაზე პრიორიტეტული რეკომენდაციები, რომელთაც მოჰყვება რჩევები კონკრეტულ სფეროებზე. ეს შეიძლება გაკეთდეს შემდეგნაირად:

**კარგი პრაქტიკა: ქვესათაურები**

**პრიორიტეტული რეკომენდაციები:**

- 1. როგორც მთლიანად არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებელმა მუდმივმოქმედმა ორგანომ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დროულად და ეფექტიანად უნდა გადაჭრას საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზები და ბუნდოვანებები.

**საკანონმდებლო ბაზა**

- 2. განსახილველია საარჩევნო კანონმდებლობაში ბუნდოვანების აღმოფხვრის საკითხი.

**საარჩევნო ადმინისტრაცია**

- 3. საარჩევნო ადმინისტრაციის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა განიხილოს...

**ამომრჩეველთა რეგისტრაცია**

- 4. სამართლებრივი დაცვის რეალური შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად და მისი თანმიმდევრული გამოყენებისათვის სასურველია, ცვლილებები შევიდეს კანონში ამომრჩეველთა რეგისტრაციის შესახებ.

**კამპანიის დაფინანსება**

- 5. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ზუსტი ანგარიშგებისა და გამჭვირვალობისათვის, სასურველია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რათა შემოიღონ კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმები; ასევე, ეფექტიანი, თანაზომიერი და შემაკავებელი სანქციები პოტენციურ დარღვევებთან მიმართებით.

## კავშირებითი კილოს გამოყენება

რაკი რეკომენდაციები შეთავაზებებსა და წინადადებებს შეიცავს, ფორმულირებული უნდა იყოს კავშირებითი კილოს მეშვეობით. უმჯობესია, გამოვიყენოთ სარეკომენდაციო სიტყვები, მაგალითად, „შესაძლოა“ და არა იმპერატიული მნიშვნელობის მქონე „უნდა“. ეს შეიძლება გაკეთდეს შემდეგნაირად:

**კარგი პრაქტიკა: კავშირებითი კილო**

- რეკომენდებულია, რომ...
- შეიძლება გათვალისწინება...
- კარგი იქნებოდა, ხელისუფლებას განეხილა...

▬ უკეთესი იქნებოდა, გაზრდილიყო საკონსტიტუციო სასამართლოს გამჭვირვალობა...

▬ გადასახედია/შესასწორებელია საარჩევნო კოდექსის დებულებები ხმების მოსყიდვასთან დაკავშირებით.

## მიგნებები და დასკვნები, როგორც რეკომენდაციათა საფუძველი

რეკომენდაციები ეფუძნება საბოლოო ანგარიშის ძირითად ნაწილში წარმოდგენილ მიგნებებსა და დასკვნებს. მაგალითად, თუ თქვენი დასკვნით, „პარტიისა და კამპანიის დაფინანსების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა შეიცავს ხარვეზებს, ბუნდოვანებებსა და არათანაზომიერ სანქციებს" და ეს ნაკლოვანებები აღნიშნული გაქვთ ანგარიშის ძირითად ნაწილში, შეგიძლიათ რეკომენდაციის შემდეგნაირად ფორმულირება: „სასურველია, კანონში შევიდეს ისეთი ცვლილებები, რომ გაიწეროს დარღვევებისა და შესაბამისი თანაზომიერი, ეფექტიანი და შემაკავებელი სანქციების ამომწურავი ჩამონათვალი". პრობლემასა და რეკომენდაციებს შორის მკაფიო კავშირის დემონსტრირებისათვის, შესაძლებელია კონკრეტული რეკომენდაცია განთავსდეს ტექსტის იმ ნაწილის შემდეგ, სადაც საუბარია პრობლემაზე (ანგარიშის ბოლოს, ცალკე წარმოდგენასთან ერთად).

## რეკომენდაციები, როგორც საარჩევნო პროცესის გაუმჯობესებაზე მიმართული კონკრეტული რჩევები

შესაძლებელია რეკომენდაციების ზოგადად ჩამოყალიბება; თუმცა, სასურველია, ისინი კონკრეტულ და ზუსტ წინადადებებს შეიცავდეს საარჩევნო პროცესის შემდგომ გაუმჯობესებაზე. რეკომენდაციები შეიძლება გვირჩევდეს საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას, საარჩევნო ადმინისტრაციის პრაქტიკის ან სხვა დაინტერესებული მხარის მუშაობის გაუმჯობესებას. შესაძლებელია კონკრეტული საარჩევნო დახმარების პროექტთა შეთავაზებაც კი.

ქვემოთ მოცემული წინადადება არ ემსახურება ამ მიზანს:

▬ საუბნო საარჩევნო კომისიების თანამშრომლებმა უნდა შეწყვიტონ საარჩევნო დამკვირვებლებისადმი მტრული დამოკიდებულების გამოვლენა საჩივრების განხილვის პროცესში.

უკეთესი იქნებოდა ამ რეკომენდაციის შემდეგნაირად ფორმულირება:

▬ არსებობს საჭიროება, საუბნო საარჩევნო კომისიების თანამშრომლებს ჩაუტარდეთ შემდგომი ტრენინგი, სადაც მთავარი ყურადღება დაეთმობა კოდექსის ნორმებს.

## რეკომენდაციის ადრესატი

რეკომენდაციები უნდა ჩამოყალიბდეს საარჩევნო ადმინისტრაციისათვის, ასევე, პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო თანამეგობრობისათვის.

1. სასურველია, სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივმა ორგანიზაციებმა წამოიწყონ ფართომასშტაბიანი საარჩევნო საგანმანათლებლო პროგრამები ეთნიკური უმცირესობებისათვის...

2. საგანმანათლებლო დაწესებულებებმა საშუალო სკოლის სასწავლო პროგრამაში ჩართონ ამომრჩეველთა განათლების ელემენტები...

3. საარჩევნო ადმინისტრაციამ გააგრძელოს საუბნო საარჩევნო კომისიების იმ წევრთა ტრენინგი, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ...

4. პოლიტიკური პარტიები დაინტერესდნენ პოლიტიკური დიალოგის გამართვით ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებთან ადგილობრივ დონეზე.

## რეკომენდაციების გათვალსაჩინოება

შესაძლებელია რეკომენდაციების მხარდაჭერა ინფოგრაფიკებით, რადგან ისინი მიიპყრობს მკითხველის ყურადღებას და გაამარტივებს აღქმას.

**დიაგრამა 10: ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის პრიორიტეტული რეკომენდაციები**




*წყარო: www.isfed.ge*

## ინფორმაცია თქვენს ორგანიზაციაზე

თითოეული ანგარიშის ბოლოს წარმოდგენილი უნდა იყოს თქვენი ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა. ეს შეძლება შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ორგანიზაციის სრული დასახელება;
- თქვენი ხედვის/მისიის განაცხადი;
- დაფუძნება/ორგანიზაციის განვითარება მისი დაფუძნებიდან;
- საარჩევნო სადამკვირვებლო საქმიანობების ისტორია (მათ შორის, ძირითადი სფერო);
- თქვენი უმნიშვნელოვანესი საარჩევნო დახმარების პროექტები;
- სადამკვირვებლო საქმიანობის ძირითადი სფეროები;
- დაფინანსების წყაროები;
- თქვენი ვებგვერდის ბმული;
- საკონტაქტო ინფორმაცია და პირები.

ქვემოთ მოცემულია სადამკვირვებლო ორგანიზაციაზე ინფორმაციის მაგალითი:

### სქემა 11: საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაციაზე ინფორმაციის მაგალითი

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შესახებ

ორგანიზაციის სრული დასახელება

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) ის ძირითადი ინსტიტუტია, რომელიც ეუთოს წევრ სახელმწიფოებს ეხმარება „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის უზრუნველყოფაში, კანონის უზენაესობის დაცვაში, დემოკრატიისა და (...) პრინციპების მხარდაჭერაში, დემოკრატიული ინსტიტუტების შენებაში, გაძლიერებასა და დაცვაში, ასევე, საზოგადოების ტოლერანტობის ხელშეწყობაში" (1992 წლის ჰელსინკის სამიტის დოკუმენტი). მას „ეუთოს ადამიანურ განზომილებასაც" უწოდებენ.

ორგანიზაციის ისტორია

მისიის განაცხადი

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, რომელიც ვარშავაში (პოლონეთში) მდებარეობს, 1990 წელს პარიზის სამიტზე „თავისუფალი არჩევნების ოფისის" სახელწოდებით შეიქმნა. მან ფუნქციონირება დაიწყო 1991 წლის მაისში, ერთი წლის შემდეგ კი სახელწოდება შეიცვალა თავისი გაფართოებული მანდატის წარმოსაჩენად, რომელმაც ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიზაციის საკითხებიც მოიცვა. დღესდღეობით ოფისში 130-ზე მეტი ადამიანი მუშაობს.

არჩევნებში ჩართულობა

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი არჩევნებზე დაკვირვების სფეროში ევროპის წამყვანი დაწესებულებაა. ყოველწლიურად ის კოორდინირებას და ორგანიზებას უწევს ათასობით დამკვირვებლის მივლინებას სხვადასხვა ქვეყანაში, რათა შეფასდეს, რამდენად შეესაბამება ეუთოს რეგიონში ჩატარებული არჩევნები მის წინაშე აღებულ ვალდებულებებს, დემოკრატიული არჩევნების სხვა საერთაშორისო სტანდარტებსა და ვალდებულებებს და ეროვნულ კანონმდებლობას. მისი უნიკალური მეთოდოლოგია მთლიანი საარჩევნო პროცესის სიღრმისეული ანალიზის საშუალებას იძლევა. შესაბამისი პროექტების მეშვეობით,

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს საკუთარი საარჩევნო სტრუქტურების გაუმჯობესებაში ეხმარება.

საქმიანობის სხვა სფეროები

ოფისის დემოკრატიზაციის საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობა შემდეგ სფეროებს მოიცავს: კანონის უზენაესობა; საკანონმდებლო მხარდაჭერა; დემოკრატიული მმართველობა; მიგრაცია და გადაადგილების თავისუფლება; და გენდერული თანასწორობა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ყოველწლიურად ახორციელებს გარკვეული რაოდენობის მიზნობრივ დახმარებაზე ორიენტირებულ პროგრამებს, რომელთა მიზანია დემოკრატიული სტრუქტურების განვითარება.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ყველა საქმიანობა მიმდინარეობს ეუთოს წევრ ქვეყნებთან, ინსტიტუტებსა და ადგილობრივ პროგრამებთან (ისევე, როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან) მჭიდრო კოორდინაციისა და თანამშრომლობის რეჟიმში.

ორგანიზაციის ვებგვერდის მითითება

დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ვებგვერდზე (http://www.osce.org/odihr).

## 4.3. ანგარიშგებასთან დაკავშირებული რჩევები

საარჩევნო დოკუმენტებში (მაგ.: სადამკვირვებლო ანგარიშებში) გამოყენებულ ენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ძირითადმა გუნდმა თითოეული სიტყვა ფრთხილად უნდა აწონ-დაწონოს. ანგარიშებს გამოქვეყნების შემდეგ უკან ვეღარ დააბრუნებთ. ქვემოთ მოცემულ ნაწილში წარმოდგენილია რჩევები, როგორ უნდა დაიწეროს იოლად გასაგები და წასაკითხი ანგარიშები. იგი გვაძლევს მინიშნებებს ნათელი, მარტივი, გასაგები ენის გამოყენებაზე, სუბიექტური განცხადებების აცილებასა და ფაქტებისა თუ ციფრების წარმოდგენაზე.

### მარტივი ენა

უზრუნველყავით, რომ ანგარიში ნათლად დაწერილი და ადვილად გასაგები იყოს არჩევნების საკითხებში გაურკვეველი ადამიანებისთვისაც. მკითხველმა პირველი წაკითხვისთანავე ადვილად უნდა გაიგოს ის. გამოიყენეთ მარტივი ენა მის დასაწერად.

მარტივი ენა აზრს გასაგებად, პირდაპირ გამოხატავს და ამისათვის მხოლოდ აუცილებლად საჭირო სიტყვების რაოდენობას მოიხმარს. იგი თავისუფალია ჟარგონისაგან, ასევე, იშვიათი სიტყვებისა და ტერმინებისაგან; იყენებს შესაბამის, ადვილად მისახვედრ ტერმინოლოგიას; კონცენტრირებულია აზრის უბრალოდ გამოხატვაზე და არ აბნევს მკითხველს რთული გამოთქმებით. არ იყენებს უსარგებლო ფრაზებსა და გადატვირთულ წინადადებებს; თავს არიდებს მაღალფარდოვან გამოთქმებს; არის ფაქტებზე დაფუძნებული, მოკლე და პრობლემებზე ორიენტირებული.

### მოკლე წინადადებები და აბზაცები

ანგარიშები უფრო გასაგები იქნება, თუ მოკლე წინადადებებს, აბზაცებსა და თავებს გამოიყენებთ. ანალიტიკოსები საორიენტაციოდ

უნდა იღებდნენ, დაახლოებით, 12-სიტყვიან წინადადებებს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ უნდა შეიცავდეს 25-ზე მეტ სიტყვას. თითოეულ აბზაცში მხოლოდ ერთი თემა უნდა განიხილონ, აბზაცი კი უნდა იყოს 10-12 სტრიქონიანი. ნუ გაჭიმავთ თავებს; ეცადეთ, თითოეული მათგანი 2-3 გვერდიანი გამოვიდეს (საბოლოო ანგარიშის შემთხვევაში). ასე მკითხველი უფრო ადვილად გაიგებს თქვენს გზავნილს.

ეცადეთ, თავი აარიდოთ წინადადების ქვემოთ მოყვანილ წყობას:

- ამ დებულებით დადგენილი შეზღუდვის მიზანია, აიკრძალოს პროპაგანდისტული მასალის განთავსება დაწესებულებებსა და იმ შენობებზე, რომლებსაც კანონი ავალდებულებს, დაიცვან პოლიტიკური მიუკერძოებლობის პრინციპი და რომლებიც საზოგადოებამ პოლიტიკურად ნეიტრალურად უნდა აღიქვას. (29 სიტყვა)

ასე მოწოდებული გზავნილი უფრო ადვილად გასაგებია:

- საარჩევნო კოდექსის მე-9 მუხლი კრძალავს საარჩევნო პლაკატების განთავსებას სახელმწიფო დაწესებულებებზე; (10 სიტყვა)
- სახელმწიფო დაწესებულებები „ვალდებულნი არიან, დაიცვან პოლიტიკური მიუკერძოებლობის პრინციპი“; (8 სიტყვა).
- ამგვარად საზოგადოება მათ პოლიტიკურად ნეიტრალურ ორგანოებად აღიქვამს. (8 სიტყვა)

## ძირითადი გზავნილი

ანალიტიკოსებმა უნდა გამოტოვონ ან შეძლებისდაგვარად შეამცირონ ისეთი ფრაზები, რომლებიც წინადადებას რაიმე დამატებით მნიშვნელობას არ სძენს. შეეცადეთ, მოერიდოთ ფრაზებს, როგორიცაა: „უნდა აღინიშნოს, რომ.../აღსანიშნავია.../ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ...“ ყველა ეს ფრაზა მკითხველის ყურადღებას ფანტავს.

მოერიდეთ შემდეგ სტრუქტურას:

- აღსანიშნავია, რომ სოფელ თხილისწყაროს ინციდენტამდე ერთი დღით ადრე „ქართულმა ოცნებამ“ მიტინგი ჩაატარა თელავში.

წინადადებას მეტი წონა ექნება, თუ შემდეგნაირად იქნება ფორმულირებული:

- სოფელ თხილისწყაროს ინციდენტამდე ერთი დღით ადრე „ქართულმა ოცნებამ“ მიტინგი ჩაატარა თელავში.

## მოერიდეთ ვნებითი წინადადებების გამოყენებას

ვნებითი გვარის გამოყენებისას არ ჩანს ავტორი/წყარო, შესაბამისად, მკითხველისთვის გაუგებარი რჩება გარკვეული მნიშვნელოვანი ფაქტები.

მოერიდეთ წინადადების ასეთ ფორმულირებას:

> შემოღებულ იქნა მედიაპლურალიზმის ხელშეწყობაზე მიმართული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც დადებითად შეფასდა.

მსგავსი ტიპის წინადადებები ბევრ კითხვის ნიშანს უტოვებს მკითხველს: ვინ შეიტანა საკანონმდებლო ცვლილებები? ვინ შეაფასა ისინი დადებითად? ერთსა და იმავე ფიზიკურ/იურიდიულ პირზე ვსაუბრობთ?

წინადადების ეს წყობა მას უფრო გასაგებს ხდის:

> პარლამენტმა დაამტკიცა მედიაპლურალიზმის ხელშეწყობაზე მიმართული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც არჩევნების დამკვირვებლებმა დადებითად შეაფასეს.

## არ დააშოროთ ქვემდებარე, შემასმენელი და დამატება

ანალიტიკოსებმა უნდა გამოიყენონ წინადადებების ლოგიკური, თანმიმდევრული და ადვილად გასაგები წყობა. მათ საგნობრივად უნდა გამოხატონ აზრი, არ მიჩქმალონ გზავნილი რთული სინტაქსური წყობის მიღმა.

მოერიდეთ წინადადების შემდეგ წყობას:

> საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს საარჩევნო კომისიის წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს, მაგრამ მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში.

წინადადების ამგვარი აგება აზრს უფრო გასაგებს ხდის:

> საარჩევნო კოდექსით დაშვებულია საარჩევნო კომისიის წევრთა უფლებების ვადამდე შეწყვეტა.

## მსგავსი ფორმულირებები

როდესაც საქმე ერთსა და იმავე შემთხვევას ეხება, რეკომენდებულია, ანალიტიკოსებმა გამოიყენონ მსგავსი გრამატიკული ფორმები. ერთნაირი ენის გამოყენება გეხმარებათ აზრების თავმოყრაში და უადვილებს მკითხველს დოკუმენტის შინაარსის გაგებას:

> ცენტრალური საარჩევნო კომისია პროფესიონალურად მუშაობდა და, შეზღუდული რესურსების მიუხედავად, კანონით დადგენილი ვადები დაიცვა;

- ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ძალისხმევა მოახმარა ამომრჩეველთა სიებში აუცილებელი ცვლილებების შეტანას;
- ორი კანდიდატი, მოქმედი პრეზიდენტი და ოპოზიციის ლიდერი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ამ არჩევნებში.

## ფაქტები და ციფრები

როგორც პოლიტიკურად ნეიტრალურმა დამკვირვებელმა, თავი უნდა შეიკავოთ მხარდამჭერი ან საწინააღმდეგო აზრების გამოხატვისგან რომელიმე კანდიდატის, პოლიტიკური პარტიის, ჯგუფის, მოძრაობის ან ხელისუფლებაში მოსვლის მსურველი სხვა გაერთიანების მიმართ. ანალიტიკოსებმა უბრალოდ ფაქტები უნდა მოიყვანონ - ნეიტრალურად, გასაგებად და ლაკონიურად.

## არასაჭირო განსაზღვრებები

ზედმეტი ან რთული სიტყვები (მაგ.: სრულიად, აბსოლუტურად), ჩვეულებრივ, ტექსტს ასუსტებს. მათი გამოყენება ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ავტორი მიკერძოებულია მსჯელობისას.

მოერიდეთ წინადადებების შემდეგ წყობას:

- მათი სარჩელი სრულიად არარეალისტური იყო. ეს აბსოლუტურად აზრს იყო მოკლებული.

წინადადება უკეთესად არის ფორმულირებული ამ სახით:

- მათი სარჩელი არ იყო დასაბუთებული და ფაქტებით გამყარებული.

## ანგარიშის დეპერსონალიზაცია

დაკვირვებების ანგარიშგებისას ანალიტიკოსები უნდა მოერიდონ პირველ პირში საუბარს; უმჯობესია, ორგანიზაციაზე მესამე პირში ილაპარაკონ: „არჩევნებზე დამკვირვებელი ორგანიზაცია თვლის/მიაჩნია/ფიქრობს...“ ნაცვლად ფორმისა „მე/ჩვენ ვთვლით/მიგვაჩნია/ვფიქრობთ...“

## მოერიდეთ ემოციურ გამონათქვამებს

ანალიტიკოსები უნდა მოერიდონ ისეთი სიტყვების გამოყენებას, რომლებმაც შეიძლება გამოხატოს მათი მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე ორგანიზაციის, ინსტიტუტის, პოლიტიკური პარტიის ან კანდიდატის სასარგებლოდ.

სიტყვები, როგორიცაა, მაგალითად, „სამწუხაროდ“ არ უნდა გამოიყენოთ. თუმცა, პრობლემის მკაფიოდ დაფიქსირებისათვის, არ გამოირიცხება შეფასებითი მსჯელობა.

მოერიდეთ მსგავს წინადადებებს:

სამწუხაროდ, საჩივრების განხილვის პროცესში საუბნო საარჩევნო კომისიებისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები ხშირად ავლენდნენ მტრულ დამოკიდებულებას დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიმართ.

## ერიდეთ სუბიექტურ განცხადებებს

ანალიტიკოსებმა არ უნდა გამოხატონ საკუთარი გრძნობები, შეხედულებები და მოსაზრებები საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით. რეკომენდებულია მხოლოდ ფაქტების წარმოდგენა და მათი შეფასება ეროვნულ საკანონმდებლო ნორმებსა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მხრივ.

მოერიდეთ წინადადებების ასეთ წყობას:

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ცნობილი იყო უსამართლო გადაწყვეტილებების მიღებით უშუალოდ წინასაარჩევნო პერიოდში.

ამ სამსახურის შეფასების სწორი ფორმულირება ასეთია:

ახალ მარეგულირებელ ორგანოს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, დავალებული ჰქონდა პარტიათა და კანდიდატთა დაფინანსების კანონის დანერგვა. სახელმწიფო აუდიტის სამსახური ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით სარგებლობდა, თუმცა მთლიანობაში ვერ შეძლო კანონის გამჭვირვალე, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და თანმიმდევრული ფორმით გატარება, რადგან ძირითადად ოპოზიციაზე იყო ორიენტირებული.

## სათანადო ტერმინოლოგია

ანალიტიკოსთა ობიექტურობის საუკეთესო მაჩვენებელია საერთაშორისო მასშტაბით დამკვიდრებული საარჩევნო ტერმინოლოგიის გამოყენება (იხ. ასევე დანართი 2 - განსაზღვრებები) და, ამავდროულად, ნათელი, მოკლე და ადვილად გასაგები ენით წერა.

მოერიდეთ წინადადების ამგვარ ფორმულირებას:

აღმასრულებელი ხელისუფლება ჩარეული იყო სამართლებრივი რესურსების მიკერძოებული და არასათანადო გამოყენების უმეტეს შემთხვევებში. ამ მხრივ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი. გარკვეულ შემთხვევებში, ეროვნული უშიშროების საბჭოსთან არსებული უწყებათაშორისი ჯგუფიც შორს იყო ობიექტურობისაგან.

ტექსტის ფორმულირება შესაძლებელია შემდეგნაირად:

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით სარგებლობდა, თუმცა მთლიანობაში ვერ შეძლო კანონის გამჭვირვალე, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი

და თანმიმდევრული ფორმით გატარება, რადგან ძირითადად ოპოზიციაზე იყო ორიენტირებული. უწყებათაშორისი ჯგუფი ზოგჯერ ამეტებდა საკუთარ მანდატს და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა უფლებამოსილებათა დაყოფის პრინციპს.

## ნეიტრალური სათაურები

ანგარიშგებისას ანალიტიკოსებმა არ უნდა გამოავლინონ რაიმე სახის მიკერძოებულობა ან სიმპატია ხელისუფლების, პარტიების, კანდიდატების ან ნებისმიერი სხვა საარჩევნო სუბიექტის მიმართ.

ისინი უნდა მოერიდონ სათაურებში ემოციური კონტექსტის წარმოჩენას, როგორიცაა:

- 1.აღმასრულებელი ხელისუფლების არასწორი გადაწყვეტილებები და ქმედებები;
- 2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის არათანმიმდევრული მიდგომა;
- 3. ჯარიმების უსაფუძვლო დაკისრება;
- 4. დარღვევების მიმართ შერჩევითი დამოკიდებულება;
- 5. უკანონო შემოწირულობათა შემთხვევების იგნორირება.

ასეთი ფორმულირება სწორია, რადგან თქვენს ობიექტურობაზე მიუთითებს:

- 1. ტერიტორიული საარჩევნო კომისიები სარეგისტრაციო დოკუმენტებს დახურულ სხდომებზე ამოწმებდნენ. ხელმოწერის გადამოწმების წესი გაუგებარი იყო, ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო პრაქტიკას და კომისიებს თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას აძლევდა. ეს გადაწყვეტილებები გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.
- ...

## ანგარიშების გამოქვეყნებამდე

### ტექსტის ხმამაღლა წაკითხვა

ჩუმად კითხვისას ადამიანები ხშირად ტოვებენ სიტყვებს, მით უმეტეს, თუ მათ ნამუშევარს ეხება საქმე. ისინი ფიქრობენ, რომ იციან, რა დაწერეს. ხმამაღლა კითხვა კი მკითხველს აიძულებს, თითოეულ სიტყვას მიაქციოს ყურადღება. ეს ეხმარება იმის დადგენაში, არის თუ არა ტექსტი მკითხველზე ორიენტირებული და ადვილად გასაგები.

ანალიტიკოსები უნდა შეეცადონ, ყურადღება მიაქციონ პუნქტუაციას. მათ უნდა ჩაინიშნონ წინადადებები, რომლებიც საჭიროებს დაყოფას ან გარკვეულ ნაწილებში გადახედვას.

## მართლწერისა და გრამატიკის შემოწმების ინსტრუმენტები

ანალიტიკოსებმა თითოეული შემოთავაზებული ცვლილება ინდივიდუალურად უნდა განიხილონ.

## რედაქტირება და კორექტირება

ანგარიშის შედგენაში შესაძლოა სხვადასხვა ადამიანმა შეიტანოს წვლილი. ყველა მათგანს წერის კონკრეტული მანერა აქვს. ანალიტიკოსმა ან, უმეტეს შემთხვევებში, მისიის ხელმძღვანელის მოადგილემ უნდა მოახერხოს ცალკეული ტექსტების ჰარმონიზება. ასეთ შემთხვევებში, ჩვეულებრივ, გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

ყველა მონაწილეს ერთნაირად აქვს საკუთარი ტექსტი სტრუქტურირებული? რამდენად ერთგვაროვნად გადმოსცემენ შემთხვევებს - მნიშვნელოვანი ფაქტების აღნიშვნით, კანონის ნორმების დარღვევებსა და ინფორმაციის წყაროებზე მითითებით (მაგ.: დაკვირვება უშუალოდ მისიამ განახორციელა)?

## საშუალებები თვალსაჩინოებისათვის

ფოტოები, სქემები, დიაგრამები, ინფოგრაფიკები და ინციდენტთა რუკიდან ამონარიდების გამოყენება შესაძლებელია ანგარიშების გაფორმებისათვის. ასეთი საშუალებები მკითხველის ყურადღებას იპყრობს და აუმჯობესებს წაკითხულის გააზრებას. ანგარიშებისათვის მათი შერჩევისას ანალიტიკოსებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი უნდა გაითვალისწინონ: სამიზნე აუდიტორია, ანგარიშის მოცულობა, გამოყენებული ენა, ლექსიკა და ა.შ.

- არ გადატვირთოთ ანგარიში ზედმეტად ბევრი ფოტოთი, სქემითა და ინფოგრაფიკით;
- მოერიდეთ მსგავსი აქტივობების, პირებისა და ჯგუფების ფოტოების ჩასმას;
- დიდი პორტფოლიოს შემთხვევაში, შეარჩიეთ მხოლოდ ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ფოტოები. სქემებს/ინფოგრაფიკებს ყოველთვის უნდა ახლდეს განმარტებითი ტექსტები.

### შესაბამისი ფოტოებისა და გრაფიკული საშუალებების შერჩევა

- დამკვირვებელთა მხრიდან მონიტორინგის განხორციელების, სასწავლო აქტივობების, ოპერატორების მიერ მონაცემთა შეგროვების, პრესკონფერენციებისა და დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების ამსახველი ყველა ფოტო;

**დიაგრამა 12: კარგი პრაქტიკა - დიაგრამა**




*წყარო: www.isfed.ge*

- იპოვეთ ტექსტში შესაფერისი ადგილი თვალსაჩინოების საშუალებათა განსათავსებლად;
- დაურთეთ ფოტოები თავის დასაწყისში.

## 4.4. ანგარიშების თემები და საკითხთა ჩამონათვალი

წინამდებარე თავის მიზანია საარჩევნო პროცესის შეფასების იმ სფეროთა კომპლექსური მიმოხილვა, რომლებსაც, ჩვეულებრივ, ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიები აკვირდებიან და ასახავენ ანგარიშებში. კერძოდ: პოლიტიკური კონტექსტი, საკანონმდებლო ბაზა (მათ შორის, საარჩევნო სისტემა), საარჩევნო ადმინისტრაცია, ამომრჩეველთა ინფორმაცია, მათი სიები, ამომრჩეველთა რეგისტრაცია, საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია (პარტიები ან/და კანდიდატები), საარჩევნო კამპანია, გაშუქება მედიის მიერ, არჩევნების დღე (ხმის მიცემა და დათვლა), შედეგების დაჯამება და გამოქვეყნება, საჩივრები და სარჩელები, არჩევნების შემდგომი მოვლენები.

დამატებით, სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ანგარიშგების კითხვარი შეფასების თითოეული სფეროსათვის. ეს არის პრაქტიკული და მომხმარებელზე ორიენტირებული ინსტრუმენტი ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიების ხარისხიანი ანგარიშგებისათვის.

### ა) პოლიტიკური კონტექსტი

ადგილობრივ არჩევნებზე დაკვირვებისას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ არჩევნების ფართო კონტექსტი.

ანგარიშებში შესაძლებელია ისეთი ასპექტების გაანალიზებაც, რომლებსაც აშკარა და პირდაპირი კავშირი არ აქვთ არჩევნებთან (მაგ.: დემოკრატიზაციის პროცესი ქვეყანაში ან მიმდინარე გეოპოლიტიკური გავლენა). გარდა ამისა, უნდა შეისწავლონ ქვეყნის პოლიტიკური მოწყობა და ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვა, მათ შორის: ქალთა უფლებები, ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ან სხვა განსაკუთრებით დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობა.

ამასთან, შესაძლოა ფართო საარჩევნო ციკლის საკითხების ასახვა და გათვალისწინება ანგარიშებში, მაგალითად, როგორიცაა წინა რეკომენდაციების შესრულება, საარჩევნო რეფორმა, დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე (გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ჭრილში); არსებული კანონმდებლობა და ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობები -სამოქალაქო საზოგადოების ჩასართავად საზოგადოებრივ ცხოვრებაში; არსებული გარემოს გავლენა არჩევნების ჩატარებაზე.

პოლიტიკურ კონტექსტზე ანგარიშგებისას შესაძლებელია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

**პოლიტიკური პროცესები**

- რომელია საზოგადოების მიერ ყველაზე ხშირად წამოჭრილი საკითხები;
- როგორია ძირითადი დაინტერესებული მხარეების პოზიცია ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის მიმართ;
- იძლევა თუ არა პოლიტიკური სისტემა დემოკრატიულ პროცესებში, მათ შორის, არჩევნებში საზოგადოების მონაწილეობის საშუალებას; თუ პასუხი უარყოფითია, აღნიშნეთ შესაძლო მიზეზები (პროცესისადმი/დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი ნდობის ნაკლებობა? პოლიტიკური პარტიებისადმი ნდობის ნაკლებობა?).
- როგორ მიიღება კანონმდებლობა და რამდენად ინკლუზიურია ახალი კანონმდებლობის მომზადების პროცესი.

**არჩევნებისთვის რელევანტური პოლიტიკური ფაქტორები:**

- არსებობს თუ არა პოლიტიკური და დემოკრატიული ფაქტორები, რომლებიც, ჩვეულებრივ, არჩევნებში არ არის ჩართული და რელევანტურია საარჩევნო პროცესის ჩატარებისათვის (მაგ.: ჯარი)?
- არსებობს ფართო კონტექსტიდან მომდინარე გარემოებები, რომლებიც კანდიდატების/პოლიტიკური პარტიების მუშაობას ართულებს?

- წარმოადგინეს კანდიდატებმა/პოლიტიკურმა პარტიებმა ფართო სპექტრის მოსაზრებები, რომლებიც უზრუნველყოფს ამომრჩევლის ჭეშმარიტ არჩევანს?
- როგორ მოქმედებს დამკვირვებელთა მუშაობაზე აკრედიტაციისათვის აუცილებელი სამართლებრივი მოთხოვნები, როგორიცაა უცხო ქვეყნის დაფინანსების აკრძალვა ან წესდებაში სადამკვირვებლო საქმიანობის გათვალისწინება?
- რამდენად დასაშვებია დამკვირვებლის აკრედიტაციის მოთხოვნისა და მიღების პროცედურები?
- როგორია დაინტერესებულ მხარეთა პოზიცია ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წინა არჩევნების სადამკვირვებლო ანგარიშებში წამოჭრილ საკითხებთან მიმართებით და რა ნაბიჯები გადადგეს პასუხისმგებელმა უწყებებმა ამ საკითხების გადასაჭრელად?

### ქალთა მდგომარეობა საზოგადოებაში

- ასრულებს სახელმწიფო ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის მხრივ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს?
- რამდენად აქვთ ქალებს განათლებასა და დასაქმებაზე თანაბარი წვდომა?
- არიან თუ არა ცალკეული ჯგუფების წარმომადგენელი ქალები (უმცირესობები, იძულებით გადაადგილებული პირები, სოფლად მცხოვრები და ძალადობის ან/და ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალები) განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაში?

### ქალები პოლიტიკაში

როგორია:

- ქალთა პროცენტული მაჩვენებლები მოქმედ და წინა პარლამენტებში ან ადგილობრივ და რეგიონულ ასამბლეებში?
- ქალი მინისტრების, მერების ან ადგილობრივ და რეგიონულ ასამბლეათა თავმჯდომარეების პროცენტული მაჩვენებლები?
- სხვადასხვა დონის საარჩევნო ადმინისტრაციულ ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის თანაფარდობა და რაოდენობა?

### ეროვნული უმცირესობებისა და განსაკუთრებულ საჭიროებათა მქონე ჯგუფების მონაწილეობა

როგორია:

- თვითგამოცხადებული ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთა რაოდენობა, რომლებიც მუშაობენ მინისტრის ან სხვა მაღალ თანამდებობებზე, ანდა საკანონმდებლო ორგანოში?

- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა პროცენტული მაჩვენებელი ადგილობრივ საბჭოებში?
- თვითგამოცხადებული ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელ კანდიდატთა პროცენტული მაჩვენებელი პარტიულ სიებში?
- იძულებით გადაადგილებული პირების, ლტოლვილების ან მომთაბარე თემების წარმომადგენლობა პარტიულ სიებში (ეს ჯგუფები საკუთარ პოლიტიკურ პარტიას ქმნიან თუ სხვა პოლიტიკური პარტიების სიებით აირჩევიან)?
- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობა და თანაფარდობა სხვადასხვა დონის საარჩევნო ადმინისტრაციულ ორგანოებში.

## ბ) სამართლებრივი ჩარჩო

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ ადგილობრივ არჩევნებზე დაკვირვება არჩევნების სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესებას უწყობს ხელს. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს აკისრიათ პასუხისმგებლობა, შეძლებისდაგვარად უზრუნველყონ მშვიდობიანი საარჩევნო და პოლიტიკური პროცესების ადვოკატირება, როგორიცაა არჩევნებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება. საკანონმდებლო ჩარჩოს შინაარსსა და მის განხორციელებაზე დაკვირვება არჩევნებზე დაკვირვების ქვაკუთხედია, განსაკუთრებით, სამოქალაქო საზოგადოების იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც გრძელვადიან სადამკვირვებლო საქმიანობას ეწევიან და მთლიან საარჩევნო ციკლს აანალიზებენ.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ყველა ის ინსტრუმენტი უნდა გამოავლინონ, რომლებიც ქმნის ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს არჩევნებისთვის. როგორც წესი, ეს მოიცავს კონსტიტუციას (კერძოდ, თავისუფალი არჩევნების დებულებებს), ასევე, პარლამენტის მიერ მიღებულ საკანონმდებლო აქტებს (მაგ.: საარჩევნო კოდექსი ან კანონი), მთავრობის ან საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების მსგავსად (მაგ.: რეგულაციები და გადაწყვეტილებები).

საარჩევნო საკითხებთან მკაცრად დაკავშირებული დებულებების გარდა, არჩევნების სამართლებრივი ჩარჩოს შემადგენლობაში შედის ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა ნორმები (როგორიცაა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება) და სხვა შესაბამისი სფეროები (მაგ.: მოქალაქეობა, მედია და ა.შ.). ქვეყნის საკანონმდებლო ჩარჩოს ნაწილია მის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები - რომლებიც არეგულირებს თავისუფალი არჩევნების უფლებას და მასთან დაკავშირებულ უფლებებს (მაგ.: ICCPR და ECHR) - ან ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა ხელშეკრულებები, რომლებიც კონკრეტული ჯგუფების საარჩევნო უფლებებს მოიცავს (CEDAW და CPRW ქალებისათვის; ICERD და FCNM უმცირესობათათვის; CRPD შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის). გარდაამისა, გასათვალისწინებელია

საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით ეროვნული სასამართლოების მიერ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილებები, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, გამოვლინდეს საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესებაზე მიმართული მიმდინარე საკითხები, რომლებიც ქვეყნის მიერ ნაკისრ პოლიტიკურ ვალდებულებებს ეფუძნება. როგორც წესი, საერთაშორისო ორგანიზაციები თავიანთი სადამკვირვებლო საქმიანობისას ავლენენ ამ საკითხებს. კერძოდ, ისეთ დოკუმენტებში, როგორიცაა ადამიანის უფლებათა კომიტეტის საბოლოო დასკვნები სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მოთხოვნათა შესრულებასთან დაკავშირებით, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის სადამკვირვებლო ანგარიშები, ვენეციის კომისიის კვლევები და მოსაზრებები შესაბამისი ქვეყნის საარჩევნო კანონმდებლობის საკითხებზე. რეკომენდებულია, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა განიხილონ, რამდენად ეფექტიანად ეწყობა ხელი მოქალაქეების საარჩევნო უფლებებით სარგებლობას. ქვემოთ მოყვანილია კარგი სტრუქტურის მაგალითები.

საკანონმდებლო ბაზაზე დაკვირვებისა და ანგარიშგებისას სასურველია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

**საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩო**

- რომელი ინსტრუმენტები და დებულებები შეადგენს ეროვნულ საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩოს (სასამართლო გადაწყვეტილებების ჩათვლით). როგორია საარჩევნო კანონმდებლობის სტრუქტურა;
- რამდენად მკაფიოდ განსაზღვრავს საარჩევნო კანონმდებლობა არჩევნების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების იერარქიას (დადგენილია თუ არა, რომ საკონსტიტუციო და საკანონმდებლო დებულებები ნებისმიერ ინსტრუქციებზე უპირატესია?);
- სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესებაზე მიმართული რომელი ნაბიჯები გამოვლინდა და განხორციელდა (მაგ.: ვენეციის კომისიის, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მოსაზრებებსა და სადამკვირვებლო ანგარიშებში წარმოდგენილი რეკომენდაციები?) და რა გავლენა იქონია ამან პროცესზე; როგორია შემდგომი მიღწევები;
- რამდენად სტაბილურია საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩო, რომ დაინტერესებული მხარეებისათვის უზრუნველყოს საარჩევნო პროცესის სიცხადე (განჭვრეტადობა); ხორციელდება თუ არა ცვლილებები ინკლუზიური და საკონსულტაციო პროცესების საფუძველზე; შეაქვს თუ არა აღმასრულებელ ხელისუფლებას ცვლილებები ამ სფეროში თავისი კომპეტენციის და კანონების მიღების მარეგულირებელი სამართლებრივი დებულებების შესაბამისად;

- რამდენად იცავენ საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩოს მიმდინარე არჩევნების კონტექსტში;
- საარჩევნო წესებს აქვს თუ არა, სულ მცირე, პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტის სტატუსი (კერძოდ, დემოკრატიული არჩევნების პროცედურები და საერთო საარჩევნო სისტემა საკანონმდებლო აქტით უნდა იყოს განსაზღვრული? ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებული წესები და დეტალები შეიძლება აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიული დოკუმენტებით განისაზღვროს?);
- რამდენად ნათელი, თანმიმდევრული და ხელმისაწვდომია საარჩევნო კანონმდებლობა (გამოქვეყნებული და მოქალაქეებისთვის ადვილად ხელმისაწვდომია, შეუსაბამობებისა და ხარვეზების გარეშე; არ აქვს ზედმეტად რთული სამართლებრივი ჩარჩო);
- საარჩევნო კანონმდებლობა შევიდა თუ არა ძალაში კანონების მიღების მარეგულირებელი სამართლებრივი დებულებების შესაბამისად (რადგან ამ დებულებების შეუსრულებლად მიღებული ცვლილებები შესაძლოა გააუქმოს სასამართლომ).

საარჩევნო ადმინისტრაციის (EA) კომპეტენცია მოიცავს გარკვეული გადაუდებელი საკითხების ნორმატიული აქტებით რეგულირებას. თუმცა, საჭიროა საარჩევნო კანონმდებლობაზე საკანონმდებლო (საპარლამენტო) კონტროლის პრინციპის დაცვა.

ამგვარად, შესაძლებელია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

**საარჩევნო ადმინისტრაციის როლი**

- დადგენილია თუ არა კანონით ადმინისტრაციის უფლებამოსილებები (მათ შორის საარჩევნო პროცესის სამართლიანად, მიუკერძოებლად და კანონის შესაბამისად წარმართვის ვალდებულება);
- რამდენად მკაფიოდ განსაზღვრავს კანონმდებლობა საარჩევნო ადმინისტრაციის მოქმედების სფეროსა და ნორმატიული აქტების გამოცემის უფლებამოსილების მასშტაბებს;
- რამდენად ნათლად არის განსაზღვრული და განმარტებული ურთიერთობა ეროვნულ და ადგილობრივ ხელისუფლებას, ასევე, საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოებსა და სხვა სამთავრობო უწყებებს შორის (ხელისუფლების სხვა უწყებებთან კონფლიქტის ან უფლებამოსილებათა გადაფარვის თავიდან აცილებისათვის);
- რამდენად მკაფიოდ ადგენს კანონი, რომ დაუშვებელია, წესები ეწინააღმდეგებოდეს ან არ შეესაბამებოდეს საარჩევნო კანონმდებლობას;

- უზრუნველყოფს თუ არა საარჩევნო კანონმდებლობა საარჩევნო სუბიექტებისა და ამომრჩევლის მიერ საჩივრებისა და სარჩელების წარდგენას (ა) საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ წესების მიღებასა და განხორციელებასთან დაკავშირებით; (ბ) საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით.
- რამდენად მკაფიოდ განსაზღვრავს არჩევნების კანონმდებლობა საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილებას - გამოსცეს ინსტრუქციები საგანგებო ვითარებაში, არჩევნების დღესა და მის თანმდევ პროცესთან დაკავშირებით;
- ხომ არ ირღვევა ან იზღუდება არსებითი ფუნდამენტური უფლებები (როგორიცაა კენჭისყრის ფარულობა) საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტრუქციით/რეგულაციით.

**არჩევნების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო (ქალების მონაწილეობა )**

- უზრუნველყოფს კონსტიტუცია თანასწორ უფლებებს ქალებისათვის?
- შეიცავს იგი კონკრეტულ უფლებებს ქალებისათვის კენჭისყრისა და საჯარო თანამდებობის დაკავების შესახებ?
- არის კონსტიტუციაში მათთვის არახელსაყრელი რაიმე დებულებები?

**საარჩევნო სისტემა (ქალების მონაწილეობა)**

- რა გავლენა აქვს საარჩევნო სისტემას ქალების კანდიდატებად მონაწილეობაზე?
- ითვალისწინებს კანონი პოზიტიურ ღონისძიებებს არჩევით თანამდებობებზე ქალთა რაოდენობის გასაზრდელად და კონკრეტულად რომელს (მაგ.: ადგილების დაჯავშნა ქალებისათვის, კანდიდატთა სიებში ქალების გამსვლელ პოზიციებზე წარდგენა - პირველ ათეულში)? როგორ რეაგირებს საარჩევნო ადმინისტრაცია ისეთ პარტიულ სიებზე, რომლებიც არ აკმაყოფილებს პოზიტიური ღონისძიებების მოთხოვნებს (კვოტა).
- რომელიმე პოზიტიური ღონისძიების გატარების შემთხვევაში, როგორი წარმატებით გაიზარდა არჩეული ქალებისა და ქალი კანდიდატების რაოდენობა?
- რომელი პარტიული სიის სისტემა მოქმედებს ქვეყანაში - ღია თუ დახურული? ღია პარტიული სიის სისტემის შემთხვევაში მეტი ქალი წარადგინეს კანდიდატად თუ ნაკლები? როგორ ხდება ადგილმონაცვლეობა ქალის მიერ კანდიდატურის მოხსნისას.

- შედეგების თანახმად, საარჩევნო სისტემა ქალებისათვის ხელსაყრელია თუ არასახარბიელო?

**ეროვნული უმცირესობებისა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ჯგუფების მონაწილეობა**

- დაუსაბუთებელი შეზღუდვების გარეშე უზრუნველყოფს კონსტიტუცია საყოველთაო საარჩევნო უფლებას?
- როგორია საარჩევნო სისტემის შედეგები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობის მხრივ?
- არის თუ არა საარჩევნო კანონმდებლობაში კონკრეტული დებულებები ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობაზე - როგორც კანდიდატების, ისე ამომრჩევლების სახით?
- არსებობს რაიმე შეზღუდვა პოლიტიკური პარტიების სათემო იდენტობის საფუძველზე შექმნის მხრივ? რამდენად შესაძლებელია ნებისმიერი ადმინისტრაციული ზომის გამოვლენა, რომელიც ზღუდავს ეროვნულ უმცირესობათა კანდიდატების ან პარტიების ეფექტიან მონაწილეობას?
- ითვალისწინებს თუ არა საარჩევნო კანონმდებლობა სპეციალური ღონისძიებების გატარებას ეროვნული უმცირესობების, იძულებით გადაადგილებული პირების, ლტოლვილებისა და მომთაბარე თემების წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად?

## გ) საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული საარჩევნო პროცესის წარმართვისათვის. ის ქმნის პირობებს ამომრჩევლისა და საარჩევნო კონკურენტების მიერ ფუნდამენტური თავისუფლებებით და პოლიტიკური უფლებებით სრულად სარგებლობისათვის. საარჩევნო ადმინისტრაცია პროფესიონალურად, ეფექტიანად და გამჭვირვალედ უნდა მოქმედებდეს, საზოგადოების მაქსიმალური დაკვირვების ქვეშ; ამავდროულად, თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკური ჩარევისა და ზეწოლისაგან. მან უნდა უზრუნველყოს საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპის მკაცრი, ადეკვატური და მიუკერძოებელი დაცვა, დროულ განხორციელებასთან ერთად, რათა ყველა დაინტერესებულ მხარეს, განსაკუთრებით კი ამომრჩეველს, ჰქონდეს პროცესისადმი ნდობა.

ცენტრალური საარჩევნო კომისია გადაწყვეტილების მიმღები და მთლიანი პროცესის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი, ჩვეულებრივ, მუდმივმოქმედი ორგანოა, რომელიც ხელმძღვანელობს საარჩევნო ადმინისტრაციას. ამ ადმინისტრაციის სტრუქტურა თითქმის უცვლელად

შედგება განსხვავებული დონის ქვედა საარჩევნო კომისიებისაგან, რომლებიც ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა დონეს წარმოაჩენს (მაგ.: რეგიონი/ტერიტორია, რაიონი და მუნიციპალიტეტი). საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე მოქმედი ორგანოები შეიძლება იყოს როგორც მუდმივმოქმედი, ისე დროებითი, ანუ მხოლოდ საარჩევნო პერიოდისთვის შექმნილი. რა თქმა უნდა, აუცილებელია როლების მკაფიო განაწილება საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა ერთეულსა და დონეს შორის. მისი თითოეული რგოლის შემადგენლობა, ჩანაცვლების წესი და ფუნქციები ნათლად უნდა იყოს გაწერილი კანონით, რადგან ეს გავლენას ახდენს მათ დამოუკიდებლობასა და მუშაობის ხარისხზე.

საარჩევნო ადმინისტრაცია შეიძლება სხვადასხვა ტიპის წევრებისაგან შედგებოდეს, რომლებიც ინიშნებიან განსხვავებული მეთოდით. არაპარტიული დამოუკიდებელი კომისიის შემადგენლობაში არიან პირები, რომლებიც ინიშნებიან პროფესიული გამოცდილების საფუძველზე, ან შეირჩევიან პატივსაცემ, ნეიტრალურ და გამოცდილ პერსონათა შორის, მაგალითად, სასამართლო სისტემიდან. პარტიული დამოუკიდებელი კომისია შედგება პოლიტიკური პარტიების ან კანდიდატების მიერ წარდგენილ პირთაგან. ამგვარი საარჩევნო ადმინისტრაციის როლი მნიშვნელოვნად ძლიერდება, როდესაც მისი წევრები ფართო პოლიტიკურ სპექტრს წარმოაჩენენ, განსაკუთრებით, არჩევნების მონაწილეებს, და მოქმედებენ კოლეგიალურად, შეთანხმებით და კონსტრუქციულად, გადაწყვეტილებების პარტიული ნიშნით მიღების ნაცვლად.

აქ შესაძლებელია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

**საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა**

- აქვს თუ არა საზოგადოებას ნდობა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის მიმართ;
- რა საკითხებს წამოჭრის საზოგადოება ყველაზე ხშირად საარჩევნო ადმინისტრაციასთან მიმართებით;
- მოქმედებს თუ არა საარჩევნო ადმინისტრაცია დამოუკიდებლად, სამართლიანად და მიუკერძოებლად;
- რამდენად უზრუნველყოფს ის პოლიტიკური სპექტრის (ან არჩევნების მონაწილეების) წარმომადგენლობით ბალანს;
- რეგულარულად თუ ხორციელდება საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა შერჩევის პროცესი და ზოგადად რამდენად შეთანხმებულია მასთან დაკავშირებული წესები;
- აქვს თუ არა საარჩევნო ადმინისტრაციას თავისუფლად, ჩარევისა და ზეწოლის გარეშე მუშაობის საშუალება; ასევე
- ადეკვატური ფინანსური და სხვა სახის რესურსები;

- თუ მოქმედებს საარჩევნო ადმინისტრაცია კანონისა და პროცესუალური ნორმების შესაბამისად;
- რამდენად იცავს ის კანონით დადგენილ ვადებს და ახერხებს თუ არა ეფექტიან და დროულ დაგეგმვას ყველა პროგნოზირებადი საჭიროების გათვალისწინებით;
- რამდენად კოლეგიალურად, შეთანხმებულად და კონსტრუქციულად მუშაობს საარჩევნო ადმინისტრაცია (ყველა წევრს შეუძლია საკუთარი პოზიციის დაკავება? მათ თანაბარი წვდომა აქვთ ინფორმაციაზე?)
- თუ მოქმედებს საარჩევნო ადმინისტრაცია გამჭვირვალე ფორმით და უზრუნველყოფს აკრედიტებული წარმომადგენლების, დამკვირვებლებისა და მედიის წვდომას მის საქმიანობაზე დასაკვირვებლად;
- სათანადოდ აცნობს თუ არა თავის საქმიანობას არჩევნების დაინტერესებულ მხარეებსა და ფართო საზოგადოებას;
- რამდენად მკაფიოდაა განაწილებული როლები საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა დონეს შორის;
- მიღებული გადაწყვეტილებები/ინსტრუქციები სათანადოდ და დროულად თუ ეცნობება ადმინისტრაციის ქვედა დონეებს;
- რამდენად ახერხებს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადეკვატური და დროული ტრენინგის ჩატარებას საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე;
- სენსიტიური საარჩევნო მასალები მიეწოდება თუ არა ისეთი ფორმით, რომელიც უზრუნველყოფს მათ მთლიანობას.

**ქალების, ეროვნული უმცირესობებისა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ჯგუფების მონაწილეობა**

- წარმოდგენილნი არიან საარჩევნო ადმინისტრაციაში ქალები ხელმძღვანელ თანამდებობებზე? და რამდენად რეალურია მათი გავლენა?
- იცნობენ საარჩევნო კომიტეტები ქალებზე გავლენის მქონე საკითხებს (მაგალითად, ერთი ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ოჯახის სხვა წევრის ნაცვლად ) და რა ზომები მიიღეს მათ გადასაჭრელად?
- რამდენად მრავალფეროვანია საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოები და გარკვეულწილად თუ ასახავს ეთნიკურ შემადგენლობას ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე?
- თუ იცნობენ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები ეროვნული უმცირესობების, იძულებით გადაადგილებული პირების, ლტოლვილების ან მომთაბარე თემების საკითხებს და რამდენად მზად არიან მათი ეფექტიანად გადაჭრისათვის?

## დ) ამომრჩეველთა განათლება

ამომრჩეველთა განათლებასა და ინფორმირებაზე ანგარიშგება უნდა იწყებოდეს ორი ცნების მკაფიოდ განსაზღვრით და გადაწყვეტილებით, რომელ ასპექტებს მოიცავს მონიტორინგი. გადაწყვეტილება დამოკიდებულია მიმდინარე საარჩევნო ციკლისთვის შერჩეულ დაკვირვების სფეროზე. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, როგორც წესი, აფასებენ ამომრჩეველთა ინფორმირებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მასშტაბს, მათ ეფექტიანობასთან ერთად. ამ პროგრამებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარე ახორციელებს: საარჩევნო ადმინისტრაცია, პოლიტიკური პარტიები ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. შესაძლებელია კავშირის დადგენა განათლების პროგრამებსა და არჩევნებში სხვადასხვა ჯგუფის (ქალები, ახალგაზრდები და ეთნიკური ჯგუფები) მონაწილეობის დონეთა შორის.

ამომრჩეველთა საინფორმაციო პროგრამები, როგორც წესი, აწვდიან ძირითად ინფორმაციას კენჭისყრის პროცედურებზე, რეგისტრაციის მოთხოვნებზე, ვადებსა და, ზოგადად, არჩევნებზე. ამასთან, გამოიყენება მეთოდები, რომელთა მიზანია მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობის წახალისება; ინფორმირება საერთო დემოკრატიულ პროცესში მონაწილეობის უფლებაზე; პარალელის გავლება არჩევნებსა და ისეთ ფართო საკითხებს შორის, როგორიცაა ადამიანის უფლებები, კენჭისყრის უფლებით პირველად მოსარგებლე ამომრჩევლები, ქალები, უმცირესობები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ხანდაზმულები.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა შეიძლება ყურადღება გაამახვილონ ერთ-ერთ ან ორივე ასპექტზე.

შესაძლებელია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

**სტრატეგია**

- ავალდებულებს თუ არა კანონი საარჩევნო ადმინისტრაციას ამომრჩეველთა ინფორმირებას საარჩევნო პროცესის ყველა ასპექტზე;
- თუ აქვს საარჩევნო ადმინისტრაციას ამომრჩეველთა განათლების სტრატეგია;
- ვინ არის ჩართული ამომრჩეველთა განთლების/ინფორმირების პროცესში (საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოები, პოლიტიკური პარტიები, ცენტრალური ხელისუფლების უწყებები, მედიასაშუალებები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები);
- რამდენად თანამშრომლობენ საარჩევნო ადმინისტრაცია და სამოქალაქო საზოგადოება ამომრჩეველთა ინფორმირების/ განათლების ან უფრო ზოგადი სამოქალაქო განათლების პროგრამებში;

- აქვს თუ არა საარჩევნო ადმინისტრაციას მეთოდები ამომრჩეველთა ინფორმირების/განათლების პროგრამათა ეფექტიანობის შესაფასებლად (იცნობენ ამომრჩევლები საარჩევნო პროცესს და ფლობენ ინფორმაციას კანდიდატებზე, პარტიების რეგისტრაციასა და ხმის მიცემის მოთხოვნებზე?).

### დრო

- ინფორმაცია დროულად მიეწოდება ყველა უფლებამოსილ ამომრჩეველს?
- ინფორმაცია პროცედურების, ვადებისა და სარეგისტრაციო ადგილების შესახებ ხელმისაწვდომია ამომრჩეველთა რეგისტრაციის დაწყებამდე?
- ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში/პროცედურებში დროულად განემარტება ამომრჩეველს?

### შინაარსი

- ამომრჩეველთა განათლების პროგრამები აწვდიან ინფორმაციას დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქეთა როლსა და პასუხისმგებლობებზე? არსებობს თუ არა უფრო ზოგადი სამოქალაქო განათლების პროგრამები და ვინ ახორციელებს მათ?
- ამომრჩეველთათვის ინფორმაცია ნათლად არის წარმოდგენილი? მიუკერძოებელი და ადეკვატური ფორმით მიეწოდება ის (მაგ.: ბიულეტენებზე აღნიშნულია საარჩევნო სუბიექტთა კონკრეტული სახელები)?
- საკმარისი ინფორმაცია მიეწოდება ამომრჩეველთა უფლებებსა და ვალდებულებებზე? ანდა
- ვადებსა და პროცედურებზე (ხმის მიცემის პროცედურები, სად, როდის, როგორ)?
- გასაგებია ინფორმაცია ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცედურის შესახებ - სად, როდის, როგორ? შეუძლიათ ამომრჩევლებს საკუთარი სახელის გადამოწმება ამომრჩეველთა სიაში?

### სამიზნე აუდიტორია

- კომუნიკაციის რა არხები გამოიყენება (ტრადიციული ან ონლაინმედია და სოციალური ქსელები);
- რამდენად მორგებულია აუდიტორიაზე კომუნიკაციის არხების ან ინფორმაციის მიწოდების ტექნიკები (მაგ.: გამოიყენება სოციალური მედია ახალგაზრდა ამომრჩეველთან კომუნიკაციისთვის? როდის და როგორ გამოიყენება ბეჭდური ან აუდიომასალები და ა.შ.).

**ქალი ამომრჩევლების ინფორმირება**

- არსებობს კონკრეტულად ქალებზე მიმართული რაიმე სახის ინფორმაცია?
- ხელმისაწვდომია თუ არა ხმის მიცემის შესახებ ინფორმაცია ქალებისათვის (მაგ.: გადაჭრილია წიგნიერების დონისა და განსხვავებული ენის საკითხები)?
- ყველა ქალისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია ამომრჩეველთა რეგისტრაციის შესახებ?
- ხელისუფლება, პოლიტიკური პარტიები, მედიასაშუალებები ან არასამთავრობო ორგანიზაციები ერთვებიან ამომრჩეველთა რეგისტრაციის საინფორმაციო კამპანიებში, რომლებიც მიმართულია ქალებზე?
- ხომ არ ზღუდავს რაიმე ფაქტორი ქალების წვდომას საარჩევნო ინფორმაციაზე?

**ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირება**

- აქვს თუ არა დაგეგმილი საარჩევნო ადმინისტრაციას საქმიანობა ქვეყანაში მცხოვრები უმცირესობების წარმომდგენელ ამომრჩეველთა ინფორმირებასთან/განათლებასთან მიმართებით? ხელმისაწვდომია ინფორმაცია რეგისტრაციისა და ხმის მიცემის პროცედურების შესახებ მათ ენებზე?
- ვრცელდება თუ არა ამომრჩეველთა განათლებაზე მედიის მიერ წარმოდგენილი პროგრამები ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზეც?
- ამ უმცირესობათა წარმომადგენელი მომავალი კანდიდატები სათანადოდ არიან ინფორმირებულნი წარდგენისა და რეგისტრაციის პროცედურებზე?
- ახორციელებენ არასამთავრობო ორგანიზაციები ამომრჩეველთა ინფორმირების/განათლების პროგრამებს უმცირესობებისათვის? ან თუ არსებობენ უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელი აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ამ მხრივ საქმიანობენ?

**განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ამომრჩევლის ინფორმირება**

- არსებობს საგანმანათლებლო პროგრამები, მიმართული მოსახლეობის კონკრეტულ სეგმენტებზე, რომლებიც, ტრადიციულად, ამომრჩეველთა დაბალი აქტივობით გამოირჩევა?

- არსებობს საგანმანათლებლო აქტივობები კენჭისყრის უფლებით პირველად მოსარგებლე, ხანდაზმული ან წერა-კითხვის უცოდინარი ამომრჩევლებისათვის?
- ხელმისაწვდომია ამომრჩეველთა საინფორმაციო მასალები საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეებისთვის, იძულებით გადაადგილებული პირებისა თუ ლტოლვილებისთვის?
- აქვთ თუ არა სამოქალაქო და ამომრჩეველთა განათლების მასალებზე წვდომა იძულებით გადაადგილებულ პირებს, ლტოლვილებს, მომთაბარე თემებს ან მოშორებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს?
- რამდენად მაღალია ბათილი ბიულეტენების რაოდენობა და მიუთითებს თუ არა ეს ამომრჩეველთა მიერ პროცესის გაგების შესაძლო სირთულეებზე? ბათილი ბიულეტენები კონკრეტულ ტერიტორიაზეა კონცენტრირებული თუ კონკრეტულ თემს უკავშირდება?

## ე) ამომრჩეველთა სიები და რეგისტრაცია

ამომრჩეველთა რეგისტრაციის საერთო პროცესის შეფასებისათვის გასათვალისწინებელია საკითხები, რომლებიც უკავშირდება მარეგულირებელ კანონმდებლობას, მის განხორციელებას და ამომრჩეველთა სიების ხარისხს.

ამომრჩეველთა რეგისტრაციაზე მონიტორინგისას, სადამკვირვებლო პროექტის მოქმედების სფეროდან გამომდინარე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა შეიძლება ყურადღება გაამახვილონ ერთ-ერთ, ან ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხზე:

- ამომრჩეველთა სიების ხარისხი (გაითვალისწინეთ, რომ არ არსებობს მათი აბსოლუტურად ზუსტი სია);
- ამომრჩეველთა რეგისტრაციის საერთო პროცესი;
- საჯარო საინფორმაციო კამპანია ამომრჩევლების რეგისტრაციის პროცედურებსა და ვადებზე.

ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესზე ანგარიშგებისას შესაძლებელია ქვემოთ მოცემული საკითხების გათვალისწინება (წარმოდგენილია ამომრჩეველთა სიის ხარისხთან დაკავშირებული საკითხებიც):

**კანონმდებლობა**

- ნათლად ადგენს თუ არა კანონი ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესისა და ამომრჩევლის საარჩევნო უფლების დადგენის მოთხოვნებს;

- ხომ არ ყოფილა ამომრჩეველთა რეგისტრაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობა დავის საგანი წარსულში და რომელი ძირითადი საკითხები წამოიჭრა;
- შეესაბამება თუ არა ამომრჩევლის საარჩევნო უფლების კრიტერიუმები ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს, ასევე, არსებულ საერთაშორისო სტანდარტებსა და კარგ პრაქტიკას (მოქალაქეობა, ასაკი, ბინადრობა);
- რამდენად გონივრულია და სხვა მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი კენჭისყრის უფლების აკრძალვები ან შეზღუდვები;
- თუ არსებობს ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებელთა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები რეგისტრაციის პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით და რა სტატუსით ხორციელდება ისინი;
- ამომრჩეველთა რეგისტრაციის მარეგულირებელი კანონმდებლობის გადახედვის პროცესი ღიაა თუ არა საზოგადოებისათვის.

**ამომრჩეველთა სიები და რეგისტრაცია არჩევნების დღემდე**

- აკმაყოფილებს ამომრჩევლის საარჩევნო უფლების კრიტერიუმები ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებს?
- როდის განაახლა ამომრჩეველთა სია პასუხისმგებელმა უწყებამ? აქვეყნებენ ეს უწყებები ანგარიშებს თავიანთ აქტივობებზე ამომრჩეველთა სიის განახლებასთან დაკავშირებით?
- ამომრჩეველთა სიების შედგენა და განახლება შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის დებულებებს? ხომ არ მოითხოვს ამ სიის განახლება რომელიმე კანონის გადახედვას?
- რომელი ძირითადი საკითხებია წამოჭრილი ამომრჩეველთა სიის ხარისხზე წარსულში? ხომ არ უკავშირდება ისინი გარკვეულ ჯგუფს ან გეოგრაფიულ რეგიონს?
- რომელი საკითხებია წამოჭრილი დაინტერესებული მხარეების მიერ ამჟამად? რამდენად გამჭვირვალეა პროცესი?
- ეძლევა ამომრჩეველს სიაში საკუთარი სახელისა და ინფორმაციის სიზუსტის გადამოწმების შესაძლებლობა? რა სახისაა ეს შესაძლებლობები?
- ხომ არ არის ამომრჩეველთა სიაში სახელები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო არ უნდა იყოს?
- საკმარისი შესაძლებლობები აქვთ მოქალაქეებს საჩივრის შეტანისა და ამომრჩეველთა სიაში შესწორებების მოთხოვნისათვის?

- აქვთ თუ არა ამომრჩევლებს, საარჩევნო სუბიექტებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შესაძლებლობა, გადაამოწმონ ამომრჩეველთა სიასთან დაკავშირებული საჩივრების დამუშავების პროცესი?
- ყველა მოქალაქეს შეუძლია ამომრჩევლად რეგისტრაცია რაიმე სახის დისკრიმინაციის გარეშე? ხომ არ არსებობს გარკვეული ჯგუფებისათვის (მაგ.: უმცირესობათა ჯგუფები) რეგისტრაციასთან დაკავშირებული ბარიერები?
- შემუშავებულია თუ არა მკაფიო პროცედურები, რომლებიც მოიცავს ყველა აქტიური საარჩევნო უფლების მქონე ამომრჩეველს, ასევე, უზრუნველყოფს მხოლოდ უფლებამოსილი ამომრჩევლის დაშვებას არჩევნებზე და მრავლობითი რეგისტრაციის პრევენციას?
- არსებობს კონკრეტული დებულებები (რამდენად დეტალური?) რეგისტრაციის ალტერნატიული პროცედურების შესახებ (როგორიცაა ადგილზე არმყოფი ამომრჩევლის მოწმობა, ამომრჩევლის ბარათები)? ხორციელდება თუ არა ისინი სათანადოდ?
- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იქმნება ამომრჩევლის სარეგისტრაციო ცენტრები და საჯაროა მათი მდებარეობა?
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და საარჩევნო კონკურენტებს საკმარისი შესაძლებლობები აქვთ ამომრჩეველთა სიების სიზუსტის გადასამოწმებლად (მაგ.: ხელმისაწვდომია მათთვის ამომრჩეველთა სიის ასლები)? ასევე, საჩივრების წარსადგენად და ამომრჩეველთა სიაში შესწორებების შესატანად?
- შეუძლიათ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ამომრჩეველთა სიის ფორმირების ყველა ეტაპს დააკვირდნენ? ამისთვის დამატებითი აკრედიტაცია მოეთხოვებათ?
- ახორციელებს თუ არა ხელისუფლება საინფორმაციო კამპანიებს, რომლებიც მიზნად ისახავს მოქალაქეთა წახალისებას რეგისტრაციის გასავლელად და სიაში ინფორმაციის სიზუსტის გადასამოწმებლად? როგორ ფასდება ასეთი კამპანიების გავლენა?
- ჩართულნი არიან სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები ამომრჩეველთა რეგისტრაციის საინფორმაციო კამპანიებში? როგორ აფასებენ ამ კამპანიების გავლენას? მუშაობენ თუ არა ჯგუფები კოალიციაში მსგავსი საინფორმაციო კამპანიების საწარმოებლად?
- საარჩევნო უბნებზე გამოქვეყნებული ამომრჩეველთა სიის ასლები ოფიციალური საბოლოო სიის იდენტურია?

- არსებობს ნათელი წესები არჩევნების დღემდე საკმარისად ადრე სიაში ამომრჩეველთა რაოდენობის გასაჯაროების შესახებ ადმინისტრაციული ოლქისა და საარჩევნო უბნის დონეზე? დაცულია წესები?

**ამომრჩეველთა სიები არჩევნების დღეს**

- ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებული რა ტიპის პრობლემები წარმოიშვა არჩევნების დღეს და როგორ გადაიჭრა ისინი?
- შეესაბამება თუ არა ამომრჩეველთა დამატებით სიებთან დაკავშირებული დებულებები რეგისტრაციის ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს?

**ქალების მონაწილეობა**

- არსებობს ქალების ამომრჩევლად რეგისტრაციის რაიმე ბარიერები?
- გვარის შეცვლის შემთხვევები (მაგ.: ქორწინების შემდეგ) ზუსტად არის აღრიცხული?
- სარეგისტრაციო ოფისების მდებარეობა ხელსაყრელია ქალებისათვის? მათი სამუშაო საათები ხელს უწყობს ქალთა რეგისტრაციას?
- შეუძლიათ ქალებს ინდივიდუალურად რეგისტრაცია, თუ ოჯახის ან შინამეურნეობის სახელით რეგისტრირდებიან?

**ეროვნული უმცირესობებისა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ჯგუფების მონაწილეობა**

- რეგისტრაციის ფორმები ხელმისაწვდომია სხვადასხვა ენაზე?
- ხელმისაწვდომია დახმარება წერა-კითხვის პრობლემების მქონე პირთათვის?
- როგორ ასახავს არსებული რეგისტრაციის სისტემა ეროვნულ უმცირესობათა რეგისტრაციასა და მონაწილეობას არჩევნებში?
- ხომ არ აქვს რომელიმე ეროვნული უმცირესობის თემს ამომრჩევლად რეგისტრაციის ან მოქალაქეობის მოპოვების პრობლემები? ეს პრობლემები ტექნიკური სახისაა თუ პოლიტიკური? საჭიროა კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა?
- ამომრჩევლად რეგისტრაციისათვის პირადობის დამადასტურებელი რომელი დოკუმენტებია საჭირო? აღნიშნულია დოკუმენტებში მფლობელის ეთნიკური ან რელიგიური კუთვნილება?
- ხელმსაწვდომია თუ არა ეროვნული უმცირესობის თემებში ადეკვატური ინფორმაცია ამომრჩევლად რეგისტრაციის

პროცესზე? რომელი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი უმცირესობათა ენებზე?

- როგორ იზიდავს არსებული რეგისტრაციის სისტემა შშმ ამომრჩეველს? არსებობს ალტერნატიული გზები, რომლებიც ითვალისწინებს შშმ პირების ამომრჩევლად რეგისტრაციას დამატებითი ხარჯების ან პრაქტიკული სირთულეების გარეშე?
- ქმნის თუ არა საარჩევნო ადმინისტრაცია ცნობიერების ამაღლების სპეციალურ საინფორმაციო მასალებს ან მექანიზმებს, რომლებიც შშმ ამომრჩევლის რეგისტრაციას უწყობს ხელს?
- რამდენად აუცილებელია ამომრჩევლად რეგისტრირებისათვის მუდმივი ბინადრობისა და მისამართის რეგისტრაცია და როგორ მოქმედებს ეს იძულებით გადაადგილებულ პირებსა და მომთაბარე მოსახლეობებზე?

## ც) საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია

საარჩევნო სუბიექტების (პოლიტიკური პარტიები, კანდიდატები) რეგისტრაციის შესაფასებლად, გასათვალისწინებელია ამ პროცესთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი კანონმდებლობა და მისი განხორციელება. იმისათვის, რომ საარჩევნო პროცესი იყოს ნამდვილი, აუცილებელია პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების რეგისტრაციის ღია და ინკლუზიური პროცესის შექმნა კანონმდებლობის მიღებითა და კარგი პრაქტიკის დანერგვით. საკანონმდებლო ჩარჩო უნდა უზრუნველყოფდეს პოლიტიკური პარტიებისა თუ კანდიდატების მონაწილეობასა და რეგისტრაციას, მათი იდეოლოგიის მიუხედავად.

არჩევნებზე ადგილობრივმა დაკვირვებამ უნდა შეისწავლოს და შეაფასოს, რამდენად ნათელია რეგისტრაციის პროცედურები და ერთგვაროვნად იყენებენ თუ არა მათ. სიღრმისეულად უნდა გაანალიზდეს კანდიდატობის შეზღუდვის სახეები. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი შეზღუდვები ხშირად კანონმდებლობითაა დადგენილი, ისინი გონივრული და არადისკრიმინაციული უნდა იყოს (ამის საპირისპირო მაგალითია მოთხოვნა კანდიდატის მხარდამჭერთა სიებში ხელმოწერების გადაჭარბებულ რაოდენობაზე, ან არაგონივრული მოთხოვნები ფინანსურ დეპოზიტზე).

ამას გარდა, უნდა შეისწავლონ პარტიებისა და კანდიდატების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ვადები. საკანონმდებლო ჩარჩო საკმარისად გონივრულ ვადას უნდა ადგენდეს კანდიდატთა მიერ სარეგისტრაციო დოკუმენტების წარმოდგენისათვის. ამავდროულად, კანდიდატებს, რომელთა განაცხადებიც უარყოფილია არასაკმარისი დოკუმენტაციის გამო, უნდა ჰქონდეთ დოკუმენტების ხელახალი წარდგენის შესაძლებლობა კამპანიაში დროულად მონაწილეობისათვის. ადგილობრივმა საარჩევნო დამკვირვებლებმა უნდა მოახდინონ კანდიდატთა დისკვალიფიკაციისა და შემდგომი საჩივრების პროცესთა ანგარიშგება, რათა შეაფასონ დავების გადაჭრა. განსაკუთრებული

ყურადღება უნდა მიექცეს კანდიდატურის მოხსნას და იმ შემთხვევათა ანგარიშგებას, რომლებიც ზეწოლასა თუ დაშინებაზე მიუთითებს.

საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციაზე ანგარიშგებისას შესაძლებელია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

**საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია**

- ნათელი და გამჭვირვალეა თუ არა პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციისა და ფუნქციონირების პროცედურები?
- რამდენად ნათლად არეგულირებს კანონი არჩევნებში კენჭისყრის უფლებას, ან თუ უზრუნველყოფს თანასწორ შესაძლებლობებს პოლიტიკური სპექტრის ყველა მონაწილისათვის?
- წარსულში თუ წამოუჭრიათ კანდიდატებს რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებული საკითხები და ძირითადად რომელი? აღინიშნა ისინი ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ?
- რამდენად ღია და ინკლუზიურია კანდიდატთა რეგისტრაციის პროცედურები?
- ერთგვაროვნად და სამართლიანად გამოიყენება ისინი?
- შეზღუდვები კენჭისყრის უფლებაზე გონივრულ სამართლებრივ ფარგლებშია დაწესებული? როგორ გამოიყენება ისინი?
- აქვთ საარჩევნო სუბიექტებს გასაჩივრების უფლება რეგისტრაციაზე უარის შემთხვევაში? სამართლებრივი დაცვისთვის საკმარისი დროა გამოყოფილი არჩევნებამდე, რომ კანდიდატებმა კამპანიის წარმოება შეძლონ?
- როგორ მიიღება გადაწყვეტილება კანდიდატისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ?
- გონივრული და არადისკრიმინაციულია მოთხოვნები ფინანსურ დეპოზიტთან დაკავშირებით? ან
- მხარდამჭერთა ხელმოწერების შესახებ?
- არსებობს თუ არა ნათელი წესი თითოეული კანდიდატის მხარდასაჭერად წარმოდგენილ ხელმოწერათა გადამოწმებისათვის?
- არიან ჯგუფები, რომლებიც კანდიდატად რეგისტრაციის პროცესში მეტ ბარიერს აწყდებიან (მაგ.: ქალები, უმცირესობები)?
- აქვთ თუ არა კანდიდატებს განაცხადში ტექნიკური შეცდომების გამოსწორებისა და განაცხადის ხელახალი წარდგენის საშუალება?
- ბევრი კანდიდატი ხსნის კანდიდატურას რეგისტრაციის შემდეგ? ასეთ შემთხვევაში, რამდენად გონივრული და დასაბუთებულია საფუძველი (მაგ.: ხომ არ მოხდა ზეწოლა ან დაშინება მათზე)?

- კანდიდატურის მოხსნის პროცესში რაიმე მოდელი ხომ არ შეინიშნება (მაგ.: გარკვეული პოლიტიკური კუთვნილების, რეგიონული განაწილების მხრივ)?

**პოლიტიკური პარტიები (ქალების მონაწილეობა)**

- რამდენ ქალს უკავია ხელმძღვანელი თანამდებობა პოლიტიკურ პარტიებში?
- როგორ ყალიბდება კანდიდატთა სიები? არსებობს სპეციალური ღონისძიებები ქალებისათვის (მაგ.: მხოლოდ ქალთა სიები)?
- არსებობს რაიმე კონკრეტული ზომები ქალების კენჭისყრის წასახალისებლად?
- ითვალისწინებს პოლიტიკური პლატფორმები ქალთა საჭიროებებს?
- არსებობს ქალ ამომრჩეველთა მხარდაჭერის მოპოვებაზე მიმართული კონკრეტული ზომები?

**კანდიდატის რეგისტრაცია (ქალების მონაწილეობა)**

- არსებობს კანდიდატთა სიებთან დაკავშირებული კონკრეტული წესები, რომლებიც ხელს უწყობს ქალების მონაწილეობას - კვოტები/სხვადასხვა სქესის კანდიდატთა მონაცვლეობის წესი („zipping“)/მანდატები მხოლოდ ქალებისათვის?
- ხომ არ აფერხებს მოთხოვნილი ხელმოწერებისა და ფინანსური დეპოზიტის რაოდენობა ქალთა წარდგენას კანდიდატებად?
- როგორ რეაგირებენ საჯარო მოხელეები კანდიდატთა სიებზე, რომლებიც არ აკმაყოფილებს პოზიტიური ღონისძიების მოთხოვნებს?

**ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა**

- არსებობს კანდიდატებისათვის მოთხოვნები ენის თავისუფლად ფლობაზე? როგორ მოქმედებს ეს საარჩევნო პროცესში ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობაზე?
- როგორ ყალიბდება პარტიული სიები? არსებობს რაიმე მოთხოვნები უმცირესობების წარმომადგენელთა წარდგენაზე?

## ზ) საარჩევნო კამპანია

### კამპანია

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის აუცილებელია, ყველა საარჩევნო სუბიექტმა (პარტიები, კანდიდატები) და მათმა მხარდამჭერებმა პოლიტიკური გზავნილები თავისუფლად მიიტანონ ამომრჩევლამდე, რათა მან ინფორმირებული არჩევანი გააკეთოს.

კამპანია უნდა ეფუძნებოდეს თავისუფალ და შეუფერხებელ სარგებლობას შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით.

კერძოდ, სამართლებრივმა ჩარჩომ უნდა უზრუნველყოს თითოეული პოლიტიკური პარტიისა და კანდიდატის სამართლიანი და თანაბარი წვდომა ელექტორატზე, ასევე, შესაძლებლობები საკუთარი პოლიტიკის გაცნობის, საჭირო კვალიფიკაციაზე აგიტაციის, ქვეყნის მასშტაბით შეხვედრების ჩატარების მხრივ. თანასწორი შესაძლებლობების გარანტიები შეიძლება დამატებით დაარეგულირონ ადმინისტრაციულმა ორგანოებმაც, როგორიცაა ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც ზედამხედველობას უწევს კამპანიების სათანადოდ ჩატარებას. ხელისუფლებამ კამპანიის რეგულაციები ერთგვაროვანი და მიუკერძოებელი ფორმით უნდა დანერგოს და აღასრულოს.

რეგულაციებმა უნდა უზრუნველყოს თანაბარი წვდომა სახელმწიფო რესურსებზეც და აღკვეთოს თვითნებური ადმინისტრაციული ქმედებები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კამპანია თავისუფალი იყოს ძალადობის, ზეწოლისა და დაშინებისაგან. მოქალაქეებს არ უნდა ეშინოდეთ ანგარიშსწორებისა (მაგ.: სამსახურის დაკარგვის), მათი კამპანიის აქტივობათა გამო. ყველა პირი თავისუფალი უნდა იყოს ხელისუფლების მხრიდან იძულებისაგან; ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს ისეთ ჯგუფებს, როგორებიც არიან: სტუდენტები, ჯარისკაცები, საჯარო სექტორში დასაქმებული პირები და ადგილობრივი ლიდერები. ამას გარდა, უსაფრთხოების ძალები მოვალენი არიან, თავი შეიკავონ დაშინებისაგან და აიცილონ მისი გამოვლინება სხვების მხრიდან.

ამ კონტექსტში შესაძლებელია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

**კამპანიის შეფასება**

- რამდენად თავისუფლად შეიძლება პოლიტიკურ კამპანიაში ჩართვა (გამოხატვის, შეკრების, გაერთიანებისა და მოძრაობის თავისუფლებებს დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფს კანონი)? ამ უფლებების შეზღუდვები „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“?
- უზრუნველყოფილნი არიან პოლიტიკური პარტიები და კანდიდატები კანონის წინაშე თანასწორი მოპყრობით? საკანონმდებლო ჩარჩო ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის თანასწორ პირობებს ქმნის?
- არეგულირებს თუ არა კანონმდებლობა პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების ქცევას საარჩევნო კამპანიების განმავლობაში და უზრუნველყოფს ხელისუფლების ჩარევისგან თავისუფალ, აქტიურ და ღია კამპანიას?
- ხომ არ იზღუდება კამპანიის წარმოების შესაძლებლობა ქალი კანდიდატებისა და მათი მხარდამჭერებისათვის? ან ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი კანდიდატებისა და მათი მხარდამჭერებისათვის?

- ერთგვაროვანი, მიუკერძოებელი და ეფექტიანი ფორმით ხორციელდება და აღსრულდება კამპანიის მარეგულირებელი ნორმები?
- არსებობს თუ არა ძალადობის, დაშინებისა და შევიწროების რეალური შემთხვევები, ან მოწოდებები ძალადობისაკენ ეროვნული, რასობრივი თუ რელიგიური სიძულვილის ნიშნით? შექმნიათ ქალ კანდიდატებს პრობლემები კამპანიაში ჩარევის ან დაშინების მხრივ? მსგავსი რამ მამაკაცთა მიმართაც ხდებოდა? სწრაფად, ერთგვაროვანად და ეფექტიანად რეაგირებდნენ ასეთ ინციდენტებზე?
- მიუკერძოებელი, თავშეკავებული, პროფესიონალური და სათანადო ფორმით მოქმედებენ კამპანიის განმავლობაში სამართალდამცველი და სხვა მარეგულირებელი ორგანოები (მაგ.: საგადასახადო ადმინისტრაცია)?

### კამპანიის დაფინანსება და ადმინისტრაციული რესურსების არასათანადო გამოყენება

პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს არჩევნებში მონაწილეობისათვის ესაჭიროებათ ფულადი და სხვა სახის რესურსები, რომელთა მოპოვებაც შესაძლებელია კერძო ან საჯარო წყაროებიდან. კერძო წყაროები, როგორც წესი, შემოწირულობებსა და შენატანებს გულისხმობს, ხოლო საჯარო წყარო შეიძლება მოიაზრებდეს სახელმწიფოსგან მიღებულ, კანონით გათვალისწინებულ დაფინანსებას (მაგ.: სუბსიდიები), ან ჰქონდეს ნაკლებ ლეგიტიმური სახე (მაგალითად, ისეთი საჯარო რესურსების გამოყენება, როგორიცაა პერსონალი, ოფისი და აღჭურვილობა). ეს უკანასკნელი შეიძლება განვიხილოთ, როგორც კამპანიის დაფინანსების ფარული ფორმები. აუცილებელია, ისინი განვასხვაოთ წინა ჩამონათვალში ნახსენები ადმინისტრაციული რესურსების უფრო იძულებითი გამოყენებისაგან. 1990-იანი წლების მიწურულს შემუშავდა და პრაქტიკაში დაინერგა საარჩევნო კამპანიის დაფინანსებასა და საჯარო ანუ „ადმინისტრაციული“ რესურსების არასათანადო გამოყენებაზე მონიტორინგის მეთოდოლოგია.

ქვემოთ მოცემული საკითხები დამკვირვებლებს დაეხმარება კამპანიის დაფინანსებაზე ანგარიშგებისას:

**კამპანიის დაფინანსება**

- სამართლიანობის პრინციპით აფინანსებს (თუკი ეს შესაძლებელია) სახელმწიფო პარტიებსა თუ კანდიდატებს?
- საარჩევნო სუბიექტთა შემოსავლები და ხარჯები კანონის მოთხოვნათა შესაბამისად არის დეკლარირებული? რამდენად ნათელი, დეტალური და დროულია ეს დეკლარაციები დაფინანსების ეფექტიანად შესწავლისათვის?

- შეესაბამებოდა თუ არა პრეტენდენტთა მიერ დეკლარირებული შემოსავლის წყაროები დაკვირვების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას მათ შესახებ? ან
- დაკვირვების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია ხარჯების შესახებ (ანდა სავარაუდო მთლიანი ხარჯი ნიმუშების ექსტრაპოლაციის საფუძველზე) პრეტენდენტთა მიერ დეკლარირებულ ხარჯთაღიცხვას?
- ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი უწყებები სათანადოდ ასრულებენ თავიანთ ფუნქციას ან/და აფასებენ უშუალოდ სამართლებრივი ჩარჩოს ადეკვატურობას?
- კამპანიის დაფინანსების რომელ ასპექტებზე განხორციელდა მონიტორინგი და როგორ: შემოსავლებზე (შემოწირულობები, სახელმწიფო დაფინანსება, ა.შ.), ხარჯებზე თუ ორივეზე?
- რა კონკრეტული ამოცანები ჰქონდა თითოეულ შემთხვევაში მონიტორინგს - მაგალითად, რა იყო მიზანი პრეტენდენტთა შემოსავლებსა ან ხარჯებზე მონიტორინგისას: დეკლარირებულ შემოსავლებზე/ხარჯებზე ინფორმაციის შედარება სხვა წყაროებთან (მაგ.: დონორების შესახებ ინფორმაცია; პარტიების შენატანები ნატურალური ფორმით; ხარჯები, რომელთა მონიტორინგიც განხორციელდა)? თუ დეკლარაციების ანალიზი ნაკლებ სავარაუდო დონორების, ურთიერთდაკავშირებული ან დონორთა მიერ მიღებულ სარგებელთან დაკავშირებული შემოწირულობების გამოსავლენად (მაგ.: საჯარო კონტრაქტები)?
- სამართლებრივ მოთხოვნათა შესაბამისად და სამართლიანი და არადისკრიმინაციული ფორმით გაეწიათ პრეტენდენტებს სახელმწიფო დახმარება (როგორიცაა სუბსიდიები, კამპანიის რესურსები/სივრცე, საეთერო დრო და ა.შ.)?
- წარდგენილია საჩივრები კამპანიის დაფინანსების რეგულაციათა დარღვევებზე? დროულად და მიუკერძოებლად განიხილეს ისინი?

ქვემოთ მოცემული სია დამკვირვებლებს დაეხმარება ადმინისტრაციული რესურსების არასათანადო გამოყენებაზე ანგარიშგებისას:

**ადმინისტრაციული რესურსების არასათანადო გამოყენება**

- რეგულირდება თუ არა სახელმწიფო რესურსების (სახელმწიფო/საზოგადოებრივი შენობები, ინფრასტრუქტურა, სატრანსპორტო საშუალებები და თანამშრომლები) არასათანადო გამოყენება საარჩევნო კამპანიისთვის? საკმარისად და ნათლად ზღუდავს ან კრძალავს ასეთ ქმედებებს კანონი?
- ხომ არ გამოიყენება სახელმწიფო რესურსები ერთი ან მეტი პოლიტიკური პრეტენდენტის იძულებისა თუ შევიწროებისათვის?

- რა ტიპის ადმინისტრაციულ რესურსებზე განხორციელდა მონიტორინგი? რამდენად შესაძლებელია კამპანიის რესურსები იყოს ინსტიტუციური (ოფისები, პერსონალი, აღჭურვილობა, სატრანსპორტო საშუალებები, ა.შ.) ან საბიუჯეტო (სახელმწიფო ბიუჯეტის პირდაპირი გამოყენება), ანდა უკავშირდებოდეს მედიას (სახელმწიფო/საზოგადოებრივი მედიაორგანიზაციების გამოყენება)?
- ხომ არ გამოუყენებიათ საჯარო ინსტიტუტთა შენობა-ნაგებობები, ინფრასტრუქტურა ან სატრანსპორტო საშუალებები კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ან კანდიდატის საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის ისეთი ფორმით, რომელსაც არ ითვალისწინებს სახელმწიფო დახმარების სამართლებრივი დებულებები?
- მონაწილეობდნენ ან ესწრებოდნენ საჯარო ადმინისტრაციის თანამშრომლები კამპანიის აქტივობებს სამუშაო საათების განმავლობაში?
- როგორია პარტიების ან კანდიდატების მიერ მიღებული სავარაუდო ფინანსური სარგებელი ადმინისტრაციული რესურსების არასათანადო გამოყენების შემთხვევაში?

### ქალების მონაწილეობა

- რომელიმე კანდიდატის შემთხვევაში დაფიქსირდა გენდერით მოტივირებული ჩარევა ან დაშინება კამპანიის განმავლობაში?
- კამპანიისას ქალ კანდიდატებს ისეთივე წვდომა აქვთ რესურსებზე, როგორიც მამაკაცებს?

### ეროვნული უმცირესობებისა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ჯგუფების მონაწილეობა

- უჭერს თუ არა მხარს ხელისუფლება გადაადგილებისა და შეკრების თავისუფლებას ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე?
- თავისუფლად შეუძლია ამომრჩეველს, დაესწროს კამპანიის ღონისძიებებს ჩარევის, დაშინებისა და ანგარიშსწორების შიშის გარეშე?
- აქვთ თუ არა კანდიდატებს - მათ შორის, ეროვნული უმცირესობების პარტიათა წარმომადგენლებს - თავისუფლად გადაადგილებისა და კამპანიის ღონისძიებათა ორგანიზების საშუალება? შეუძლიათ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ კანდიდატებს, გაერთიანებებსა და პარტიებს სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე ისარგებლონ საზოგადოებრივი ობიექტებით კამპანიის წარმოებისას?
- შეუძლიათ ეროვნულ უმცირესობებს კამპანიის პლაკატებისა და სხვა სააგიტაციო მასალების დაბეჭდვა და განთავსება? ქვეყნდება სააგიტაციო მასალები უმცირესობათა ენებზე?

- აქვთ თუ არა კანდიდატებსა და პარტიებს კამპანიის ღონისძიებების უმცირესობათა ენებზე წარმართვის საშუალება?
- რომელიმე პარტიის, კერძო პირის, ჯგუფის ან ხელისუფლების მხრიდან ხომ არ აღინიშნება უმცირესობის საწინააღმდეგო კამპანია ან დაშინება არჩევნების განმავლობაში? დაფიქსირდა სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები კამპანიისას?
- როგორ უდგებიან კანდიდატები, პარტიები ან გაერთიანებები ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებს თავიანთი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში?
- რამდენად ხელმისაწვდომია საარჩევნო კამპანიებისას გამოყენებული შეხვედრის ადგილები და კამპანიისა თუ საარჩევნო ოლქების ოფისები შშმ პირებისათვის?
- რამდენად ხელმისაწვდომია კამპანიის მასალები და პოლიტიკური პარტიების ვებგვერდები შშმ ან იძულებით გადაადგილებული პირებისა და მომთაბარე თემებისათვის?

## თ) არჩევნების გაშუქება მედიის მიერ

მედიას სასიცოცხლო მნიშვნელობის როლი აქვს არჩევნებში და კანდიდატებისათვის უზრუნველყოფს პლატფორმას, რომლის საშუალებითაც ამომრჩეველს აცნობენ კამპანიის გზავნილებს. მედია აანალიზებს კამპანიას, საზოგადოებას აცნობს სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის შეხედულებებს და შეუფერხებლად აშუქებს იმ პირებს, ვინც ფლობს ძალაუფლებას და მიისწრაფის მისი კვლავ მოპოვებისაკენ. ამავდროულად, მედიამ უნდა დაიცვას სამართლიანი გაშუქების პრინციპები. თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო პროცესი მოითხოვს ყველა საარჩევნო სუბიექტისადმი თანასწორ მოპყრობას მედიის მხრიდან და სწრაფვას თითოეული საკვანძო პოლიტიკური და საარჩევნო მოვლენის დროული, სწორი და მიუკერძოებელი გაშუქებისაკენ.

მედიაზე მონიტორინგი, როგორც სადამკვირვებლო საქმიანობის ნაწილი, მიზნად ისახავს, ზუსტი მეთოდოლოგიის გამოყენებით შეფასდეს მედიის სამართლიანობა საარჩევნო პროცესის განმავლობაში, ასევე, საერთაშორისო სტანდარტები და ადგილობრივ კანონმდებლობასთან შესაბამისობა. მედიამონიტორინგისას ფასდება კანდიდატების წვდომა მედიაზე ამომრჩევლისათვის მათი გზავნილების გასაცნობად, ასევე, მედიაში ხელმისაწვდომი ინფორმაციის ადეკვატურობა, რათა ამომრჩევლმა საარჩევნო ყუთთან ინფორმირებული არჩევანი გააკეთოს. შესაძლოა გაანალიზდეს ისეთი საკითხები, როგორიცაა: პრეტენდენტთათვის გამოყოფილი დროის სტატისტიკური მონაცემები; ფორმა, რომლითაც პრეტენდენტებსა და სხვა საკვანძო პოლიტიკურ ფიგურებს აშუქებს მედია; მიკერძოების ანალიზი; ამომრჩეველთა საგანმანათლებლო კამპანიების მასშტაბი და ხარისხი, ან არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაციის რელევანტურობა.

თუმცა, მედიამონიტორინგს წინ უნდა უძღვოდეს მედიის ქცევის მარეგულირებელი კანონებისა და რეგულაციების მიმოხილვა. ამავდროულად, აუცილებელია იმ მარეგულირებელი ორგანოების როლისა და ფუნქციების ცოდნა, რომლებიც ზედამხედველობენ საარჩევნო კამპანიას მედიაში. ამას გარდა, ანალიზი უნდა მოიცავდეს საარჩევნო პროცესში მედიასთან დაკავშირებული საჩივრების შესწავლას.

ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხების სია შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც მედიის მიერ არჩევნების გაშუქებაზე ანგარიშგების სახელმძღვანელო:

**მედიაგარემო**

- უზრუნველყოფს თუ არა სამართლებრივი ჩარჩო მედიის თავისუფლებას და რამდენად დაცულია ის პრაქტიკაში? შეუძლია მედიას თავისუფლად, ცენზურის (მათ შორის თვითცენზურის), დაშინების, ობსტრუქციისა და ჩარევის გარეშე მუშაობა?
- არის თუ არა მედიაგარემო პლურალისტული და მრავალფეროვანი, რაც უზრუნველყოფს წვდომას პოლიტიკური შეხედულებების ფართო სპექტრზე? საზოგადოებრივი მედიასაშუალებები ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად მუშაობენ? ფლობენ კანდიდატები ან პოლიტიკური პარტიები საკუთარ, კერძო მედიასაშუალებებს? ხომ არ არის ასეთი მედიასაშუალება რამდენიმე მფლობელის ხელში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არჩევნების მიკერძოებული ან არათანაბარი გაშუქება?
- დაფიქსირდა ჟურნალისტებზე ძალადობის შემთხვევები? ისინი არჩევნებს უკავშირდებოდა?
- არსებობს კი მედიის წინააღმდეგ მიმართული რაიმე სამართლებრივი ან ადმინისტრაციული ქმედება თუ შევიწროების ფორმა (როგორიცაა სასამართლო სარჩელები, საგადასახადო აუდიტი, ლიცენზიის შეწყვეტა/გაუქმება, დახურვა)? ისინი პოლიტიკურად მოტივირებულია?

**არჩევნების გაშუქება მედიის მიერ**

- მედიასაშუალებები (კერძოდ, საზოგადოებრივი ან სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი მედიასაშუალებები) სამართლიანად, მიუკერძოებელად და ობიექტურად აშუქებდნენ მოვლენებს საინფორმაციო გამოშვებებში?
- შეიძლება თუ არა მედიის მიერ გაშუქებული რომელიმე მოვლენა სიძულვილის ენად ჩაითვალოს? ხომ არ იყო კანდიდატთა ცილისწამების შემთხვევები?
- გაშუქებისას შეინიშნებოდა დისკრიმინაცია რასის, ეთნიკური წარმომავლობის, გენდერის ან რელიგიური კუთვნილების ნიშნით?
- დაცული იყო დებულებები უფასო საეთერო დროის შესახებ?

- ფასიანი რეკლამის პირობები თანასწორი და შეუზღუდავი/გონივრული გახლდათ ყველა კანდიდატისათვის (ფასი, მოცულობა, საეთერო დრო, გადაცემის დრო)? ფასიანი პოლიტიკური რეკლამა ნათლად იყო მითითებული?
- საინფორმაციო რეპორტაჟების, ანალიზისა და დებატების საშუალებით, მედია საკმარის და საინტერესო ინფორმაციას აწვდიდა ამომრჩეველს ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად?
- ობიექტური იყო მედიის მიერ მიწოდებული ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის შესახებ და მონაწილეობდა ის ამომრჩეველთა საგანმანათლებლო ინიციატივებში?
- არჩევნების ან მედიის მარეგულირებელი უწყება დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და პროფესიონალური ფორმით მოქმედებდა? იყო თუ არა მისი საქმიანობა არასათანადო ჩარევისგან თავისუფალი? რამდენად დამოუკიდებლად უწევდა მონიტორინგს არჩევნების გაშუქებას მედიის მიერ? დროულად და ეფექტიანად განიხილავდა საჩივრებს მედიასთან დაკავშირებით?

**ქალების მონაწილეობა**

- ზოგადად როგორ არიან ქალი კანდიდატები მედიაში წარმოდგენილნი კამპანიის განმავლობაში?
- მათ მედიაზე თანაბარი წვდომა აქვთ?
- იყენებდა თუ არა მედია რაიმე სექსისტურ კომენტარებს ან სტერეოტიპებს ქალი კანდიდატების ან ლიდერების მიმართ კამპანიის განმავლობაში?
- რომელიმე პოლიტიკური რეკლამა ან მედიის მიერ გაშუქებული სიუჟეტი მიემართებოდა პირდაპირ ქალ ამომრჩევლებს?

**ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა**

- აქვთ თუ არა ეროვნულ უმცირესობათა პარტიებსა და კანდიდატებს შეუფერხებელი წვდომა მედიაზე თავიანთი მოსაზრებების წარმოსადგენად?
- რომელი მედიაწყაროებით სარგებლობენ უმცირესობით დასახლებულ ტერიტორიებზე?
- ხომ არ არის ეროვნული/რეგიონული მედიალანდშაფტი ეთნიკური ნიშნით პოლარიზებული?
- იწარმოება კამპანია და მიეწოდება საარჩევნო ინფორმაცია უმცირესობათა ენებზე?
- ხომ არ მომხდარა ინციდენტები სიძულვილის ენის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს ეროვნულ უმცირესობათა კანდიდატებზე, პარტიებსა და თემებზე?

**შშმ პირთა მონაწილეობა**

- როგორ აშუქებს მედია შშმ კანდიდატებს, რომლებიც საჯარო თანამდებობისთვის იბრძვიან? რამდენად იყენებს ის სტერეოტიპებს, ან ხომ არ გამოხატავს რაიმე წინასწარგანწყობას შშმ კანდიდატებისა თუ ამომრჩევლის მიმართ?
- ხომ არ მომხდარა ინციდენტები, რომლებიც უკავშირდებოდა შშმ კანდიდატებისა თუ ამომრჩევლის მიმართ მედიაში სიძულვილის ენის გამოყენებას?
- შშმ კანდიდატებს მედიაზე ისეთივე წვდომა აქვთ, როგორიც სხვა კანდიდატებს?
- აშუქებს თუ არა მედია შშმ კანდიდატების ან ამომრჩევლის დისკრიმინაციის შემთხვევებს?
- რამდენად აქვთ შშმ პირებს წვდომა სპეციალიზებულ მედიაზე, რომელიც არჩევნებს აშუქებს? აკმაყოფილებენ თუ არა საარჩევნო ადმინისტრატორები შშმ პირთა საჭიროებებს სპეციალური მედიაპროგრამების საშუალებით და შეზღუდულ შესაძლებლობათა ბუნების გათვალისწინებით?

**იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაწილეობა**

- როგორ არიან წარმოდგენილნი/გაშუქებულნი მედიაში იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯგუფების, ლტოლვილებისა და მომთაბარე თემების კანდიდატები? რამდენად იყენებს მედია სტერეოტიპებს, ან ხომ არ გამოხატავს რაიმე სახის წინასწარგანწყობას მსგავსი კანდიდატებისა თუ ამომრჩევლის მიმართ?
- გამოუყენებიათ თუ არა სიძულვილის ენა იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯგუფების, ლტოლვილებისა და მომთაბარე თემის წარმომადგენელი კანდიდატების, ან ამომრჩევლების მიმართ? როგორი იყო ხელისუფლების რეაგირება?
- ასეთ თემთა კანდიდატებს სხვა კანდიდატთა მსგავსი წვდომა აქვთ მედიაზე?
- ობიექტურად აშუქებს მედია იძულებით გადაადგილებული პირების, ლტოლვილებისა და მომთაბარე ჯგუფების წარმომადგენელ კანდიდატთა დისკრიმინაციის შემთხვევებს?

## ი) არჩევნების დღე

არჩევნების დღეზე დაკვირვება ძირითადად შემდეგ საკითხებს მოიცავს: რამდენად დაცული იყო წესრიგი და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ადგილობრივი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების

შესაბამისად თუ ჩატარდა საარჩევნო პროცესის ბოლო დღის ყველა ძირითადი ფაზა - ხმის მიცემა, დათვლა და დაჯამება.

ამ მხრივ, არჩევნების დღეზე დაკვირვება სერიოზულ მომზადებას მოითხოვს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ მის კომპლექსურობას და მოსაზრებას, რომ ეს დღე მთლიანი საარჩევნო პროცესის მწვერვალია. საჭიროა სხვადასხვა ასპექტზე დაკვირვება და მათი ანალიზი - როგორც რაოდენობრივი (მოკლევადიან დამკვირვებელთა მიერ შევსებული სადამკვირვებლო ფორმების სტატისტიკურ მონაცემთა საფუძველზე), ისე ხარისხობრივი (თანმდევი და დამატებითი კომენტარების საფუძველზე), რათა პროცედურების კომპლექსურობა სათანადოდ გამოიკვლიონ სადამკვირვებლო ანგარიშში.

ხმის მიცემისა და დათვლის პროცესზე დაკვირვების წინა გამოცდილება - ისევე, როგორც არჩევნების დღის პროცედურათა ანალიზი - ადგილობრივ სადამკვირვებლო ჯგუფს საშუალებას მისცემს, განსაზღვროს ხმის მიცემისა და დათვლის პროცესთა ის ასპექტები, რომლებიც საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

ანგარიშში შესაძლებელია შემდეგი ძირითადი სფეროების წარმოჩენა:

**ზოგადი პროცედურები**

- უფლებამოსილი ამომრჩევლების მიერ კენჭისყრის უფლების გამოყენების შესაძლებლობა;
- კენჭისყრის ფარულობის უფლება;
- საარჩევნო მოხელეთა მუშაობა;
- ხმის მიცემისა და დათვლის პროცესის მშვიდობიანი და წესრიგიანი მიმდინარეობის ანალიზი, რათა ამომრჩეველმა შეძლოს არჩევანის თავისუფლად, შეუფერხებლად, დაშინებისა და ძალადობის გარეშე გაკეთება;
- საარჩევნო დამკვირვებლების (პარტიული/კანდიდატის, ადგილობრივი, არაპარტიული, საერთაშორისო) და მედიის უფლებებით შეუფერხებლად სარგებლობა;
- ზუსტი, დროული და რაც შეიძლება დეტალური ანგარიშების გამოქვეყნება;
- საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი რგოლების მიერ შეჯამებული და დაანგარიშებული შედეგები უნდა იყოს ზუსტი, გამჭვირვალე და დროული;

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაკვირვება შედეგების შეჯამებაზე, რადგან შეცდომებმა და შეუსაბამობებმა შესაძლოა გაცილებით დიდი გავლენა იქონიონ არჩევნების შედეგებზე, ვიდრე ცალკეულ საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებულმა პრობლემებმა.

**საარჩევნო უბნების გახსნის პროცედურები**

- დრო;
- საარჩევნო მოხელეთა მუშაობა (პროცედურებთან შესაბამისობა);
- საარჩევნო ბიულეტენები;
- საარჩევნო ყუთი.

**ხმის მიცემის პროცედურები**

- ამომრჩეველთა სია;
- საარჩევნო ბიულეტენები;
- საარჩევნო ყუთი;
- კენჭისყრის ფარულობა (ტრადიციული კენჭისყრა, მობილური კენჭისყრა, ელექტრონული კენჭისყრა);
- საარჩევნო უბნის მოხელეთა მუშაობა (პროცედურების დაცვა);
- სპეციალური კენჭისყრის პროცედურები;
- ატმოსფერო საარჩევნო უბნებზე (სხვა პირთა დასწრება);
- სხვა სოციალური ჯგუფების (ქალები, უმცირესობები, შშმ პირები, პატიმრები) მონაწილეობა;
- პრობლემები, რომლებიც უკავშირდება შემდეგ საკითხებს: ერთი ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ოჯახის სხვა წევრის ნაცვლად; საარჩევნო კარუსელი; მხარდაჭერის მიმღები პირები; მინდობილი პირები; მრავალგზის ხმის მიცემა; კენჭისყრის ფარულობის დარღვევა; ხმის მიცემა არასრულწლოვნის მიერ; სხვა პირის განსახიერება; ერთი პირის მიერ რამდენიმე ბიულეტენის ჩაგდება საარჩევნო ყუთში.

**ხმების დათვლის პროცედურები**

- დრო;
- საარჩევნო უბნის მოხელეთა მუშაობა (პროცედურებთან შესაბამისობა);
- დათვლის პროცესში არსებული ატმოსფერო (სხვა პირების დასწრება);
- დათვლა და შეჯამება;
- შეუსაბამობები;
- შედეგები;
- პრობლემები (მრავალჯერადი ხმის მიცემა);
- საჩივრები.

ამავდროულად, არჩევნების დღის მიგნებათა ანგარიშგებასა და ანალიზს შეიძლება ჰქონდეს თემატური სტრუქტურა, და არა ქრონოლოგიური, ზემოთ წარმოდგენილი მაგალითის შესაბამისად. ასეთ შემთხვევებში, გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

- საარჩევნო უბნის გარემო;
- საარჩევნო მოხელეები (საარჩევნო უბნების წევრები);
- კენჭისყრის მასალები;
- ამომრჩეველთა სია;
- ხმის მიცემის პროცედურები (მათ შორის, ხმის მიცემის სპეციალური პროცედურები);
- დათვლის პროცედურები;
- შედეგების შეჯამება;
- ტრანსპორტირება.

ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში, ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფები ხმებს პარალელურად ითვლიან (PVT) - ანუ არჩევნებში დაინტერესებულ მხარეებს (პოლიტიკური პარტიები, კანდიდატები, საარჩევნო ადმინისტრაცია), ისევე როგორც საზოგადოებას, საიმედო ინფორმაციას აწვდიან შედეგების ლეგიტიმურობის შესაფასებლად. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ წინასწარ შედეგებთან შედარება წარმოადგინოს საარჩევნო ადმინისტრაციამ.

**ქალების მონაწილეობა**

- საარჩევნო უბნის კომისიებში ქალები და მამაკაცები თანაბრად არიან ჩართულნი? გვევლინებიან ქალები კომისიების ხელმძღვანელ პოზიციებზე?
- არსებობს ერთი ამომრჩევლის მიერ ოჯახის სხვა წევრის ნაცვლად/მინდობით ხმის მიცემის მტკიცებულება?
- ქალებს არჩევნებში მონაწილეობის ისეთივე შესაძლებლობა აქვთ, როგორიც მამაკაცებს?

**შშმ პირების მონაწილეობა**

- იყენებს თუ არა საარჩევნო ადმინისტრაცია დამხმარე საშუალებებს შშმ პირების მიერ კენჭისყრის უფლებით სარგებლობისათვის? (მაგ.: ტაქტილურ საარჩევნო ბიულეტენს, რათა უსინათლო ამომრჩეველმა დამოუკიდებლად და ფარულად შეძლოს ხმის მიცემა)?
- საარჩევნო უბნები და კენჭისყრის კაბინები ხელმისაწვდომია შშმ პირებისათვის?
- გამოიყენება თუ არა ტექნიკური საშუალებები შშმ პირების მიერ კენჭისყრის უფლებით სარგებლობის ხელშესაწყობად?

- შეუძლიათ შშმ პირებს ხმის მისაცემად სანდო მესამე პირის დახმარების მიღება? რამდენად დაცულია ეს პროცედურა და ხორციელდება თუ არა პრაქტიკაში? არსებობს რაიმე პრობლემები?

**ეროვნული უმცირესობებისა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ჯგუფების მონაწილეობა**

- იყენებს თუ არა საარჩევნო ადმინისტრაცია სპეციალურ საშუალებებს ეროვნულ უმცირესობათა მიერ კენჭისყრის უფლებით სარგებლობისათვის (მაგ.: ხელმისაწვდომია საარჩევნო უბნებზე ბიულეტენები და ინფორმაცია რეგისტრაციისა და ხმის მიცემის პროცედურის შესახებ ეროვნულ უმცირესობათა ენებზე)?
- იყენებს თუ არა საარჩევნო ადმინისტრაცია სპეციალურ საშუალებებს იძულებით გადაადგილებული პირების, ლტოლვილებისა და მომთაბარე ჯგუფების მიერ კენჭისყრის უფლებით სარგებლობისათვის (მაგ.: შექმნილია მათ დასახლებებთან ახლოს საარჩევნო უბნები წვდომის გასაიოლებლად)?

## კ) შედეგების შეჯამება და გამოქვეყნება

შედეგების შეჯამება გულისხმობს პროცესს, რომლის განმავლობაშიც საარჩევნო ორგანოები ხმების დათვლის შედეგებს აგროვებენ და კანდიდატის/პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების საერთო რაოდენობას აჯამებენ, საარჩევნო ოლქში/ქვეყანაში მათ მიერ მიღებული შედეგების წარმოებისთვის. შედეგების შეჯამება შეიძლება გულისხმობდეს მათ შეგროვებასა და შეკრებას რამდენიმე დონეზე და საარჩევნო პროცესის ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური საკითხია.

შედეგების შეჯამების უმნიშვნელოვანეს პრინციპებზე ანგარიშგებისას დამკვირვებლებს შეუძლიათ იხელმძღვანელონ შემდეგი კითხვებით:

**კეთილსინდისიერება**

- რა ზომებს იღებს საარჩევნო ადმინისტრაცია ხმების შეჯამების პროცესში კენჭისყრის შედეგების დასაცავად?
- როგორია შედეგების შეჯამების საფეხურები?
- მისი პროცედურები სათანადოდ რეგულირდება საკანონმდებლო ჩარჩოთი?
- არსებობს შედეგების გადატანის ვადები და მეთოდები?
- რამდენად დაცულია დადგენილი პროცედურები ან ხომ არ დარღვეულა პროცესის მთლიანობა?

**გამჭვირვალობა**

- უზრუნველყოფს სამართლებრივი ჩარჩო დამკვირვებელთა წვდომას?
- რამდენ შემთხვევაში არ იყო დამკვირვებლების წვდომა უზრუნველყოფილი?
- როგორია შედეგების შეჯამების მეთოდები?
- დათვლის ფორმები/ოქმები საკმარის ინფორმაციას შეიცავს (როგორიცაა: გამოუყენებელი და გამოყენებული საარჩევნო ბიულეტენები; ბათილი და გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა; რამდენმა ამომრჩეველმა ისარგებლა კენჭისყრის უფლებით; თითოეული პარტიის შედეგები; კენჭისყრის შედეგების სეგრეგირება და სხვა მსგავსი საკითხები)?

**გამოქვეყნება**

- სამართლებრივი ჩარჩო სათანადოდ არეგულირებს შედეგების გამოქვეყნების პროცესს?
- მკაფიო სხვაობაა ოფიციალურ, არაოფიციალურ, წინასწარ და საბოლოო შედეგებს შორის?
- როგორი სტრუქტურა აქვს წარმოდგენილ შედეგებს - საარჩევნო უბნების მიხედვით ქვეყნდება თუ მხოლოდ აგრეგირებული სახით?
- რამდენად სრულია შედეგები - მოიცავს თუ არა ყველა საარჩევნო სუბიექტსა და ამომრჩეველს (ამომრჩეველთა სიაში რეგისტრირებულს და არჩევნებში მონაწილეს)?
- რა დამატებითი ინფორმაცია ვრცელდება შედეგების გამოქვეყნებასთან ერთად (გენდერის, ეროვნული უმცირესობების შესახებ და სხვა)?
- ხელმისაწვდომია შედეგები ონლაინსივრცეში? მათ თანდათან აქვეყნებენ თუ დათვლის პროცესის დასრულების შემდეგ?
- რამდენად ხელმისაწვდომია გამოქვეყნებული შედეგები - საარჩევნო უბნების დონეზეც ქვეყნდება საჯაროდ თუ მხოლოდ ცენტრალურ დონეზეა ეს უზრუნველყოფილი?

**ქალებისა და ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა**

- როგორია არჩეული ქალებისა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობა და თანაფარდობა (მათი პროცენტული მაჩვენებელი)? რა ტენდენცია იკვეთება წინა არჩევნებთან შედარებით?

## ლ) საჩივრები და სარჩელები

თუ ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიის მონიტორინგის ობიექტია საჩივრები და სარჩელები, მისიამ უნდა შეისწავლოს მათი მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო და თვალყური მიადევნოს არჩევნებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საჩივარასა და სარჩელს (მათ შორის, სადამკვირვებლო ან, სულ მცირე, ოფიციალური საარჩევნო კამპანიის პერიოდში, არჩევნების დღეს და მის შემდგომ).

თუ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია ან მისი წევრები საარჩევნო სადამკვირვებლო საქმიანობის განმავლობაში გადაწყვეტენ სარჩელის წარდგენას, ანგარიშში ცალკე ნაწილი უნდა ეთმობოდეს მას.

საჩივრებსა და სარჩელებზე ანგარიშგებისას შესაძლებელია შემდეგი საკითხების გათვალისწინება (გამოვლენილი პოტენციური პრობლემები და თანმდევი დასკვნები თუ რეკომენდაციები შეიძლება უკავშირდებოდეს საჩივრებისა და სარჩელების სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესებას, ან მის პრაქტიკაში განხორციელებას):

**სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება**

- ეროვნული წესები ან/და მათი პრაქტიკაში გამოყენება უზრუნველყოფს გასაჩივრების ეფექტიანი სისტემის პროცედურულ გარანტიებს?
- ყველა ამომრჩეველს, კანდიდატსა და პარტიას აქვს გასაჩივრების უფლება?
- აქვთ თუ არა მათ სხვა პროცედურული უფლებები: როგორიცაა მტკიცებულებების წარმოდგენა საჩივრის გასამყარებლად; საჯარო, სამართლიანი, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე განხილვის უფლება; ეფექტიანი და სწრაფი სამართლებრივი დაცვის საშუალება, განსაკუთრებით, კენჭისყრისა და რეგისტრაციის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, არჩევნებში კანდიდატად წარდგენის უფლებასა და კანდიდატთა უფლებამოსილებასთან მიმართებით, ასევე, მედიაზე წვდომის შესახებ?
- აქვთ მათ საქმის განმხილველი პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება? (გასაჩივრების პირველი ინსტანცია შეიძლება იყოს სასამართლო ან ნებისმიერი სხვა ორგანო, როგორიცაა საარჩევნო კომისია, ხოლო გასაჩივრების საბოლოო ინსტანცია აუცილებლად სასამართლო უნდა იყოს.)
- გასაჩივრების პროცედურა ნათელი, გამჭვირვალე და გასაგებია? (ეს მოითხოვს ნათელ სამართლებრივ დებულებებს, რომლებიც არ იძლევა ინტერპრეტაციის საშუალებას; ასევე გულისხმობს, რომ საჩივრების განმხილველ ორგანოთა წევრები უნდა იყვნენ სათანადოდ მომზადებულნი.)

- პროცედურები მარტივია და ფორმალობის გარეშე დაწყების საშუალებას იძლევა?
- დაცულია თუ არა ვადები? (ჩვეულებრივ, საჩივრის წარდგენის ვადა მოკლეა, 3-იდან 5 დღემდე, თუმცა ეს უნდა ვრცელდებოდეს საჩივრის განმხილველი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის ვადაზეც. განსაკუთრებით, არჩევნებამდე მისაღებ გადაწყვეტილებებზე - კენჭისყრის უფლებები, კანდიდატად რეგისტრაციის უფლება, მედიაზე წვდომა და ა.შ.; თუმცა მაღალი ინსტანციის სასამართლოებს გადაწყვეტილებების მისაღებად შეიძლება ოდნავ მეტი დრო ჰქონდეთ.)
- მკაფიოდ და არაორაზროვნადაა განსაზღვრული კანონით გასაჩივრების პროცედურები, ასევე, ჩართული ორგანოების უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები (კერძოდ, არჩევნების გაბათილების უფლებამოსილება საარჩევნო ოლქში ან უფრო ფართო მასშტაბით, თუკი დარღვევები მანდატების განაწილებაზე იმოქმედებს)? სათანადოდ ხორციელდება ისინი?
- სასამართლო გადაწყვეტილებები და სხვა საერთაშორისო რეკომენდაციები (მაგ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ან ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები, OSCE/ODIHR-ის წინა არჩევნების სადამკვირვებლო ანგარიშებში წარმოდგენილი რეკომენდაციები) საჩივრებისა და სარჩელების პროცედურის შესახებ ასახულია ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში?

**ქალების მონაწილეობა**

- ქალებს გასაჩივრების მექანიზმებზე თანაბარი წვდომა აქვთ?
- საჩივრების განმხილველი ორგანოები გენდერულად დაბალანსებულია?
- გენდერული ცნობიერება გათვალისწინებულია საარჩევნო მოხელეებისა და საჩივრების განმხილველი ორგანოების მოსამზადებელ პროგრამაში?
- ქალების/მამაკაცების მიერ წარდგენილი საჩივრების როგორი პროცენტული თანაფარდობა რეგისტრირდება? მათგან რამდენი პროცენტია წარმატებული?

**ეროვნული უმცირესობებისა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ჯგუფების მონაწილეობა**

- ეროვნულ უმცირესობებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს ან ლტოლვილების წარმომადგენელ ჯგუფებს თანაბარი წვდომა აქვთ გასაჩივრების მექანიზმებზე?
- რა კონკრეტული საკითხები წამოჭრეს ამ ჯგუფების წარმომადგენლებმა საჩივრებსა და სარჩელებში?

## მ) არჩევნების შემდგომი მოვლენები

არჩევნების შემდგომი საქმიანობა დამოკიდებულია საარჩევნო სისტემაზე, ქვეყნის სპეციფიკურ პოლიტიკურ გარემოზე და, რაც მთავარია, შედეგებსა და მათ მიღებაზე ყველა დაინტერესებული მხარის მიერ. ამ ეტაპზე აუცილებელია შესაძლო პოლიტიკურ და სამართლებრივ შედეგებზე დაკვირვება (საჩივრებისა და სარჩელების განხილვის პროცესი). ამასთან, ამ ფაზის განმავლობაში, სადამკვირვებლო მისია ახლოდან უნდა აკვირდებოდეს არჩევნების დღიდან შესული საჩივრებისა და სარჩელების განხილვის პროცესს.

თუ ორგანიზაციის სადამკვირვებლო საქმიანობა არჩევნების შემდგომ პერიოდზეც ვრცელდება, ანგარიშგებისას შესაძლებელია შემდეგი კითხვების გათვალისწინება:

**ოფიციალური ანგარიშგება**

- საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოები (ზოგ შემთხვევაში გენერალური აუდიტორი) არჩენების შემდეგ აქვეყნებენ შეფასებით ანგარიშებს? შეიძლება თუ არა, ისინი მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:
  - საარჩევნო პროცესის განმავლობაში მიღწეული სტრატეგიული გეგმის მიზნების მიმოხილვა;
  - სამართლებრივი ჩარჩოს ხარვეზების შეფასება;
  - პრობლემურ სფეროებსა და მიღებულ გამოცდილებაზე დაფუძნებული წინადადებები, მათ შორის, რეკომენდაციები და გამკლავებაზე მიმართული კონკრეტული ნაბიჯები.
- ანგარიშში ასახული და აღიარებულია გარკვეული საოპერაციო გამოწვევები? რამდენად არის წარმოდგენილი საკანონმდებლო რეკომენდაციები რეფორმასთან დაკავშირებით?

**ხელახალი დათვლა**

- ითვალისწინებს თუ არა სამართლებრივი ჩარჩო სადავო არჩევნების შედეგების ხელახალ დათვლას?
- სათანადოდ რეგულირდება ხელახალი დათვლა, რომ თავიდან იქნას აცილებული მისი მოთხოვნა პოლიტიკური მიზნებისათვის და საარჩევნო პროცესის ობსტრუქციის მიზნით?
- არსებობს თუ არა შემთხვევები, როდესაც შედგები ხელახლა არ დაითვალეს, მიუხედავად იმისა, რომ გარემოებები ამას მოითხოვდა (მაგ.: გამარჯვება უმნიშვნელო უპირატესობით)?
- ხომ არ დაფიქსირდა საარჩევნო სუბიექტების დისკრიმინაციის შემთხვევები პოლიტიკური ან სხვა (ეთნიკური, რელიგიური ან გენდერული) ნიშნით?

**შედეგების გაუქმება**

- რა გარემოებებში, სამართლებრივი საფუძვლის პირობებსა და დროის პერიოდშია შესაძლებელი არჩევნების გაუქმება ან ბათილად გამოცხადება?
- ითვალისწინებს თუ არა კანონი საკმარის დამცავ გარანტიებს არჩევნების გაუქმებაზე თვითნებური გადაწყვეტილებების აღსაკვეთად?
- განსაზღვრულია თუ არა სამართლებრივ ჩარჩოში დრო, რომლის განმავლობაშიც უნდა ჩატარდეს ხელახალი არჩევნები?

**არჩეული წარმომადგენლების დანიშვნა**

- არჩეულმა წამომადგენლებმა თანამდებობა გონივრულ და კანონით დადგენილ ვადაში დაიკავეს?
- არსებობს თანამდებობები, რომლებიც გასაჩივრების პროცედურების გამო დროებით თავისუფალია?

**არჩევნების შემდგომი პროცედურები**

- იძიებდნენ თუ არა საარჩევნო დარღვევებს სისტემატურად? მისცეს პასუხისგებაში შესაბამისი პირები?

## 4.5. ანგარიშის გარე საზოგადოებისთვის გაცნობა

### ინსტრუმენტები და საშუალებები

ანგარიშების შემუშავებისას უნდა დაიგეგმოს ინფორმაციის გავრცელების ფორმა. სამიზნე აუდიტორიის ყველა ჯგუფმა შეიძლება მთლიანად არ წაიკითხოს ანგარიში. ორგანიზაციამ უნდა გამონახოს შესაბამისი და ეფექტიანი საშუალებები ძირითადი ინფორმაციის წარმოსადგენად.

გარე კომუნიკაციის გეგმაში გუნდმა უნდა გამოავლინოს მიგნებათა საზოგადოებისთვის გაცნობის ინსტრუმენტები და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფზე წვდომის საშუალებები. ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი გავრცელებული ინსტრუმენტი.

- **პრესრელიზი**
  მოკლე განცხადება ძირითადი მიგნებების შესახებ; მთავარი ადრესატია მედია.
- **ინფოგრაფიკა**
  მიგნებების სტატისტიკა დარღვევების, ამომრჩეველთა აქტივობის ან არჩევნების შედეგების შესახებ.

**დიაგრამა 13: სტატისტიკის წარმოდგენა**




*წყარო: www.isfed.ge*

- **ფაუერფოინთი (PPT)**
ძირითადი მიგნებების გაერთიანებისა და წარმოდგენის ფორმატი. პრეზენტაცია არ უნდა აღემატებოდეს 20-25 სლაიდს და თითოეულზე წარმოდგენილი იყოს მოკლე ტექსტი, თვალსაჩინოების რამდენიმე საშუალებით.
- **ადრესატთა მისამართების სია**
დაინტერესებულ მხარეთა ელ. ფოსტის მისამართების სია (მაგალითად, დონორები, საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მედია, საარჩევნო ადმინისტრაცია, მთავრობა, პოლიტიკური პარტიები).
- **ინციდენტთა რუკა**
ფორმატი თვალსაჩინოებისათვის, რომელიც ასახავს დამკვირვებლებისა და მოქალაქეების მიერ დაფიქსირებულ დარღვევებს, დაჯგუფებულს კატეგორიისა და ოლქის მიხედვით (www.electionsportal.ge/geo/map).
- **ამონარიდები**
ამონარიდები ანგარიშის თავებიდან/ქვეთავებიდან, რომელთა ცალკე წარმოდგენა შესაძლებელია სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის.
- **ბროშურები მოქალაქეებისთვის**
ანგარიშის მოკლე და გამარტივებული ვერსია, თვალსაჩინოების საშუალებებითა და ზოგად ინტერესზე ორიენტირებული ინფორმაციით.

საზოგადოებისთვის ანგარიშების წარმოდგენის გავრცელებული საშუალებები შეიძლება იყოს:

- **პრესკონფერენცია**
ღონისძიება, რომელსაც ძირითადად ჟურნალისტები ესწრებიან და წარმოდგენილია დაკვირვების ძირითადი მიგნებები.

- **პრეზენტაცია**
შეხვედრები, რომლებიც ორგანიზებულია პოლიტიკურ პარტიებთან, მთავრობასთან, საარჩევნო ადმინისტრაციასთან, მედიასთან, დონორებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ანგარიშების წარმოდგენისა და განხილვის მიზნით. PPT პრეზენტაციის გამოყენება შესაძლებელია შეხვედრისას ინფორმაციის წარმოსადგენად.

- **ინტერნეტი**
ფართო აუდიტორიაზე გასვლის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საშუალება.

- **ელ. ფოსტა**
ადრესატების სიის გამოყენებით, ინფორმაციის დაინტერესებული მხარეებისთვის გაგზავნის საშუალება.

- **ვებგვერდი**
არჩევნებზე დაკვირვების შესახებ ყველა მასალისა და ინფორმაციის ატვირთვისთვის განკუთვნილი სივრცე.

- **სოციალური მედია (Facebook, Vkontakte, Twitter)**
ფართო საზოგადოებისთვის მოკლე ამონარიდების გაზიარების საშუალება ძირითადი მიგნებებიდან. შესაძლებელია, ინფორმაცია გავრცელდეს მეგობრებისა და მიმდევრების საშუალებით.

- **ვებინარები**
ონლაინ პრესკონფერენციის ტიპი, რომელიც დისტანციური კომუნიკაციის საშუალებას იძლევა - საჭიროებს სისტემაში შესვლას.

- **სამუშაო ჯგუფები, მრგვალი მაგიდის შეხვედრები**
მთავრობის, საელჩოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებთან ძირითადი საკითხებისა და სამომავლო გაუმჯობესებების განხილვის ეფექტიანი საშუალება.

- **ანგარიშების, ბროშურების, ამონარიდების კარდაკარ გავრცელება**
შესაბამისი სამიზნე ჯგუფებისათვის თქვენი ანგარიშის ბეჭდური ვერსიის მიწოდების საშუალება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ სოფლებსა და ტერიტორიებს, სადაც ინტერნეტზე წვდომა და სატელევიზიო არხები შეზღუდულია, ასევე, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებს.

რეკომენდებულია ინტერნეტით გავრცელებული ყველა მასალის, მათ შორის, ანგარიშების, ამონარიდებისა და პრესრელიზების PDF ფაილის სახით გავრცელება.

## ჟურნალისტებთან კონტაქტის დამყარება

უმნიშვნელოვანესი ეროვნული მედიასაშუალებების, სატელევიზიო არხების, რადიოსადგურების, გაზეთებისა და ონლაინჟურნალების სიის შექმნა შეიძლება პირველი ნაბიჯი იყოს. დამოუკიდებელი ჟურნალისტები, ბლოგერები ან სოციალური მედიაჯგუფები ასევე შეიძლება იქცნენ როგორც სამიზნე აუდიტორიად, ისე წყაროდ.

საერთაშორისო მედიის ყურადღების მიპყრობა უფრო რთულია. პარტნიორებს ადგილობრივი საარჩევნო მონიტორების გლობალური ქსელიდან (www.gndem.org) - ან ისეთი რეგიონული ქსელებიდან, როგორიცაა ENEMO (www.enemo.eu) და EPDE (www.epde.org) - შეუძლიათ დახმარების გაწევა მისამართებისა თუ კონტაქტების მოძიებაში.

მედია პირადი კონტაქტების გარეშე არცთუ ისე სასარგებლოა. სასურველია პასუხისმგებელი კორესპონდენტების მოძიება პოლიტიკის მიმომხილველ ყველა ტიპის მედიაში (ტელევიზია, რადიო, ბეჭდური და ონლაინ მედია). მრავალი საერთაშორისო მედია აშუქებს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს მოსკოვში მოქმედი ოფისების საშუალებით. ქვეყნებში, სადაც კონფლიქტი ან საერთაშორისო კრიზისი მიმდინარეობს, ჟურნალისტები არჩევნებამდე საკმაოდ ადრე ჩნდებიან - საჯარო ღონისძიებებზე, პრესკონფერენციებზე პოლიტიკოსებთან და სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან.

მედიის სია, სულ მცირე, უნდა შეიცავდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციის შესაბამისი ქვეყნის კორესპონდენტის ან პასუხისმგებელი რედაქტორის სახელს, მათ ფუნქციას, რედაქციის ან მობილური ტელეფონის ნომერს (საუკეთესო შემთხვევაში, როგორც სათაო ოფისის, ისე შესაბამისი ქვეყნის), ელ. ფოსტის მისამართს და Twitter-ის ანგარიშს.

ამ სიის შედგენის შემდეგ ორგანიზაციამ შეიძლება შექმნას ერთი ან მეტი ადრესატის ჯგუფი. ხშირად, დაკავებული ჟურნალისტები დაინტერესებულნი არიან პრესრელიზებითა და პრესკონფერენციებით, ხოლო ანალიტიკოსები, სხვა ექსპერტები და აკადემიური წრე - ანგარიშების უფრო ვრცელი ვერსიებითა და პრეზენტაციისშემდგომი დისკუსიებით. ამგვარად, ადრესატთა განსხვავებული სიები გამოსადეგია.

მედიის სიიდან მიღებული ინფორმაციით შეიძლება შეიქმნას ელექტრონულ მონაცემთა ბაზა. სამოქალაქო ორგანიზაციისათვის აუცილებელია მისი გამოცდა და მარტივი წვდომის უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს სასწრაფო დოკუმენტების სწრაფ გავრცელებას. ორგანიზაციამ კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს მედიის სიისა და მონაცემთა ბაზის რეგულარულ განახლებას. უხერხულია პენსიაზე გასული ადამიანისთვის ან გარდაცვლილი ჟურნალისტის ქვრივისთვის ელ. ფოსტის გაგზავნა.

პირველი პირდაპირი კონტაქტისთვის უმჯობესია სატელეფონო ზარის განხორციელება და ადგილობრივ არჩევნებზე დაკვირვების მოკლე მიმოხილვა. რეალურად, ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციები, რომლებიც სადამკვირვებლო მისიებს ახორციელებენ, არჩევნების დღეს ინფორმაციის საუკეთესო წყაროს წარმოადგენენ, რადგან სერიოზული საერთაშორისო მისიები, ჩვეულებრივ, პროცესის ცალკეულ ნაწილებზე კომენტარს არ აკეთებენ და სრულ განცხადებასა და შეფასებას მხოლოდ არჩევნების დღის შემდეგ აქვეყნებენ.

ასეთ ვითარებებში რეკომენდებულია მედიის ინფორმირება არჩევნების დღის განცხადებათა გეგმაზე (მაგ.: პრესკონფერენციები,

ონლაინგანახლებების განრიგი), რათა ჟურნალისტები მომზადებულნი შეხვდნენ და მათთვის ეს არ იყოს მოულოდნელი: ისინი ხომ ხშირად ასეთ დროს ასობით ელექტრონულ წერილს იღებენ.

## პრესრელიზის წერა და გავრცელება

მისი სათაური რაც შეიძლება მოკლე და საინტერესო უნდა იყოს და ნათლად გამოხატავდეს ძირითად გზავნილს.

მიღებული ფორმატი ასეთია: ტექსტი უნდა იყოს ლაკონიური და არ აჭარბებდეს საჭირო მოცულობას. სასურველია, ერთი გვერდი შეადგენდეს, დაახლოებით, 25 სტრიქონს. თითოეულ სტრიქონში სიმბოლოების რაოდენობა 60-ს არ უნდა აღემატებოდეს; 250 სიტყვა საკმარისია ყველაფრის გადმოსაცემად. შესაძლებელია ბმულის დამატება კონკრეტული დეტალებისთვის. უნდა გამოიყენონ ძირითადი შრიფტები, როგორიცაა Arial ან Calibri (ან სტანდარტული Times New Roman), და არა განსაკუთრებული შრიფტები (ისინი არ იქცევს მკითხველის ყურადღებას). ზომა არ უნდა აღემატებოდეს 11 (pt)-ს, მანძილი სტრიქონებს შორის არ უნდა იყოს 1-ზე პატარა. შესაძლებელია ორგანიზაციის ლოგოს დართვა, თუმცა ამან შეიძლება მონაცემთა მოცულობის პრობლემა შექმნას ელექტრონულ წერილში.

პრესრელიზის სტრუქტურა ყოველთვის მისდევს მოდელს. ტექსტში არ უნდა იყოს 5 აბზაცზე მეტი (უმჯობესია, იყოს 5-ზე ნაკლები). თითოეული მათგანი უნდა შეეხებოდეს მხოლოდ ერთ ასპექტს.

- აბზაცი 1 – ამბავი, რომელიც ჟურნალისტების ყურადღებას მიიპყრობს. პირველი წინადადება მოკლე და გასაგები უნდა იყოს;
- აბზაცი 2 – გზავნილის მიმოხილვა და პასუხი სტანდარტულ ჟურნალისტურ კითხვებზე: ვინ, რა, როდის, სად, როგორ, რატომ, რომელი წყარო;
- აბზაცი 3 – პირდაპირ გზავნილი. ეს შეიძლება იყო ციტატა, სამოქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან მოადგილის შეფასება, მათი სრული სახელისა და თანამდებობის მითითებით. ციტირებული პირები ხელმისაწვდომნი უნდა იყვნენ ინტერვიუსთვის. ციტატაში არ უნდა გაიმეორონ ზედა აბზაცში მოცემული ფაქტები და ციფრები.
- აბზაცი 4 – დამატებითი მნიშვნელოვანი ფაქტები: მაგალითად, მისიის ანდა დამკვირვებელთა რაოდენობის შესახებ.

საკონტაქტო ინფორმაცია გვერდის ბოლოს მიუთითეთ - „დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: სახელი, ტელეფონი, ელ. ფოსტა, Facebook, Twitter, სამოქალაქო ორგანიზაციის ვებგვერდი“. საკონტაქტო პირი, პრესმდივანი, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერ მოთხოვნაზე რეაგირებისათვის.

ელექტრონული წერილის გაგზავნამდე გაითვალისწინეთ, რა რაოდენობის მონაცემები უნდა დაურთოთ. არ გააგზავნოთ ის რამდენიმე დანართით. გაგზავნეთ ფოტოფაილის ბმული. არასოდეს გაგზავნოთ ZIP ფაილი - გრაფიკულმა ფაილებმა შესაძლოა ჟურნალისტის საფოსტო ყუთი გადატვირთოს.

## პრესკონფერენციის ან პრეზენტაციის ორგანიზება

სამოქალაქო ორგანიზაციის ღონისძიების თარიღი და დრო არ უნდა ემთხვეოდეს იმავე დღეს ან დროს გამართულ სხვა ღონისძიებებს. განსაკუთრებით, არჩევნების დღის შემდეგ გამართული პრესკონფერენციის შემთხვევაში, რეკომენდებულია დროის წინასწარ დაჯავშნა, ან ინფორმაციის გადამოწმება არჩევნებში დაინტერესებულ სხვა მხარეთა მიერ პრესისთვის გამართული ღონისძიებების შესახებ (ცესკო, საარჩევნო სუბიექტები, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები, ა.შ.).

დარბაზი კარგად ცნობილ, ცენტრალურ ადგილზე უნდა მდებარეობდეს. არ არის აუცილებელი, ძალიან დიდი ზომის დარბაზი, თუმცა იქ უნდა იყოს საკმარისი რაოდენობის სკამები, ბოლოში კი სივრცე სატელევიზიო კამერებისთვის. წარმოაჩინეთ თვალსაჩინოების ისეთი მოზრდილი საშუალებები, როგორიცაა ლოგოები ან ბანერები. შესასვლელში პერსონალის წევრი უნდა ესალმებოდეს ჟურნალისტებს ან მოწვეულ სტუმრებს და ხელს აწერინებდეს დამსწრეთა სიაზე. საერთაშორისო სტუმრების შემთხვევაში, უზრუნველსაყოფია სინქრონული ან, სულ ცოტა, თანმიმდევრული თარგმანი.

ჟურნალისტების პრესკონფერენციაზე მოწვევისას ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს ყველაზე გავლენიან ეროვნულ და საერთაშორისო მედიაზე, რომლის წარმომადგენლებიც არიან მონაცემთა ბაზაში, პერსონალურ საკონტაქტო ინფორმაციასთან ერთად. მოწვევა (ზოგჯერ მოიხსენება, როგორც „მედიის მოსაწვევი“) უნდა გაიგზავნოს წერილობითი ფორმით - ტექსტი უნდა იყოს მოკლე და მარტივი, შემდეგი ძირითადი ფაქტების მითითებით:

- ვინ, რა, როდის, სად, რატომ?
- საკონტაქტო პირის სახელი, მობილური ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი.

ღონისძიებამდე 3-5 დღის პერიოდში პირველი წერილობითი მოსაწვევის გაგზავნის შემდეგ (არჩევნებთან კავშირის არმქონე ღონისძიების შემთხვევაში, პირველ შეტყობინებასა და ღონისძიებას შორის პერიოდი უფრო მეტი უნდა იყოს - დაახლოებით, 7-10 დღე), მნიშვნელოვანმა ჟურნალისტებმა ღონისძიებამდე 1 დღით ადრე უნდა მიიღონ სატელეფონო შეხსენება (ან ღონისძიების დღის დილას).

სამოქალაქო ორგანიზაციის სპიკერები მომზადებულნი უნდა იყვნენ ბრიფინგისთვის: მათ უნდა შეძლონ ძირითადი გზავნილის მოკლე

და ნათელი ფორმით გადმოცემა და კრიტიკულ კითხვებზე პასუხის გაცემა. თითოეულმა სპიკერმა სხვადასხვა საკითხზე უნდა გაამახვილოს ყურადღება (თუმცა, არაუმეტეს ორისა). უნდა მოვერიდოთ ტექნიკური ჟარგონებისა და აბრევიატურების გამოყენებას. გასათვალისწინებელია ქალი და მამაკაცი სპიკერების ბალანსი.

დასაწყისში ღონისძიების მოდერატორი წარადგენს სპიკერებს, შემდეგ კი მართავს დარბაზიდან წამოსულ კითხვებს. თითოეული სპიკერის გამოსვლა 10 წუთს არ უნდა აღემატებოდეს, საუკეთესო შემთხვევაში - 3-5 წთ-ს. მთლიანობაში პრესკონფერენციის ხანგრძლივობა 30-45 წუთზე მეტხანს არ უნდა გაგრძელდეს, ხოლო პრეზენტაციამ (მათ შორის, დისკუსიამ) 2 საათს არ უნდა გადააჭარბოს. თუმცა, რეკომენდებულია ხანგრძლივობის მორგება მსმენელზე, კერძოდ კი რეპორტიორი ჟურნალისტების ინტერესებზე.

## 4.6. შესაძლო გამოწვევები და შეზღუდვები

გარე ანგარიშგება საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო მიზანია. შეიძლება ზოგიერთმა იფიქროს, რომ ანგარიშის შექმნასთან ერთად, ვერაფერი შეაფერხებს მის წარდგენას საზოგადოებისათვის. რეალურად, წარდგენამდე არსებული საბოლოო ნაბიჯები, უშუალოდ პრეზენტაცია და ანგარიშის გამოქვეყნების შემდგომი პერიოდი შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. მთელი რიგი შეზღუდვები - როგორც გარე, ასევე შიდა - შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს საჯარო ანგარიშების პრეზენტაციას, რაც გავლენას მოახდენს მისიის იმიჯსა და საიმედოობაზე.

საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დაგეგმვისას, ძირითადმა გუნდმა უნდა გამოავლინოს პოტენციური შეზღუდვები და შეიმუშაოს სტრატეგიები, რითაც ისინი გადაიქცევა მართვად გამოწვევებად და არა ხარვეზებად. გარე ანგარიშგებასთან დაკავშირებული ყველაზე გავრცელებული შეზღუდვებია:

- ინფორმაციის დამუშავებისთვის გამოყოფილი შეზღუდული დრო;
- მწირი და არაზუსტი ინფორმაცია;
- შეზღუდული წვდომა მედიაზე;
- საზოგადოების გავლენა მისიაზე და დაშინების/ზეწოლის რისკი.

**დიაგრამა 14: შეზღუდვები**



ქვემოთ მოცემულია შეზღუდვებთან გამკლავების გზები:

## ინფორმაციის დამუშავებისთვის გამოყოფილი შეზღუდული დრო

როგორც წესი, ადგილობრივი საარჩევნო დამკვირვებლები, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში, შუალედურ ანგარიშებს ყოველ 2-3 კვირაში წარადგენენ. არჩევნების მომდევნო დღეებში წარადგენენ წინასწარ მიგნებებს, ხოლო საბოლოო ანგარიში დაახლოებით 2 თვის შემდეგ ქვეყნდება. ამასთანავე, არჩევნების დღის განმავლობაში მისიები ასაჯაროებენ რამდენიმე (3-4) განცხადებას, რომლებშიც ასახულია ინფორმაცია საარჩევნო უბნებზე საარჩევნო პროცედურების ჩატარების შესახებ. როგორც საჯარო ანგარიშები, ასევე განცხადებები, ეფუძნება დიდი რაოდენობით მონაცემს, რომლებიც მოკლე დროში მუშავდება (გარდა საბოლოო ანგარიშებისა). მიუხედავად იმისა, რომ ანალიტიკოსები პასუხისმგებელნი არიან ინფორმაციის შედგენაზე, რაშიც მისიის ხელმძღვანელის მოადგილეს წამყვანი და გადამწყვეტი როლი უკავია (მეტი ინფორმაციისთვის იხ. თავი 3.2), მათ სრული მხარდაჭერა უნდა ჰქონდეთ ძირითადი გუნდის წევრებისგან (მისიის ხელმძღვანელი, ქსელის/LTO კოორდინატორები, პრესმდივანი). მთელი რიგი წინადადებები არსებობს, როგორ უნდა გადავაქციოთ შეზღუდვა კარგ პრაქტიკად:

- ნათლად გაანაწილეთ ამოცანები და პასუხისმგებლობის სფეროები ძირითადი გუნდის ანალიტიკოსებს შორის;
- ანგარიშების წერა (გარდა განცხადებებისა არჩევნების დღის შესახებ) საჯარო პრეზენტაციამდე საკმარისად ადრე დაიწყეთ;
- უზრუნველყავით, რომ არავინ/არაფერი მოქმედებდეს ანალიტიკოსთა ყურადღებაზე ანგარიშის წერის განმავლობაში;
- საკმარისი დრო გამოყავით ანგარიშების შემოწმების, რედაქტირებისა და კორექტირებისათვის; ასევე
- მათ თარგმნაზე საჯარო პრეზენტაციამდე;
- მოერიდეთ ანგარიშებში ისეთი მიგნებების შეტანას, რომლებიც მოპოვებულია მოკლე დროში საჯარო პრეზენტაციამდე: შესაძლოა, ჯერ კიდევ საჭირო იყოს მათი დამატებით გადამოწმება (უმჯობესია, შესაბამისი ინფორმაცია მომდევნო ანგარიშში წარმოადგინოთ დამატებითი გადამოწმების შემდეგ).

## მწირი და არაზუსტი ინფორმაცია

ზოგჯერ, საჯარო ანგარიშების ან განცხადებებისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია შეიძლება არ იყოს სრული და ზუსტი. ასეთ შემთხვევებში მიზანშეწონილია გვესმოდეს მიზეზი, რათა შევძლოთ შესაბამისი ზომების გატარება მათი გაუმჯობესებისთვის. ძირითადმა გუნდმა უნდა

დაადგინოს, რა განსაზღვრავს ამას - მოკლევადიანი/გრძელვადიანი დამკვირვებლ(ებ)ის მიერ შეგროვებული ინფორმაციის რაოდენობა, მისი ხარისხი, თუ ორივე ერთად.

ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად შესაძლებელია შემდეგი ზომების გატარება:

- სთხოვეთ გრძელვადიან დამკვირვებლებს დამატებითი ინფორმაციის ან დეტალების მოწოდება დაფიქსირებულ შემთხვევებზე;
- შესთავაზეთ დამატებითი ტრენინგი და ხელმძღვანელობა ინტერვიუთა ჩატარებაზე, მოწმეებისგან ჩვენებების აღებასა და სხვადასხვა ინსტიტუტისგან (საარჩევნო ორგანოები, სასამართლოები, პოლიცია, სავადმყოფო ა.შ.) დამატებითი დოკუმენტაციის მოპოვებაზე (ოქმები, ამონარიდები ამომრჩეველთა სიიდან, საუბნო საარჩევნო კომისიის ჟურნალი, ბიულეტენები, აღჭურვილობა და ა.შ.);
- ანალიტიკოსებმა დეტალურად უნდა გააანალიზონ კონკრეტული შემთხვევის ჩანაწერები/დოკუმენტები/მტკიცებულებები, რათა მოიძიონ ინფორმაცია, რომელიც შეიძლება დაიკარგა ან დაირღვა ანალიზის ადრეულ ეტაპზე;
- გრძელვადიანი/მოკლევადიანი დამკვირვებლების მიერ მოწოდებულ გარკვეულ ინფორმაციას შეიძლება აკლდეს დეტალები ან მტკიცებულებება. შესაბამისად, აუცილებელია მეტი დეტალების მოპოვება, სათანადო ფორმულირება ან ანგარიშიდან ამოღება (იხ. ქვემოთ მოცემული მაგალითი).

**კარგი პრაქტიკის მაგალითი: როგორ ჩამოვაყალიბოთ დასკვნა საკმარისი მტკიცებულების უქონლობის შემთხვევაში**

„დამკვირვებლების მიერ შესწავლილი მრავალრიცხოვანი ვარაუდიდან და მტკიცებიდან რამდენიმე სარწმუნო აღმოჩნდა, მაგალითად, XY საარჩევნო ოლქის ადგილობრივ მოხელეთა მიერ ოპოზიციის მხარდამჭერებზე, მათ შორის, მასწავლებლებზე განხორციელებული ზეწოლის გადამოწმებული შემთხვევები - თავი შეეკავებინათ კამპანიაში მონაწილეობისა თუ მხარდაჭერისაგან.

- უნდა დააზუსტოთ ინფორმაცია, კერძოდ, მიუთითოთ - დამკვირვებლებმა თვითონ დააფიქსირეს ფაქტები თუ სხვა პირებმა აცნობეს მათ შესახებ.

**კარგი პრაქტიკის მაგალითი: როგორ განვასხვაოთ პირადი დაკვირვება და სხვა ანგარიშები**

„ეს შემთხვევა ფართოდ გააშუქა ადგილობრივმა მედიამ და პოლიციის გამოძიების საგანი გახდა“.

- შეძლებისდაგვარად დაიცავით ბალანსი ანგარიშგებაში, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მიგნებების წარმოდგენით, რომლებიც მკაცრად დაეყრდნობა ფაქტებს.

კარგი პრაქტიკის მაგალითი: როგორ უზრუნველვყოთ დაბალანსებული ანგარიშგება

„დამკვირვებლებისთვის, პარტიის წარმომადგენლებისა და მედიისთვის ცესკო ხშირად ღია სხდომებს მართავდა. იგი ზოგადად გამჭვირვალედ მუშაობდა. თუმცა, როგორც წესი, არ მოქმედებდა კოლეგიალურად.“

## მედიაზე შეზღუდული წვდომა ანგარიშგებისას

მედიაზე შეზღუდული წვდომა მნიშვნელოვანი შეზღუდვაა ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიისთვის. ასეთი ვითარება შეიძლება გამოუცდელი, მიუკერძოებელი დამკვირვებლების მიერ შექმნილი მწირი და ნაკლებ საინტერესო ანგარიშების შედეგი იყოს, ან მომდინარეობდეს პოლიტიზებული და პოლარიზებული მედიიდან. ძირითადმა გუნდმა უნდა ეძებოს მიზეზები და სცადოს ამ პრობლემის დაძლევა. ხსენებული შეზღუდვის გადალახვის ზოგიერთი გადაწყვეტა ან ინსტრუმენტი შესაძლოა მოიცავდეს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა:

- კომუნიკაციის სტრატეგიის მიღება/გადახედვა მედიაზე უკეთესი წვდომისათვის;
- ძირითად გუნდში კომუნიკაციის გუნდის შექმნა/გაძლიერება მისიის საჯარო გამოსვლებზე მონიტორინგისათვის;
- მედიასაშუალებების სარედაქციო პოლიტიკის დადგენა არჩევნებსა და პოლიტიკასთან დაკავშირებით;
- ანგარიშებში/განცხადებებში წარმოდგენილი ინფორმაციის დაბალანსება, რათა პოლიტიზებული მედიაც კი იყოს დაინტერესებული და მოტივირებული მის გაშუქებით;
- სხვადასხვა მედიაინსტრუმენტის შემოღება, სოციალური მედიისა (Twitter, Facebook, Vkontakte და სხვა სოციალური ქსელები) და ინტერნეტ პორტალების გამოყენება ფართო საზოგადოებისა და მედიის ინფორმირებისათვის მისიის შედეგების შესახებ.

## საზოგადოების გავლენა მისიაზე და დაშინების/ზეწოლის რისკი

გარე ანგარიშების პრეზენტაცია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ყურადღებას იპყრობს და ორგანიზაციის ცნობადობას ზრდის. მიუხედავად იმისა, რომ მისიის ანგარიშები შეიძლება იყოს მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი და ფაქტებზე დაფუძნებული, ზოგიერთი არჩევნებში დაინტერესებული მხარე შეიძლება მაინც არ დაეთანხმოს საზოგადოებისთვის წარმოდგენილ მიგნებებსა და დასკვნებს. შედეგად, მოკლევადიანი/გრძელვადიანი დამკვირვებლები და ძირითადი გუნდი შეიძლება ზეწოლისა და კრიტიკის ობიექტები გახდნენ. რისკების შესამცირებლად და მისიის დასაცავად საარჩევნო ძალადობისგან შესაძლებელია შემდეგი ზომების გატარება:

- თქვენი სანდოობის დასაცავად, შეინარჩუნეთ ნეიტრალობა, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა;
- გარე ანგარიშებში კრიტიკის დროს იყავით კონსტრუქციულები და დაეყრდენით ფაქტებს.
- არჩევნების დაინტერესებულ მხარეებს აუხსენით სადამკვირვებლო მეთოდოლოგია, სტრუქტურა და ანგარიშების შინაარსი;
- დაარწმუნეთ ყველა საარჩევნო დაინტერესებული მხარე, რომ მისიის მიგნებები, დასკვნები და რეკომენდაციები ეფუძნება პირდაპირ დაკვირვებას, ფაქტებსა და გადამოწმებულ მტკიცებულებებს;
- დასკვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენისას მიუთითეთ არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებსა და ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებზე;
- მოსთხოვეთ დამკვირვებლებს, დაუყოვნებლივ შეატყობინონ ძირითად გუნდს მათ მიმართ ზეწოლის შესახებ, ასევე, პოლიციას ან სხვა სამართალდამცველ ორგანოებს (მძიმე შემთხვევებში);
- დამკვირვებლები, რომელთა მიმართაც აღინიშნება დაშინების ფაქტები, მიავლინეთ სხვა რეგიონებში (განსაკუთრებულ შემთხვევებში).

## 4.7. ადვოკატირება/რეკომენდაციების განხორციელებაზე მონიტორინგი

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართულნი არჩევნების შემდგომ საქმიანობებში. სულ უფრო მეტ ორგანიზაციას შეაქვს წვლილი დებატებში საარჩევნო პროცესის გასაუმჯობესებლად. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა პროფესიონალიზმი და მათ მიმართ გაზრდილი ნდობა ახალ შესაძლებლობას ქმნის ადგილობრივ დამკვირვებელთათვის მთელ საარჩევნო ციკლში ჩასართავად. მონიტორინგის განმახორციელებელი სამოქალაქო ორგანიზაციებისგან მოელიან ახალი ტიპის შედეგების წარმოებას. მათი საქმიანობა აღარ შემოიფარგლება მხოლოდ განცხადებების გაკეთებით არჩევნების დღის შემდეგ.

არჩევნებზე არაპარტიული დაკვირვების გლობალური პრინციპების დეკლარაცია ცხადყოფს, რომ სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა „უნდა წარმოადგინონ რეკომენდაციები საარჩევნო და პოლიტიკური პროცესების გასაუმჯობესებლად." საბოლოო ანგარიშებში შეტანილი რეკომენდაციები შეიძლება გახდეს ადვოკატირებაში ჩართვის საფუძველი არჩევნების შემდგომ პერიოდში. ადვოკატირების მიზანია, ხელი შეუწყოს შესაბამისობას ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებთან, საერთაშორისო სტანდარტებსა და ქვეყნის მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებთან. მეტიც, ადგილობრივ დამკვირვებლებს ექნებათ მთლიან დემოკრატიულ პროცესზე ზედამხედველის როლი, თუკი აიღებენ ვალდებულებას, მონიტორინგი გაუწიონ საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციათა შესრულებას ეროვნული მთავრობების მიერ;

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცებს ბევრნაირი საშუალება აქვთ, რომ თვალი მიადევნონ საკუთარი და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციათა შესრულებას და ჩაერთონ არჩევნების შემდგომ ადვოკატირებაში.

მიღებული კარგი პრაქტიკაა არჩევნების შემდეგ სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ მრგვალი მაგიდების ორგანიზება ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, რათა განიხილონ საარჩევნო პროცესის გაუმჯობესებაზე მიმართული რეკომენდაციები. ეს რეკომენდაციები უნდა იყოს კონსტრუქციული და ისეთი ფორმით წარმოდგენილი, რომ ხელი შეეწყოს ეფექტიან დიალოგს, ასევე, მათ განხორციელებას. მრგვალ მაგიდასთან დისკუსიები უნდა გახდეს სამოქალაქო საზოგადოების მომავალი ადვოკატირების საქმიანობის საფუძველი.

სამოქალაქო საზოგადოებამ არჩევნებს შორის პერიოდში შეიძლება შეასრულოს სამგვარი როლი:

1. ხელი შეუწყოს საკუთარი წინადადებების განხორციელებას საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით (კანონპროექტები ან სხვა პოლიტიკის დოკუმენტები);
2. მონიტორინგი გაუწიოს რეკომენდაციების შესრულებას;
3. წამოიწყოს საქმიანობა (კვლევა) რათა ხელისუფლებას მიაწოდოს ინფორმაცია რეფორმის დღის წესრიგზე.

სამოქალაქო ორგანიზაციების გარე ანგარიშგების დამატებითი ფორმაა ICCPR, CEDAW და ანგარიშგება სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაცული პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის შესახებ.

ICCPR-ის მონიტორინგს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC) ახორციელებს. ყველა მხარე სახელმწიფო ვალდებულია, რეგულარული ანგარიშები წარუდგინოს კომიტეტს უფლებების დაცვაზე. კომიტეტი სწავლობს თითოეულ ანგარიშს და რეკომენდაციებს უგზავნის ყველა მხარე სახელმწიფოს „დასკვნითი დაკვირვებების“ სახით. ამ დაკვირვებებზე მონიტორინგის პროცესში, არასამთავრობო ორგანიზაციები ლობირებითა და სხვა საქმიანობით - მათ შორის, ანგარიშგების საშუალებით - კრიტიკულ როლს ასრულებენ, როგორც გარე დამკვირვებლები და კომენტატორები.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ წვლილის შეტანა საერთო ძირითად დოკუმენტში, რომელსაც მთავრობა ადგენს CEDAW კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებით. სხვა შემთხვევაში, თუ სამოქალაქო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ დოკუმენტი ვერ წარმოაჩენს მათ საზრუნავს, შეუძლიათ, ჩრდილოვანი საერთო ძირითადი დოკუმენტი წარუდგინონ მონიტორინგის კომიტეტს. მათ ასევე მნიშვნელოვანი როლი ერგებათ ნებისმიერ დაკვირვებაზე მონიტორინგის მხრივ.

ამ როლის შესასრულებლად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა შეიძლება გაითვალისწინონ შემდეგი საკითხები:

- ცოდნის დაგროვება ICCPR-ისა და სხვა საერთაშორისო კონვენციების ანგარიშგების ეტაპებსა და დოკუმენტებზე. ICCPR-ის შემთხვევაში ეს მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს: სახელმწიფოს მიერ ანგარიშის წარდგენა - ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ საკითხთა სიის დამტკიცება - სახელმწიფოს პასუხი ჩამოთვლილ საკითხებზე - ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიმოხილვა - ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი დაკვირვებები - მათი განხორციელება და შემდგომი ანგარიში სახელმწიფოს მხრიდნ;
- ცოდნის დაგროვება მათი შესაძლო როლის შესახებ ანგარიშგების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე: სხდომამდე საქმიანობა, ლობირება სხდომების განმავლობაში და სამოქალაქო საზოგადოების როლი შემდგომ პროცედურებში;
- ცნობიერების ამაღლება შემდეგი საშუალებებით: პრესრელიზების გამოცემა დასკვნით დაკვირვებებზე და პრესკონფერენციების ორგანიზება; დასკვნითი დაკვირვებების ხელმისაწვდომობა ეროვნულ ენაზე; მათი განხორციელების ლობირება და ანგარიშების წარდგენა ადამიანის უფლებათა და მონიტორინგის კომიტეტებისათვის.

## 1. საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის მხარდაჭერა

საარჩევნო რეფორმის ხელშეწყობისთვის არჩევნებს შორის პერიოდში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ კომპლექსური ადვოკატირების კამპანიების ჩატარება, სადაც წინასწარ განსაზღვრული და შეთანხმებული იქნება ყველა ელემენტი. მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა დაისახონ კამპანიის რეალისტური და მიღწევადი მიზნები, სადაც გათვალისწინებული იქნება ორგანიზაციის არსებული რესურსები, მათი გაზრდის შესაძლებლობები - როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო დონორების საშუალებით - პოლიტიკური გარემო, ხელისუფლების მზაობა დიალოგისთვის და რეფორმების განსახორციელებლად, სხვა ორგანიზაციებთან კოალიციაში მუშაობის შესაძლებლობები და ა.შ.

რეკომენდაციების მიწოდების, ასევე, ადვოკატირების მიზნების დასახვის შემდეგ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები შეიძლება ჩაერთონ მთელ რიგ აქტივობებში. არჩევნების შემდგომ პერიოდში მრგვალი მაგიდის ღონისძიებებს შეიძლება მოჰყვეს რეფორმების განხილვასა და მხარდაჭერის მოპოვებაზე მიმართული მცირემასშტაბიანი ღონისძიებები, ან სამუშაო სესიები საარჩევნო პროცესში ჩართული ერთი ან მეტი დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. შედეგად, ორგანიზაციებს შეუძლიათ, თვითონ შეიმუშაონ საკანონმდებლო წინადადებები.

საარჩევნო რეფორმებთან დაკავშირებულ საკითხთა განხილვის კიდევ ერთი ფორმატი გულისხმობს სამუშაო ჯგუფების შექმნას, გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და საარჩევნო პროცესის სხვა დაინტერესებული

